ჯანსუღ ჩარკვიანი

თხზულებანი ორ ტომად



ჯანსუღ ჩარკვიანი

ტომი 2

ლექსები

პოემები

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, 1992

84.1 7
ჩ 241

რედაქტორი ნ. აბესაძე მხატვარი დ. დუნდუა მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე კორექტორი ქ. ქავთარაძე გამომშვები ნ. მანაგაძე

გადაეცა წარმოებას 25.07.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.08.92. საბეჭდი ქაღალდი № 84×108 1/32 გარნიტური ლიტ. ბეჭდვა მაღალი პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21. სააღრ.-საგამომც. თაბახი 19,8. ტირაჟი 4 500. შეკვეთა № 153.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის გამზ. № 7.

ჩ 4702170202—019 / 3 601(08)92 — 92

ლექსები

ვეფხვის წელიწადი

არ შეშინდე...

შენი მამითადი მიყვარს,
შენი ტკბილი დედას პური,
მიყვარს ის პირველი სიტყვა,
ლოცვა მიყვარს ზედაზნური.

შენი სიტყვის ცეცხლი მიყვარს,
შენი ლექსი გასაკვირი,
შენი ჯილე, შენი რიყე,
შენი ღველფი ნაცარყრილი.

შენი ცრემლის ძალა მიყვარს,
ფასი შენი გარდაცვლილის,
სიყვარული გულში მიკრავს
გაუყოფელ მამა-შვილის.

ვახ, მთვლემარე ლომსა გევხარ,
ფიქრნი შენნი ცით მიქრიან,
სხვათა ქედის მოსაგრეხად
არასოდეს გიფიქრია.

რაცა გქვია, კარგი გქვია,
მტერ-მოყვარის მიმხვედრი ხარ,
ღმერთის ლოცვა არ გაკლია,
მარიამის წილხვედრი ხარ.

ცაც ისეთი პატარა გაქვს —
დიდი წვიმა არ გიხდება,
რაც ჩაუთქვი, არსად არ თქვა
და უთუოდ აგიხდება.

სიზმარშიაც მესიზმრები,
ცხადში სიზმრის სიცხადე ხარ,
სიკვდილივით მეზიზღება,
შენი ფიცი ვინც გატეხა.

სიყვარული მოგამადლე,
ვიცი, მაინც არ გამრიყავ,
ჭრილობიდან რომ ანათებს,
მე იმ სხივის ძალა მიყვარს.

ნეტა ვისი რა გევალა,
შუბლზე გცხია ღმერთის ზეთი,
არ შეშინდე, აგერა ვარ —
შენი სისხლის ერთი წვეთი.

გაზაფხული

როგორ მოივარდისფრა,
რა ლამაზად გათენდა,
გული, გული, ძვირფასო,
გაბზარული გამთელდა.

ქართლი გამოეფინა,
ველობით და მდელოთი,
ცის ღრუბლებით მომავალს,
რა თქმა უნდა, გელოდი.

გაზაფხულო, ეგ გული
ახლა უფრო თბილია,
სიყვარული სდევნის შიშს,
თუ ის სრულყოფილია.

გაზაფხულო, შენი რტო
უნდა ხელში მჭეროდა,
სხვანაირად — არასდროს,
მხოლოდ ასე მჯეროდა.

ჩემო ტკბილო მამულო,
მისთვის გესიმღერები,
რომ მხოლოდ რწმენაშია
ძლევა ქვეყნიერების.

სიყვარული ცით მოდის,
ვისაც ცისა სწყურია,
გვიყვარდეს ერთმანეთი —
ღმერთი სიყვარულია.

ქართული სიტყვა

ქართული სიტყვა
ხნავს და თესავს
თესავს და იმკის,
ისეა საქმე —
ბოლავალშიც
თავისას იტყვის.

ქართული სიტყვა,
რუსთაველის
პირით რომ ითქვა,
გველს რომ ხვრელიდან
გამოიყვანს,
ისეთი სიტყვა, —

ვით მოზეიმეს ეკადრება,
ისე ზეიმობს,
სულ სალაღობოდ,
სასიმღეროდ
და სასეიროდ.

და რაც ჩამრჩება
ქვეყანაზე
ალბათ ხსოვნაში,
ის, რომ
შვილები დადიოდნენ
ქართულ სკოლაში.

ᲙᲣᲨᲙᲘᲜᲘ

თოვს უსაშველოდ,
სახლშიც ცივა,
ცივა გარეთაც...
როგორც ზღაპარში,
მშვენიერი გიცდის კარეტა.

ნაცვლად ეკლისა,
ქვეყნად ვარდი დაგითესია,
მორჩა, გათავდა,
ახლა ნაღდად
ტყვიას გვესვრიან.

ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ

ზურაბ ცხაკაიას

ცისაკენ ილტვის კოშკი და
ცისკენ მიიწევს ლილეო,
გეველრი, შენი სიმღერით
სიკვდილში გამაცილეო.

ცისაკენ, მხოლოდ ცისაკენ,
სვანები ბარში ვერ ძლებენ,
ცაში ეძებენ მისაკვლევს,
ღრუბლების ზემოთ ეძებენ.

საქართველოც ხომ მთაზე დგას,
მთა არის სული მედგარი,
სვანეთი საქართველოა,
საქართველოზე შემდგარი.

ხალხებს სხვადასხვა ბედი აქვთ,
ბედიც არა აქვთ საერთო,
შენი გადასახედიდან,
რა მოსჩანს, ჩემო სვანეთო?

ჩემი ალერგენი

I

ბრონქო-სპაზმი, სპაზმო-ბრონქი, —
ორკესტრანტთა ბრახაბრუხი,
ქრონქიტი და ბრონქიოლი,
ვით ორი ხე, ბრონქი ორი.

ჩახლეჩილი ტრანხეია
ტოტიდან ტოტს ჩახვევია,
არა, ეს სხვა უფსკრულია,
სხვა ხმაა და სხვა ხევია.

ალერგია, ალერგია,
„ალლოს, ერგონ“,
„ალლოს, ერგონ“,
რის ფესვია, რა ნერგია,
რას მოსწყდა და რას მოერგო?

ეძებს ჩემი პროფესორი,
თავად ასთმით შეპყრობილი,
ფოიე და ანტრესოლი,
ასთმითაა შეღობილი.

სულს ღაფავენ დამაშვრალნი,
აბრიალებს თვალებს გენი,
და მთავარი დამნაშავე
იმალება ალერგენი.

ბობოქრობენ უღრანებით
ჩემი ანტისხეულები,
აქ ხველების მქუხარებით
ტანში გადამსხვრეულები.

პაწაწინა ვულკანები
გულის გულში ქოშინებენ,
ისმის ღრენა უგვანებოდ
დაკრეჭილი გოშიების.

ეძებს ჩემი პროფესორი,
პროფესორი ეძებს მიზეზს,
ჩაფიქრდება, მერე შორით
ჩემს ალერგენს დაუმიზნებს.

— იქნებ, ჭადრის ბრალი არის,
ბრალი არის იქნებ ალვის
ან ბალახი შხამიანი
ალერგენი თქვენი არის...

— მიფეთქავენ საფეთქლები, —
დახეთქილი ყამირები,
— იქნებ, სულაც ყვავილია,
დიახ, მინდვრის ყვავილები.

— სახლში ძაღლი ხომ არა გყავთ?
ხომ არა გყავთ სახლში დათვი?
სულში ჭიანჭველად ჩამყვა
პროფესორის მასლაათი.

II

როგორ ცდებით, ბატონებო,
ალერგენობს ვინ ვისთანა,
მე რომ ძაღლის პატრონი ვარ,
ძაღლი უნდა იმისთანა.

რაიც მომდევს ამ მთებიდან —
თივაა და ფიწალია,
მე თბილისის ჭადრებიდან
სიმღერები მისწავლია.

არა, როგორ გეკარდებათ, —
საქართველოს ყვავილები?
მექადნება, ჩემი ხელით
სულში ამოყვანილები?

რაც არ უნდა ამიჭრელოთ
ზურგი მაგგვარ დიაგნოზით,
წამითაც არ დავიჯერო
სულში შხამი იაგოსი.

რად არ დაგცდათ კაცზე სიტყვა,
ანუ სიტყვა არაკაცზე,
ცუდზე არაფერი გითქვამთ,
არ მანიშნეთ, არ გამაცნეთ.

იქნებ, კაცი, არაკაცი
შენს აღმა ხნულს დაღმადა ხნავს,

ერთი კაი დღისთვის გაგცვლის,
იქნებ იმით ავადა ხარ.

იქნებ, ჭორიკანა ბრიყვის,
იქნებ ლენჩის მსხვერპლადა ხარ,
მისი ბოღმიანი ჩიყვის
დანთხეული გზებით დახვალ.

გვარეულად, სახლეულად
თავის ქვაბში ჩახუფულა,
ის რომ ბეწვში გახვეულა,
იქნებ იმით დაეღუპულვართ?

ვისაც მისი ღამე გელით,
დღე სიცოცხლეს არ დაგაცლით,
ყველა კაცის ალერგენი
არის მხოლოდ არაკაცი.

თაგვებივით გრძნობენ სოროს,
თაგვებივით სხედან უხმოდ,
კაცს მიხედეთ, პროფესორო,
ყვავილი არ შემიწუხოთ.

ი რ ო ნ ი ა

ოდეს უსაზღვრო ნათელი
თვალისმომჭრელად ელავს,
შენივე კუბოს გამთლელი
შენგან მოელის შველას.

ოდეს აგიგდებს საცინლად
და მოგარიდებს თვალებს,
გესვრის და, თუ აგაცდინა,
აცდენას დაგაბრალებს.

მე იმ დასკვნამდე მივედი,
გაგიჭირდება ოდეს,
ამ ქვეყნად მძებნელს იმედის —
შენი იმედი ჰქონდეს.

ნუ მოუწამლავ სათავეს
სიცოცხლეს ისეც მოკლეს,
თუ მოგკლეს, ისე ჩათვალე,
ვითომ შემთხვევით მოგკლეს.

ვინ ვინ არის, ანუ მცირე განმარტება

ერთ სკოლაში გაკვეთილებს
იმნაირად უხსნიან,
ერთი გაგებული ბავშვი
ამდგარა და გამშრალა.
თუ პუშკინი რუსია,
თუ ტოლსტოი რუსია,
მაშინ ბულატ ოკუჯავამ
ნეტა რა დააშავა?

ვით ყველა სახელმწიფო
გადის თავის მონეტით,
ვით არასდროს დაჰკარგავს
გზას საკმეველ-სანთელი,
კი, ბატონო, ბულატი
გახლავთ რუსი პოეტი,
ხოლო, ჩვენი ტრიპოლსკი
მსახ̣ᲘᲝᲑᲘ ქართველი.

სისარული სასტუმროში

უმშვენიერეს ვარ სასტუმროში,
ვწევარ გულაღმა და ველი ხვალეს,
გახვეულია სულ მთლად სუროში
ჩემი სასტუმროს ოთხივე მხარე.

არის რაღაცა, რასაც ვერ მოშლი,
ჭერზე სისველეს მოვკარი თვალი,
თურმე არ მხოლოდ საქართველოში,
იტალიაშიც ჩამოდის წყალი.

უცხო სხეული, რომელსაც ნიღაბი ასადეს

შენ ბევრი რამ შეგიძლია,
შეგიძლია აყეფდე,
კატასავით დაიკნავლო,
შეგიძლია აგრეთვე.

შენ ნამდვილად შეგიძლია
მეგობარი დახვრიტო,
შეგიძლია იმის სისხლი
მადიანად დახვრიპო.

შენ ბევრი რამ შეგიძლია,
მაგრამ მორჩა, გათავდა,
შენ რომ ფიცარს გაგითლიან,
ისიც არ ღირს გათლადა.

სოფლის განცდა

ანუ, პირთან გაიყინოს,
აღარ ეყოს სუნთქვა ხმაში,
მამალმა რომ არ იყივლოს,
ქონს წასცხებენ უკანალში.

რა ჰქნას, დადის ამაყივით,
რადგან სული ვერ დალია,
თუ მამალი არა ყივის,
კარგად იცის, დედალია.

ნარდის თამაში

კამათელო, ძაღლის ძვალო,
რას მიპირებ, ღალატს?
შე გიჟების საფიცარო,
მაცმევ გიჟის ხალათს.

რა ერთგულად მმსახურებდი,
ცოცხალი რომ იყავ,
ბუხარივით გახურებდა
ჩემი ტკბილი სიტყვა.

კამათელო, ძაღლის ძვალო,
თუმც სიკვდილი გშვენის,
არ მდარაჯობს, არ მღვიძარობს,
ერთგულება შენი.

გულში სევდად შემიფრინდა
ერთი ამორძალი,
ძვალშიც ძაღლის ბედი გინდა,
ბედში — ძაღლის ძვალი.

კამათელო, ძაღლის ძვალო,
რას მიპირებ, ღალატს?
შე გიჟების საფიცარო,
მაცმევ გიჟის ხალათს.

გაგორდი და თავს მიხედე —
ცალზე მაინც დაჯექ,
შენც არა გაქვს ძაღლის ბედი,
ისე გაიტანჯე.

ცუდადაა ჩვენი საქმე —
ხელი გაგვიცუდდა,
სუყველაფერს, სუყველაფერს,
ძაღლის ბედი უნდა.

პასუხი

მაპატიე, დრო არ მქონდა,
პასუხი დავახანე,
მწერ, ქალაქში რა მოხდაო,
მოგახსენებ ახლავე:

მოხდა ის, რომ არაფერი
არ მომხდარა ქალაქში,
თუ არ ჩავთვლით, ერთმა ტყვია
იკრა თავის ქალაში.

ერთმა ნავთი გადაისხა,
თავი ისე დაიწვა,
ერთმა, ქალის გულისათვის,
გულში დანა დაიცა.

ოპერაში „არს მუსიკა“
მიდის გრიალ-გრიალით,

შენ რომ იცი, იმის „ტუფლებს“
ისევ გააქვს კრიალი.

სხვა, ისეთი არაფერი
არ მომხდარა ქალაქში,
მე რას ვიზამ, ორ ხეს შუა
ვწევარ ჩემთვის ჰამაკში.

ნახევარი საუკუნის წინათ

დამიჭირეს, წამიყვანეს,
ბეჭში დანა გამიყარეს,
თავით ნუში მამტვრევინეს,
არ სათქმელი მათქმევინეს,
ქერე იატაკზე მხეხეს
და ბოლომდე გამომტეხეს,
რაცა სილით გამასიეს,
საკაძე დავასმინე.
როცა ლოყა დამაპოტნეს,
იქვე მივაყიდე ცოტნეც-
ალბათ, ცოტნეც უნდა ჩაჯდეს,
საკაძეც უნდა ჩაჯდეს,
მე კი, როგორც დამნაშავეს,
„ოცდახუთი“ მომისაჯეს.

უდროოდ წასულ მეგობარ ქალებს

ახლა სად ხართ, ლამაზებო,
მახსოვს, ყელს რომ ილერებდით,
სავსე იყო დარბაზები
სევდიანი სიმღერებით.

იმ სიმღერის რითმას ვეძებ,
იმ სიმღერის ნისლით ვთვრები,
შვიდსიმიან გიტარებზე —
ინოლა და მისი დები...

ახლა სად ხართ, ლამაზებო,
სულს წყვდიადი ატიალებს,
თქვენი წასვლა არ არსებობს,
თქვენი სული აქ ტრიალებს.

კარლო გაბუნიას

დრო დადგა, წასვლაზე
ყველა ყაბულია,
აბა, ჩემო ძმაო,
კარლო გაბუნია.

ბოგო-ბიჭში შენი
ნათლის სვეტი არი,
ცოლი ისევ ისე
დადის სევდიანი.

თბილისს უშენობა
ოუმცა დაჰკლებია,
ვინც მოდის, შეხედავ
ჩვენზე მაგრებია.

ჩვენზე ძლიერები,
ჩვენზე ახოვანნი,
ქრისტესმიერები,
ქრისტესსახოვანნი.

უფალი არა სწამთ,
მაინც იფიცებენ,
ვინც ბედით გაწვალდა,
იმათ ივიწყებენ.

სუფრა აღარ უნდათ,
დიდია, ღლაპია,
რაცხას იჩხირავენ,
რაცხას იყლაპვიან.

არა, ღმერთმა ნუ ქნას,
კარგებიც არიან,
კარგებიც არიან
და ჩვენც გვიხარია.

ნაწყენი გახლავარ, —
ამისი თქმა მსურდა,
ან ჩვენ რაღა დაგვრჩა,
ცოტაც და, დასრულდა...

ვაშლის გამყიდველი გოგონა

ბაზარში ჰყიდის ვაშლებს,
მივდივარ ყოველ დილით,
ლოყასთან დასთამაშებს
მკრთალი ღიმილის ჩრდილი.

რომელმა დედამ შეჰქმნა,
რა მთვარედ გაუვსია?
ნეტა რა უნდა ერქვას,
მზეინარი თუ მზია?

მზე დასთამაშებს ბაზარს,
ყუთებს ყუთებზე ცლიან,
ის კი მპასუხობს ნაზად, —
მოდი, იყიდე, ძია.

გაყიდული ამხანაგი

ლოცვად დარჩა ჩემი ლოცვა,
რაც კი ლოცვად წამომცდა,
თევზისა წილ გველი მომცა,
პურისა წილ ქვა მომცა.
და სანამ ფრთებს მომამსხვრევენ,
სანამ მოვლენ სხვა დრონი,
დიდ მადლობას მოვახსენებ,
ქვის და გველის პატრონი.

სიმშვიდე

ნეტაი რას ჭირისუფლობ,
ნეტაი რას ბულბულობ,
გაგიშლია ხალხში სუფრა
უპუროდ და უფულოდ!

კმარა, გეყო, დასცხრი, გულო,
აგრემც წვრილშვილს დაურჩი,
ნეტაი შენ, რად კითხულობ,
შენს, სამშობლოს რა უჭირს.

არც შორიდან, არც ახლოდან,
შიკ სულიდან მესმოდა,
ის — ბოლორე, ჩამძახოდა,
აზრს ტყვიასებრ მესროდა.

ვთქვი, ეშმაკმა თუ განდევნა
ანგელოსი ქვეყნიდან,
თორემ ასე უდარდელად
სული ვის მიეყიდა.

მშვიდად უნდა იყოს ძროხა...
ღმერთო, ერთს გევედრები —
არ მაცალო ამოოხვრა,
თუ მშვიდად დავბერდები.

ცრემლი

მხურვალე ცრემლით ღაღადვყავ
სევდა იმ საუკუნისა,
საუკუნეში გადამყვა
მოწყალე კაცთა გულისთქმა.

ვერ გეტყვი, ვინ რით დანაყრდა,
ვინ როგორი გზა გალია,
რაც შენს ზღუდეებს დააკლდა —
ჩემი ცოდვა და ბრალია.

სამაგიერო

მრავალთა განსაცდელთაგან
გარემოცულხარ, დიელო,
ყოველდღე ყოველ ჩვენთაგანს
ჰპირდები სამაგიეროს.

ვინც ეგ პირობა იწამა —
გვადროვე ვნებადამცხრალებს,
სამაგიერო მიწაა,
შენს მიწას კი ვენაცვალე.

ᲛᲐᲦᲐᲚᲤᲐᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲧᲕᲘᲛᲐᲨᲘ

— რას იტყვი,
კიდევ დავლიოთ თითო?!
— დავლიოთ, მაგრამ
წუთისოფლის ზარი რას გვიხმობს?
— შენ როგორ ფიქრობ,
გადიღებს ვითომ?
— მეტი არაა ჩემი მტერი,
ამან გადიღოს.

ᲪᲠᲔᲛᲚᲘ

ლ. ზაქაიძეს

გზებს ვადექით,
მიუკვლეველს და მისაკვლევს,
ვინ მიხვდება
ბედი როდის მასხრობს,
რა თქმა უნდა,
გზები გახსოვს ფშავისაკენ,
ბედნიერი იყავი და გახსოვს.

ახლაც წავალთ,
ახლაც წავალთ ფშავისკენ,
სადღეგრძელოს
ვეტყვით ბებერ მურყვანს,
ღმერთმა იცის,
ღმერთი უვლის თავის საქმეს
კაიყმა და კაიკაცი უყვარს.

არაგვს ვკითხავთ,
შენი ცრემლით ნაზიარევს —
შესანდობარს
ჩვენსას როდი შესვამს...
შენი სევდა
ტანში ისე მაზრიალებს,
ჩემი ცრემლიც
შეუერთე შენსას.

მალე თორმეტს დარეკავს

ხალხმა ქუჩა წალეკა,
ქუჩა ზმუის, ზანზარებს,
მალე თორმეტს დარეკავს —
სადღეგრძელოს მაძალებ.

გავიმარჯვეთ, წინა ვართ,
ვჯობნით ხიდის მათხოვრებს,
სუყველანი შინა ვართ,
შვილიშვილიც გვათხოვეს.

გვქონდეს ორი შაური,
მაგრამ ჯანის სიმრთელე,
ღმერთო, ოთხმოცდაორი
ლამაზი გაგვითენე.

ავი სულის სამუსრად
არასოდეს გახრილი,
ღმერთო, მოეც მამულსა
ძლიერების მახვილი.

და რაც დაგვრჩა, ორი დღე —
ვიყოთ, როგორც ვბინადრობთ,
უფრო მეტი? — მოგიკვდეთ —
თუ ოდესმე ვინატრო.

ვინც ეს წელი მომგვარა,
მეც იმას ვუერთდები,
შიშველ დევებს მოჰგვანან
ეს უთოვლო ქედები.

ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

— მიწიდან თუ ციდან გაჩნდი,
კისკისა და ენამწარე,
ვენაცვალე მე შენს აჩრდილს,
მე შენს ასაკს ვენაცვალე.

ამდენ ყვავილს სად ნახულობ,
ამდენ წყაროს სად პოულობ?
რა გიმღეროთ, გაზაფხულო?
— რა და, ერთი, აპა ულა,

გაპარულა, გაპარულა,
თეთრი სევდა გაპარულა.

— იანვარში რა გინდოდა,
თებერვალში მოსულიყავ,
ძუძუზე რძე დაგდიოდა,
ჭორფლიანი ორსული ხარ.

— იანვარში ჩამეკონე,
თებერვალში მოგელოდი,
— აპა, აპა, რა გეგონა,
აპა ულას რომ მღეროდი.

ბოგონა ყარაიაში

ოდეს ცათა შინა
ბნახე ყარაიას,
ვერლად გადაშლილა
შენი დარაია.

შენი დარაია
ფარჩა-ოქროსია,
ხოლო შენი თმები
პალმა-ქოქოსია.

ასი უზალთუნი
შენი ზინათია,
თვალნი უსათუოდ
მზისა სინათლეა.

საით, დარაიით,
ეგრე თავდადრეკით,
ნისლი ყარაიის
თვალზე გადამეკვრის.

ორმოცი წელიც...

გასაოცარი რა მოგახსენოთ,
გასაოცარი რა უნდა მოხდეს,
ყელამდე მზით და მთვარით სავსენი
მიწაზე მოვა თაობა ოდეს.

გაიფანტება ეჭვის ბურუსი,
ნიღაბი მხოლოდ შერჩება სცენას,
ყველა საკუთარ გადახურულში
იპოვის ღიმილს, იმედს და რწმენას.

იქნება, მხოლოდ ასე იქნება
და რაც იქნება, მოგვადგა კარზე,
ვერ გაუძლებენ ჩვენი წიგნები
იმ სიჭაბუკის პირუთვნელ აზრებს.

გამოიყვანენ სხვა კრეისერებს,
ოკეანეშიც სხვა გზნებით შევლენ,
ო, ის თაობა არ მოისვენებს,
ცერად გახედავს გოგენს და ვერლენს.

შეინახავენ სახლში სონეტებს,
ვით გულუბრყვილო საჩუქარს რასმე
და მოაპნევენ ოქროს მონეტებს
უკიდეგანოდ გაჭიმულ ტრასებს.

იქნება, მხოლოდ ასე იქნება,
კვლავ დაერქმევა თაობას „ურჩი“,
გაგვიჭირდება სახლის მიგნება
ჩვენი უცნობი ნაცნობი ქუჩით.

დღეს კი, სანამ ხარ, უნდა ემზადო,
ჩემი თაობის სისხლო და ხორცო,
გამოყვანილი ხარ საესტრადოდ
და მიკროფონის იმედით ცოცხლობ.

ოცი წლისანო!

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
პირიმთვარისა,
პირიმზისანო,

გვაქვს ჭავჭავაძის
ქვათა ღაღადი,
დაუწერელი
გიცდით ქაღალდი!

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
ლექსნო ვეფხისა
და მოყმისანო,

სწერეთ, დასწერდა
ვითარ რუსთველი,
წინ წლები გახლავთ
ჯერ დაუთვლელი.

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
ჩემი მიწის და
ჩემი წყლისანო,

ბედსა ქართლისა
ზრდიდეთ კალთაში,
ვით აწუხებდა
დიდ ბარათაშვილს.

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
ჟამთაცვლით
რომ არ გამოიცვალოთ,

ნუ მიეცემით
სევდას და ბურანს,
მიხედეთ ბრუნოს,
თქვენ არ გადათქვათ —
რადგანაც ბრუნავს!

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
ხატეთ, ხატავდა
ვითარ პისარო.

მიდით, გაკაფეთ,
ულრანი ტყეა,
სხვა შუბლი უნდა
მტრის ნასროლ ტყვიას.

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
სიყვარული არ
გადაისწავლოთ.

თქვენ რომ ბოროტ კაცს
ლაფში ამოსვრით,
ჩარლი ჩაპლინი
ხართ სამყაროსი.

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
შატილიონის
არწივისანო,

მამათა კვალზე,
კვალზე მამათა,
ოღონდ ჩვენსავით
სდიეთ სამართალს!

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
წილნო და ხვედრნო
ღვთიშობლისანო,

მძიმეა თქვენი
ერის უღელი,
მაგრამ მზე გადგათ
ჯერ დაუღლელი.

ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
ჩემი მთისა და
ჩემი კლდისანო,

გამოიღვიძეთ,
აჰა, გათენდა,
თქვენ გელოდებათ
მხარე ქართველთა!

წერილი მეგობარს

ჩუმად ხარ აიმ მთასავით,
ძლიერი ხარ და ჩუმად ხარ,
ამ სოფელს შენ ვერ ასწავლი,
სიჩუმე ბევრი უნახავს.

ჩუმად ხარ, აიმ ხესავით
მაინც მიაკვლევ მისაკვლევს,
მე აქვე ვრჩები, შენ საით?
შენ, ალბათ, მეცხრე ცისაკენ.

აჰა, ეს ჩემი ხანჯალი,
მაგ სიმშვიდეში გაგიცვლი,
შენი ძმობისთვის მტანჯავენ,
შენ კიდე, ძმობა არ იცი.

ტრაგედია ცირკში

ეკვილიბრისტი ბურთს ისვრის ფერადს,
აკრობატობას ცდილობს ჯამბაზი,
ტაკიმასხარა გაიხდის პერანგს,
ახარხარდება უცებ დარბაზი.

კაცს სატევარი მკერდში უტაკეს,
კაცი წამოხტა და იკრიჭება,
— ჩვენი სალამი ორანგუტანგებს,
იარუსიდან დასცხეს ბიჭებმა!

ჩვენი სალამი მელას „აფერისტს“,
(შავი დედლებიც იქვე დამსხდარან),
იმით დამთავრდა სუყველაფერი,
ვეფხვმა შეჭამა ტაკიმასხარა.

ქარი

მე უარესი მინახავს ქარი,
უფრო ბავშვური და ჭირვეული,
მე გამიღია იმისთვის კარი,
გადაუფურცლავს ჩემი რვეული.
გადაუკითხავს ერთი, მეორე,
მერე მეხუთე, უცებ მეათე,
მე ახლაც ვხედავ, ვით იმეორებს —
ერთ ლექსს საბძელში, როგორ მიათრევს.
შეათრევს კიდეც და ბზეს შეაყრის,
ახლა მეორეს წაიღებს სხვენზე,
მესამე ლექსი უკვე ქვენა ქრის,
მეოთხე—ველურ შემჯდარა ცხენზე.
სხვენიდან სხვენზე, ცხენიდან ცხენზე,
სიმინდის ფუჩეჩს მიაქვს მეხუთე.
ჩამომხრჩვალიევით ვკიდივარ ხეზე,
მოდი, გრიგალო, და ჩამეხუტე.
სათოფურებში შეძვრა მეექვსე,
საბედისწეროდ გაქრა მეშვიდე,
კედლის სუყველა ბზარი შელესეთ,
ამ სიხარულით სანამ შემშლიდეთ,
მერვეს და მეცხრეს ქვითინი მესმის,
მეათე — მცხეთის ჯვარზე ქადაგებს,
დაჰქროლე, ქარო, და ყველა ლექსი
მოსწყვიტე ძუძუს და გადაჰკარგე.

ციკლიდან — ჩემი ლეჩხუმი

სურეული

კაციევით ხარ ჯავრიანი,
ქოჩორს გიშლის მთის ნიავი,
სახლი გიდგას ყავრიანი,
საბძელი გაქვს ისლიანი.

მე რომ ნერეში სისხლი მიდგას,
იგი შენი სისხლი არი,
ბევრი კაი სიტყვა მითქვამს,
მაინც მიმზერ რისხვიანი.

სხვა თვალები არ მინახავს
უფრო, უფრო ნისლიანი,
სამაჯრიას მზე რომ ახლავს,
შენი შესატყვისი არი.

ჯიკვნალაში ღელე მორბის —
ირმის ძუძუს რძისი არი,
შენი გორა, შენი კორდი
ნაღდი ლექსის ღირსი არი.

წამი სიზმრად ჩამყოლია —
იმ ბავშვობის, იმ სიამის,
მაგრამ შენი რაც გგონია,
ღმერთმა იცის, ვისი არი.

მურის სიდთან თქმული

რადგან მკერდი სისხლიანი
არ გამშრალა ჯერაც,
მთებო, თქვენი ნისლიანი
ჭრილობების მჯერა.

ძველისძველო ციხეებო,
თუმცა ნაღველს დრო სჭამს,
თქვენი გადასახედიდან
ყველაფერი მოსჩანს.

ყველაფერი, ყველაფერი —
სისხლიცა და ცრემლიც,
ზედ ხმლის პირზე შენაფერი
შეძახილი ძძლევლის.

თუმცა მაგრა გალახულა
ჯაჭვის ძველი თორნი,
მაინც, მაინც ამაყურად
დგახართ დროთა სწორნი.

მაინც, მაინც მზისფერია
ჭრილობების ნისლი,
დროშად გადმოგიფენიათ
წინაპართა სისხლი.

ქვის ნეკნებით, ქვის მალებით
გიმზერო შეურიგალს.
გუმბათების ყვრიმალები
დაუბზარავს გრიგალს.

ქვებში მურის ციხეებო,
ქვებში მურის ხიდო,
გეფერებათ მზის ხელებით
თქვენი იღბლის ხვითო.

ქვებში ლაყუჩახეული
ფაცერით და ოჩხით...
ჩარკვიანთა სახლეულის
შვიდი ლომის ჩონჩხი.

შვიდი ხმალი, შვიდი თოფი,
შვიდთა ძმათა ძვალი,

მჯობნის მჯობნი, ცრემლში მყოფი
შვიდი ამორძალი.

ვენაცვალე თქვენს წლებს ბებრულს,
თქვენი ძმობის საფლავს,
ჩემგან ასე მიტოვებულს,
ასე დაუდაფნავს.

დაჩეხილი ღამე ხმლითა
მოდის მთათა მხრიდან,
თუკი სადმე რამე ღირდა —
მანდ სიკვდილი ღირდა.

აქეთ სურმუშს, იქით თაბორს,
ნაღდი კაცის ენით,
საქვეყნოდ და რიხით ვამბობ,
მერვე ძმა ვარ თქვენი.

ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘ

ძველმა გრიგალმა
დღეს მომიხვეტა,
რასაც ვეძებდი,
რასაც ვნატრობდი,
ვეჯახებოდი
უშბას და შხელდას —
აღთქმულ ქვეყნისკენ
მივისწრაფოდი.
მესიზმრებოდა
ჩემი სურმუში
(იქ იწყებოდა
დიდი... რუსთველი...),
როცა სურმუში
იჯდა ბურუსში
ლამაზი, ენით
გამოუთქმელი.

მე ჩემს ლაჯანურს
და ჩემს ცხენისწყალს
რითმით ვუქსოვდი
ძვირფას ფარდაგებს,
მაგრამ რამდენი
სიტყვა შემირცხვა —

ლეჩხუმის ცას ვერ
მივასადაგე.

ვერ გავუწყვიტე
ლურჯი ფაცერი,
ვერ მივაწვდინე
აზრი გულამდე,
ახლა ზამთრიდან
როცა გავცქერი —
რა შორი გზაა
გაზაფხულამდე.
ასე ეძებენ
დაკარგულ სატრფოს,
ჩემო სამზეო,
საიადონო,
ჩაგისუნთქავ და
სხეულში გათბობ,
რომ სიკვდილშიაც
არ მიმატოვო.

ბარდნალაა რაჩხას იქეთ

ლეჩხუმელო, ფაცხას გიქებ,
პალატსა და ნალიასო,
ბარდნალაა რაჩხას იქეთ,
ჰგავს ბულბულის გალიასო.

მირაკრაკებს ირმის ღელე,
მზის თვალით და მზის ჩქერითო,
მიდის ლადო, მიიმღერის,
ნაფლეთ-ნაფლეთ სიმღერითო.

სიცოცხლის და სიკვდილს შუა
გზათა გასაყარიაო,
გამარჯობა, ლეჩხუმურო,
ოდა-სახლო ყავრიანო.

მიდის ლადო, მიიმღერის
ოქროსთმიან ბარდნალასო,
ჩქარა, იქნებ ლერწმის ღერით
სიჭაბუკეს გადავასწროთ.

ლეჩხუმში

„მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ“...
ი ლ ი ა

როგორ საუბრობ, როგორ მღერიხარ,
ჩემი ლეჩხუმი დგას გარიყული...
რამდენად უფრო მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

ჩუმად, ბარდნალას ნისლი შეირხა,
გადაიწმინდა ჩემი საუფლო,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ —
გული მიკვდება იმდენად უფრო.

ო, ღმერთო ჩემო, თითქოს ჩემი ხარ,
გიპოვე მთებში გადაკარგული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ —
იმდენად უფრო მიკვდება გული.

მურისციხესთან მესმის შენი ხმა
და მეუფლება დიდება სრული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ —
იმდენად უფრო მიკვდება გული.

მღერის ორბელი, ჩემი ბებერი,
გამოირჩევა მაინც შენი ხმა,
არ დაუნახავს ლეჩხუმს შენფერი,
ღმერთო, იმდენად მშვენიერი ხარ.

შენი ღიმილით სავსე მინდორი
მიმზერს და, რა ვქნა, მზერა შემირცხვა...
ნახვამდის, თუმცა არა, მშვიდობით,
გადარეული მივსდევ ცხენისწყალს.

მაისი – ლეჩხუმში

ესეც მაისი,
უხალისო იყო მაისი,
არცა ლექსები,
არც იმედი არარაისი.

არ დამინახავს
ცა მოწმენდილი,
არცა ვარსკვლავის
რამე წერტილი.

არცა სიმღერა,
არც სიყვარული,
წვიმდა და წვიმდა
სევდა ფარული.

ერთხელ იმღერა
შაშვმა სუროზე,
ნეტავ ისეთი
რა შეულოცეს...

სხვა არაფერი,
მოწყენილი იყო მაისი,
არცა ლექსები,
არც იმედი არარაისი.

გამომხედე, ლაჯანურო!

მზე მობრძანდა წითერაულს,
მიროხაში გაირინდა,
შევეგებე ვით ბედაურს,
შაქრითა და მარილითა.
მოჩითულან კალმახები
საპოვნელა ყვავილითა.
შენც ხომ გახსოვს, სტვენა-სტვენით
სურმუშისკენ აივლიდა,
გამომხედე, ლაჯანურო,
ორპირების აივნიდან.

ᲒᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲖᲛᲠᲔ

ალბათ ტვინში მარაზმია,
აღარ მახსოვს ის ცხოვრება,
გეკვედრები, დამასიზმრე,
აგრემც სული გიცხონდება.

ხელიშურის წისქვილების
შორი თვალი თარსად მიმზერს.
მუცელგამობესკილები
ბოჩიკები დამასიზმრე.

ჯიკვნალაში გადამმალე,
ეკლნარებში დამასისხლე,
წითერაულს გადამმალე,
სამაჭრია დამასიზმრე.

ჯილეშიდან მირბის ბავშვი,
მირბის, მიეჯილეშება,
ლაჯანურის მომბრუნავში
ცლდიდან თავით მიეშვება.

ალბათ ტვინში მარაზმია,
აღარ მახსოვს ის ცხოვრება.
გეკვედრები, დამასიზმრე,
აგრემც სული გიცხონდება.

Თ ა ბ ო რ ი

ხენაქარი დაცხრა, ჩადგა,
ფრთა გასტყორცნა სურმუშით,
ჩანდა კიდეც, არცა ჩანდა
ვახვეული ბურუსში.

უსაშველოდ მშვენიერი,
მშვენიერი მტრედივით,
ჩემი ხალხის, ჩემი ერის,
თეთრი, თეთრი მერდინი.

როგორც მსურდა, ჩემს გემოზე,
პაწაწინა თაბორი
სიყვარულის კენწეროზე
დავსვი, როგორც ამბორი.

ლადო!

თუმცა ჩვენი სანათელო,
ჩვენი მიწა-წყალი გვაქვს,
მაინც შენი საქართველო
გვეხატება სხვარიგად.

სულ სხვანაირ ოცნებათა
სილამაზეს ეტრფოდი,
აი, ის, რომ მოგსწრებოდა,
სხვა სიმღერას ეტყოდი.

არც ზღაპარი, არც იგავი,
თვალის ასი შევლებით,
ნაღდი იყავ, რაც იყავი, —
ცარიელი ნერვები.

გული იყავ ცარიელი,
სულის ცრემლი მდუღარე,
შენი მრავალჟამიერი
ხერხემალში მქუხარებს.

ჩვენ კარგად **ვართ,**
უფრო კარგად,
ვიდრე გაიფიქრებდი,
ჩვენი ბრძოლა ბრძოლას არ გავს,
ბრძოლა არის ჭიქებით.

სიმშვიდეში გავიზარდეთ,
მშვიდი კოშკი ავიგეთ,
მარაბდიდან კრწანისამდე
ჩიტის ხმას ვერ გაიგებ.

აბა?!
ჩემო კარგო ლადო,
სანამ მგელი შეგვჭამდეს —
ოუ, რადო, რადო, რადო,
ვმღერით ხმის ჩახლეჩამდე.



აყვავებული მზე

მზესთან

ერთი შემხედე, რა ახლოსა ვარ,
რა ახლოსა ვარ, ერთი შემხედე,
ხელში მიჭირავს ატმის რტოსავით
მზე, რომლის სევდა
ტვინში მეხლება.
მე დაღლილი მზე მიჭირავს ხელში,
ჩემს მეტი კაცი ვერ შეეხება,
შემოდგომის მზე ტირის და კვნესის,
ხელში მიჭირავს ატმის რტოსავით...
ასე თავდება დიდ მზეზე ლექსი —
ერთი შემხედეთ, რა ახლოსა ვარ.

აყვავებული მზე

გვაქვს ხანჯლებივით გაყრილი მზერა
ზურგში და თვალში,
ძარღვში და ტვინში...
ის გვათამაშებს, მე ასე მჯერა,
და დაბნელება გულში გვაქვს შიშად.
ის ათამაშებს ბურთივით მიწას,
უგზავნის წვიმას,
თაკარა სიცხეს,
პურით და წყალით
ჭორფლავს და წინწკლავს
და ცაზე ხატავს დროთა აღმრიცხველს.
ეს, ჩვენი ბრალი, შენ რომ არ გვყავდე,
რა გვეშველება, მზეო მაღალო,
იგანთიადა,
ნუში აყვავდა,
მე კიდევ შენზე ფიქრმა დამღალა.

ჩასულ მზეზე

ჩრდილები ყრია,
ჩრდილები ყრია
და დედამიწას სძინავს...
თეთრი ობობა ქსელსა ქსოვს ყვითელს,
ნელა და მძიმედ...
დინჯად და მძიმედ...
ჩვენ უშენობას,
რა ვუყოთ, ვითმენთ
და დედამიწას ლოგინში სძინავს...
თეთრი ობობა ქსელსა ქსოვს ყვითელს,
ნელა და მძიმედ,
დინჯად და მძიმედ.

ზღაპარი

აქ ვინ დაგტოვა, პატარა მაკა,
ყვითელ ფერებში აქ ვინ დაგტოვა,
ჩამოგიქროლებს არწივი, მაკა,
და თავის ლამაზ ფრთას დაგატოლებს...

რა ცეცხლისფერი ყვავილებია,
რა უცებ ქრება ბაბუაწვერა...
ნუ გეშინია, ზღაპარს ჰყვებიან,
ზღაპარს, რომელიც არავის სჯერა...

ხომალდი

ამხელა წყალში,
ამხელა წყალში,
როგორ გაბედე,
თეთრო ხომალდო...
დაგეჯახება გრიგალი,
დაგშლის,
გრიგალი დაგშლის
და გამოგაგდებს...
ტალღაზე უფრო მაინც იჩქარე,
რომ არ ჩაგძიროს თეთრმა ქარებმა...
უნდა გაგაქროს,
უნდა მიგჩქმალოს,
მოდის გრიგალი და გეზმანება.

ზღვის სონატა

> დიდი მხატვრისა და კომპოზიტორის
> ჩურლიონისის ხსოვნას.

1. ალეგრო

გული უსკდებათ პატარა თევზებს
და უხარიათ ღელვა ზვიგენებს,
ზღვას ახატია გრიგალი მკერდზე
და ნაფოტებად აქცევს დიდ გემებს.
ეს გაუმარჯოს იმ დიდ მეზღვაურს;
რომელმაც ფსკერის გემო იგემა,
ვაშა, გრიგალო!
შენს გულს, შენს ხმაურს,
შენი ტალღების ჩამორიგებას.

2. ანდანტე

მე ხელისგულზე მიდევს ნიჟარა
და ნიჟარაში მღერის ცისკარი,
სხვა ბობოქრება იდგა იმჟამად,
სხვა ხასიათზე ალბათ ვიყავი,
თორემ სიმშვიდე ვინ დამიშალა,
დიდ გემებზე რომ ჯავრი ვიყარე,
ღმერთი ყოფილა მართლა მშიშარა,
იხრჩობოდა და გამოვიყვანე...

3. დასასრული

ორი ნავიღა შემორჩა გრიგალს,
ტალღებს შემორჩა ორი ნავიღა
და არ მოსვლია გრიგალებს ფიქრად,
რომ ბევრი კაცის სევდა წაიღო.
სულ ერთი წამიც,
სულ ერთი წამიც,
გაქრება ფიქრი
და ნაფიქრალი...
აღარ იქნება ეს ორი ნავიც
და მოისვენებს
მერე გრიგალი.

* * *

რა ახლოსა ხართ,
ხეებო, მზესთან,
რა ახლოსა ხართ
მზესთან, ზარებო!
გაუხელია თვალები ნესტანს
და მოდის თამარ მეფის ზმანებად...
ჩვენი სიმღერა უთუოდ დღეს ვთქვათ,
რა დროს შიშია და მოკრძალება...
ეს სიყვარული საუბრობს ღმერთთან —
და ალბათ მალე ჩამობრძანდება.

სილამაზე

სულ ზევით, ზევით,
მაღლა და მაღლა,
ნაცრისფერ გზებზე
შენს თვალებს ვუმზერ,
სინათლის ფერი მობრუნდა წაღმა,
დაუბნევია მიხაკი გულზე.
ათასი კვირტი,
ათასი ნაღმი
და აფეთქება
ასიათასი...
გამოღმით მე ვარ,
შენა ხარ გაღმა
და გაზაფხულის გვაქვს სილამაზე.

სასაფლაო

სამხრეთულ ქარებს მიაქვთ ტირილი,
სამხრეთულ ქარებს მიაქვთ გოდება
და გვირილების მზერა ირიბი
დედის ცრემლიან თვალში გროვდება.
აქ არის ჩვენი ნათელ-მირონი,
აქ არის ჩვენი ყველა წოდება...
წუხს სასაფლაო, მინდა ტირილი,
მაგრამ არავინ არ მაგონდება.



საყვარელო ქუთაისო!

მცხეთიდან იმერეთისაკენ

გამოვცილდი სვეტიცხოველს,
მწუხარე და უხალისო,
მარჯვნივ ჩემი მთები მთხოვენ,
არხოტის და გუდანისო.

მარცხნივ ქართლის თვალი ბრწყინავს,
გული მაინც უკმარისობს,
იმერეთო, მომეც ბინა,
მადლმა ოქროს გუმბათისო.

გუმბათებზე მთვარე წყვილად —
თამარის და რუსთაველისო,
უშენობით მომეწყინა,
საყვარელო ქუთაისო.

ქუთაისი სიზმრად

მიუწვდომელო, ოქტომბრის პირველს,
მესიზმრა შენი ოქროს ჩარდახი.
ფრინველი გესვა, არ გავდა ფრინველს,
ახლაც მივყავარ იმის დაძახილს.
მოზვერი გება, არ გავდა მოზვერს,
რაღაცას გავდა ღვთისგან ბოძებულს
და გათენებულ მთვლემარე მოლზე —
არც ბროწეული ჰგავდა ბროწეულს.
ანგელოსები მტაცებდნენ იმერს
და განაგებდა ღმერთი ყოველსა,
ასე მესიზმრა ოქტომბრის პირველს,
ღვთიებრწყინვალესა სვეტიცხოველსა.

გელათის მონატრება

გული რომ მაქვს ავსებული —
შენი მტრედის ნაკრტენია,
მენატრები, ასე გული
არასოდეს არ მტკენია.
ვითა გითხრა კალმითაო,
ვითა გითხრა მელნითაო,
მომელანდე წამითაო,
საუნჯეო კეთილთაო.

ფინაპელზე გაგონილი სიმღერა

ი უ მ ო რ ე ს კ ა

ქუთაისო, ანგელოზებს
ხელი მაგრა ჩასჭიდე,
აღარა გაქვს ბაღისკიდე,
აღარა გყავს „ჩამჭვრიტე“.

„მაწანწალა“ გაგიყიდეს,
გიტარა ვერ დაწყვიტეს,
ისე რისი სატრფო გქვია,
თუ გული არ დამწყვიტე.

მოგონების სევდა გხატავს,
სევდა ანდამატური...
ასე უფრო შორი ხარ და
ასე უფრო ნატრული.

ლექსი, რომელიც ჩემს ქუთაისს გავუგზავნე

გაყვითლებული ძველი სიზმარი
ძველი წიგნივით შემორჩა თაროს,
ვდებ ამანათში და სულს გიგზავნი,
სულს, ანუ ჩემი სიცოცხლის წყაროს.

აღარც კი მახსოვს, ადრე რა გერქვა,
წერეთლის მოტივს ვისთან მატანდი;
მე ჯაჭვის ხიდზე ვიდექ, რა მექნა,
ვიდექ და ვარდის ფერით ვხატავდი.

შენი დღეც ჩქარობს, ჩემი დღეც ფიცხობს,
წავიდნენ, რა ვქნათ, ნუ დაგვიცდიან;
ძვირფასო, მე რომ ქუთაისს ვიცნობ,
ის მარტო ჩემი ქუთაისია.

* * *

წინაველში და ჭომაში
განთქმულხარ პურისჭამაში.
შორიდან რას შეგადარო? —
ყაყაჩოს პურის ყანაში.

კრავი კრავს მოსდევს,
ზვირთი — ზვირთს,
კვიციკვით თამაშ-თამაშით,
მცხეთაშიც შენს მზეს ვიფიცებ,
შენს მზეს ვიფიცებ არმაზშიც.

შენ გენაცვალე წუხილში,
ცრემლში და მხრების თრთოლვაში...
რიონი ნარიონალში,
რიონი ნარიონალში.

რწმენის ზარები

მიმართვა გულისადმი

ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს

წყალზე სუყველა ხიდი
ჩამტყდარა,
შენი ალგეთის და შენი თეძმის,
ჩემო ტრაბახა გულო პატარა,
რამდენი გჯიჯგნის,
რამდენი ვებრძვის.
ნაირნაირი ფანდით შემოდის
ჯოგი, რომელსაც გაეხსნა მადა,
სად მთავრდებოდი,
სად იწყებოდი,
თუ არსებობდი საერთოდ ანდა!
შენ, ჩემო გულო, გულო პაწია,
ახლაც მებრძვიან,
ახლაც მარტო ვარ,
პატარა სიტყვა ვინ შეგვაწია,
მითხარი, გულო, ვინ გვიპატრონა?

მცხეთის გორებთან

ახალი ერქვა რასაც ნაბიჯი,
თან ახლდა მუდამ ეკალი, ქაცვი,
მე არ ვყოფილვარ არვის ძმაბიჭი,
ძმაკაცი ვიყავ ათიოდ კაცის.

ვუფრთხილდებოდი
საძმოს, სადროშოს,
ვით განსწავლული,
ვით მეცნიერი,
მედგა ყოველთვის
სული სხვა დროში
და გადარჩენას იქ ვეძიებდი.

დიახ, სახელის გადასარჩენად —
შენი, იმის და ჩემი სახელის,
ვიბრძოდი, მაგრამ
ღმერთმა მაჩვენა,
რა მოაქვს თურმე
ცოდვას გამხელილს.

ახლა არ გახლავს დრო
აღსარების,
შიგ გულისგულში უნდა ჩაიკლა
სუყველა სევდა და გაცხარება,
რაც შეხვედრია ქვეყნად
კაიყმას.

უნდა გაუძლო დღის გარინდებას,
ქართლის ცხელი მზის
ნაამბორებთა,
მილიარდი წლის პირამიდებთან —
უნდა აღსრულდე
მცხეთის გორებთან.

* * *

თუ თამარს ვამბობ,
რა თქმა უნდა —
მეფე თამარი...
ვცდილობ, არ დამცდეს
სიტყვა რამე
ისე, უმიზნოდ,
თვითონ სიკვდილიც
არ არსებობს
უფრო თამამი
ვიდრე პოეტი, —
რა თქმა უნდა,
რუსთველს ვგულისხმობ!

ლუმილი

ვინ ჩაგიხლიჩა ლომის ხმა,
ვინ შეგიკრიჭა ფაფარი,
შენი ფრთა ვინ გამოისხა,
ვის დარჩი მიუსაფარი.

ვინ მიგაჯაჭვა ქარაფებს,
შენ თავად კლდეე და ქარაფო,
სდუმხარ და ამბობ არაფერს,
ხან არაფერსაც არ ამბობ.

ჩუმად ხარ, თვალზე ცრემლი გაქვს,
არ მიზიარებ არა ჭირს,
რომც მითხრა, ვინ გაწყენინა —
ყურებზე რა ხახვს დაეჭრი?!

პოეტის სიკვდილი

ისევ ბრძოლებით მევსება სული,
ვმღერ და წელამდე ვდგავარ ტალახში,
ან დასაწყისი, ან დასასრული,
ლარი ბოლომდე მიაქვს შალაშინს.

შორით მიმზერენ მშიერი მგლები, —
გავცურავ იქით, თუ ვერ გავცურავ...
მიმზერენ, როგორ ლამაზად ვკვდები,
რა ქართულად და რა ვაჟკაცურად.

მიმზერენ, წელში მოხრილს და ბებერს,
სტრიქონებს შუა ძლივს დავფოფინებ,
სალამი გრძნობებს,
სალამი ვნებებს,
სალამი გენებს, პირველყოფილებს.

სვანური კარი

მიღმა კარებისა
მოყვარე მეგულვის,
არასდროს მქონია
კარზე ცხრაკლიტული,
სვანური კარი მაქვს,
მოჩუქურთმებული —
ბათა ონიანის
ხელით დაკიდული.
რა ვუყოთ, რკინაში
წაბლი ვერ გავცვალე,
ეს წაბლი
ლატალელ წინაპრის ხნისაა,
მოდი, შემოგევლე,
მოდი, გენაცვალე,
ვინც გინდა ის იყავ —
სტუმარი ღვთისაა.

ჯუნა მიქატაძეს

რა ლამაზია
რუსთაველის ნაზი გამზირი,
თბილისს მთაწმინდის
უსაშველო ნათელი ადგას,
დგას მოედანზე რუსთაველი
ნაზირ-ვაზირით,
სხვამ უკეთესი ჩამოასხას
და სხვაგან დადგას.
მიეყვებით ქუჩებს
გაზაფხულით მოფარდაგულებს,
ეს გაზაფხულიც
ბულბულების სიმღერით
მოვრთეთ,
ჩვენმა ღმერთებმა
ამ ქალაქში ყოფნა გვარგუნეს,
აქ დავიბადეთ, აქ ვბერდებით,
აქ უნდა მოვკვდეთ.
გალაკტიონი
პოეზიის არტახებს ლეწავს,
ქართული ლექსის
სულში უზის ქალწულოვნება,
შენ ახლა იეთიმს შეუჩნდი და
თიხაში ძერწავ,
ის მე მჭირდება
ისე, როგორც სარწმუნოება.
სიონის ზარის
დარეკილი ლოცვა მოისმის
და ხმაში უდგას
თბილისური მზე და ყირმიზი,
მადლობელი ვარ —
დაკარგული შვილის
პოვნისთვის,
ოსტატო, იეთიმს ელოდება
ძველი თბილისი.

ლექსი ტკივილზე

მზესავით ამახვიდოდი
და ჩახვიდოდი საღამოს,
ტკივილო, მახვალ მშვიდობით,
მშვიდობითავე წახვალო,
დაგილევ საკართანოსა,
წასვლა რომ არ დაახანო,
გასცდები კარმიდამოსა —
დაჭრილ არწივსა ჰგავხარო.

რწმენის ზარები

რეკავენ რწმენის ზარები,
ვაზი არ გააჩანაგო,
წყაროზე გაგეგზავნები,
ოღონდ ხმალი არ ჩააგო.
დღემდე ვარ თქვენი ჰანგებით,
ჩემო ჯილე და ჭალაკო,
შეგირცხვეს სინდის-ნამუსი,
რუსთველით თუ ვერ ამაყობ.
ეგ ქარიშხლები შეგირცხვეს,
თუ ხმალი არ აკაშკაშო...
ვერც ვინმე ვერ დაგაგუბებს,
ვერცა ვერავინ დაგაშრობს.

წყვილი ცრემლი

მათრახივით გადვუჭირე
ცისფერ ქურანს ელვა,
უკან მომდევს სისხლიანი
ყვავილების წყვდლა.
ცხენის ძუით გამოვსკვენი
პაწაწინა წყენა,
გულზე ჩუმად დავიკიდე,
როგორც ალმაფრენა.
წყვილი ცრემლი ვარსკვლავისა
დაგიტოვე მძევლად,
დინარჩენი გულისპირზე
დაბიღვრია ცრემლად.

არ გეგონოს, გადმომაგდო
გაფრენილმა ცხენმა, —
ხერხემალში გამიარა
სიყვარულმა შენმა.

ბალახი

თეთრი ვარდებიც გადახმა
მაგ შუბლის დასადაფნავი,
იქით ბოლოში შენ წევხარ,
აქეთ წევს ერთი ჩაფარი,
რა იცის, ძმაო, ბალახმა
შენი და იმის საფლავი.

ლამისყანაში

ვით სამთავისის ალილო,
ჩუქურთმებიდან მზე მოდის,
ტატნობზე ამოყვანილო,
ჩუქურთმებს უფრო შეენოდი.
შავი ნაბდებით ჩავლილო,
მიჰლილინ-მიიმღეროდი,
შეყვარებულო ყვავილო,
ლამისყანაში გელოდი.

ძასილი

დამდნარო, ოხერტიალო,
უცხვარ- უხარო, უფურო,
შორიდან ე მაგ ფრიალოს
როდემდე გინდა უყურო.

როდემდე გინდა სხეული
გქონდეს კვარიეით ჩამქრალი,
დედაბოძს გადამსხვრეული
დაემხო შენი სახლკარი.

ცეცხლივით დამესიზმრება
შქერი მოსული წელამდი,
მახსოვს, ცხენისწყლის პირზედა
სათიბებს როგორ ცელავდი.

რა ოფლი გქონდა ჩაღვრილი,
რას გიბრუნავდა წისქვილი?!
დღეს შენი ლურჯას აღვირი
აგდია, როგორც სირცხვილი.

აქ რა ჯანდაბას აკეთებ,
თავზე ვის კერას ევლები,
ეგ შენი სახნის-საკვეთი
მოსთქვამს ჟანგიან ცრემლებით.

ძახილი მესმის ციდანა
და სანამ ისიც მიწყდება,
შვილო, იქ წადი, სიდანაც
შენი მამული იწყება!

კ ე ს ა ნ ე

არაგვის პირზე შეგიცან,
მივხვდი, არასდროს იჩოქებ.
შენთან ბიჭობენ მთებიცა,
შენთან კლდეებიც ბიჭობენ.

მინდორში კვნესი, კესანე, —
ცის პაწაწინა ნიშანი,
გნახე და ვერ მოგესალმე,
დაგრჩი, ყვავილო, პირშავი.

თავს გადგას ზეცის გერგილი,
მზეში, ქარში და წვიმაში,
იძ ულამაზეს მთებივით
მუხლს ვიყრი მე შენს წინაშე.

სიმღერების იმედი...

ნეტარება (ვფიცავ ხატზე),
არ მქონია მცირედი,
მაშ ამდენხანს როგორ გავსძელ?!
სიმღერების იმედით.

ვინ რას მეტყვის? ვინ გამკილავს?
ვცხოვრობ წერტილ-მძიმეთი,

როცა ქვეყნის სული მტკივა,
ვარ სიმღერის იმედით.

მე ვამაყობ ჩემი ბედის
წუთისოფლის მღვიმეთი,
სიკვდილის წინ, როგორც გედი,
ვარ სიმღერის იმედით.

გესმის? ბედით დაჩაგრულო,
მეცხრე ცამდე მივედი,
ო, „ლილეო“ და „ჩაკრულო“,
მხოლოდ თქვენი იმედით.

როცა ქვეყნის სული მტკივა,
მებრძვის ხალხი მილეთის,
მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს,
მხოლოდ თქვენი იმედი.

ნდობა

შენი ცა დამერცხლილია,
ჰყვავის მოლი და ფერდობი,
რაც შენგნით დამეწყრილია,
იმ გზებსაც გულით ვენდობი.
რასაც გენები მღერიან —
ხატზე შეფიცულს რა შეშლის,
შენი ხმა გამირევია
ჩემი ხმის სიყაშყაშეში.
მოდი, დამატყდი, ზეიმზეც
ქარტეხილებით მაწვიმე,
სხვა მზე არა მწამს, შენი მზე
სხეულში გავინაწილე.

ეჭვი, ანუ სულის სატკივარი

ეჭვი, ეჭვი — ტრიალებენ
პაწაწინა წისქვილები,
ძველისძველი იარებით
სხერტის ჭალას ვიცქირები.

ეჭვი, ეჭვი — დაცურავენ
უსახელო მცურავები,
ზედ მუხლუხოს აწურავენ,
ნოსტეს სისხლით მწყურვალები.

ეჭვი, ეჭვი — თვალს მიკრავენ
ჩატეხილი ბოგირები,
გააშორეს, აგვიმყრალეს
მიტყუპული ლოგინები.

სულში ბაყაყივით დახტის
მილიონი შადიმანი,
ა, ბატონო, ეჭვის ტახტი,
ჩვენივ სულის სატკივარი.

სხერტის ჭალას ცხენს მიაგდებს,
ერთი ლახტის გადაკვრაზე,
თათარხანთა ცრემლს მიადენს
და ბიაპობს სააკაძე.

მოურავი ფაშას მოჰკლავს,
ალაჰს ყივილს გააგონებს,
მერე მხრებთან ხმალს შემოჰკრავს,
თავს რიყეზე გააგორებს.

ბრძანებითა მეფისათა,
ბევრი ციხე აულია,
აულია სისხლი ძმათა,
საკუთარი დაულვრია.

მაგრამ ეჭვი, ეჭვი, ეჭვი, —
ნარდზე ყრია კამათელი,
გამოგვიღრღნა ეჭვმა ბეჭი,
დაგვისერა სამართებლით.

ჩინგისხანის უფრო გვჯერა,
ვიდრე გვჯერა სააკაძის,

ყიზილბაშის უფრო გვჯერა,
ვიდრე კრწანისის და ცხრაძმის.

ეჭვი, ეჭვი, სისხლის თოკზე
ჩამომხრჩვალი სამართალი,
ღმერთო, იქნებ ახლად მოზელ,
ვინც ეჭვისგან ავად არის.

ცხენს მიუშვებს ლერწმოვანებს,
სიკვდილის წინ გააგელვებს,
ვით ვენახებს ერთწლოვანებს,
მოვლა უნდა არაგველებს.

ვაჰმე, ცოტნე დადიანო,
ვინა ჩივის გვირგვინს დაფნის,
სანთლადაც ვერ ჩამოვქენით
ტანზე წაცხებული თაფლი.

ვით ჩხორია — სხიეთა კონა,
წინ მამული მიგიძღოდა...
ცოდვა, ცოტნე დადიანო,
შენი არა, ჩქიმი ცოდვა.

აქაც ეჭვი? ღმერთო ჩემო,
ჭრილობები ჩახჩახებენ,
თუ ჩვენს სულში ეშმაკები
ბოღმის კოცონს აჩაღებენ?

ეჭვი, ეჭვი, გულის ფიცარს
ცხელი ლურსმნით მიჭედილი,
ნუთუ ერთად გაიფიცა
უფლისა და მზის მჭვრეტელი?

ნაჩხვლეტი ხარ რა ნესტარით,
ისე როგორ დაიღუპე,
შენი მტრების ნამეწყრალი
გულ-ღვიძლში ვერ დაიგუბე.

სულში ეჭვის შავი მახრა —
ცის და მიწის გამთიშველი,
ვაი, რწმენა დაგიმარხავს,
არც კი ვიცი, რა გიშველის.

ნატყვიარი მტრის და ფლიდის,
შეხე, ცეცხლის აფრქვევს თვალებს,
ასი თვალით ჩააფრინდი
ფრესკებსა და ნაფრესკალებს.

წლებო, წლებით ჩალეწილო,
შენი ზეცა გაცისკროვნდა,
ისტორიავ, არ გეწყინოს,
შეღინღლული კაცის ცოდვა.

შორეული სხივი გამხელს,
არცა ძმა და არც ძმობილი,
მიყვარს შენი ცივი სახე
ტყვიებისგან დაკოცნილი.

გარბის წუთი დაჭირხლული,
დაღლილი და დაზაფრული,
მოჭიკჭიკე მაჭირხოლი
მობრძანდება გაზაფხულით.

შვილთაშვილის ბადიში ვარ,
ზეცამ ცრემლი მოიწმინდა,
ნოსტეში ვარ,
მარტვილში ვარ,
მზის ნაკადი მოდის ციდან.

დრო ყველაფერს ვერა კურნავს,
ჩვენი დროის წარმმართველო,
წისქვილების თავზე მბრუნავს,
შენ უშველე საქართველოს!

ჩემი ომის გადასამღერი

გიორგი ლეონიძეს

დღეს გამახსენდი, გიორგი,
დედასპურივით ჩახჩახა,
ეგ შენი ქარი მიმოქრის
ტყეში გასული ყაჩაღად...

თუ ალაზანზე ტალღები
შენს ფიქრებს აჯირითებენ,

მარცხნივ გსაყდრობენ თალები
და კოცონს მარჯვნივ გინთებენ.

მეც შენი ლექსის სუნთქვა ვარ,
შენი ყივილით შემკრთალი,
როგორც ყვავილებს ფუტკარმა
მზეს ამოსწოვე ნექტარი.

ეგ მთვარე სად ევანება,
სად გაგიშუქა დიდგორი,
ამოჰქუხს შადრევანებად
მიწიდან შენი სტრიქონი.

მოვა დრო, სამოთხისათვის
შენსავით გავლამაზდები,
დამესიზმრება, ღვთის მადლით,
სინგურისფერი ვაზები.

ანამ კი მიწას ჩავბღვერი,
მის თავთუხს ჩავსცქერებივარ,
ჩემი მთის გადასამღერი
კვლავ ჩემი ჩანჩქერებია.

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ

მამას

გამარჯობათ, ძველებო,
ჩემო მკაცრო ბებრებო,
წამოდექით, ძელები
უნდა ცისფრად შეეღებო.

ცისფერებში კარგად ჩანს
ძველი დარდიმანდობა,
იქნებ, სადმე გადარჩა
თქვენი ხვედრი მადლობა.

ვახ, თუ ფიქრში ეელებით
ულამაზეს მიჯნურებს,
წამოდექით, ძველებო,
გაპატიებთ სიჩუმეს.

შემოდგომის მზესავით
როგორ მოგიწყენიათ,
მაგ გულის სალესავი
ფიქრი ისევ ცხელია.

ნეტა, ახლა რას ფიქრობთ,
გულში რას იღრინებით,
რა ცხოვრებამ ჩაგიქროთ
ჯარისკაცის ხილვები.

ნეტა, რა გესიზმრებათ,
ბავშვური თუ კაცური?
იქნებ ისევ ფხიზლდება
ქარში დროშის ტკაცუნი.

სიხარულად იქნებ ტრაქტორი
გარბოდა და გიჟდებით,
ან იქნებ დიქტატორი
გესიზმრებათ ხიშტებით.

იქნებ დასდევთ ყაჩაღებს,
დამალულებს ომიდან,
ან იქვე გაასაღეთ,
ტყიდან ვინც გამოვიდა.

ძველი სევდით მარხულობთ,
ბოლო ჟამს და ბოლო დროს,
ალბათ, ხშირად ნახულობთ
სტალინსა და მოლოტოვს.

იქნებ, სულაც შეშლილხართ —
ყველას თავის გმირი ჰყავს,
იქნებ, ყვავილებში ხართ —
გაუმარჯოს ლირიკას.

იქნებ, უყურადღებო
შვილმა დააგვიანა
და ივსება კათხები
მოთმინების ფიალად.

ღირდა? იქნებ, არც ღირდა?
იქნებ, ვინმე გვამადლის? —
მწყობრად მოდის მაღლიდან
თქვენი ფიქრის „პარადი“.

ეგ ფიქრი ნუ ჩაგიქროთ,
ძველებო და ზორბებო,
ღმერთმა იცის, რას ფიქრობთ,
ოთხმოცი წლის ორბებო.

ცრემლი

ირემი ირემს,
მგელი მგელს ეძებს,
კივილით ტურებს
უხმეს ტურებმა.
პატარა ჩიტი
შემჯდარა ხეზე
და მეორე ჩიტს
ეჟღურტულება.
აყვავდა ცრემლი
ცრემლთან მომდგარი,
როგორც ნუგეში
პატარა ლექსის,
რა საბრალო ვარ,
რა საცოდავი,
ყველა ტირილი
სიმღერად მესმის.

ბეწვის ხიდზე

ბრიყვი შემხვდა ბეწვის ხიდზე,
გველის კუდზე შემართული,
უცებ გამახსენდა სიბრძნე,
მეგობარო, შენგან თქმული:

ვთქვათ და, ჭკვაშეშლილი ვცემო,
ვთქვათ და, ჭკვაშეშლილმა მცემა,
გინდა „ვეფხისტყაოსანი“ ვწერო,
დამნაშავე მაინც მე ვარ.

ბარსია ლორკა

ძმებს ივერიელებს

აი, შენ ტყვიას მიმიზნებ —
არც დამიზნება გცოდნია...
და შენს ცხოველურ ყვირილზე
ვუმზერ შენს ხელებს ცოდვიანს.

მე, რა თქმა უნდა, ღირსი ვარ,
მე, რა თქმა უნდა, მტერი ვარ,
შენი არა ვარ, სხვისი ვარ,
ნულ სხვა სიმღერას ვმღერივარ.

ვდგავარ ვით ნათელმხილველი
და წარბის შეხრას არ ვცდილობ,
მზადა ვარ, ოღონდ პირველი,
პირველი არ ამაცილო.

ღ ა ლ ა ტ ი

არა მტერმა და ორგულმა,
არა გადამთიელმა,
ღმერთო ჩემო, შინაურმა
მომკლა, გამატიალა.

მე რომ მკერდში ვიხუტებდი,
ვუკოცნიდი იარას,
სწორედ იმან, სწორედ იმან
მომკლა, გამატიალა.

სანამ იყო, რა მეფერა,
დედა, რა მეტრფიალა?!
წავიდა და დამიტოვა
შსამით საკუთ ფიალა.

კ ბატონო, მე გამოვცლი
ამ ფიალას მთლიანად,
ღმერთმა შენ კი შეგარცხვინა
შენი ღალატიანად.

მაჩაბელზე

სხვა ეშხი აქვს, სხვა იარა,
სხვა ვარსკვლავის ციმციმი,
რა ლამაზად ჩაიარა,
რა ლამაზი სიცილით...

სისხლო, კვლავაც ამიქუხდი,
კვლავაც ეტრფი ვარდობას
თუ სიბერეს ბოდიშს უხდის
ჩემი ახალგაზრდობა?

ჟამი

ჩემი მიქელ-გაბრიელი
სათიბში დგას
წყვილი ცელით,
რადგან შემქმნეს მიწისაგან,
რადგან მიწად მივიქცევი.

ჟამი არის როკვისა და
ჟამი არის ტირილისა,
ჟამი არის განშორებით
გამოწვეულ ტკივილისა.

ჟამი არის განგდებისა,
ჟამი არის სურვილისა,
ჟამი არის სიტყვის თქმისა,
ჟამი არის დუმილისა.

ჟამი არის ძიებისა,
ჟამი არის წარწყმედისა,
ჟამი არის ბორკილისა
და ბორკილის დაწყვეტისა.

ჟამი არის სიყვარულის,
ჟამი არის სიძულვილის,
ჟამი არის უჟამოსი,
ჟამი არის მზის სურვილის.

ჟამი არის სისხლისა და
ჟამი არის მშვიდობისა.
ჟამი არის მართლის თქმისა,
ჟამი არის ფლიდობისა.

ყველასათვის ჟამია და
ყველა საქმის ჟამი არი,
ერთად ვდგავართ სიკვდილის წინ
უჯამო და ჯამიანი.

ჟამი არის განკურნების,
ჟამი არის ჭიდილისა,
ჟამი არის შობისა და
ჟამი არის სიკვდილისა.

ცოდვილი და წარწყმედილი
ლექსებს გიწერთ წყვილი ცრემლით,
რადგან შემქმნეს მიწისაგან,
რადგან მიწად მივიქცევი.

ბედნიერება

მზე თიბათვისა ბაღში ჰკიდია,
ბუდეში შაშვი ბარტყებს აპურებს,
მატარებლები თვის გზით მიდიან,
ესალმებიან მყუდრო სადგურებს.

მოუხვევია ნისლი მთაწმინდას,
დგას ირინოლა თავის ტოლებში,
წარაფი წვეთავს ძველი ყანწიდან,
ქართული პური ცხვება თონეში.

თუ ამ საქმეშიც ღმერთი ერევა,
თუ ბოროტს ხელი არბევს ძლიერი,
თუ ამას ჰქვია ბედნიერება,
ძმებო, უზომოდ ვარ ბედნიერი.

ბედი უზურპატორთა

შეუღწეველნი იდგნენ
ყოველთვის
მფლობელ-მპყრობელნი
ქვეყნის ტაროსის,
სისხლით მხატვრის და
სისხლით პოეტის
დათხვრილი ჰქონდათ
ტანისამოსი.
და თუმცა მიწა

ცრემლით დატბორეს,
თუმც ბოროტება
ნიღბით დაფარეს,
რაც ერგოთ ქვეყნის
უზურპატორებს,
ჰკითხეთ ხალხისგან
მოთხრილ საფლავებს.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

ისმის: ეშმას დიდება!
ბოლი გასდის „ბარაბანს“,
აქეთ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ,
იქით კიდევ, ბარაბა.

იღბალს ჰყოფენ თანაბრად,
საქმე მიჰყავს N-ს,
ავაზაკო ბარაბა,
რა თქმა უნდა, გაიმარჯვებ შენ.

უკეთესს რას ინატრებს
სამართალის მდომელი?
ხალხნო, — ბრძანა პილატემ, —
განუტევოთ რომელი!

იღბალს ჰყოფენ თანაბრად,
საქმე მიჰყავს N-ს,
ავაზაკო ბარაბა,
რა თქმა უნდა, გაიმარჯვებ შენ.

ხალხი მსაჯულს ფიცს აძლევს,
ხალხი ყაჩაღს ემხრობა,
ხოლო ცოდვილ მიწაზე
ხალხის მხსნელი ემხობა.

მაგრამ ღმერთმა იცოდა,
ის, განკითხვით მიგვრილი, —
წინა კვირის ბზის ტოტი,
ახლა, ეკლის გვირგვინი.

ამა კონდაკს წყალობდე,
ზურგს აქცევდი გარეწარს,
ერო, მას უგალობე,
რომელ შენთვის ჯვარს ეცვა.

გზად იმერეთისაკენ...

აქ ნაღდად ვეძმობი,
რომ ვინმე მიძმობდეს...
ა, ეს მონაკვეთი
შროშისას ჰგავს ხოლმე,
რას ვუახლოვდებით,
ნეტაი ვიცოდე,
ეს გზა ვერასოდეს
ვერ დავიმახსოვრე.

ვხედავ, იმერელი
ეზოს ალამაზებს,
კუალზე მიგდებული
ღელე მიხითხითობს,
წითელი დოქები
გამოჩნდნენ შარაზე,
ე, ბიჭო, შროშაა,
რაღაცა ვიყიდოთ...

ძველის გახსენება

იყო საღამო,
სევდის მთოველი,
ვთათხეთ და ვლანძღეთ,
ერთმანეთს დავცხეთ,
ვაგინეთ წიგნი,
წიგნი, რომელიც
არ წაგვეკითხა
არც შენ და არც მე.

მივემხრეთ წერილს,
წერილს, რომელიც
არ წაგვეკითხა
არც შენ და არც მე,
ვერც იპოვიდა
სხვა კრიტიკოსი
ჩვენ ორზე უფრო
უკეთეს დამცველს.

რას იზამ, როცა
ასე გვხედნიდა
იმ ძველი დროის
სიტყვის შრაპნელი...
ეხ, დღევანდელი
გასახედიდან
სასაცილოა
ეს ყველაფერი.

სიმღერა

ვიღაც მღერის, საღამოა,
უცისფრესი საღამო,
რაც წავიდა, აღარ მოვა,
აღარ მოვა, აღარო...
ნანაია — ცრემლის ღელევ,
ყვავილებით შემკულო,
ჰოი, შენ კი შემოგევლე,
სევდიანო მეგრულო.

ამიწა

მე ჩემი უძოს ხეებზე შებმულ
ჭინჭზე და ჩვარზე მიძევს იღბალი,
ვერსად წაუველ მის სიბრძნეს ბებრულს,
ვერ დავრჩი მისგან მოუხიბლავი.

რაც ვიგალობე და რაც ვინათე,
შენი აუგი არ დამცდენია,
თუმც რაც ჩავუთქვი და რაც ვინატრე,
იმ მორთულ ხეებს არ გასცდენია.

და რა გრიგალმაც გამატიალა,
მეც იმ გრიგალის ნათელით გავძლებ,
ქრისტეს მაგიერ გალაკტიონმა
ცისფერი ელვა გააკრა ჯვარზე.

ხის მოჭრა

ხესა სჭრიდნენ, ხე ტიროდა,
ხე ნამდვილად სტიროდა,
თუ გინდა, ნუ დამიჯერებ,
ხეს ცრემლები სდიოდა.

მინდა მუდამ ნაღდი ვიყო,
ტყუილი არ დამჭირდეს,
მე ვიგრძენ, რომ მკლავს მაჭრიდნენ,
მკლავს ნამდვილად მაჭრიდნენ.

ზედ სახსარში ჭრიალებდა
განწირული მხარმკლავი,
ცალხელა კაცს ვისთან მტოვებ,
მოდი, გულში დამკარი;

მოვიდა და დამკრა ისე,
არ მქონია ყისმათი,
აქეთ მე და იქით ის ხე,
ვკვდებით არაფრისათვის.

ჯოჯოხეთისკენ

აივანზე შემოთოვა,
თოვლი მოდის გემრიელი,
სადღაც გაქრა შემოდგომა,
დაჭრილი და მშვენიერი.
ალბათ, ძმებო, ეს ზამთარი
ჩემი ბედისწერა გახლავთ,
ყველა დროით მე ვარ მთვრალი,
სხვა დროს ფხიზელს ვეღარ მნახავთ.
მოსჩანს შავი ბალდახინი,
დღეო, ნუღარ მიძალდები,
ბედნიერი, გადაღლილი,
ჯოჯოხეთში მიებრძანდები.

ჩვენ და ისინი

აბა, ვისაც არ გსურთ
თავის არიდება,
ვინც კი ქვეყანაზე
გსახეთ რაინდებად,

ვისიც იმედი აქვს,
იბერს მრავალტანჯულს,
ვისაც იბერისთვის
ხელის გამართვა სურს.

აქეთ სასიკეთოთ,
აქეთ სასიკეთოთ,
ერთი დედაბოძის
სახლი გავიკეთოთ.

აქეთ, ძმობილებო,
აქეთ, კეთილებო,
ხალხის განსაცდელში
ღმერთთან შეთვლილებო.

ერთი სიმღერებით
ქნარი ავამღეროთ,
ჩვენი ერთად ყოფნით
მტერი გავახელოთ.

ჩვენი სათქმელია,
რაც ჩვენ უნდა გვეთქვა,
ერთად, მხოლოდ ერთად,
ერთი გულის ფეთქვად.

კაცს ვერ გავაგონე,
ხმა ვერ მივაწვდინე,
ვერცა ასაკოვანს,
ვერცა სიყმაწვილეს.

ხოლო ჩემს ყვირილში,
კეთროვან წყლულებით —
ერთად შეყრილიყვნენ
ბოროტი სულები.

მიძღვნა

შეუპოვრობა — ჩემი ქონება,
გამოსცრის ღრენას
კბილების ღრჭენით,
არ მეშინია
თქვენი, ლომებო,
არ მეშინია,
ვეფხვებო, თქვენი.

მაგრამ იმ მცურავს,
იმ უსახელოს,
იმ უხსენებელს,
ქვემძრომელს იმას,
საკმარისია, ერთი გავხედო,
თვალთ დამიბნელდეს
ლომების მზირალს.

რაისსკანცლერი საბურთალოს ბაზარში

თუმნად ჰყიდდა პამიდვრებს,
ექვს მანეთად კიტრებს,
უყურებდა სიფათებს
ისე, როგორც ტიტრებს.

ხელებს ზედ ახოცავდა
ძველ ფრენჩსა თუ კიტელს,
დედა, ვინცხამ მომკალით,
რაფერ ჰგავდა ჰიტლერს.

პატივმოყვარე

შენს სულში
შური გალაღებულა,
და სულს უბერავს
გაჩენილ ხანძარს,
ამპარტავნება ამაღლებული
გუმბათზე აზის
ცარიელ ტაძარს.

მაცილისა და
ეშმას წაწალო,
დაუნდობლობის
ჯოჯოხეთს ერგე,
ჭეშმარიტება
მზად ხარ აწამო,
მზად ხარ იყვირო:
„ჯვარს აცვი ეგე“.

ბერნსის გახსენება

არაფერი არ მაწუხებს,
არც შვილი და არც ცოლი,
ერთი კილო პური მყოფნის,
ერთი ქილა მაწონი.

ერთი ციცქნა გოგოს გულიც
კი ვერ მოვინადირე,
ავიღებ და ჯარში წავალ,
მაგის დედაც ვატირე.

დედამიწა

სიცოცხლეში
შეუცდენლად...
სიკვდილში ხომ
შენთანა ვარ,
შენთან უნდა
ერუსთველათ,
შენთან უნდა
ეთამარათ.
მეცოდება, —
ჰგავს ხეიბარს,
ვინც შენს გულში
ვერ დაიწვა,
რა ლამაზი
სახელი გაქვს —
დედამიწა,
დედა—მიწა.

ხანჯალი

ლიხს იქით
ჭური იხდება,
ლიხს აქეთ —
თარი თარალი...
შენ რომ ხანჯალი
გიხდება,
ქართველო,
ისე არავის.

მფარველი

(ბევრს ეძღვნება ეს ლექსი, მეც, რა თქმა უნდა.).

ემალები მზეს ნიყვიეით,
სიტყვა გიჭრის სამრეველოდ,
ჰეი, ჰეი, შენ გიყივი,
ცუდი კაცის მფარველო.
ის, ვინც თავზე გვაყრის ნაგავს
და ვინც გადაგვიარა,
კი ბატონო, გყავდეს, მაგრამ
მეცხრე ცაზე კი არა.
კი ბატონო, გყავდეს, მაგრამ
კაიკაცად ნუ დასვამ,
ნუ გაიხდი ამხანაგად
ახვარსა და მურდალსა.
ნუ დაარქმევ მღებავს მხატვარს
და უმეცარს მეცნიერს,
ვეფხვსაც ნუ დაარქმევ კატას,
ეშმაკს — მამაზეციერს.
ამასა გთხოვ, დაჩოქილი,
შეგთხოვ კაცის ძალასა,
ღვთისნიერს ნუ ამჯობინებ
ვილაც ნაძირალასა.

შინმოუსვლელი

„შინმოუსვლელო, სადა ხარ...“

გ. ლეონიძე

შენ შამქორს კი არ გაგწირეს,
აჯიმუშკაის ქვებში ხარ,
ვიგონებ შენს სიყმაწვილეს,
დაჭრილ არწივში შემშლიხარ.

ისე ვით ჯაჭვი არაყში,
გერტყა ბიჭების აბჯარი,
მახსოვხარ, თოფ-იარაღში
მთლად კბილებამდე ჩამჯდარი.

ახლა იქით რომ ავიღლი,
სხვა სახსოვარი არც მინდა,
მახსოვხარ, როგორც ყვავილი,
ხელში გეჭირა მთაწმინდა.

არც არაფერი გებადა,
ცხოვრობდი დაიმედებით,
მთელს მთაწმინდაზე შენ გყავდა
ყველაზე კარგი მტრედები.

იმ მტრედს ნისკარტში ჰკოცნიდი,
ფოსტას რომ დაგიტარებდა,
ცუდ კაცს ძირშივე მოსჭრიდი,
ცუდს გული არ იკარებდა.

არ გყავდა მკლავის გამხრელი,
ფანდი არ გყავდა შაირში,
იცოდნენ შენი სახელი
ორთაჭალას და კრწანისში.

შენ არ იტყოდი იოლად,
სიტყვა რჩებოდა სიტყვადა,
იმ სიყვარულში ვინ მოვა,
შენ რომ ობოლი გიყვარდა.

ამ ჩვენს პატარა მამულში
შენს მეტი ჯილა ვინ მყავდა,
ვ ნ მოვა იმ სიყვარულში,
შენ რომ თბილისი გიყვარდა.

ზედ სისხლი დააწურვინე —
ცა და მიწა რომ შეირყა,
საქართველოსთვის თუ ვინმე —
სიკვდილის ღირსი, შენ იყავ.

შენ შამქორს კი არ გაგწირეს,
აჯიმუშკაის ქვებში ხარ,
ვიგონებ შენს სიყმაწვილეს,
დაჭრილ არწივში შემშლიხარ.

ა პ რ ი ლ ი

ვიეი სამსონაძეს

ყველა ჩაუთქვამს თავისას,
ყველა თავისას დაანთებს,
შენმა მზისამ და მთვარისამ,
შენთან ბაასი გავმართე.
აქამდე ისე მახსოვხარ,
ძმა როგორც უნდა გახსოვდეს,
არც სადმე წახვალ, არც მოხვალ,
არც შენს თრობაზე ვმასხრობდე.
საუკუნის გზა მთავარი
ვითომ ერთად არ გვივლია,
არადა, შენი სამარე
რა ვქნა, ჯერ კიდევ თბილია.
ღმერთს შეევედრებულ ხატებით,
თბილისელ კაცის სინდისით,
აპრილში მომენატრები
ტაბახმელას და შინდისში.
მომენატრები იმ ცრემლით,
რომელიც თან გაგყოლია,
შენ სიყვარულით ირწევი,
სხვებს რომ სიმთვრალე ჰგონია.
სიმღერამ ჭერი აგვხადა,
ღვინო გვესროდა თოფივით,
ელვამ ღამეში ჩახატა
შენი ლამაზი პროფილი.
და როცა დილამ შეგვკონა,
„დილის საარით“ მოგენათლა,
ქვეყანა ჩვენი გვეგონა —
მე, შენ და გურამ გომართელს.
გვემღერებოდა სამივეს,
რადგან სამივე ვმღეროდით,
ახლა ჭიქას ვინ დამილევს,

როცა აპრილი შემოდის.
გინდივართ, თუ არ გინდივართ,
გულმა გვითხრა თუ გონებამ,
ჩვენ ისევ ზევით მივდივართ
შენი მზის მოსაგონებლად.
ბედი კაცს დასდევს სანთელით,
სანამ მთავარ ძარღვს გადუჭრის,
ოღონდ შენ გადგეს ნათელი,
ცოცხალ კაცს ქვეყნად რა უჭირს.

პატარა ნიკას

ახლა ცხოვრობ
მშვენიერის ცხოვრებით,
რადგან არ გაქვს
ინსტინქტები ცხოველის.
ჯერ არ იცი,
რად ებრძვიან ერთმანეთს
ან ერთმანეთს
გზები რისთვის კვეთავენ.
ჯერ არა გაქვს
სხვის ტალანტთან შეხება,
არ იყენებ კიბედ
იმის ხერხემალს.
ჯერ ბოლმა არ
ჩაგისხია ჯიგარში,
ჯერ ეჭვით არ
ჩაგიხედავს ჭიქაში.
ჯერ შენს ქუჩას
სხვის ქუჩაზე არ გაცვლი,
ჯერ არ დაგიბეზღებია
ძმაკაცი.
შენი აზარფეშას
მაჭრით თვრებიან,
მოკლედ რომ ვთქვათ,
ჯერ არ გაგჭირვებია.
მე წინასწარ
სისხლისაგან ვიცლები,
რადგან ღმერთი
ყველას მისას მიაგებს
და უმაღლეს
ცხოველად რომ იქცევი,
თუ ბიჭი ხარ,
აი, მაშინ ივარგე.

სამადლობელი

მილიცა ჯაფარიძეს —

ჩემი წიგნების რედაქტორს.

მე ბარტყებივით
განდობ სტრიქონებს,
მე ჩემი საყდრის
გასაღებს განდობ,
მხოლოდ და მხოლოდ
შენ გაგიგონებ,
მხოლოდ და მხოლოდ
შენა ხარ სანდო.
სხვებს გული
კი არ მინდა დაეწყვიტო,
არა, უბრალოდ,
ჩვენ ერთად ვიბრძვით,
გული — გულითო,
კაცი — კაცითო,
შენ ჩემი ლექსის
უფრო ხარ ღვიძლი.

შენ უფრო გესმის
ჩემი წუხილი,
ჩემი წრიალიც
შენ უფრო გესმის,
ჩემი ქართული
ლექსის დულილი
რისთვის მოვფინე
ქვეყანას ლექსით.

ო, იქნებ ჩემი
სიტყვა უღირსი,
შენს ლამაზ სულთან
სათნოდ ვერ მივა,
მე მაინც
შენი სიყვარულისთვის,
რა ვქნა,
უზომოდ მადლობელი ვარ.

1990

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ...

ბედი რაში მქონია, —
ამის დედა რა ვთქვი,
უხსენებლის შხამი კადრეს
საკმეველს და სანთელს,
შენ რომ ოცი გგონია,
სხვას რომ — ოცდაათი,
მე ვუმზერდი, როგორ
კლავდნენ
ოთხ მილიონ ქართველს.

სული ცრემლით სავსეა,
სისხლს სატანა მიმღვრევს,
ხელზე სისხლის ლაქები
ენით გაილოკეს.
დიახ, დიახ, ასეა,
ასე იყო იმ დღეს,
არც მეტი და არც ნაკლები —
საქართველო მოკლეს.

კვლავ აიღო იუდამ
ოცდაათი ვერცხლი,
მშობლიური მიწა ბორგავს,
შვილებს გულში იკრავს...

მხეცის საქმეს მიუდგა
მოაზროვნე მხეცი,
ყველა თავის სამშობლოს
კლავს,
საქართველოს ვინც კლავს.

საქართველოს მტრებს—ერთს, მეორეს, მესამეს და ა. შ.

გათხუნულო, გაზიგნილო,
გაზეპილო სისხლში,
სიკვდილისთვის მენანები —
არ ხარ მისი ღირსი.

წუხელ სიზმრად ჩირგვში
გნახე,
კურდღლად გნახე ჩირგვში,
სისხლით დაიფარე სახე,
მერე სისხლში იშვი.

არასოდეს არ ყოფილხარ
შენი ხალხის პირში,
რა ვთქვი შენი ჯიგარი და
რა ვთქვი შენი ჯიში.

მსტოვრის გარდა ქვეყანაზე
თუმც არავის არ ცნობ,
მაინც მაგრა მეცოდები,
ბოღმით სავსე კაცო.

ს ი ს ხ ლ ი,
ანუ როგორ ვკლავთ ერთმანეთს

გამაგებინეთ, რა ხდება,
რისთვის წაერთვა უქონელს?
ღვთიშობლის გადმოძახებას,
მითხარით, ვინ გაუგონებს?

დაგვყვეს, დაგვგლიჯეს,
დაგვქანცეს,
ჩაგვბერეს სული სატანის.

სად გაქრა უფლის საგანძე
ან სულის ღონე სად არის?

ვინ დაგვამუნჯა, დაგვგლიჯა,
ვინ დაგვავიწყა სიმღერა?
მარცხნიდანა და მარჯვნიდან
ქართველის სისხლი იღვრება.

ვინ გყავდა აკვნის გამთლელად,
ვინა გყავს ლოდის გამთლელი?
იმიტომ დარჩი ქართველად,
დაკლა მეორე ქართველი?

ეშმამ რა სილა გაგაწნა,
რა ცეცხლი მოგცა ხვატისა,
ნუთუ არც ერთის არა გწამს, —
არც ღმერთის, არცა ხატისა!

სიკვდილი გვიმზერს სანგრიდან,
თავს გვადგას შავი ღრუბელი,
ჩვენ სხვისი მტრობა რად
გვინდა, —
ჩვენითვე დავიღუპებით!

* * *

თამარს და დავითს, ნინოს, ირაკლის,
ცოტნეს და ზაზას, ლაშას, გიორგის,
მარტვილ-გელათით, გრემით, შირაქით,
ვინ იცის, კიდევ ცრემლებს ვინ მომგვრის.

თქვენს მკერდზე ტყვიებს, როგორც ზინათებს,
ვითვლი და ბნელში მივემართები,
მაღიზიანებს თქვენი სიმართლე —
რად უნდა იყოთ ასე მართლები?

თქვენ მართლები ხართ, უხმოდ, უდაოდ,
ეძებთ სიმშვიდეს და ნავთსაყუდელს,
ო, მინდა, ერთხელ და სამუდამოდ
თავისუფლების ხარჯზე გამტყუნდეთ.

ცრემლი

რის პირადი,
რა პირადი,
მეცხრე ცაზე
დავფრინავდი,
შენი სიყვარული
მკლავდა,
რის პირადი,
რა პირადი,
მკლავდა შენი
განთიადი,
შენი ღამეების
გარდა.

რის პირადი,
რა პირადი,
შენი ცეცხლით
ავბრიალდი,
ვჭამდი
მიწის ქადას,
აი, მაშინ
ავღრიალდი,
გამიფუჭდა
ხასიათი,
ოდეს ვნახე
კაცი
კაცს არ გავდა.

ჩემს დაკარგულ
ვეძებ ხარებს,
ჩემს დაკარგულ
ვერძებს,
არაფერი
აღარ მახარებს,
მე ჩემს ვერძებს
ვეძებ...
ტირილიდან
სიცილამდე
ბეწვის ხიდი
გადვეს,
ღმერთო,
ცრემლი გვიწილადე,
კაცი
კაცს რომ გავდეს!

კაცი

მე მინდოდა, ვერცხლის ღირსი,
ჭეშმარიტის მეთქვა რითმა,
ვინც ამაღამ გვერდით მიზის —
იგი გამთქვამს ჭეშმარიტად.

თუ აღსრულდა, რაც მითქვია,
მნახავთ უმალ ცად გაფრენილს,
თუ გამთქვა, ხომ კაცი მქვია,
თუ არა და —
არაფერი...

* * *

ხან ამ მთას ვეცი,
ხან იმ მთას ვეცი,
ვინ გვთქვა
ამხელა ტკივილის ღირსი?
ვინ ჩაგვიბუდა
ღიბალში მხეცი,
ვინ დაგვიბედა
ნეიმები სისხლის?

ვაი, ქართველო,
ბოლსწარ ცუდ დღეს.
მაგრამ ნუ სტირი,
ქართველი თუ ხარ,
არ შეიძლება
აფხაზებს სძულდე,
გააფხაზებულ
ქართველებს სძულხარ.

ირინოლას

მე რა მომესწრო?
არც არაფერი,
ტკივილი, სევდა,
ცრემლი მამულის
და ცხრა მთას იქ-თ
გადასაფრენი
უფრო გამძაფრდა
ეს სიყვარული.

უფრო გამძაფრდა,
უფრო აღზევდა,
მიუკაკუნა
კარს სამძიმართა
და გუშინდელი
კი არ დაძველდა,
უფრო გაახლდა
და გამძვინვარდა.

კლდეთა ქარაფებს
შვილთაშვილები
ეხეთქებიან
თოთო მკერდებით
და დგანან მთები
ხმლით დაჭრილები,
დაჩეხილები,
როგორც მხედრები.

კაცი არა ჩანს
აღარც ლოგინის,
აღარც მკლავის და
სუფრის გამშლელი,
თუ შვილთაშვილსაც
უწევს ლოდინი —
აღარ ყოფილა
ჩვენი საშველი.

შორიდან

„შეეყურებდი ჯარისკაცებს და მეგონა, რომ
იხინი საიდანღაც, ძალიან შორიდან მო-
ვიდნენ, რუსულად რომ დაველაპარაკო,
ვერც გაიგებენ-მეთქი".

იური როსტი

მაგათთვის შორი რა არის?
თვით ჯოჯოხეთიც ახლოა,
ის შენი საზღვარ-სამანიც
იმათი სამოსახლოა.

შორი რა არის მაგათთვის?
მამის ქელეხში ნადიმობს,
ოღონდ სიცოცხლე წაგართვას,
ოღონდაც სისხლი გადინოს.

მაგათთვის ცხრამთაც აქვეა,
არც გული, არც ჯიგარი აქვთ,
რაც ჩვენთვის სულის სარკეა,
იმათთვის ნაჩლიქარია.

სიცოცხლე მაინც წინ არის,
მისი ნათელი გეფინოს,
ნეკ იტყვი სიტყვას იმნაირს,
იმათ რომ გააგებინო.

* * *

როს მიწაზე ღმერთი დაგცემს,
დაგდებს ორთავ ბეჭებით,
როცა ყველა ზურგს შეგაქცევს
და მარტო მე შეგრჩები,

აღიარე მაშინ ცოდვა,
დე, ქვეყანამ იცოდეს,
რომ ნამდვილად გეშლებოდა
მთელი შენი სიცოცხლე.

* * *

ვაგლახ, ვარდობავ,
ვაგლახ, მამულო,
ღამით დაღერილო
სისხლო, ვაიმე.

მკერდდაჩეხილო
და მოწამლულო,
ნეტა თუ კიდევ
ყაკვირს რაიმე...

სამართლის ძიებაში

უფალო, შენი სახელით
არ შემიძლია არა ვთქვა,
მოვიდა გადამთიელი —
ჩემს სახლში წელი გამართა.

მოღონიერდა, გაქსუვდა,
გახელდა, შემეკამათა,
ის რომ ფხიზლობდა,
ყინჩობდა,
მე ვიყავ ძილში საღათას.

ჩემი ღამე და უკუნი
ძალიან გვიან განათდა,
ყველამ რაღაცა წაიღო,
ყველამ რაღაცა წამართვა.

ჩემი სამოთხე მოუნდა
მაწანწალას და შარლატანს,
ვეძებ და იქნებ მასწავლო,
როგორ ვიპოვი სამართალს?

ჩემს საცოდავ სამშობლოში

(ი რ ო ნ ი ა)

აქეთ გახლავთ გურია,
იქით კახთა გულია,
არის სმა და ხორხოცი,
რაიც „ვახტანგურია“.

მარცხნივ აფხაზეთია,
მარჯვნივ ჯავახეთია,
ძმებო, ნეტა მუცლები
ჭამით დაგვახეთქია.

იქით ქვემო ქართლია,
აქეთ ზემო ქართლია,
საცა გინდათ, დასახლდით —
არის დემოკრატია.

დაწყევლილი ბედი

აკი ვარძიას მტერი გაგორდა,
აკი დიდგორის ბრძოლებს
ქედნურობ?
თუ რიონი და მტკვარი არ
გქონდა,
აბა, რა გქონდა, შე უბედურო?

აკი კრწანისთან, აკი შამქორთან
ახლაც იბრძვი და ახლაც
მხედრულობ,
ზღვა თუ არ გქონდა, მთა
თუ არ გქონდა,
აბა, რა გქონდა, შე უბედურო?

აკი კახში და საინგილოში
შენი ქართული სიტყვა
ზეიმობს,
სააქაოშიც, საიქიოშიც
რად მაშინ საქმე გაქვს
სასეიროდ?

აკი მეფენი რანთა და კახთა,
აკი ქართველთა, აკი აფხაზთა...
თუკი ამხელა სახელი გახლდა,
მითხარი ერთი, რად არ
დაფასდა.

რად არ დაფასდა შენი
მხნეობა,
შენი ძმობა და შენი მისია?
ნუთუ სუყველა გზა და ხეობა
შენი კი არა, მართლა სხვისია?

გამოგვაცალეს თავსასთუმალი,
ვინ თუ შუბლზეც დაწერილია,
გულმავიწყია ყველა სტუმარი —
ჩვენი ბედი კი დაწყევლილია.

სუფრასთან შეპასუხება კაფიეთ

ო-ს

ცისფერ ნისლებში მოფრინავ,
სუნი გცემს გამტყდარ მაუზრის,
არც მამაშენი ყოფილა
მცხეთელი სანტა-კლაუსი.

თავიც მახსოვს და ბოლოცა,
ქუჩაში არაყს ხვრიპავდი,
ის მაუზერი რომ მოგცა,
შენც კარგად მიახვრიტავდი.

ბოლო სიმღერა...

პატარა ნიკას

ვიცი, დადგება ბრწყინვალე
დღე, რომლის მე ვარ მდომელი,
უნდა მოგვმადლო სიმრავლე
კეთილთა, ძალგიძს რომელიც.

ნიადაგ უნდა განკურნო
სულისა სნეულებანი,
სიცოცხლის სხივი გვაპკურო
მცნებათა საოცრებანით.

გიყურებ, ყელს მოვიღერებ
მე ჩემი განძის ერთგული,
ხოლო წასვლისას ვიმღერებ
სიცოცხლით დამძიმებული:

ღმერთო, მოგვმადლე ბეთლემის
და მაცხოვარის წყალობა.
ცოდვილნი შევუერთდებით
ქართული მიწის გალობას!

ᲰᲘᲞᲜᲝᲖᲘ

როცა ქვეყანას უჭირს,
ხმობას რომ იწყებს კუჭი,
მობრძანდებიან როცა
მომიტინგენი ქუჩით,
როცა მთავრობით ისმის
სიტყვა ძელგი და ფუჭი,
როს გაშიშვლებულ მეფეს
გონება აღარ უჭრის,
ახლადგამომცხვარ კანონს
სუნი სდის ასი როზგის,
მაგრამ ოღბალი წყალობს
ჩუმაკს და კაშპიროვსკის!
როცა ქვეყანას უჭირს,
ხმობას რომ იწყებს კუჭი.

ᲩᲘᲢᲘ

პაატა ქობალიას

ზამთარმა მიწა დააზრო,
ნეტა რა ხდება ზეცაში,
ჩიტუნა, ჩემო ლამაზო,
შენც პაწაწინა ფრთებსა შლი.

მიფრინავ მზისკენ, მთვარისკენ,
მიწისთვის აღარ გცალია,
ფრთხილად, გული არ
გაგისკდეს,
შორს გაფრენილხარ ძალიან.

ვისმენ შენს ჭიკჭიკს
საოცარს, —
არც საკენკი გაქვს, არც ბინა,
მე ღმერთმა ფრთები არ მომცა,
მე ოცნებაში დავფრინავ.

მურყვამებიდან ვერხვებზე
ქარი ქარდაქარ ყაყანობს,
შენ პაწაწინა ფეხებზე
გკიდია მთელი სამყარო.

ბინდდება, ცა იქუფრება,
ცას ვარსკვლავები დასცვივდა,
შენ რომ გაქვს თავისუფლება,
მე იმნაირი არც მინდა.

ჩემო ჩიტუნა, ვფიცავ მზეს,
მივყვები ჩემს გზას თოვლიანს,
ამ ცოდვილ დედამიწაზე
ბევრი არ მომითხოვნია.

როგორც ზღაპარში...

იქეთ წახვიდე, —
თოვლიანი იქეთ მთებია,
აქეთ წახვიდე —
ვერ აცდები ქარიშხლებს,
წვიმებს,
მადლობისათვის
არავერი მიკეთებია,
არც მადლობისთვის
(კაცმა რომ თქვას)
გარჯილა ვინმე.

გათენება

ისევ იმ ძველ გორდას ვიქნევ,
იმითი ვარ დაქანცული,
სულ პირველად მე შეგიქე
ღვთის მადლი და საგანძური.

შენი ვეფხის საგანძური
რუსთველობს და თამარქალობს,

შენი ბრჭყალით გაკაწრული
მკერდში გული დაფართქალობს.

რა ღლეში ხარ, რას ბობოქრობ,
ორ ზღვას შუა გაწოლილო,
ვის სჭირდება შენი ოქრო,
მისხალ-მისხალ აწონილო.

ვის სჭირდები, რად სჭირდები
ან რატომ არ გელევიან?
რა ისრებით, რა მშვილდებით
მტერი მოგიგერებია.

აი, დგება ნასახლარის
ისევ სახლად გარდაქცევა,
სიტყვა გითხრა გასახარი —
გვერდულად და ალმაცერად.

ქართველების წმინდა სისხლო,
წმინდა სისხლო ქართველების,
ცრემლი დამდის მუშტის
სიმსხო, —
მეშინია გათენების!

ყრმის გადარჩენა

დღეს ვისაც მკერდზე
ახატია მზე,
დასტურ,
სახელი არის ქართველის,
რაც გარდმოსულა
ადამიდან ადამიანზე —
ტანჯვაა იგი,
რადგან უნდა იქმნას ნათელი!

რადგან მამულის
სუნთქვა მოგანდეს,
ჭეშმარიტების
ხმალი კვეთავდეს
სიმღერად,
სულის ამოხდომამდე

და უკანასკნელ
სისხლის წვეთამდე.

დიახ, განსჯიან,
(განსჯის მსაჯული)
ვისაც გულ-ღვიძლში
კეთრი ჰქონია,
მაგრამ იცოდე,
არის სხვა რჯულის,
შენ რომ იესოს
რჯულის გგონია.

შიშის ზარსა ჰგვრის
იქნებ ჰეროდეს
ვარსკვლავის
ცისფერ ცაზე გაჩენა,
ქართველო,
გულით უნდა მღეროდე,
უნდა მღეროდე
ფრმის გადარჩენას.

ოქროს და გუნდრუკს
მისცემ მისართმევს,
დედათა შორის
დედა — მარიამს,
„ნეტარ არიან
სიმართლისათვის
მშიერ მწყურვალნი“, —
ნეტარ არიან.

ყური მიუგდე
უფლის ანგელოსს,
თვალი უსწორე
გამოცხადებას.
შენთან არს ღმერთი,
კვლავ, საქართველოვ, —
სიცოცხლე, ცეცხლი
და მოწყალება.

დღეს ვისაც მკერდზე
ახატია მზე,
დასტურ,
სახელი არის ქართველის,

რაც გარდმოსულა
ადამიდან ადამიანზე —
ტანჯვაა იგი,
რადგან უნდა იქმნას ნათელი!

სიმღერას გაუმარჯოს

ციდან სისხლის მარმაში
წვეთავს მთვარის ქარვაში,
შხამბალახა მოსულა
ქართვლის პურის ყანაში.

სისხლისფრად შეიღება
ღვინის ფერი მარანში,
კაცის ცრემლი იღვრება
მთაში, ბარში, ჭალაში.

აღარც პური ბეღელში,
აღარც თივა თავლაში,
აღარ გააქვს ბირდაბირს,
აღარ გააქვს შალაშინს.

გაიხარა მტერმა და
დააბიჯებს მხარგაშლით,
მამინაცვალს გვთავაზობს
უმამაცეს მამაში.

გაიხარა უდაბნომ,
ვაზი ჭკნება გვალვაში,
იხრჩობა საქართველო
ამდენ ცრემლს და ვარამში.

ძმებო, გვეყო ტირილი
ძაძით მოსილ წკვარამში,
ახლა უნდა ცეკვა და
ახლა უნდა თამაში.

ხმალზე უფრო მაგრა ჭრის,
ჩვენი ჭკუის ალმასი,
ანგელოსიც სამასი,
არაგველიც სამასი.

გახედე, დაჩეხილო,
მზე ჩამდგარა წარაფში,
ბროწეულის ფერია
ნაკვერჩხალი წალამში.
მარიამ ღვთიშობელი
მცხეთის ჯვარზე ტაბლას
შლის,
სიმღერას გაუმარჯოს
საქართველოს მთა-ბარში!

შემოქმედი

ყველაზე უფრო დიადს, ჭეშმარიტს,
ყველაზე უფრო ნათელს, ყველაზე,
თუ დამიჯერებთ, ვხედავ, ღმერთმანი,
ამ წუთშიც ვხედავ, ვხედავ
მწვერვალზე.

ვხედავ ცასავით გახსნილს და ნათელს,
ფრენას რარიგად ასწავლის მართვეს,
ჭკუიდან უცებ გადასულ მგოსანს
რა სიდიადის მანტიით მოსავს.

ვხედავ, ვით ანთებს აღმოსავლეთით
მზეს და მზის სხივით როგორ
გვაპურებს,
ფერად სიზმარში ვხედავ, სვანეთის
ცაზე რომ ჰკიდებს მთვარის საყურეს.

ის, მოყვასი და თვალშეუდგამი,
მამულის მთებზე აფენს ხავერდებს,
თავმოდრეკილი ვდგავარ მუდარით
და ჩემი ქვეყნის ციბალს ვავედრებ.

ცაშია, მაგრამ მიწის მკვიდრია,
თაფლივით მოსწვეთს შემოქმედება,
წარმოიდგინეთ, ისე დიდია,
რომ ეროვნული ენწო გულში ეტევა.

სიძულვილო, გამარჯობა!

აგერ, გუშინ, თუ გუშინწინ,
თუნდაც გუშინწინისწინ,
ნესტანის და თინათინის
იყო ჩვენი თბილისი.

ახლა იყო, მაშ რა იყო,
ამ მიწის და ამ ცის ხნის,
რა მიწა და რა ცა იყო
ქვაციხის და ვარციხის?!

რა იყალთოს, რა ვარძიის,
რა რუსთავის, რა რკონის,
რა ჯანდაბით დავაქციეთ,
რა ტორებით დრაკონის.

ახლა იყო, შოთა რუსთველს
თამარი რომ უყვარდა,
მერე მტერმა სიყვარულსაც
ყელი გამოულადრა.

ყველაფერი ახლა იყო,
გუშინ იყო, გუშინწინ,
რაც ხმამაღლა მიხარია,
გულში მტკივა, გულში მწყინს.

დღეს რა ხდება, შენ ისა თქვი —
რა მოხდება ხვალ და ზეგ?
ამაზე მდის ცრემლი სანთლის,
გული მწყდება ამაზე.

არსით წვეთი თანაგრძნობა,
ერი ვარ თუ ბერი ვარ,
სიძულვილო, გამარჯობა, —
ალბათ შენი გერი ვარ.

სიკვდილის შვილები

აკანჩხულო სიკვდილო,
რა გამხდარი ტანი გაქვს,
კაციშვილმა არ იცის,
რა მოგაქვს და რა მიგაქვს.

საჩურჩულო საქმე გაქვს
ქვეყნის ქალაჩუნებთან,
ვერავინ ვერ გაიგო
შენი ალაჯუნება,

მაგ მარხილზე რამდენი
ჩონჩხი აგიხორხლია,
მხარზე რაი გაგიდევს —
ბარია თუ თოხია?

თუ ცელია? თუმცაღა,
არ ჰგავს, მაინც ცელია...
გვერდზე ნუ იხედები —
მითხარ, რა მიწერია.

მითხარ, თუ ვეღირსები,
რაიც გულით მწადია?
თუ არა და, ახლავე
გაქაქვავე, მადლია.

ჩემი ღვინო წაიღე,
ჩემი ოქროს ხორბალი,
ოღონდ მითხარ, რომ ბრუნავს
წაღმა ბედის ბორბალი.

მე არა გთხოვ სიცოცხლეს
და ცხოვრებას ნებივრად,
ჩვენ ხომ შენი შვილები —
სიკვდილის შვილები ვართ.

პატიება

ჩამოძენძილი შური აშმორდა,
როგორც ჟალტამი, ისე ამყრალდა,
გადააბიჯა ღობეს, გაშორდა,
სადღაც გამყარდა და აყაყანდა.

დაამარილა ბეჭის სახსარი,
კენჭზე მოაჯდა ლურჯა სახედარს,
მოვლო გუდანი და იახსარი,
მოხარშულ თვალით მყინვარს გახედა.

ატეხილი და ატროვებული,
გასცდა მცხეთას და გასცდა
ნატახტარს,
ტურების ტირილს გატოლებული,
მამალი ჯიხვის რქაში ჩასახლდა.

ვინ იცის, ვის სახლს რა ცეცხლს
შეუნთებს,
(შორს სადღაც მზეა და ლაშარია).
მე ვანთებ სანთელს,
ღმერთო, შეუნდე,
ვინც ჩვენს წინაშე დამნაშავეა.

ჩემი მასწავლებელი, უშიშარი კაცი

ბატონ დავით ჭკონიას ხსოვნას

ისე, ვით ღმერთს მიმართავენ,
შენობით და ლაღად,
მეც შენებთან მიმათვალე —
შენი ჯიშის ბალღად.

შენახული გქონდა ელდა
ამ მიწის და ამ ცის,
მახსოვს შენი გამოხედვა —
უშიშარი კაცის.

მახსოვს შენი პურის მადლი,
მადლი შენი ღვინის,
შენგან დანთებული სანთლის
ალი სულში ღვივის.

რანაირი მოქართულე,
რა ბრძენი და ქველი,
შენი სიტყვით მონათლულებს
ფარავს ღვთიშობელი.

ვიცი, ვიცი, რა ცეცხლი და,
რა კოცონი გწვავდა,
მაგრამ, ვეფხვო, რა შეგცვლიდა, —
საქართველო გწამდა.

მოგყვა სიყვარული ცხადად,
სიბერემდე მოგყვა,
ქართვლის ჭირმა გაცოცხლა და
ქართვლის ჭირმა მოგკლა.

შენახული გქონდა ელდა
ამ მიწის და ამ ცის,
მახსოვს შენი გამოხედვა, —
უშიშარი კაცის!

სამკითხარი

ვანო ქობალიას

ივანე, ვეფხვო დაჭრილო,
გულ-ღვიძლში ხანჯალგაჩრილო,
რა იქნა შენი ბოკვერი?
სევდის კი არა, ქართველთა
სულში ქარიშხლის მომგვრელი.

რა იქნა შენი პაატა,
სიყვარულს ვინღა ჩაგატანს,
ვინღა გიტირებს ლომივით?
სადაა შენი ცრემლის ქვით
საფლავი ამოქოლილი?

ძალიან კი მეცოდები,
აღმართში ზიდე ლოდები —
მაინც შორია გოლგოთა,
რა ვთქვათ სიკვდილის შვილებმა,
სიკვდილზე ცუდი როგორ ვთქვათ?

იგლოვე, ვეფხვო დაჭრილო,
გულ-ღვიძლში დანაგაჩრილო —
ტირილი შენი საქმეა.
რაც შეეხება სიკვდილსა,
შვილზე ახლოა, აქვეა.

იტირე, ძმაო ივანე,
ამ ქვეყნის ორომტრიალის
შხამი გვესმევა შარბათად,
რაც სიცოცხლისგან ვივალეთ,
სუყველა სიკვდილს ჩაბარდა.

* * *

ღმერთო ჩემო,
რაც სატანას გულში ხვდება ლახვრად,
მე შენს წმინდა წიგნში წავიკითხე, —
„ნება ღვთისა
მშვიდობა და სათნოება გახლავთ“,
— მაგრამ ჰკითხეთ,
სატანასაც ჰკითხეთ...

პორტრეტი

ბოლმით ვინც ხარ, კარგად ვიცი,
ისე გავხარ ამერიკელს,
ვიცი, სიფათს როგორ იცვლი —
თუ კაცი ხარ, გამერიდე...

ერთი „რჩეულის“ გამო

I

შენი ლექსების „რჩეულს“ რომ
გავშლი,
აზრი უაზრო კბილში გამომცრავს, —
ალბათ რჩეული დატოვა სახლში,
გადასაყრელი წიგნად გამოსცა.

* * *

ვაი, დასწყევლოს
ღმერთმა კოცნა,
გულში ეშმაკის
ვისმენ ხითხითს.
კოცნა შემაძულა
ერთმა კაცმა, —
იკოცნება და...
საფლავს გითხრის.

* * *

კარგია უძირო
ლაჟვარდის ღაღანი.
მაგრამ ვინც უსიტყვოდ იწამა —
მისი განაჩენი მკაცრია.
შენ ცა რომ გგონია
ყველაზე მაღალი,
ყველაზე მაღალი — მიწაა,
ყველაზე დაბალი — კაცია.

კითხვა-პასუხი

რად გმტრობენო, მეუბნები,
ასე აღმაფრენით?
იქნებ, შენ მტრობ ოდენ?
მოგახსენებთ,
საქართველო არავისი
არ ყოფილა მტერი,
მაგრამ როგორ მტრობენ?!

მეგობარ პოეტს

მწერლობაში მოჰქრი ცხენით,
უდარდელად ხითხითებ,
მე რომ ლექსი მოგიძღვენი,
ნეტა თუ წაიკითხე?

არც ხოს იტყვი, არცა არას,
წინ მიდგეხარ ვით ხატი,
დრო არ გექნებოდა, თვარა,
რას არ წეიკითხავდი?!

სურმუში

თვალშეუდგამ სინათლეში,
ქლიავისფერ ბურუსში,
გახვეულა სუროში
საყვარელი სურმუში.
სამაჭრიის ვაზებმა
ისევ ამოიბღარტა,
ძირის ამონაყარო,
მე შენს გარდა ვინ მყავდა...
შენი კოდის წყალი და
შენი ჭალა მიყვარდა.
სულში ამობრწყინდი და
სულში ამობდღვრიალდი.
ლექსში უნდა დაგიცხო
ჩემი სიტყვის ხმიადი.
მახსოვს შენი ყანური,
შენი შემოქმედურა,
შენი იავნანურის
შემოხედვა გვერდულად.
ნაცრისფერმა ჩიტუნამ,

ანწლზე მჯდარმა ყარანამ,
დამინახა თუ არა,
ცაში შეჰკრა კამარა.
თვალშეუდგამ სინათლეში,
ქლიავისფერ ბურუსში,
გახვეულა სუროში
საყვარელი სურმუში.

ცრემლი

ქვემოურთას ეძახიან ამ ქედს,
ზემოურთას ეძახიან იმ ქედს,
სამარწყვია, მარწყვიო საესე აქეთ,
სამაჭრია, მაჭრით სავსე იქეთ.

ლამაზი ხე ამართულა მაღლობს,
ხე, რომელიც ისხამს ყვითელ გულაბს,
იმ ხის ძირში, ანუ იმ ხის ახლოს,
ჩარკვიანი განისვენებს, ზურაბ...

ღმერთმა იცის, ვისი რა ემართა,
ან სიკვდილის სად ჰკიდია ცელი,
ზურაბს დარჩა მშვენიერი თათა,
რომლის თვალზე არ შემშრალა
ცრემლი.

მერაბ მამარდაშვილს

ჰქვია ლეჩხუმი,
ღვინისფერი თრიმლში მაჭრდება,
სიცოცხლის სხივიც
აქ მთის იქით თითქოს მოკლდება,
ბედნიერია, ვინც აქ გაჩნდება,
უბედურია, ვინც აქ მოკვდება!

საქართველო...

სისხლიდან დაწრეტილს
მე უნდა მიგხედო,
შიგ სულში შემძვრალა
ეშმა და სატანა,
განა რა ცოდვა გაქვს,
ღვთიშობლის წილხვედრო,
რომ ყველა შენ გებრძვის
დიდი და პატარა?

* * *

ჩვენი დღეები გაფრენილან,
როგორც ჩიტები,
მივალთ და... ვითვლით
დღეებს უთვალავს,
ამ საქართველოს
ჩვენ არ ვჭირდებით,
ოქვენ, ვინც სჭირდებით,
როგიმართოთ ხელი უფალმა.

მოდი ვნახოთ...

შვილი მამას,
მამა უფალს,
ბრიყვი განათლებულს ებრძვის,
სათნოება დაიღუპა,
გახდა ბოროტების კერძი.

ცაში აღარ არის ჩიტი,
ზღვაში აღარ არის თევზი,
შე უღმერთო,
ხაით ილტვი,
საით აგიღია გეზი?

1989

ბ ე ლ ტ ე ბ ი

არა მზისა ტყუპისცალი,
არა ვარსკვლავ-მთოვიარე,
ერთი დამანახა წამით
სამშობლოზე მგლოვიარე.

ჩამოსული არა ციდან,
არცა მკლავზე მწოლიარე,
წამით დავინახო მინდა
სამშობლოზე მგლოვიარე.

ამოსული არა ზღვისპირ,
ვენახივით მსხმოიარე,
მინდა ვნახო ვინმე ტიპი
სამშობლოზე მგლოვიარე.

ალბათ არ ემჩნევა სახეს,
ცრემლი გულში მორიალებს,
თორემ, როგორ ვერსად ვნახე
სამშობლოზე მგლოვიარე?

რასაც ეძახიან ტირილს,
ისე ალბათ ვერც მე ვტირი,
სისხლი ამოვყარე პირით —
მიწას ყრია ბელტებივით.

მ ო ნ ა

აი, საცაა ხელს მომხვევს და
ცაში წამიყვანს,
დედამიწაზე ისე მიმზერს,
როგორც ხეიბარს,
თავისუფლება, მომკალი და,
რა ვქნა, არ მიყვარს —
კლდისპირს რომ იდგე
და ვილაცამ
უცებ, ხელი გკრას...

ფ ი ქ რ ი

რით ალიგავენ
ლათინები,
მიდიელები,
მიწამ შეჭამა
კაცთან ერთად
ლოდი სამარის,
არ არსებობენ
მცირენი და
დიდი ერები,
არის რუსთველი,
ან მისთანა,
ანდა, არ არის!

ვერძი

მგელი მგელს ულრენს —
ორი მარად
მშიერი მხეცი,
ხოლო მინდორში
განწირული
კუნტრუშებს ვერძი!

შენთვის უცხოა
ის, რისთვისაც
მგელი მგელს ებრძვის,
შენ შენთვის იყავ,
ნუ გახდები
ორი მგლის კერძი.

თარგმანი

არსებობს სიტყვა — შენ გენაცვალე,
შენთვის რომელიც შექმნა განგებამ,
სიტყვა, რომელიც გტანჯავს,
გაწვალებს,
სიტყვა, რომელიც არ ითარგმნება,

არ ხდება სულის განხმა, გალება,
კაცი გამლებიც არვის ეგულვის,
განმძვინვებულიც არ ითარგმნება
და გახლავთ მხეცურ განრისხებული.

არ ითარგმნება არცა მაჭარი,
არც მაცხოვარი არ ითარგმნება, —
თუ ითარგმნება, როგორც კაჭარი
ქვაში და ლოდში ჩაიკარგება.

არ ითარგმნება წუთისოფელი,
მისი შხამის და გემო სამსალის,
არ ითარგმნება არცა სწორფერი,
არც ცერზე დგომა ავაზასავით.

შემოქმედს გაჰმზერს სვეტიცხოველი
და სამიჯნურად უხმობს განგება,
ეს გაუმარჯოს იმ ლექსს, რომელიც
არც ერთ ენაზე არ ითარგმნება.

ბორჯომის ხეობაში

თაქაზ ჭილაძეს

აი, ბუნების განძი,
შემოქმედება დიდი —
თავისუფალი ნაძვი,
თავისუფალი ჩიტი.

პატარა ტალღას ებრძვის
ლოდი პატარა რიყის...
თავისუფალი თევზი,
თავისუფალი ციყვი.

მოჩითულია ველი
უპირველესად ყოვლის,
გაშლილა თავზე რველის
თავისუფალი მოლი.

შორით მოჰყვება მთა-ბარს
თავისუფალი წყალი.
ეს ყველაფერი, ალბათ,
თავისუფლება არის!

მ ა მ ა ს

შენ მარტოობას მიჩივი,
მარტო ომსა და კიჟინას,
მტუქსავ პატარა ბიჭივით,
ვითომ ხის ხმალი მიჭირავს.

ვითომ ხის ცხენით ვეჯირითობ,
ვითომ ბალღებში ვბელადობ,
ვერ გასძეხ მტრების ჭირითო,
მარტო გასულხარ ველადო.

ო, არა, ჩემო ძვირფასო,
ცრემლებით სავსე სტვირი ვარ,
ჩემი ბალღობა ვის ახსოვს —
ქართველის ბალღობას
ვსტირივარ.

არც კიდე, მარტო არა ვარ,
არც კიდე, შესაცოდები,
ვდგავარ ჯავრად და ჯავარად,
სამართლის მზესთან
ვსწორდები.

მარტო რომ ვიყო, ცრემლების
მდინარე გამიტაცებდა,
იმათ სულს შემოვევლები —
საქმე მაქვს კაი კაცებთან...

მზემ მთა-ბარს სხივი
მოჰფინა, —
ცოტა მეც შემომეყარა,
სულ სხვანაირი ყოფილა
გაღვიძებული ქვეყანა.

შ ე ს ა ნ დ ო ბ ა რ ი

თენგიზ ჩანტლაძეს

სიცოცხლეო, ღაღანებდი,
ახლა სიკვდილმისჯილი ხარ,
საცა ათენ-აღამებდი,
იმ სამოთხის ჩრდილში ზიხარ.

იქ გიმზერდი აზვირთებულს —
გელათთან და ბარაკონთან,
არც მდაბიოს, არც დიდებულს
შენი ეშხი არა ჰქონდა.

იქ გიმზერდი, მოწამეთას,
ბოლნისთან და ალავერდთან,
რათა სევდა ლოცვად გვეთქვა,
გვეგრძნო სევდა სამარეთა.

თითქოს მკვდრის მზე ჩამოვიდა
და დაბრძანდა ზესტაფონთან,
რანაირად ხარობდი და
რამოდენა სევდა გქონდა.

შენს ნიღბებთან ზის მამული,
შენი ცრემლით დაღდასმული,
რანაირი სიყვარულით
გქონდა გული განასკვული.

ახლა, როცა შენდობაზე
უფალს სისხლი შევთავაზე.
თურმე, ალალბედობაზე
გვიცხოვრია ქვეყანაზე.

შენ ისეთი კაცი იყავ,
ღღე მოკვდი და ღღე ცხონდები,
ეს ქვეყანა ისე გიყვარს,
იმ ქვეყანას მეცოდები!..

შეძახილი

ჩვენში ძველთაგან მამაც კაცს
მამაცნი მხარზე ჰკოცნიან,
თუ არაკაცმა გაგლანძღა,
კაცი ხარ, მომილოცნია.

მიდიხარ, მიგიხარია,
კაი კაცს თავზე ევლები,
არაკაცები არიან
თითზე ჩამოსათვლელები.

უცებ არ უნდა გაფიცხდე,
ისე კაცურად ბერდები,
კაი კაცის მზეს გაფიცებ,
ცუდისკენ ნუ იხედები.

ორი ტარიელი

სიცოცხლე კოცნა, კოცნა და
ცეცხლივით შიგ ჩაეხვია,
სხვა ტარიელიც მობრძანდა,
შვილიშვილი და სეხნია.

მობრძანდა ტანჯვა-გარჯითა,
ვეფხვის ტყავ-კაბა შეენოდა.
გავუმასპინძლდეთ აბჯრითა —
ფარ-შუბი შევაშველოთა.

თორე, მომხდური ვერაგის
ჯერ სულ პატარამ რა იცის?

სანამდე დროა, პერანგიც
ტარიელ პაპის ჩაიცვი.

საწყალ სამშობლოს
მიხედეთ —
ვისი რუსთველიც შორს არი,
„ორნივე ტურფად
იმღერდეთ,
ვით იადონი მგოსანი“.

გზა და ილბალი

მშვენიერ მთვარეს უმიზნებს ვიღაც,
ვიღაცა ფიქრობს გაფრენას მარსზე,
ვიღაც ვენერას დაიდგამს ჯილად,—
მე ბეთანიას მივდივარ მაზეგ...

ასეა ყველგან, იქაც და აქაც,
ვიღაცა სუფრას განუდგა განზე,
ვიღაცა განზე განუდგა ძმაკაცს, —
მე ბეთანიას მივდივარ მაზეგ...

ზეგ ელოდება ხელდასხმას ვიღაც,
ვიღაც მათხოვრობს ვიღაცის კარზე,
ჩამოაფხრეწენ ვიღაცას ნიღაბს, —
მე ბეთანიას მივდივარ მაზეგ!..
კაცმა რომ მითხრას, რას ვნახავ ახალს?

თუ ახლომახლო არ მყავს ძმობილი?! —
შუბუს ვნახავ და ჯოკიას ვნახავ, —
ამითაც დიდად ვარ კმაყოფილი.

კაცი, რომელიც გაძვრა

კაცი, რომელიც გაძვრა,
უახლოვდება კოცონს,
გულში შხამი აქვს განძად,
ქვეყნად იმ შხამით ცოცხლობს.

კაცი, რომელიც გაძვრა, —
ღირსეულ კაცს რომ ბაძავს,
შხამით აჩაღებს ხანძარს,
რომ იმ ხანძარზე დაგწვას.

კაცი, რომელიც გაძვრა,
ახლა გიყურებს ცერად,
კაცი არ ვარგა კაცად,
კაცი არ ვარგა მწერლად.

კაცი, რომელიც გაძვრა, —
(გაძვრომა ჰქონდა ნატვრად).
კაცი არ ვარგა კაცად,
კაცი არ ვარგა მხატვრად.

კაცი, რომელიც გაძვრა,
გასცდა ქარიშხლებს, ხვატებს,
უახლოვდება ტაძარს,
უ:რლოვდება ხატებს.

ყელთან მახვილი ელავს,
ღვარცოფი მოსდევს წვიმას,
მანამდე უნდა შველა,
სანამ დაიწყებს წირვას.

მსხვერპლი „ც“

ჩირიალას სამხრეთ პროვინციის ცენტრალურ ნაწილში მოხდა ცხრაბალიანი მიწისძვრა. როგორც იტყობინებიან, დამსჯდარმა მიწამ თან ჩაიტანა ნაგებობანი. სტიქიამ პროვინციას მიაყენა დიდი ზარალი, დაიხოცა: ხუთასი ძროხა, ორი ათასი ცხვარი, ათასი ღორი, ეაწყდა კავშირი ჩირიალასთან...

არის ადამიანთა მსხვერპლიც...

(გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ)

არის ოფლის ღვრა,
შხამი, შური,
მტრობა, დახვრეტა,
ჩხუბი, დაყოფა
ამ ცის და მიწის...
ეს მიწა გახლავთ
მტოხნელთა და
მობალახეთა,
ადამიანთა სამყოფელი
კაცმა არ იცის.

რაც ჩვენ გვაწვალებს
წუთისოფლად
ის იღბლის წიგნი —
ღმერთისაა თუ
კაცის გულია?
ადამ და ევა?
რა თქმა უნდა,
მსხვერპლია იგი
დაბადებიდან
განწირულია.

ზოდიაქო

მზისკენ მითვლილია
ვერძი და კურო,
მარჩბივი, კირჩხიბი,
ლომი და ქალწული,
მზისკენ ღრიანკალი,
მზისკენ მშვილდოსანი,
თხის რქა და მერწყულიც
მზეშია ჩაწნული.
თევზი თებერვლისა,
გზების მძებნელისა...
კაცის ზოდიაქო,
ბედი ცერბერისა.
ჩემი სექტემბერიც
მიხმობს, მოდი აქო,
ქვეყნის სასწორია
ჩემი ზოდიაქო.

• • •

ვერცა მაგდალინელმა,
და ვერცა ღვთიშობელმა,
ვერცერთმა ვერ მონახეთ —
ვერცა მთელმა სოფელმა.

რა იქნაო, თქვენ ამბობთ,
დაკრძალული ტაძართან?
— ის ამაღლდა ზეცად და
ღმერთის გვერდით დაბრძანდა.

ახლა, კი არ შეძრწუნდეთ
და კი არ გაიოცოთ,
ახლა მთავარი ჯრის —
ირწმუნოთ და ილოცოთ.

ქორწილი

რ. აღნიაშვილს

ორი ჩიტის გული ტოკავს
მიბანგვით და მიძინებით,
აღნიაშვილს ქალი მოჰყავს,
მისი ეშხით, მისი ნებით.

მაინც ტოკავს, არ დამშვიდდა —
ორი მტრედი, ორი კრავი;
გამოაღეთ გაბაშვილთა
ულამაზეს საყდრის კარი.

მაყრიონო, გიხაროდეს,
ოჯახს სხივი მოეფრქვია,
მინდა ყველა სახლთან მოდგეს,
სიყვარული რომელს ჰქვია.

სიხარულის სხივი ედემს
ვთვალე, მაგრამ ვერ დავთვალე,
რომ ერთმანეთს შეაბერდეთ
ისე, როგორც მზე და მთვარე.

ასე ჯვარდაწერილს გევლოთ —
ლოცვითა და მოთმინებით,
გაიხარე, საქართველო,
ახალ-ახალ ქორწილებით.

თუმც ქვეყანა შეშლილია,
კაცში ჩაკვდა რწმენა ლექსის,
ურჩხულის არ მეშინია,
როცა აკვნის რწევა მესმის.

სხვა, თავს ზევით არ არს ღონე —
ხმალთან ხმლით და ბედთან ბედით,
სიძულვილს ხომ არა გთხოვენ? —
შეიყვარეთ ერთმანეთი.

დღემდე ფერად სიზმარს ვუმზერ,
ჩვენი ბედის წარმმართველო,
სიძულვილშიც სიყვარულზე
დვას ლამაზი საქართველო!

პურის ყანაში

ამ ცხოვრების ბორბალს
ერთი დიდი წუნი აქვს,
ისე, როგორც ხორბალს —
სიკვდილს თავის სუნი აქვს.

სიკვდილია თამაში
ან თამაშის მსგავსია,
თითქოს პურის ყანაში
უცებ გული წაგსვლია.

გიხაროდეს, ირინოლა...

ოცდახუთსა დეკემბერსა, ახლით,
სავსე იყო სიყვარულით სახლი...
შევხვდით შობას
ჩაითა და ნამცხვრით,
გარეთ ცაცხვი ირხეოდა,
ჩაი გვედგა ცაცხვის —
და მაგიერ ღვინის სმის,
ჩაის ვსვამდით
ჰალვითა და ირისით.
სკამზე გვედგა
პაწაწინა შობის ხე,
ხის ტოტებმა
ჩვენი მადლი მოისხეს.
ვსვამდით ცოტას,
ვმღერდით ბევრსა, —
„ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო“,
მარიამი გვპასუხობდა —
ვერ იტყვით უკეთესსაო.
ოთხივ კუთხით,
ოთხივ ხატით,
ჯვარი ოთხივ კედელსაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,

ქრისტე იშვა ბეთლემსაო...
ჩვენც ჩვენი ხმა მივაწვდინეთ
მეცხრე ცაზე ღმერთებსაო.
ღმერთო, ხელი გაუმართე
საწყალ კაცის შემწესაო...
კაცი შემწე თუ არა გყავს,
ვერა მკი და ვერ თესავო,
ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
გიხაროდეს, ირინოლა,
ქრისტე ჩვენსა —
მზე ჩვენსაო...

მთვარე

ხმალ-აბჯარი ავისხი,
ვარსკვლავები ვთვალე,
მე ვიყავი მთვარის ხნის,
შენ იყავი მთვარე.

ჯეირნებით აივსო
მინდორი და ველი,
გპოვე სამარადისოდ
მართლა საყვარელი.

ახლა სათაფლიაზე
სიმშვიდეა სრული,
ჩემი ხანჯლის პრიალზე
ვეფხვი იკლავს წყურვილს.

ხმალ-აბჯარი ავისხი.
ვარსკვლავები ვთვალე,
მე ვიყავი მთვარის ხნის,
შენ იყავი მთვარე.

ი ღ ბ ა ლ ი...

თუ გინდა, რომ მზე ცხრათვალა
არასოდეს არ ჩაქრეს,
ქრისტიანის სიტყვა უთხარ
წესს გამცემს და დამჩაგვრელს.

მე არავის არ ვუჩივი,
არც ვემადლიერები,
სავსე არ მაქვს ცრემლით გული,
მაგრამ არც სიმღერებით.

ეშმაკის რქა გაჩხერილა
ჩემი ბედის ბორბალში,
ვისაც გინდათ, გამეჯიბრეთ,
ძმებო, უიღბლობაში.

* * *

„ჩემს საკოცნელად სიკვდილი მოვა“,
ა ნ ა ა ხ მ ა ტ ო ვ ა

გეძებ ტყეში და ველობში,
ყვავილთა ლილო-ჭრილოში,
სვანეთში, სამეგრელოში,
ფშავში და საინგილოში.

მდინარის პირას დაგეძებ,
როცა მდინარეც იძინებს,
ვიღლები, კვლავაც მაქეზებ,
კვლავაც გავზედავ მთის ძირებს.

დავჰყვები ისევ თავიდან
ამ გორებსა და ამ ბორცვებს,
მე შენი კოცნა არ მინდა —
მოვა, სიკვდილი მაკოცებს.

წუთისოფელი ასეა...

მუხლმოყრილს და გულმხურვალეს
დამშვრომია ჟამი,
გამთოკეს და მომაყუდეს
შხამით სავსე ჯამი.

ვერ გავუგე ვერცა აზრი,
ვერცა შინაარსი,
ღმერთო, დღემდი ვცნობდი მხოლოდ
ღვინით სავსე სასმისს.

დღეს ქვეყანა შეშლილია —
ვიცი გიჟის ფასი,
ჭკვიანების მეშინია —
მათი დადგმულ ფარსის.

მე სულ წავალ, გაგეცლებით,
წავალ ღამის მეხრეთ,
რაც თქვენ ეგრე ააშენოთ,
ცალკე დაიკვეხეთ.

რადიოთი ლექსებს გადმოსცემდნენ...

ცივი, ცივი, ცივი, როგორც
უწყლო რადიატორი,
უმალ მივხვდი, რომ შენ იყავ
ამ ლექსების პატრონი.

არშემდგარ პოეტს...

შენს შექმნაში ვინც ცდებოდა,
მაგრა შეცდა, არა და,
შენგან გამოიჭრებოდა
ორი კაი კარადა.

ბავშვებისათვის

— ასე ჰკითხა პავლემ პეტრეს:
მამა, რაა ალიანსი?
— თუ შეეკრნენ, მერე ჩემს მტერს —
გინდა ცივი წყალი ასხი.

ჭ ა ლ ა შ ი

ახლოს ხენი ცახცახებენ,
შორით მთები გმინავენ,
ნეტა საით მიბრძანდები,
ვარდისფერო მდინარევ?

ჭალას მწვანე ფერად ღვივის
რთხმელის წინდა-კაბანი,
ღმერთო ჩემო, სიყვარულით
გამომთვრალა მთა-ბარი.

ძველი, ძველი სიყვარულით,
ძველი, ძველი მთოვარით,
შუაღამე კოცონს კოცნის,
კოცნით ღირსახსოვარით.

ჩემი ჭალის ბულბულებო,
სიმღერა თქვით მთვარისა,
მთვარის შუქზე მოჩანს თქვენი
კვალი ნატერფალისა.

ეთერ ჯელიძეს

აქარგულო,
დაქარგულო,
იქნებ ცაში
ღმერთებს ყვარობ?
სიმღერებში
დაკარგულო,
მშვენიერო
ეთერ-ქალო.
ისე გაქრი,
ეს ტიალი
წლები აღარ
გემატება;
რა ვქნა,
შენი სევდიანი
სიმღერები
მენატრება.

მცხეთა

ესეც მცხეთა,
ესეც მცხეთა,
შუაღამით მოველ შენთან,
მოველ, რათა სიტყვა მეთქვა,
კაცთან არა,
მოველ ღმერთთან.

შავ დღეთა და
წითელ დღეთა,
ციდან ცრემლმა ჩამოწვეთა.
ყველა ცოდვილს
ექმენ მწეთა —
სხივნი ჩამოკრიფე მზეთა.

ესეც მცხეთა,
ესეც მცხეთა,
კაცთან არა,
მოველ-ღმერთთან!

მაინც...

ჭირში ვარ,
მაინც მიხარია.
მაინც ვნუგეშობ,
ჭირში ვარ,
მაინც მოთმინებით,
მაინც იმედით...
გამომყავს სიტყვა
სისხლით, ცრემლით,
ხელით უხეშით,
ჩემი სინათლის
და ღირსების
წერტილ-მძიმეთი.

სამართალი

რის სამართალი,
წყლის მაგიერ
შხამს ვაწვდით მწყურვალს,
სიყვარულს ვითხოვთ
იმისაგან,
ვისაც ჩვენ ვძულვართ.

რომ არ არსებობს
სამართალი,
როგორ არა ვთქვა,
ვინც ჩვენ გაგვწირა,
იმისაგან
ვითხოვთ სამართალს.

ზარი

საით მიხვალ,
საქართველოს პირმშოვ,
მამისა და
დედის უნახავო,
ვაი ჩემთვის,
ქვის პატარა ნიშო,
ვაი ჩემთვის,
ზარნაშულო ხმალო.

ვის კვალზე ხარ,
ვისი ძველი აბჯრით,

შენია თუ
სხვისი ტანჯვა გტანჯავს?
ვისი სევდით
ანდა ვისი ტანჯვით
ვისი ცრემლი
დასდენია ხანჯალს?

ნუთუ ასე
ეჩქარება მიწას,
ნუთუ მორჩი
ყველა ქართულ საქმეს?
ნუთუ ღმერთმა
მიწა დაივიწყა.
თუ, მამკველი
აღარ უნდა სამკელს?

საით მიხვალ,
საქართველოს პირმშოვ,
მამისა და
დედის უნახავო,
ვაი ჩემთვის,
ქვის პატარა ნიშო,
ვაი ჩემთვის,
ზარნაშულო ხმალო.

„პიედესტალი“

ლაფი წასცხეს
სვეტიცხოველს,
კაცობა იხამუშეს,
დაემსგავსნენ კაცნი
ცხოველთ,
კაცებს ცრემლი დაუშრეს.

მირონს ამჯობინეს სისხლი
და კაცობა უარყვეს,
შემოახტნენ დღისით,
მზისით
სისხლში მოთხვრილ
ულაყებს.

მთლად შიშველი თრთის
სიმართლე —

მოწყვეტილ წელს მიათრევს,
რა ჰქნას ხალხმა, ვის
მიადგეს?
სად იპოვოს სიმართლე?

ხალხის ნებას, ხალხის ღონეს,
ხალხის სულს და სიფიცხეს,
ვაჟას შვილის დახსნა
სთხოვეს
სერგო ორჯონიკიძეს.

სულში მხეცმა იღრიალა,
მზაკვრობით და
ფლიდობით, —
„ახლა ვაჟას შვილს კი არა,
ვაჟას არ დავინდობდით“.

ამ პასუხით დააწყნარა
ხალხი უზურპატორმა,
ცხენს მოახტა და მასხარამ
საქართველო დატოვა.

გაყრილია იგი მზესთან,
მზეს თავს ვეღარ ატოლებს,
ახლა თავის „პიედესტალს“
ველით როდის დატოვებს!

ტელევიზორთან

ხედვით ყინჩით, სახით წყნარით,
ტრიბუნაზე შედგა წამით,
პირით სისხლის სეტყვას ყრიდა
უზნეო და გარეწარი.

იდგა მარტო, იდგა ცალად,
სიტყვა ჩაათავა რისხვით,
თვისი სისხლით დაიცალა
და აივსო სხვისი სისხლით.

მაშ, უარესს რაღას ელი,
სულში ჩაგძვრომია გველი.
დადგა ჟამი შიშის მგვრელი, —
ტაშით გააცილეს მკვლელი.

1989 წ. ივნისი

1988

ნატვრა

წყალს ვუსხამდე მეც ჩემს
აზრებს,
რომ, წყალში არ ჩაყრილა,
ქართველის მიწავ მშობელო,
ამიყვანა მეცხრე ცაზე
და იქიდან მაყვირა
ჩემი სამადლობელო...

დედაენა

ერთი დედა, ერთ მამა,
როგორც ერთი ღმერთია,
ორი ენა გველისაა,
კაცის ენა ერთია.
სამშობლოც ხომ ერთი არის,
მისი ენაც ერთია,
ქვეყნად კაცი არ არსებობს,
ენა რომ წაერთმიათ.
ღმერთის ნებით წასასვლელო,
ღმერთის ნებით მოსულო,
ერთადერთი იმ ენის ხარ,
რა ენაზეც ლოცულობ.

ტვირთი...

ლურჯი კვამლივით მშვენიერი
ერთვი ცისა ფერს,
ხოლო ვიღაცა იფურთხება
ღრუბლის პირიდან,
კაცმა არ იცის, რა სჭირდება
კაცის მისაკვლევს,
იმ მისაკვლევთან ვინ მივიდა
ან ვერ მივიდა.

რაა სიცოცხლე... ან რომ იყავ
ნეტა ვის ახსოვს,
ტირილ-წივილით წასვლა-მოსვლა
ღირს კი წამებად?
სიძულვილის ნუ გეშინია,
ჩემო ძვირფასო,
უფრო ძნელია სიყვარულის
ტვირთის ტარება.

ძმებს...

შუბლზე მიწერილი ათასგან,
ილბლად დაჰყოლია ჩემს გვარს,
მე არ უნდა მეწყინოს ძმათაგან,
ძმებს უნდა ეწყინოთ ჩემგან.

რაიც მთავარია, თავიდან
სანთელ-საკმეველი ენთოს,
მე ამ გამოცდასაც ავიტან, —
მეტი რა გზა არის, ღმერთო!

ძველი კაცი

ძველი ზამთრით შეიცვალა
ძველი გაზაფხულები.
მოკვდა კაცი,
ძველი კაცი,
ძველი დამსახურებით.

სიღარიბე გახლდათ მისი
ძველი გამცილებელი,
მოკვდა კაცი,
ძველი კაცი,
მოკვდა კაცი ბებერი.

გარეთ ყეფდა ზამთრის ყინვა,
ისე, როგორც ცერბერი,
არცა გულშემატკივარი,
არცა დამტირებელი,
მოკვდა კაცი,
მარტო კაცი,
მოკვდა კაცი ბებერი.

ერთ ღამეში შეულებეს
დაძონძილნი კედლები,
„პარტუჯრიდან“ ამოულეს
ორდენები, მედლები.
ყოველივე აღმნიშვნელი
ძველი შემოქმედების.
ერთი ჭაღიც მიუკიდეს
(ვითომ კარგად ცხოვრობდა),
შავკაბები შეუკერეს
ცოლ-შვილს სამახსოვროდ.

სავსე იყო სახლი მხოლოდ,
მხოლოდ სიმწუხარეთი,
პარტბილეთში აღმოაჩნდა
ოცდაშვიდი მანეთი...

პატივი სცეს,
დიდ-პატარა
ყველა ტყავში ძვრებოდა.
უნდა ითქვას:
პატივი სცეს,
რაც კი შეიძლებოდა...

იწვა წმინდა,
სუფთა, სუფთა,
სუფთა, როგორც კრისტალი
და ნეკროლოგს კითხულობდნენ
კაცის ნამინისტრალის.

სულ ბოლომდე პატივი სცეს
გაჭირვებულ კომუნისტს,
დრო კი, მუხის სასახლეზე
იჯდა, როგორც კლოუნი...

გარეთ ყეფდა ზამთრის ყინვა
ისე, როგორც ცერბერი,
მოკვდა კაცი.
ძველი კაცი.
მოკვდა კაცი ბებერი.

ი ბ ე ლ ი

სადღაც სიყვარულის სანძარს
ცივი წყალი მიუშვეს,
ახლა მოდაშია ლანძღვა, —
ვებრძვით სხვათა სიმრუშეს.

უახლესი წამმზომებით
ვზომავთ დროჟამს გაცვეთილს,
ზოგს ვიწუნებთ აზროვნებით,
ზოგს ვიწუნებთ აქცენტით.

ვლანძღავთ კაცებს
გამოჩენილთ —
პირდაპირ და „სინხრონით“
ცოტა-ცოტა გამორჩევით,
ცოტა-ცოტა მიმხრობით.

ვისა ვმტრობთ და ვის
ვპატრონობთ,
რატომ ვუვლით შორიდან?
ნაღდი გინდათ? კი ბატონო,
ვთქვათ, რომ არ გამოვიდა.

კაცთა მოდგმის ამ ომიდან
ვერ ვთქვით ჩვენი სათქმელი,
მაშ თუ მართლა გამოვიდა, —
რა გვაქვს გარდასაქმნელი?

დიახ, ესე იგი, ვერ ვთქვით,
ვერ ვთქვით ჩვენი სათქმელი,
იყო ჭირი, იყო კეთრი,
მაგრამ იყო სანთელიც.

გული გულით, კაცი კაცით,—
იმედი არ მიქრება,
ახლა ჩვენი თაობა ცდის,
რაც იქნება, იქნება.

ამაღლება

მშვენიერებაც თითქოს ამაღლდა,
თითქოს უფალმა
სხივიც გვაღირსა.
და მაინც, მაინც
სიტყვა ამაყთა
ისევ ულვთოდ გრძნობს
იმ ძველ აღვირსაც.

ისევ ულვთოდ ვგრძნობთ
იმ ძველ კალაპოტს,
სინათლეს ვუმზერთ,
როგორც უკუნეთს
და როცა გვიწვევს
სალაპარაკოდ

ვინმე, ჩვენ ეჭვის
თვალით ვუყურებთ.

რა იყო მაინც,
რას შეგვაჩვიეს,
რის ქებას,
რომელ ამხანაგების?
რა წაგვართვეს და
რა შეგვარჩინეს —
კაცი არაა ამის გამგები.

რისთვის გაგვწირეს,
ანდა თუ ღირდა
დღევანდელი დღე
ხალხის გაწირვად?
ერთი მითხარით:
გალიის ჩიტებს
ვინ გადააქცევს
აწი არწივად?

ეს ვთქვი და უცებ
შიშმა შემიპყრო,
ამავე შიშმა მითხრა
ბეჩავად:
„რას ამბობ, ჩვენში
მუდამ მზე იყო
და ნუ გგონია,
იგი მზე ჩავა“.

ის შიში ახლაც
სმენას მიხედნის
და წინაპართან
ერთად გუგუნებს:
დაბადებიდან უნდა
მიმხვედრი
იყო და გაჰყვე
მზეს და უკუნეთს.

მტერს და მოყვარეს,
კეთილს და ბოროტს,
ესაა მსჯავრიც
და სამართალიც,
თორემ ყველასთან,
ბოლოს და ბოლოს,
ერთი ხროტინით
მოდის აფთარი...

მე ვუმზერ მნათობს
სახეჭორფლიანს,
ძველს რომ ვიხსენებ,
სული მელევა,
მაგრამ ვინ იცის,
ეს მზე სჯობია,
თუ გუშინდელი
საშინელება?

მაგრამ ვინ იცის,
მსარს ვინ შეუდგამს
მომავლის იმედს,
სიბრძნეს, სიმართლეს,
როგორც უხილავს
და თვალშეუდგამს,
ეჭვი თან ახლავს
დიად სინათლეს.
მაგრამ ვინ იცის,
რა სურვილებით
დაემკვიდრები,
დაეფუძნები,
ან სად და როდის
აღესრულები
შენი კალენდრის
მწარე ფურცლებით?

მაგრამ ვინ იცის,
მაგრამ ვინ იცის, —
ამ ამაღლებულ
მშვენიერებას
ო, იქნებ მართლა
ამ ცის და მიწის,
ამ ცის და მიწის
ფერი ერევა.

მაგრამ ვინ იცის
და ასე შემდეგ...
და ასე შემდეგ
დაუსრულებლივ...
და როგორც ცაზე,
პოეტის მკერდზეც
ვარსკვლავებივით
ჩანან წყლულები.

ჯეშმარიტება

როგორ ვიფხიზლო,
როცა არ ვიცი,
როდის შემოხვალ
სავსე ღვთის მადლით,
წუთი არ ვიცი,
არც დღე არ ვიცი,
არც თვე არ ვიცი,
არც წელიწადი.

მე შენ არ გიცნობ,
მე რაც მგონია,
ხარ გულუბრყვილო,
როგორც მოცარტი,
მაგრამ გჯეროდეს,
როს მობრძანდები,
წამსვე მივხვდები,
რომ შენ მობრძანდი.

შენ თავის ადგილს
მიუჩენ ყველას —
შენს გვერდით დაჯდეს,
თუ ვინ სად დაჯდეს,
მჯერა, ო, მჯერა,
რომ ამარიდებ
საიმქვეყნიო
ყველა სატანჯველს.

სამი ღამე...

ცისანა გენძეხაძეს

ზეთისხილის მთისკენ ილტვის
შენი სევდის ნათელი,
ღვთიშობელის ლოცვას იტყვი
თაფლის სამი სანთელით.

სამი ღამე, სამი ბორცვი,
სამი შესანდობარი,
შენი სისხლი, შენი ხორცი —
ბედის სამი ბორბალი.

ჩვენი დღე და ჩვენი ხვედრი
ღმერთის მოძღვრებისაა,
არ არსებობს მკვდრების ღმერთი —
ღმერთი ცოცხლებისაა.

წუთისოფელი

წუთისოფელში
რა სატანა ჩაგვსაფრებია,
ლოცვა ვერა ჭრის
წყევლას, ეშმას პირიდან დაძრულს,
ბოროტთ რომ უყვართ ერთმანეთი,
გასაგებია,
ის ვერ გავიგე —
კაი კაცი კაი კაცს რად სძულს.

თიკას

შორით თავს გიხრი და
შორით გესალმები,
გზებზე გაგიკიდებ
ანთებულ ჭრილობებს,
შენგნით შორთმეული
ცისფერი კესანები,
სულში ამოდიან
და თინათინობენ.

თუ უზესთაესი
გამჩენის ცრემლი ხარ,
ტირილით მითხარი,
რა მელის ცოდვიანს,
ჰოი, რა კარგი ხარ,
რა მშვენიერი ხარ,
შენს ცისფერ ყვავილებს
რა ჯვარცმა სცოდნიათ.

ჭადრის ხეებზე თვლემენ ჩიტები,
მიმზერენ ხენი და ხითხითებენ, —
ნატვრის თვალისო გინდა მიგნება...
ყველაზე მეტად მე დღეს მჭირდებით,
მაგრამ თქვენ ამას სანამ მიხვდებით,
ჩემი ძვალ-ხორციც აღარ იქნება...

სამადლობელი

სამადლობელი კი, მარა —
მადლობა ვუთხრა ვის?
მადლობა ვუთხრა უფალს, თუ
ხალხს, მილიონი წლის?

მთელი ცხოვრება მაწვალებს
მთელი ცხოვრება მღრღნის,
ეს ჩემი თავი, ბეჩავი,
სამადლობელოდ ღირს?

მაინც მადლობა, ცის ხელა
ჩვენს თვალშეუდგამ ერს,
ეგ შენი ქვათა ღაღადი
განთიადივით ჟღერს.

შენს წარსულს ხელს გადავუსვამ, —
ფთხილად მოვაცლი მტვერს,
ამ ჩემს სამადლობელოშიც
დედას ვუტირებ მტერს.

* * *

რა ვქნათ, ვერ ვმორჩილობთ,
ღმერთო, შემომწყრალო,
იქნებ, შემოთვალო —
იქნებ, დრო გვიცვალეს?
ჩვენთვის, ჩემო შვილო,
ჩვენთვის, ჩემო ძმაო,
ჩვენთვის, ჩემო თავო,
ჩვენთვის მოიცალეს!

ქრისტე გალაკტიონი, მაიკლ ჯეკსონი, ანუ სიზმარი...

სილით უდაბნოთა
ზეცა მოამტვერეს,
ცოდვილნი
მხურვალე ცრემლით ღაღადებენ,
საუკუნის მკვდრები
საფლავებს მოამტვრევენ,
ცულით მოამტვრევენ
ცელით ნახატები.

აი, ამოტეხეს
და ამოანგრიეს,
სისხლით შეიმოსა
კაცთა სამოსელი,
სტირიან რაღაცას —
ტირილის მაგიერს,
გრგვინავენ ლოდინში
ციდან ჩამომსვლელის.

ივნო, კვლავ დაეფლა,
ჩონჩხი ჩაიმსხვრია,
გამხრწნელ მიწისაგან
სიკვდილშემოსილი,
თვალთა ნატბორებში
სისხლი ჩაგვისხია,
ახლა ქარში წვანან
კუბოშემოხსნილნი.

შიში, შიში მიპყრობს
სამარადისონი,
როგორც ავაზაკი
სიკეთით ძლეული —
აქ ჭეშმარიტება
სამარეს ისწორებს —
ცოდვილ სიცოცხლეში
ჩონჩხებად ქცეული.

ჩუმად, ვუერთდებით
ხორცსა შენსა წმინდას,
ჩუმად, ვუერთდებით
შენსა წმინდა სისხლსა,
მღერით ვუერთდებით,

მღერა ისმის ციდან
და თუ არაღირსვართ,
ღირსგვყავ,
ღირსგვყავ,
ღირსგვყავ!

მღერით სათნო ჰყავი,
უსიტყვოდ, მონუსხვით,
სულ სხვა პერსონაა,
სულ სხვა რეზონია,
ციკვავენ მკვდრები და
მკვდრებს რომ წინ
მოუბღვის,
ჭინკა გენიოსი
მაიკლ ჯექსონია.

დ ა ბ ა დ ე ბ ა

ვქეიფობ, ვლაღობ,
ვიწვი, მაგრამ თვალებს გარიდებ.
არ ვუამობ, მაინც
თან დამყვება ჟამის ბრალდება,
მე გუშინდელის მეშინია,
თორემ ხვალის დღე
იმან იდარდოს,
ვინც ხვალ და ზეგ დაიბადება.

მსოლოდ იუმორი, სხვა არაფერი...

აბა, იქით, აბა, აქეთ,
შეერთდნენ და
განსხვეულდნენ,
მართლა გლახადაა საქმე,
მეგობრები „დასნეულდნენ“.

ახლა გამძლეობა გვეყოს,
ესეც დიდი არის ნიჭი,
სტალინი სჭირს ევტუშენკოს,
ვოზნესენსკის სტალინი სჭირს!

ყველას თავის მომგონი
ჰყავს,
ვისი ხსოვნაც ხმალივით ჭრის,
სტალინი სჭირს „ოგონიოკს“,
„ოქტიაბრსაც“ სტალინი
სჭირს.

უსტალინოდ ვინ გაძლებდა,
თვალს სუყველამ წყალი
ასვა,
სტალინი სჭირს
„ლიტგაზეტას“,
სტალინი სჭირს „ზნამიასაც“
როცა სნება მოძალდება,
და წამლისაც როს არ გეჯერა,
ბუხარინი მობრძანდება
ავადმყოფთა მოსარჩენად.

გარეთ ჰყვავის მოცხარი

მკვდარი ვიყავ. არ მოხვედი,
პანაშვიდზეც არ მოხვედი,
არც ორმოცზე არ მოხვედი,
არც წლისთავზე არ მოხვედი,
ერთი, გარეთ გამომხედე,
ცალი თვალით გამომხედე,
იქნებ რამე ხდება?
გული ველარ გავაჩერე —
საგულედან ხტება.

არც მე მოვალ პანაშვიდზე,
არც ორმოცზე არ მოვალ,
თუ ვიქენი ცოცხალი...
ახლა კარგი ამინდია,
გარეთ ჰყვავის მოცხარი,
გარეთ რაღაც ხდება,
გული ველარ გავაჩერე —
საგულედან ხტება.

ცხოვრება...

ძველი ღვინით, ძველი
ეშხით,
ხელში ძველი სასხლავით,
ასე, მოკაკული მხრებში
ძველი წამოსასხამით.
ძველი ხმით და ძველი ცრემლით,
ძველი სევდით, ძველი წყენით,
ძველი ედემ-ბაღებით,
ძველი სევდით, ძველი წყენით,
ძველი ამხანაგებით.
ძველი ხიბლით, ძველი
ხიდით,
ძველი მთვარით, ძველი
მზით,
მიდის, მიდის, მიდის, მიდის
ყველაფერი ძველი გზით.

უცხო სამარე

მასაც კაცი ერქვა ერთ დროს,
ღვინოც ედგა სურაში,
შენი თავი ხომ არ გეცნო
მის ნაღვლიან სურათში?

მეგობარო, სიტყვას გაძლევ —
გეფიცები კაცობას,
ერთხელ მოვლენ შენს საფლავზეც
თავის ამოსაცნობად.

„შეიბ მასვილი“

სთქვი, რომ აღარ ხარ,
სთქვი, რომ დაბერდი,
სთქვი, რომ ხმლის ნაცვლად
ძილი შეიბი.
ჰა, შუაცეცხლი და კვეს-აბედი,
ჰა, ტყაპუჭი და მატყლის ლეიბი.

მაშ რად ჩაქინდრე
თავი, ვერანო,

რა გიკვირს მსჯავრის
და სამართალის?
იქნებ ტაძარში აღარ მღერალობს
გაზაფხულივით შენი ზამთარი?

მაშ რად გაგიჩნდა
ეჭვი ბებრული,
მაშ რას განიცდი
ყეფას ძაღლების?
საკუთარ სისხლში ამოვლებული
რა იქნენ შენი ბაირაღები?

გაღმა ზმუილით
მიდის ნახირი,
მიწით ამოსჩქეფს
წყარო ანკარა,
მესმის ზეციდან — შეიბ მახვილი,
მარტო კალამი ახლა არ კმარა.

გული

ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს

საით მიფრენ, საით, გულო,
საით, მღერად გვრიტების?
მარქვი შენი საიდუმლო,
არსი ჭეშმარიტების.

უმაღლესო ცათაო და
ბრწყინვალებავ ცრემლების,
ხმა მომესმის სამთავროდან —
ხმა თაყვანისმცემლების.

განწმენდილი მოვფრენილვარ,
დაცვად შენთა მცნებათა
მე ამბორის მყოფელი ვარ,
შენთა საოცრებათა.

ეშმაკებმა თუ გაცალა,
მღერი ღმერთის დაირით,
ნურას — ნურასუკაცრავად
საქართველოსნაირი.

ქისტური ცეკვა მთათუშეთში...

გახურდა გარმონი,
გახურდა დოლი,
მწვანე, მწვანე ცეცხლით
ბიბინებს მოლი.
გარემო გაირინდა
გზნებით და თრთოლვით,
მთებზე იისფერი
ჩამოდნა თოვლი.
შეხე? გადმოვიდა —
სვეტად დგას ცხოველის,
ფეხი ფეხს გამოჰკრა —
(დამიბრმდეს თოლი).
მწვანე, მწვანე ცეცხლი
ალისფრად შეღება,
დაფრენს და სამშობლოს
კოცონით ეხება.
სცივა და სცხელა,
ჩამობღვერს ცერად,
სცხელა და სცივა,
თვალთაგან ნაკვერჩხალი,
ნაკვერჩხალი სცვივა.
ჩაკვრა ჩაკვრებიდან,
ცერით ცერ-ილეთი,
ცხენი, ცხენი ჩქარა,
ჩქარა, ცხენი-მეთქი.
თითქოს მისნურია,
უფრო არტისტული,
გრგვინავს მთათუშეთი —
„ქისტური“, „ქისტური“.
ცეცხლი დაიბზარა
ათას კვეს-აბედად,
სიკვდილი გინდოდეს —
სიკვდილს ვერ გაბედავ,
არც მეტი, არც ნაკლები,
მზის ტოლი, მზის ტოლი,
და თუ რამ გადარევს
ქრისტიანს, „ქისტური“.
აქეთ, დუიშვილო,
აქეთ, ბორჩაშვილო,
ვაი, მწვერვალებო,
ვაი, დროვ ჩაშლილო.

მე შენ გელოდები
ისე, ვით მზის სტუმარს,
ღმერთო, ქისტი კაცი
აცეკვე ქისტურად.

მეორე შესვედრა

აი, კვლავ შევხვდით,
გამარჯობა, ჩემო ძვირფასო,
ვართ პალერმოში,
უსაშველოდ ბედნიერი ვარ...

ფეიერვერკი,
უნაზესი კაფე „პიკასო".
იმ სინაზეში
სევდა უფრო მეტი ერია.

აღარ გახსოვარ,
(სიყვარული იმ წუთში ფასობს),
შენი ჭირიმე, დრო რომ გავა,
ვის რად ვუღირვარ.
ვენეციაში,
სასახლე რომ გაჩუქი, გახსოვს?
არ შეიძლება არ გახსოვდეს —
ის ჯანსაღი ვარ.

მისალმება

ირონია

— გამარჯობათ, მკვლელებო,
„ჩიტუნებო სამოთხის",
თუ ღმერთი გწამთ, გამოტყდით —
სამარეებს მარტო თხრით,
თუ ვინმე გეხმარებათ?

— გაგიმარჯოთ, მართლებო,
ეკლესიის სანოლებო,
კრთიხართ რქებზე ხარების,
კაცი არ გვეხმარება —
ერთმანეთს ვეხმარებით.

— კაი ძმობა გქონიათ,
ხელწერას ნუ შეიცვლით —
ქვეყანა გაახარეთ,
აბა, აბა, თქვენ იცით,
უფრო მეტი გათხარეთ.

ამოდის დედამიწა
შავი მიწის ბელტებად,
მთხრელნი წელში წყდებიან,
მართალი კაცებისთვის
ისიც არ ემეტებათ
და შიგ თვითონ წვებიან.

* * *

დოდო გიუაშვილს

ვუმზერ ბორჯომში ჩამოპნეულ
ქარვისფერ მძივებს,
და არ მგონია, მზე სხვაგანაც
რომ ანათებდეს,
მოათიმთიმებს ბორჯომულა
გაბასრულ სხივებს,
როგორც ალესილ ხანჯლის პირებს
და სამართებლებს.

თუ მართლა ასე ცოტას ცხოვრობ,
აქ უნდა გაჩნდე,
ეს მზის ხეობა ქვეყანაზე
ერთადერთია,
დე, სიყვარული ტკივილივით
სხეულზე გაჩნდეს,
შენს გაჭირვებას ბორჯომლები
ღმერთთან შეთვლიან.

რა თავში ვიხლი მე გეზალას
ორიოდ ფოტოს,
კაიხანია რომ შენს ამბებს
ვეღარ ვგებულობ,
სექტემბრის თვეა, შენ გიგონებ,
ძვირფასო დოდო,
სექტემბრის თვეა, შე ყოველთვე
შეყვარებულო.

გურული ხუმრობა

შაშვს დაუმიზნა
გურულმა თოფი,
დააცილა და
შაშვი გაფრინდა,
შეკრთა სიმშვიდე
პატარა სოფლის,
ტყვიამ ხურმის ხე
შუა გაფლითა.

ეს დაცილება
ენიშნა ავად,
გაოცებული
იდგა კაიხანს,
მერე გასძახა —
„იფრინე, ძმა,
ჩემი ხელიდან
მაინც მკვდარი ხარ“.

დამსმენი

(ი უ მ ო რ ე ს კ ა)

დამსმენები მომრავლდნენ-თქვა,
ერთს ვუთხარი ამასწინათ.
რას ამბობო,
— შეიცხადა —
წავიდა და დამასმინა.

* * *

„გამექცა კალამი, სისხლით გწერ ასლა“.
ი ვ ა ნ დ რ ა ჩ ი

ჩემო წისქვილო და
ჩემო ქვა-მარილო,
ჩემო ლილოჭრილო,
ლილოს მარმარილო.

ძმათა უღელივით
ღვაწლო გაწეულო,
ჩემო სისხლის წვეთო,
ტვინში ჩაქცეულო.

ბნელში გასროლილო
მოყმის მშვილდისარო,
ლურჯო ყვავილებო,
ქართველის მინდვრისანო.

ხომ არ დაიშრიტნენ
ჭეშმარიტებანი?
ხომ არ მოგვიმრავლდა
დაფი და ებანი?

ცაზე უფლის სახეს
ვაზით ქარგავს ხინო.
სისხლით, სისხლით ვწეროთ,
სისხლით განბანილნო.

ცხინვალის სიყვარული

საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.

სულ მგონია, იქ დაინთხა
ჩემი სისხლი მართალი,
წუთისოფლის აღსასრულიც,
წუთისოფლის ზამთარიც.

სულ მგონია, იქ გამზადდა
ჩემი სასუფეველი,
მესიზმრება მისი მთები,
მისი ლურჯი ტყე-ველი.

საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.

როცა მიწა ერყეოდა
კლდეს მიჯაჭვულ გოლიათს,
დედამიწის ყველა ტომი
იქ მოსთქვამდა მგონია.

ასე მახსოვს, იქ მწყუროდა
და იქ დამალევინეს,
მისი თოვლის მოელვარე
ცეცხლზე ვიწვი ნელინელ.

საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.

მის მწვერვალებს ვემალები —
თვალები შეშლილი აქვთ,
მეშინია მწვერვალების, —
სიმაღლის მეშინია.

მივალ, ვნახავ, ხელს შევახებ,
ისევ ნახვა მწყურია,
რადგან ჩვენი სიყვარული
სისხლის საფასურია.

საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.

მგლები

თავგანწირული გზები
ეხეთქებიან ქელებს,
როგორც მშიერი მგლები
გამოუჭამენ ფერდებს.

ვისი სისხლითა თვრებით,
ვის შეალეწავთ მკერდებს.
ვინაა თქვენი მტრები,
გზები ვის ჩაუკეტეთ?

ან როდის გამოსძღებით
როდის დაიწყვეტთ ღვედებს,
როდის, მამულის მთები
აყვავდეს, აგვიმღერდეს?

მძიმედ ჩამოსხდნენ წლები,
გულები გაიქველეს,
მადლობელი ვარ ძმების,
ვინც წინ აღუდგა მკვლელებს.

ამბავი ერთი ბერიკაციისა...

ფეხზე ეკიდა ჩხუბი,
აყალმაყალი სხვისი,
ჰქონდა პატარა ეზო,
ედგა მაყალი თვისი.

თავის ვენახი ჰქონდა,
თავის ხორგო და ჭური,
თავისი მონაგარი,
თავისი ხეჭეჭური.

ყურში არ შეუშვებდა
ამ ქვეყნის მითქმა-მოთქმას,
დიდ პატივს სცემდა ცეცხლს დ
ცეცხლზე შემომდგარ ქოთანს.

არცა წერილებს წერდნენ,
არცა წერილებს წერდა,
კაი ღვინოსაც სვამდა,
კაი თუთუნსაც წევდა.

ელოდებოდა არვის,
ეჩქარებოდა არსად...
კაი სვა, კაი ჭამა,
მიუკაკუნა ასსაც.

არ შეხებია არვინ
იმის ნამუსს და სინდისს,
ღმერთმა აცოცხლოს დიდხანს —
ჯერ არ აპირებს სიკვდილს.

იმ წუთისოფლით ილხენს,
ამ წუთისოფლით მასხრობს,
— სოფლის სახელი მკითხეთ? —
რა ერქვა, აღარც მახსოვს.

1987

ნიჭი გაძლების

რაც სასიკვდილოდ დაჭრილს რგებია,
მარად ელოდი იმ განჩინებას,
შენ რომ ამ ქვეყნად გაგჭირვებია,
მტერს არ ვუსურვებ იმ გაჭირვებას.

ეს ღვარი რაა, რაა ეს ზვავი,
შენ საკუთარი ცრემლი გაღრჩობდა,
შეხედე, მთა და ბარი შევძარით,
შეხედე, სული როგორ აღშფოთდა.

შეხედე, ხალხი როგორ შეერთდა,
ვით გამოფინეს სევდა საერთო,
იმ მწვერვალებთან, იმ სიმღერებთან,
ისევ კოლხობ და ისევ სვანეთობ.

ისევ კახობ და ისევ იმერობ,
ისევ ძახილად, მრავალწერტილად...
ხარ საქართველო, საბედნიეროდ,
ერთი მათგანიც არ გაწყვეტილა.

ეს გადმოფრქვევა ღვარად და ცოფად
იქნება მარილა ღმერთმა ინება?
ეს ერთი ცრემლი, ეს ერთად ყოფნაც...
რაც შეეხება შენს გაჭირვებას —

თავს დავდებ, თუნდაც ყელს გამოვიჭრი,
რომ შენთან დგანან ერის კაცები;
რაც მთავარია, შენა გაქვს ნიჭი —
ბევრის მოთმენის,
ბევრის გაძლების.

სწორედ იმ ზღვარში,
სწორედ იმ ქარში
გიმზერენ ცეცხლით
[illegible] თვალები,
ნუ გეშინია,
ცრემლის ჭიქაში
მოსჩანან გზები
და მწვერვალები.

ი ლ ი ა ს ა დ მ ი

სულო, ჰპოვე შენი ხვედრი,
აღსდექ, სულო, რასა გძინავს?
შენთან არის შემოქმედი, —
არგასაწირს არ გასწირავს.

შენთან არის შემოქმედი,
თვისი სათნო განზრახვითა,
მოფრენილა თეთრი მტრედი,
ცისფერ მთათა გადაღმიდან.

გულისცემას ვერ დავითვლი,
როცა ღმერთი ჩვენთან არის,
აი, მზერა, მზე — დავითის,
აი, მზერა, მზე — თამარის.

ცით ილიას სიბრძნეს ვისმენ:
თუ გსურს, მტერი ვერა გმტრობდეს,
„მოუარეთ ღარიბს ისე,
რომ მდიდარს არ შენატროდეს!“

მამას

კაცო მოძღვარო, კვლავ ჩემს სულს შვენი,
კაცურად შვენი კაცთა დროებას,
გაჭირვებიდან არ მოდის შენი
არცა რწმენა და არც სათნოება.

მასსოვს, რაც მახსოვს, იყო დასტური
გაღმა გასული კაცის ტკივილის
და ნაზი, როგორც ალადასტური,
მშვენიერება შენი ღიმილის.

სიტყვას იტყოდი, სიტყვას პოეტის,
და იყო ნაღდი, რასაც იტყოდი,
სიმწრით კი არა, ვითომ ყოველთვის
ცხოვრება სავსე იყო სიტკბოთი.

ხელებს გაშლიდი, გაგიხარია, —
შეიცვლებოდა მკაცრი ტაროსი,
შენ მოჩვენებით არ გიხმარია
თავდადებული კაცის სამოსი.

სად გაგონილა სიცოცხლე გრძელი,
ბედნიერება სად გაქვს მთლიანი?
რაც მთავარია, შენა ხარ ბრძენი,
რაც მთავარია, — სამართლიანი.

ვხედავ, მზე სულში როგორ ჩამაჭრდა,
როგორ გიბედავ ცოდვას გამხელილს,
რომ ის ბაჯაღლო, რაც შენ გაგაჩნდა,
ისიც მე მრჩება, — შენი სახელი.

წიწამურზე

შენს დიად აწმყოს რაც არ ეღირსა,
ის ღირსეული ჟამიც დადგება,
აწი შესაქმნელს, უკვე შექმნილსაც —
უნდა კურთხევა და გაცხადება.

უფალმა შენი ფრთის ქვეშ შეგვხიზნა,
ახლოა იგი, რაც გვენატრება,
ალბათ, რომ უფრო, უფრო გვეფხიზლა —
არ ჩაქრებოდა შენი ხატება.

სხვაა სიწმინდე ამა ქვეყნისა,
შენი სინდისი გვიდგას თავდებად,
„წმინდაა იგი, ვისაც ‘ეღირსა
მამულისათვის თავის დადება“.

უფლება

1987 წლის 15 მაისს
„ლიტერატურულ საქართველოში“
დაბეჭდილი წერილის გამო.

ძმაო ილია,
(შენ გგულისხმობ, გვარად რურუას,)
იმაზე მინდა სიტყვა გითხრა —
ბრმა და ყრუ როა...

კაცი, რომელიც
ბოლმის ბარათს გზავნის რუსეთში,
როგორ ჩაიჭრა საქართველო
თურმე „ხუთწლედში“...

როგორ ჩაგრავენ
ჩვენში თურმე პირველ რომანისტს,
ინტერნაციონალისტ მწერალს,
პირველ მორალისტს...

ჩვენი მტრობისგან
როგორ იცავს თურმე სხვა ხალხებს,
ნაციონალისტურ
ლექსებს ჩვენსას როგორ ვასაღებთ...

კაცი, რომელიც
ნაძირალა არის ბოლომდი,
გადააჭარბა რა ხანია
ვინაც მოლოდინს...

შენ გენაცვალე,
ერთი მაგრად გამალანძღვინე,
მერე, ჰა მკერდი
და სიტყვების ტყვიით დამცხრილე.

ალსდეჭ, მსოფლიო, სიკეთეს უჭირს!

„გააფთრებული ომის გენია,
ძველი ქანვივით ყვითელი ფერის,
გადეფარება მეწამულ ზეცას.
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის“.
გალაკტიონი

„ის“ გაურანდავ
ოთხიოდ ფიცარს
მოათრევს, მაგრამ
გონი არ უჭრის,
უნდა მოვუხმოთ
გონებას მღვიძარს, —
ამხანაგებო,
სიკეთეს უჭირს!

„ის“ უსაშინლეს
სიმღერას მღერის,
ვით მაწანწალა
ჩამქრალი ქუჩის,
და დგება
ჩვენი ყვირილის ჯერი —
ამხანაგებო,
სიკეთეს უჭირს!

მე ვერ ვახსენებ
ლექსში მის სახელს,
რაცა გვჭირს ქვეყნად,
იმისგან თუ გვჭირს...
მიხედვა უნდა
სიმშვიდის სახლებს —
ამხანაგებო,
სიკეთეს უჭირს!

უსჯულოება
მისი ჩვენ ვუწყით,
გული აქვს ქვისა.
თავი აქვს თუჯის.
ამხანაგებო,
სიმართლე ნუ გწყინთ,
ამხანაგებო,
სიკეთეს უჭირს!

შეუზღუდველი
ზღუდენი ბანი
არის ნაყოფი
გონების ფუჭის,
ჭეშმარიტების
ძახილი ისმის —
ამხანაგებო,
სიკეთეს უჭირს!

ცხოვრების ჩვენის
სიმართლის ხმალმა
დღეს უნდა გაჭრას,
საერთოდ თუ ჭრის,
უნდა დაეედოთ
ერთმანეთს წამლად, —
ამხანაგებო,
სიკეთეს უჭირს!

იქ, ვარსკვლავეთის
ოქროსფერ თაღზე,
ძევს შავი ფერი
მაგიერ ლურჯის,
აღსდექ, მსოფლიო,
ბსოფლიო, აღსდექ,
აღსდექ, მსოფლიო,
სიკეთეს უჭირს!

ფიქრები მემორიალზე...

ჩემო კარგო ქვეყანავ,
ტანში მზარავს ზრიალით —
მრავალ, მრავალ,
მრავალ, მრავალ...
მრავლად მემორიალი.

ნუთუ, ყველა ღირსნი ვართ
ასეთი ლოლიავის? —
მრავალ, მრავალ,
მრავალ, მრავალ,..
მრავლად მემორიალი.

ერთურთში არეულა
საზამთრო და ქლიავი —

მრავალ, მრავალ,
მრავალ, მრავალ...
მრავლად მემორიალი.

კურდღლის მემორიალთან
მესმის ლომის ღრიალი —
მრავალ, მრავალ,
მრავალ, მრავალ...
მრავლად მემორიალი...

მეც დაჯავშნულ ქეჩებში
დავალ ყიალ-ყიალით,
რას გახდები?
ამაყობს
სახლი მემორიალით.

ჩემო კარგო ქვეყანავ,
შენ ჩემო საფიცარო,
დაკარგული საფლავის
შოთას ოთხო ფიცარო.
თავზე დაფნის გვირგვინი,
ტანზეც სუნი დაფნის გდის,
სანამ ძეგლს აუგებდე —
მოდი, კარგად დაფიქრდი!

ღ ა ღ მ ა რ თ ი

„იქნება, ბევრი რამე იქნება".

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ჰაი დედასა, რა დრო გასულა?!
რა შორეული, რა უცაბედი,
როგორ გაქრა და როგორ გასრულდა
ის ძველი ცეცხლი და კვეს-აბედი.
ჰაი დედასა, რას გპირდებოდი?!
მაგრამ მოვიდა და ჩამეკონა,
მეგონა, ცისკენ გავფრინდებოდი,
მეგონა, ბევრი რამე მეგონა.
მეგონა, სძლია ბოროტს კეთილმა, —
მეგონა, მოკვდა ღვთის დაწყევლილი,
მაგრამ უფალთან რაიც შეთვლილა —
უნდა აღსრულდეს ის დაწერილი.

ო, თითქოს ვმაგრობ, თითქოს ვვაჟკაცობ —
ცაში კამარას კრავენ ქორები,
ვეჭიდავები, მინდა დავქანცო,
მინდა დავქანცო, თუნდაც დროებით.
მაგრამ ერთმანეთს შემოვეხარჯეთ,
ჩემო მტკვარო და ჩემო არაგვო,
მოვა ვიღაცა, ენას შეგვაჩვევს,
გაგვხდის ქალაქის სალაპარაკოდ.
ჩემთვის ვტრაბახობ, ჩემთვის ვქილიკობ,
მორჩა, გათავდა, აწი რას ველი,
უკან დაბრუნდი, ჩემო ბილიკო,
მე აღარა ვარ სადმე წამსვლელი.

ჩიტებისადმი

ციურო ეშმაკუნებო,
თქვე მიწის მიამიტებო,
მივიწყებულო წყლულებო,
მივიწყებულო მითებო.
წვენით იმ ძველი მტევნების,
იმ ძველი ეშხით ვითვრები,
თქვენი ბუმბულის ტევრების
ძველი, ლამაზი მზით ვთბები.

ვახ, ენით როგორ აგიხსნათ,
რა ოქროს გითხრათ სიტყვები,
მივყვები მე თქვენს „ტალისმანს“,
თქვენი სტვენის ხმას მივყვები.

მოგონებებში ისვენებთ
ჩემი ბებერი ჩიტები,
ისევ მე თუ გაგიხსენებთ, —
ჩემს გარდა არვის სჭირდებით.

ს ი მ შ ვ ი დ ე

უწრფელეს ცათა იპოვის ალაგს,
განძლიერდება და შეიფერებს,
თავს მოაბეზრებს სოფელს და ქალაქს,
ვით უძლურება და ვით სიბერე.
ის ამაყია, ის დიდხანს ვერ ძლებს,
ის ქედს არ უხრის ახალ თარიღებს,
მწიფე მსხალივით ჰკიდია ხეზე,
ჩამოვარდება და ხმას გაიღებს.

ალთქმულ ქვეყნამდე...

ო, იქნებ კიდეც შეგმოსონ ძოწით,
დაგადგან იქნებ გვირგვინი ეკლის,
რა იცი, იღბალს ვინ როგორ მოწნის,
შენი სულისგან ვინ რა ღმერთს შექმნის.

იქნებ, სხეულზე ლერწამი გირტყან,
გაფურთხონ, რაიც ნიშნავდეს თაყვანს,
მერე იმ ძოწის გადაყრა გითხრან —
დილამდე ხალხის ისმენდე ყაყანს.

ჩამოგატარონ იქნებ კარდაკარ,
ბრალდება მტერსაც შიშის ზარს გვრიდეს,
იუდეველთა მეფეც დაგარქვან
და შუა ღამით ჯვარს გაცვან კიდეც.

ალთქმულ ქვეყნამდე — უდაბნო, ხვატი,
ადგილსა თხემის დაბრძანდი სახლად,
შენ შენი ზიდე ჯვარი და ხატი...
დიდების ღმერთი დიდება გახლავს.

შ ე უ დ ე ქ...

შენ, ვის გწამს წესი
ესე მართალმადიდებლობის,
არ უარყოფის,
აღსრულების,
არა დედლობის,
მოსულხარ ქვეყნად
ხედ ნაყოფის

და არა გვიმრად,
ხმა აღიმაღლე სანუგეშოდ,
მოყვასთა მიმართ.
განაღვიძევი რწმენა სულის
ურწმუნო კაცთა,
სცან სათნოებად სამოსელი
ეკალთა, ქაცვთა.
რაც ბუდობს შენში,
არს კეთილი და პირუთვნელი,
აღიღე ჯვარი
და შეუდექ კვალსა რუსთველის.

შენ ჩემთანა ხარ

ჩემი დიდების მეუფე შენ ხარ,
უფალი ძალთა და მაცხოვარი,
უკუნისამდე ყურს ვუგდებ შენს ხმას
და ქვეყანაზე დავალ მხცოვანი.

სასაცილოა სუყველა მტერი,
ვინც კი საჩემოდ დაგეშილია,
სულ რომ დაინგრეს ქვეყანა მთელი,
შენ ჩემთანა ხარ, არ მეშინია.

არ მეშინია, შენა ხარ ჩემთან,
ჩემი წილი მზე რაც ამოვიდა,
შემობრძანდები ტაძარში მცხეთას
სიტკბოებითა და წყალობითა.

მაგრამ მითხარი, ასე უბრალოდ
სიცოცხლე თვისი ვის გაურისკავს?
შენ დამიფარე, მაგრამ, უფალო,
არ იტყვი ვისგან? —
შინაურისგან...

ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

გაჭრილი ციდან უკითხავთ,
ვის ეშინისო სიკვდილის?
ვინცა რომ დასხდნენ ზურგითა,
ცეცხლმან შესჭამნეს იგინი.

ხოლო ვინც შეხვდა პირისპირ
და შეპყურებდა ხელებში,
მათხოვარი თუ მინისტრი
წაბრძანდნენ სამოთხეებში.

რა მზით და მთვარით გამოვთვრეთ,
რაც ღმერთმა მოგვცა, დავცალეთ,
სიცოცხლის შვილნო, სამოთხე
სიკვდილის შვილებს გვაცალეთ.

ᲑᲣᲙᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ

ვ. სიხარულიძეს

აღმართ-აღმართ ვიარე,
შენ მიხმობდი წამებულს,
ეჭვრეტდი მე შენს იარებს
ძველს და გამოღამებულს.

ცრემლებითა მოგადექ,
რომე სისხლი მოგბანო,
შენს კედელთან მომკლავდე,
ბებერო მეგობარო.

დიდო საკვირველებავ,
ლოცვით შემწყნარებელო,
უფლის თვალის შევლებავ,
ჩემო ციხევ ბებერო.

ჩაღამებულ მზით მხვდება
შენი ქვის მყუდროება,
ვახ, როგორ არ გიხდება
უღმრთო გარემოება.

ფირალების მგოსანო,
დღე გიწვიმს და ღამე თოვს.
ჩემო გვირგვინოსანო,
ჩემო სავარსკვლავეთო.

მომწონხარ, სხვანაირად
მომწონს შენი ქონგური,
მთვარე — ჩემი დაირა,
ღამე — შენი ჩონგური.

ჯოლიკას საყვედურები

ცხვარში უცხო სიტყვა მესმის,
ქართველთ შემოაკლდათ მწყემსი,
წარსულს ტყვია-წამალს ვესვრით,
ქართველთ მოეძალათ ლექსი.

ტყვიამ მკერდში გამიარა,
მეორეს ხმა ყურთან მესმის,
ცელი არა, ხარი არა,
მიწა არა, — მარტო ლექსი.

ვის მოგმართოთ, სად გეძებოთ,
ყველაფერი არის ფუჭი,
არ გვონიათ, მაგრამ, ძმებო,
საქმეს უსაშველოდ უჭირს.

ლექსი? ლექსი მე გიცოცხლეთ
რუსთველის და ფშაველისა,
მაგრამ სევდაც შვენით მგოსნებს
იმერის და ამერისა.

ხალხნო, მიწა დაგავიწყდათ, —
რა ძნელია გასამხელად,
არ გვექნება მალე მიწა
მტერთა გულზე დასაყრელად.

ცხვარში უცხოთ სიტყვა მესმის,
ქართველთ შემოაკლდათ მწყემსი,
წარსულს ტყვია-წამალს ვესვრით,
ქართველთ მოეძალათ ლექსი.

ჰამლეტ გონაშვილს

მესმის ტირილი მთებით, ხევებით,
მთები ხევებით მიგრიალებენ,
მე ველოდები, რომ იმღერებენ,
მაგრამ რატომღაც იგვიანებენ.

იგვიანებენ მოსვლას რატომღაც,
იქნებ უღელში გყვანან შებმული?
ან იქნებ შენი სევდის კატორღას
ჰყავს ბულბულები დატყვევებული?

რა მოგახსენო, ერთი კი ვიცი,
რომ ვერ მომირჩენ მკვდარი იარებს.
შენსავით ბიჭებს ელის თბილისი,
მაგრამ არ ჩანან, დაიგვიანეს.

ქვეყნის სატკივარი

რაც ვთქვით, ჩახეთქეს ხევებმა,
რაც ვთქვით, გვალვებით გადახმა,
სად არის ბედნიერება,
ნეტავი ერთხელ მანახა.

ნეტავი რა გვემღერება,
სოფელი ცოცხლად დაგვმარხავს,
ინგრევა ქვეყნიერება —
შერიგდით, ხალხნი არა ხართ?

ეშმაკის პარტნიორი

მე ვფიცავ
ყოვლად პატიოსანსა,
სახელსა წმინდას —
უზესთაესის.
არ ეკადრება
რაიც მგოსანსა,
იმას სჩადიხარ,
მაგრამ არ გესმის.
გავხარ კიდეც და
ეშმაკს არც გავხარ,
უფრო ეშმაკის

გავხარ პარტნიორს,
არცოდნა რადგან
არცოდვა გახლავს,
სანამდე გინდა
რომ ვეპატიოს?

ლექსი ეჭვიან კაცზე

ბევრი მძმობდა,
თუმცა ბევრი მღალატობდა,
შეწყალება
სჯულით ამიწონია,
მოყვრობას ნუ დამაბრალებ,
მაგრამ მტრობაც,
შენი მტრობაც
არასოდეს მქონია.
რა ვქნა, ძმაო,
ეს ცხოვრება ასე არის,
რაც ანთია,
ყველაფერი არ იწვის,
ღმერთო ჩემო,
ეჭვიანი კაცი არის,
მიუტევე,
რასაც სჩადის, არ იცის.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ

გულზე მხეთქავდა შური და ჭორი,
წყევლით გავშორდი უღელს და გუთანს,
რაღა თქმა უნდა, არ ვიყავ სწორი,
სუყველაფერი მიმქონდა გულთან.

ავწონ-დავწონე, თურმე არ ღირდა,
ქონდრის კაცუნებს რაც რისხვით ვუთხარ,
იმაიმუნეთ, რამდენიც გინდათ,
წეეთის მიმტანი აღარ ვარ გულთან.

ძველი სიმღერა

მეგობრებმა მიგვატოვეს,
მეგობრებმა დაგვკარგეს,
ჩვენი ძველი გაზაფხული
ახლებურად დაჰქარგეს.

სუყველაფერს ბედი უნდა,
ღმერთმა კარგად გამყოფოთ,
მაგრამ რა ვქნათ, ეზო-კარი
სიბერეში გავღობოთ?

რაღა ვუყოთ ძველ სიყვარულს,
ძველ ძმობას და გატანას?
ხელი როგორ გავუმართოთ
ეშმაკსა და სატანას?

ღმერთმა იცის, ვინ რას ჩემობს,
ვის მოადგა ზამთარი,
სიბერემდე სიქაჩლეო,
რა კარგაა ნათქვამი.

ო მ ი

ომი იყო,
იქით იდგნენ
ტყვიის ჯარისკაცები,
აქეთ იდგნენ
პოეტები —
ლექსის ჯარისკაცები,
ტყვიის სროლას
ასწრებდნენ და
ლექსის წერას
ვასწრებდით.

ახლა
ქრისტეს ლოცვით ვლოცავ
ჩემს დარჩენილ
ორას დღეს...
ახლა
სინანულით გავსცქერ
ჩვენს ტაძრებს და

მონასტრებს,
ახლა ვინმე რომ გაგიჟდეს,
სიტყვის თქმას ვერ
მოვასწრებთ.

ი მ ე დ ი

პატარა სოფელ სიონეთში —
ღვთიკშვენიერში,
იქ, სადაც ბულბულს
ვაზის ჯვარზე
სტვენა გაუბამს,
ზედ ლაჯანურის ხეობასთან,
პირზე ჯილეშის,
ბიძა-ძმისშვილის
შევესწარი ასეთ საუბარს...

— ეს საძოვრები ვინ მოშალა,
რომელმა ბლერომ?
ვინ შეაერთა ეს სოფლები,
ზემო და ქვემო?
რაა, საჩეხში
აღარც ძროხა,
აღარც ცხენია,
სოფელია თუ ქალაქია, —
არა გრცხვენიათ?

— ჩვენ რა უნდა ვქნათ,
რაის რა გვაქვს,
რა შეგვიძლია?
შენ გაასწორებ ამ ქვეყანას,
შამშე ბიძია?
ხვალე-ხვალეო, გვპირდებიან, —
ხვალეც აქვეა,
იმედით ვცოცხლობთ,
იმედიც ხომ
კაი საქმეა?

— მეც ჩაგერევით საუბარში,
ტყენო, ქვიშანო,
კაი საქმეა
და იმედი
ნუ მოგიშალოთ!

ბზაზე

კაცი შემხვდა, კისერზე
წისქვილის ქვა ეკიდა,
ჭმუნვა იმზირებოდა
ლანდგამდგარი ნეკნიდან.

მე მეგონა, საკუთარ
ხელით საფლავს ითხრისო;
შველა მთხოვა, მიშველე, —
ღმერთი გადაგიხდისო.

— მდოგვის მარცვლის ოდენა
რწმენა არ გაქვს, ბიძია,
აბა, როგორ გიშველო,
აბა, რა შემიძლია.

მართლა რწმენა რომ გქონდეს
მდოგვის მარცვლის ოდენა,
ციდან გეშველებოდა,
ღმერთი გაგიგონებდა. —

ვთქვი და თვალშეუდგამი
შუქი მოდგა ზეციდან,
რომ კაცს ამ ქვეყანაზე
მხოლოდ რწმენა ეზიდა.

წუთისოფლის რიყეზე,
ალგეთიდან, თემმიდან,
წისქვილის ქვა კი არა,
მხოლოდ რწმენა ეზიდა.

გმადლობთ, თვალშეუდგამო,
ციდან მობრძანებულო,
გმადლობთ, ჭეშმარიტებავ,
გმადლობთ, დროე წამებულო!

თქმული მაიაკოვსკის დაბადების დღეს

ვიღაც ვიგინდარები,
როგორც მინდვრის თაგვები,
მოდგნენ და შეესივნენ
მინდვრებს საწერ-ქაღალდის...
მოჭრეს ბასრი კბილებით
საკუთარი თარგები,
კუთხეში მიასვენეს
ხატი „ქვათა ღაღადის“.

რა აფთრები არ შეგვხვდნენ,
რა მგლები და ტურები,
ქვეყნად მაინც არიან
ჩვენზე უბედურები.

აზრის დასამცრობელად
ბალნიანი აზრები
ისე დააკანონეს,
ისე დაასასტიკეს,
რომ ეს ოინბაზები —
მოდენილნი ბაზრებით,
დახანძრული გონებით
პატივს სცემდნენ სვასტიკებს.

რა აფთრები არ შეგვხვდნენ,
რა მგლები და ტურები,
ქვეყნად მაინც არიან
ჩვენზე უბედურები.
ასახიჩრეს ტაძრები,
ასახიჩრეს ტყე-ველი,
ასახიჩრეს მამული
სიგრძითა და სიგანით,
ძმებო, დაუყოვნებლივ
არის დასაწყეველი
იმათი ტურტლიანი
დაუსჯელი სიფათი.

რა აფთრები არ შეგვხვდნენ,
რა მგლები და ტურები,
ქვეყნად მაინც არიან
ჩვენზე უბედურები.

მამულის სიყვარულში
თუმცა ღმერთი ერევა,
ახლაც ახაშხაშდება
ახირება ახვრული;
დავიჯეროთ,
ჩვენ მაინც
გვქვია ბედნიერები,
ჩვენზე უბედურია
ბოროტების მსახური.

ბ ო რ ო ტ ე ბ ა

აგერ ისიც,
წყევისა და
შეჩვენების ღირსი,
აზროვნებით ბებერი,
ერის დამბეზღებელი.

აგერ ისიც,
ხელდასხმული მაცილი,
უნამუსო გარიგების
შუაკაცზე გაცვლილი.

აგერ ისიც,
მახვილით და ცეცხლით,
ჯიბეში აქვს
ოცდაათი ვერცხლი.

ვერცხლით, ვერცხლით
მოჯილაგდა აქამდე,
უნდა, უნდა
მოისპოს და განქარდეს.

აგერ ისიც,
კაცი უვარგისი,
განიკვეთოს,
არს განკვეთის ღირსი.

ორი შუმერული ლექსი ზურაბ კიკნაძეს

I

საპოთხის მითოსი

ნეტა იმ დროს, როცა რომ
ქვეყნად გველი არ იყო,
ნეტა, იმ დროს, როცა რომ
მორიელი არ იყო.

ანლა მიწა შუმერის
ორ ქვეყანად გაიყო,
ხოლო ხალხი მორჩილი
ბოროტებამ დაიპყრო.

ხორბლის ნაცვლად ცრემლი დგას
ბელლის სიმწუხარეში...
ნეტა იმ დროს, როცა რომ
ცხვარი იდგა ფარესში.

მიწისქვეშა წყლებზე დგას
არვეს მაძოვებელი,
ახალ მთვარეს შეყმუის
პატრონმკვდარი ცერბერი.

ლოცვითა და მუდარით
ვაშლის ხეს დავუჩოქე,
სამყაროში ქვეყანას
ვერსად ნახავთ უმჯობესს!

II

დილმუნის მსარე

მიწა დილმუნისა
ჯვაოდა წმინდა,
ავი თვალი არვის
უმზერდა წყლიდან.

დილმუნში არ იყო
ქვრივი, ობოლი,
თვალი გამჭვირვალე
სულ იყო ბროლი.

გალობდა ბულბული,
გალობდა შაშვი,
კაცი არ ტიროდა —
ტიროდა ბავშვი.

მგელი არ ერჩოდა
საცოდავ ბატკანს,
არცა ეეფხვს ეძახდნენ
ზოლიან კატას.

მზე ამოდიოდა
სიუხვით ხორბლის,
დილმუნის მიწაზე
ყიოდა ორბი.

სად ხართ, მგალობლებო,
ვინ გაახარეთ,
რისთვის მიატოვეთ
დილმუნის მხარე?

ლეჟსი ხელისჩამორთმევაზე და საერთოდ ზრდილობაზე

ახლა თანამდებობა გაქვს
კოცნისა და ხვევნის,
ღმერთი ყველას იმას აძლევს,
რისიც არის ღირსი...
ერთადერთი, რაც იცოდი —
ჩამორთმევა ხელის,
დიდად ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა,
დაგვიწყნია ისიც.

არც მე, არც შენ, არც სხვას ღმერთი
ერთ დროს არ შეგვარჩენს,
ჟამი, ჟამი უმკაცრესი
გამოაჩენს ეშვებს,
დრო მოვა და უსათუოდ
შენს გამოწვდილ მარჯვენს
ვიღაც შენნაირი კაცი
ვზაში გააშეშებს.

ხუთი ლექსი ფასვლაზე

ფასვლა სჯობს...

თ-ს

ყვავილოვანი მთავრდება ველი
იქ, სადაც უნდა ამოიბორცოს,
მთელი სიცოცხლე ჩემს დღეებს ველი,
მაგრამ რატომღაც შენი დღით ვცოცხლობ.

ღმერთის სახელი ახლა ვის ახსოვს,
და თუ არ ახსოვს, არც ჰყვარებიათ,
ისე მივდივარ, ჩემო ძვირფასო,
ერთი რამე არ გამხარებია.

2. ფასვლა

ოქრო და ვერცხლი თქვენ გქონდეთ
თქვენსავე წარსაწყმედელად,
მე კიდე სუნთქვა მეკვროდეს
სიცოცხლის აღსაკვეთელად.

გიგალობ, სანტა მარია,
თავჩაქინდრული, უთქმელად;
ჩვენ ვცოცხლობთ, რაც მთავარია,
მოგვცეს ტირილის უფლება.

3. ისევ ფასვლა...

სული ხორცთან დაობდა,
ძეგლი მაინც აგიგე,
მოხდა საცოდაობა,
სიტყვაც კი ვერ გამიგე.

სანთლად ჩამოგეღვენთე,
სვეტიც ნათლის ტრიალებს,
მაინც დარჩი უღმერთოდ —
ვერ გაგაქრისტიანე.

მე მივყვები ეშელონს,
მე აქ ველარ დავრჩები:
შენ რა უნდა გეშველოს,
შენ როგორ გადარჩები?

4. სამშობლოს მთანო

მე ჩემთვის ერთი
სიტყვაც კი ვერ ვთქვი,
მაგრამ ვცხოვრობდი
იმედით ღმერთის,
მე სუყოველთვის
ვიყავი ერთი
და იგი ერთიც
ვიყავი თქვენთვის.

მორჩა, ფრთებს ვკეცავ,
მივდივარ, ფრთებს, ვშლი,
დაუვიწყარო
სამშობლოს მთანო,
თუმც სინანული
ანთია ლექსში,
თქვენს თავს ვფიცავარ,
არაფერს ვნანობ.

5. ირმას

წამო, წავიდეთ,
თუ ღმერთი გწამს,
გავშორდეთ ამათ,
წავიდეთ სვანეთს,
გინდა ლეჩხუმს,
თუ გინდა რაჭას,
წუხელ სიზმარი
ვნახე, რაღაც
მენიშნა ავად,
წამო, წავიდეთ,
იქ მთებია,
კაცი კაცს არ ჭამს.

წამო, წავიდეთ,
მარიამთან
წავიდეთ ლეჩხუმს,
სხვა რომ არ იყოს,
ქრისტესაგან
ვემახსოვრებით...
ვერ შეესწრები

უბრალმყოფნელს,
ვერც წყევლას,
ვერც ჩხუბს,
წამო, წავიდეთ
და ვიცხოვროთ
მშვიდი ცხოვრებით.

წამო, წავიდეთ,
იქ მთებია,
კაცი კაცს არ ჭამს,
გავეთიშებით,
სიყვარულსაც
დროს მოვარიდებთ.
წავიდეთ სვანეთს,
გინდა, ლეჩხუმს,
თუ. გინდა, რაჭას,
ოღონდ წავიდეთ,
გენაცვალე,
ოღონდ წავიდეთ.

თბილისისადმი

მშვენიერო, თვალები გაქვს
ღვთიშობელის — ქალწულისა,
შენი ვაზის იმედი მაქვს
ნინოს თმებით ჩაწნულისა.

კურთხეულო, გიხაროდენ,
ირგვლივ ტყენი გიშრიალებს,
ჯიშიანი პატრონები
ხეს გირგავენ ჯიშიანებს.

რაც დაგლახვრეს და გამოგწვეს
მისი საფასური არის,
ხეში — სული რუსთაველის,
ხეში — საბას სული არის.

უძველესი შენი წყლული —
მორჩენილი წყლული არის,
ხეში ვაჟას სული არის
და აკაკის სული არის.

ამაღლდი და აღორძინდი,
სიყვარული შემოგავლეთ,
ვენაცვალე შენს სიმწვანეს,
შენს აქოჩრილ შემოგარენს.

გავიხარებ, თუ სხეულზე
ჩემი ლექსიც დაგაჩნდება,
გამარჯვება შენი სულის —
არის ჩემი გამარჯვება.

საახალწლო ლექსი, მიძღვნილი ცვალინდელი დღისადმი

შენა ხარ იგი,
თაყვანს ვსცემ ვისაც,
შენ ხარ სიკეთე,
შენ ებრძვი ბოროტს,
შენ რჩები ერთი
სიცოცხლის ღირსად —
მე წამსვლელი ვარ
ბოლოს და ბოლოს.

უსჯულოება
ჩვენი შენ უწყი,
რჯულზე წასულიც
შენ უწყი მხოლოდ,
შენა ხარ ჩვენი
კენტი და ლუწი,
ქვეყანა შენი
იმედით ცხოვრობს.

განსპეტაკებულ
ფიფქებში გეძებთ,
ჭეშმარიტების
შობილი ბედით,
შენ ხარ შობის ხე,
ჩვენ შობის ხეზე
ვკიდივართ, მაგრამ
სიცილით ვკვდებით.

ჩვენ რომ ჩავუთქვით,
გვაჩვენე ის ხე,
თვალშეუდგამი

ნათელის განცდად,
განსაცდელისგან
ქვეყანა იხსენ —
მოეც მშვიდობა
ყოველთა კაცთა.

შეჰკარ უხილავ
სინათლის წრედი,
რაიც უმწიკვლოდ
ელავს და ბრწყინავს,
შეგვაწირინე
ცხვარი და მტრედი
და დაგვამშვიდე
ბრძოლასა შინა.

ვუშველოთ მიწას, სამკვიდრებელსა

„მიუწვდომელი, როგორც ედემი".

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

— უსასრულო გახლავს სიბრძნე,
სისხლო, რად დაიშრიტე?
— ვერ გასულა ბეწვის ხიდზე
დედამიწის სიმშვიდე.

— გულო, რატომ დაიფერფლე,
გულო, რატომ დაიწვი?
— ვეღარა ზის ტახტზე მეფედ
სიმშვიდე დედამიწის.

ჯერ აზრზე არმოსულნო,
ჯერ არგამეტებულნო,
სამშობლოზე ლოცულობს
გული ავადმყოფი,
თავს ზევით რომ ძალით
იგი არა გვყოფნის,
ცუდი სტუმრები ვართ
წუთის, ამა სოფლის.

ცრემლი მოდის ზამხამის,
ცრემლი მოდის მორფის,

ჩაგვფენია ხახაში
მატყუარა ტორფი,
შენ გაქვს სისხლის დულილი,
იმას კიდე — თოფი.

ბარე ასი სახელმწიფო,
დღიდან პირველყოფნის,
იბრძვის, მაგრამ ხელიდან
ვერ გააგდო თოფი,
ძალა გვაქვს და მშვიდობის
ძალა არა გვყოფნის.

მ გ ე ლ ი მ გ ე ლ ს
კ ა ც ი კ ა ც ს ე რ ჩ ი ს,
ბ ე ჭ შ ი გ ა უ ე ლ ი ა ფ ი წ ა ლ ს,
მ ი წ ა დ ა ჭ რ ი ლ ი ა ბ ე ჭ შ ი,
ვ უ შ ვ ე ლ ო თ დ ე დ ა მ ი წ ა ს.

შენ რომ ბრძოლა გგონია,
რხევა გახლავს ტანის,
ჰგავს ბალახში ბორიალს
ყვავილებით მთვრალის.

ახლა არა მორფით,
ახლა არა ღვინით,
წინააღმდეგ თოფის
ბრძოლა უნდა ტვინით.

კენჭებს ვისერით ღელიდან,
ზღვის სუნთქვა არ გვყოფნის,
ვიბრძვით, მაგრამ ხელიდან
ვერ გავაგდეთ თოფი.

ჯერ აზრზე არ მოსულნო
ნოეს კიდობანზე,
მეც თქვენსავით ვლოცულობ
ქვეყნის მშვიდობაზე.

დღეს არ არის ხალხი,
რომელსაც არ უჭირს,
არა მხოლოდ ხახით,
არა მხოლოდ კუჭით,

გაჭირვება ვიცი
უფრო უარესი,

როცა უჭირს სიცილს
და ზეიმობს გესლი.

როცა პირში ბურთი
თვალზე გადენს კურცხალს,
შენს თავს არ ეკუთვნი
და ეკუთვნი სულ სხვას.

არ ვგულისხმობ სამხარს,
გასძლებ მთლად მშიერი,
გაჭირვება გახლავთ
უფრო საშინელი...

როცა ერთის ფერი
მეორეს არ მოსწონს,
როცა მგოსანს ერის
მიუსჯიან კოცონს.

როცა კაცის ენება
იცხრილება სტრესით,
აი, გაჭირვება
უფრო უარესი.

მ გ ე ლ ი მ გ ე ლ ს,
კ ა ც ი კ ა ც ს ე რ ჩ ი ს,
ბ ე ჭ შ ი გ ა უ ვ ლ ი ა ფ ი წ ა ლ ს,
მ ი წ ა დ ა ჭ რ ი ლ ი ა ბ ე ჭ შ ი,
ვ უ შ ვ ე ლ ო თ დ ე დ ა მ ი წ ა ს.

გაწყვეტილი თოკის
სახრჩობელა ტირის,
წინააღმდეგ თოფის
ბრძოლა უნდა ტვინით.

ჩვენს თავს ვეყუდნოდეთ,
ჩვენ თავს ვეკუთვნოდეთ,
ვეკუთვნოდეთ ძმობის
დედამიწის ორდენს.

წყაროსთვალზე წმინდა
მიწის გული იწვის,
უნდა განიწმინდოს
ყოვლისაგან ბიწის.

საფლავებში ბრუნავს
რუსთველი და ბრუნო,
მშვიდი საცხოვრისი
უნდა დავიბრუნოთ.

უჭირს გრემს და ყინწვისს,
მოკვდავსა და მფარველს,
უჭირს დედამიწის
ყველა გოჯს და მტკაველს.

მიწა ავად არის.
ვისთან დაიჩივლოს,
ღმერთო, სამართალი
უნდა გაგვიჩინო.

მ გ ე ლ ი მ გ ე ლ ს,
კ ა ც ი კ ა ც ს ე რ ჩ ი ს,
ბ ე ჭ შ ი გ ა უ ვ ლ ი ა ფ ი წ ა ლ ს,
მ ი წ ა დ ა ჭ რ ი ლ ი ა ბ ე ჭ შ ი,
ვ უ შ ვ ე ლ ო თ დ ე დ ა მ ი წ ა ს.

თქვენი მზისა ვარ!

თქვენი მზისა ვარ,
თქვენი ტყისა ვარ,
თქვენი სიმართლის ხელით საწერი,
სამოთხის ხიდან ვიკვლევ მისამართს,
მისი კენწეროს ქარში ნარწევი.

მომქონდა სული დედა ფიჭვიდან,
ნათელს მიფენდა,
ტოტებს მიხრიდა,
მე უნდა მეთქვა, როგორ გიჭირდათ,
მე უნდა მეთქვა, როგორ გილხინდათ.

მე უნდა მეთქვა
ყველა, უკლებლად, —
გზა დახლართული ეკალბარდებად,
ქვეყანას შვილი როგორ უკვდება,
ქვეყანას შვილი ვით ებადება.

მე უნდა მეთქვა,
განსჯათ ყოველთა,

ცხოველმყოფელი რუსთველის ენითა,
სიტყვა გამქრალთა და საპოვნელთა,
სიმართლისათვის სიტყვა — დევნილთა.

თქვენ ქვეყანაზე ჩემით იბრძოდით,
ჩემით გიყვარდათ,
ჩემით გილხინდათ,
ერთი ნაბიჯით ვერ დაიძროდით
ვერც ქარაფიდან, ვერცა ციხიდან.

ეგ სატევარი მე ვაპრიალე,
ფხას ვუსინჯავდი
მე ამ ხელებით,
დროშები ცაში მე ვაფრიალე,
პოეტის ლექსით მე გამხნევებდით.

ზოგჯერ მგლოვიარე,
ზოგჯერ მწუხარე,
ჩემი მამულის ცოდვით ვიწოდი,
მაინც შემტევი, მაინც მქუხარე,
მაინც ამაყი სიტყვით ვიბრძოდი.

გამოვაბრწყინე და აღვავლინე
ყველა განზრახვა,
ყველა ნათელი
და თქვენი სულის ლამაზ ყვავილებს
მე დავულოცე აკვნის გამთლელი.

მე,
ცხრა მაისი მე მოვახარეთ,
ცა ვახირიმე თოფით, სიათით,
ჩემი წინაპრის ფესვიც გამხმარა.
თუ დამიშრება წყარო სიმართლის.

ჩამოდის ზეცა მზედარხეული,
რომ ახალი წლის ეშხი გვახაროს,
ოღონდ დაწყნარდეს ეს ამღვრეული
და გულდაჭრილი ჭრელი სამყარო.

ცაში ტოროლა
ამო წკრიალით
დედას შვილს ხელში ააყვანინებს,
ქართული სიტყვა მშვიდობიანი
ბროწეულივით ამაყვავილებს.

თქვენი მზისა ვარ,
თქვენი ტყისა ვარ,
თქვენი სიმართლის ხელით საწერი,
სამოთხის ხიდან ვიკვლევ მისამართს,
მისი კენწეროს ქარში ნარწევი.

* * *

აბრეშუმის ფერი იყო ცა და მიწა,
ბიჭო, გახსოვს? საკუთარ თავს
ვკითხე,
ყველაფერი, ყველაფერი დამავიწყდა,
შენს ქუჩაზე ჩავიარე იმ დღეს.

* * *

სხვა სხვისა და შენი ვიყო მონა მე,
ყველაფერი ახლოს ჰქონდეს სხვას,
შორით, შორით ვენაცვალე ორ
რამეს —
არღანსა და ზღვას.
გაუმარჯოს, ვინც სიყვარულს
მოილევს,
დაკარგულის შორით ეძებს კვალს,
ახლოს, ახლოს ვენაცვალე ორ ვინმეს —
სამშობლოს და ქალს.

სხივი მამათა

„თქვან: აღასრულა მან
თვისი ვალი".
ი ლ ი ა

ისე ვერ მღერის
იქნებ ცისკარი,
ვერ აღსდგა თავის
სიგრძე-სიგანით.
დღეს-ხვალეობით,
ყოფნა-არყოფნით,
აღსდგა ნელ-ნელა,
წელთა დაყოფით.

აღსდგა ბილიკით,
აღსდგა წყაროთი,
ჩემი და შენი
ღმერთის წყალობით,
ძველი კედლებით
და წარწერებით,
ხატზე შეფიცულ
საწყალ მძევლებით.
ვეფხვთან დაჭრილი
მოყმის ყივილით,
თამარ დედოფლის
მოდგმის ღიმილით.
მეათასედი,
იქნებ, მცირედიც,
იმისაც, რასაც
ჰქვია იმედი.
მაგრამ იმ სიტყვამ,
სიტყვამ მებრძოლმა,
ჭუჭრუტანებშიც
შეესძლო შეძრომა.
იმ სიტყვამ, რაშიც
ვეძებთ სამართალს,
ცოტა ხომ მაინც
გამოანათა.
ცოტა ხომ მაინც
გამოანათა,
დიდი მზე თუ ვერ
შემოიერთა,
ამ ნათელს ჰქვია
სხივი მამათა,
აწი თქვენ იცით,
„შვილნო ივერთა“.

შემოდგომის სანაპიროსთან

ჯანო ჯანელიძეს

ესეც გასროლა ორმოცდაათი,
იწივლა ტყვიამ ორმოცდაათმა,
საითკენ მიდის ბოლო აღმართი,
რა უნდა გითხრათ ბოლო აღმართმა?
ჩემი ტომის და ჩემი კოჰორტის
შენ ხარ პოეტი დაუთრგუნავი,
გადააჭარბა ყველა მოლოდინს
ჯიშმა და გენმა შენი გუმანის.
ქარიშხალია ჩვენი მფარველი —
გამოგზავნილი უფლის კაფია,
მწამს, სიყვარული იმერ-ამერის,
გვექნება როგორც ეპიტაფია.
მწამს, მიყუჩდება რისხვა ტკივილის,
რასაც ვერასდროს ვერ შეველიეთ
და შენი ლექსის მამლის ყივილი
კვლავ გაანათებს დილას მშვენიერს.
ახავერდებულ ზღვისპირს გილოცავ,
ჭიქით ღრუბლები გადავიარე,
გჭვრეტ შემოდგომის სანაპიროსთან
და ძველ სხეულზე გითვლი იარებს.
ხარ ვეფხვის ბრჭყალით შენაჭიდები
კოლხური ლექსის ვერდაურვებას,
შენი ჭირიმე, შენ მანდ მჭირდები
ნაბდით დაჭედილ ბედაურებთან.

ჭოპორტის გადასასვევთან

ჭოპორტის გადასახვევთან
შემოვხვდი ორფეხ სახედარს,
ვითომ ვერ ვიცან, გამხნევდა,
ვიცან თუ არა, გახევდა,

ისევ ვერ ვიცან, ამლერდა,
ხმაც მიუგავდა სახედარს,
მე ქვეით ჩავიქირქილე,
იმან ირიბად გამხედა.

ერთი ისეთი გავხედე,
მხრებს ვუტყლაშუნე სახრედა,
ჭოპორტის გადასახვევთან
თავი ეგონა ახმეტას.

სიტყვა ხელოვანზე

I

დახუნძლულო კაკლის ხევ,
ღვთივდაცულნო მუხანო,
ერთხელ უნდა განრისხდე,
უნდა დაიმქუხარო.

შენც მანდა ხარ, სიმართლევ,
მონათლულო პოეტად,
შენც მათ უღელს მიათრევ,
წყევლი ამ მყუდროებას.

შენი სული წმიდაა,
შენი ხორცი — უბიწო,
მეტი არა გინდა რა,
რწმუნება გაქვს უფლისო.

ასე, ზედამდგომელო,
რწმენით — რაც გაიცემა,
საუკუნის ჰომეროსს
ჩვენი თაყვანისცემა!

შენ ხომ სხეულს გამოცდი,
სული გაიმოძღვარე,
ყველა უმოწყალოსთვის
უნდა იყო მოწყალე.

მეოხებად ცოდვილთა,
გონით პირველწასულთა,
მკერდში ოქროს ზოდითა,
მრისხანებად აკსულთა.

იქით ჯოჯოხეთია,
ხელოვანო, შეჩერდი,
იქ ბეჭზე აქვს კეთრიანს
გენიოსის ბეჭედი.

II

იქაც უნდა შებრძანდე
(იქნებ, საღვთო ვერძად),
სანამ სული შეგძრავდეს,
სული უნდა შესძრა.

შეიწყალე ვარძიას
თამარი და შოთა,
სადაც ბევრი ღვარძლია,
იქ პურია ცოტა.

შეიწყალე ტანძიას
დიდი სულხან-საბა,
სადაც ბევრი ღვარძლია,
ვერ იშოვი შარბათს.

ჭირთათმენა ჭირთაგან,
დავანება ვანის,
დაიწვა, გაითანგა
ვნება ხელოვანის.

უნდა გასჭრას საღვთომან
დიდგორსა და შამქორს,
ელვის სამი გაკრთომა
ყველა საეშმაკოს.

რაიც დღეს არ ითქმება,
დრო ულმობლად შეცვლის,
შენ ხარ ჭეშმარიტება,
შენ ძალა ხარ ზეცის!

ვინც ცათამდე აზიდე
არსებობის აზრი,
შენ იწყები ვაზიდან
დიდ არს შენი ვაზი.

მობეზრება

მობეზრება იცის კალმახმა და წვერამ,
ბევრი ვიაზრე და თითქოს მოვიაზრე,
მომბეზრდა კაიკაცებზე წერა,
მოდი, ერთი ვსინჯო ლექსი გორილაზე.

ვეწვალე, ფურცელი მაინც ვერ დავასველე,
სად ხარ, ანგელოსო გულდამწველო,
ბოლოს მივხვდი და, ასე დავასკვენი,
ეტყობა, გორილაზე გორილამ უნდა წეროს.

გორილა გორილასი გამხდარა წერა,
თითქოს გადავწყვიტე საკითხი მარტივი,
მაგრამ თუ გორილამ არ იცის წერა?!
ისევ მე უნდა ვცე წინაპარს პატივი.

ცირკის მასხარა

გუმბათიდან ლომის შარდი
თავზე გადმოგვასხა რა,
კვლავაც ჩვენსკენ მოიჩქარის
ყვავილებით მასხარა.

ცერა-ცერით, კოჩა-კოჩით,
წვრილ მავთულზე გავიდა,
იქიდან კი, ჩოჩი-ჩოჩით,
გამოჩოჩდა გავითა.

კვლავაც ჩვენსკენ მოიჩქარის,
ისე, ოოგორ რაკეტა,
დააჯინა დორი-ჩარი
და ოჯახიც ჩაკეტა.

ყველამ თავის მილიარდი
აივანზე გაფინა,
ყელი მოიბრილიანტა
კიკლუცმა აგრაფინამ.

გრაფინია აგრაფინა
იმ მასხარას ცოლია,
უსარაფნო სარაფნითაც
გვერდით ჯერ არ სწოლია.

ხომ მასხარას ცოლი არის,
მაინც სხვისი ცოლია,
საყვარელი წონიანი
არვის აუწონია.

ჩემს სიყვარულს ვინ გაიგებს,
ახ, რომელი „პერსონა“;
დაუარა წინა რიგებს —
ჩონჩორიკი ესროლა.

ერთმა ღორმა დანარჩენი
ასი ღორი გასვარა,
გამოიტა განაჩენი,
საყვარელო მასხარა.

აწქვეყნიურ მიწის მადლი
ყელზე მადგას სამსალად,
გალოგვასხი ლომის შარდი,
საყვარელო მასხარა.

ლეგი „ბანთიადი“

კი, ყველაფერი:
ციცრის ვარსკვლავი,
დადუმებული მამადავითი,
ურჩი რაინდის
ზორბა მხარ-მკლავი
და ტურფა მხარე
რასაც ჩაგითვლის...

მდინარის ნანა,
მტკვრისა დუდუნი,
მაღლით მიმფენი
სხივი კოსმოსის —
მთაწმინდის ნისლით
შემოსუდრული,
ნიჭია
შენი დიდი მგოსნობის.

მაკრამ,
„ცა-ფირუზ,
ხმელეთ-ზურმუხტო“,
ავ სტრიქონიდან

(ეუხდაც დამლახვრო)
მე მეჩვენება,
ღმერთი გულუხვობს
დ. ყველა სიტყვას
ღმერთი გკარნახობს.

შენ სასწაული ბედის ერი ხარ

ლონდონში რუსთაველის თეატრის გამარჯვების გამო

შენ, მეოცნებე ცრემლო ლაჟვარდის,
დიახ, ლაჟვარდი შენი წილხვედრი,
სხვა ვინ მისულა ფშავში ვაჟამდის,
შენ შექსპირამდე როგორც მიხვედი.

მიდი, ჰო, ეგრე გამოღვიძებით,
შენ სასწაული ბედის ერი ხარ,
ჭექა-ქუხილის ხმას მოიძებნი,
რომ ილიასაც მისწვდეს შენი ხმა.

ნახე? ლონდონში რა ჰქმნა რუსთველმა,
ქართულმა სიტყვამ რა სთქვა ლონდონში.
ქართული ცეცხლის შემოუნთებლად
ნერვიც არა თრთის მწვანე ფოთოლში.

ძლივს ამჩნევიხარ მსოფლიო რუკას,
მაგრამ მსოფლიო ქვეყნად შეგრაცხეს,
მე ვენაცვალე შენს გამწყრალ ვულკანს —
შენი მერნების ჭიხვინს ვენაცვლე.

ვენაცვლე მე შენს მუხას და მურყვამს,
შენს კეთილშობილ გენსა და ვნებას,
ქართველ კაცს თავის მამული უყვარს,
ქართველი თავის მამულში კვდება.

შენ, მეოცნებე ცრემლო ლაჟვარდის,
დიახ, ლაჟვარდი შენი წილხვედრი,
სხვა ვინ მისულა ფშავში ვაჟამდის,
შენ შექსპირამდე როგორც მიხვედი.

შენი სიცოცხლე დრომ ვერ დაჩრდილა,
დრომ ელვარემ და გაუხუნარმა,
შენ სიყვარულმა გადაგარჩინა
და გარდასახვის დიდმა უნარმა.

ღელვა ზღვაზე

მეცხრე ტალღის სიმღერა

ყველაფერი აირია,
კარგიანა, ცუდიანა,
სივრცე ნაირ-ნაირია —
ნაღდიანა, მრუდიანა.

ფული მქონდა, გაილია
ქაღალდიან-ხურდიანა,
თაფლმა შხამი გაირია,
ბავშვი გააკუდიანა.

წალკოტიან-ყამირიან
ვწყდებით დედაბუდიანა.
ჩქერალებში ჩაივლიან
თავის ღრუბელ-გუდიანა.

მღერის ტალღა, მეცხრე ტალღა,
მღერის ცხრავე გუნდიანა.
ბერიკაცმა გააპურჭყა,
დედა ამოუტრიალა.

ზ ღ ა პ ა რ ი

ხელთ მიპყრია აზარმაცი,
ახლო მოსვლას არ დაგაცლი.
ბაზმანდი და ავგაროზი,
ავაზანში კუდი მოზვრის.

თორნი ჩემი სამამაცო
არ ჩავფერფლო, არ ჩავნაცრო,
ამაყი ვარ, ზესთამჩენი,
ლანდი დამდევს დედაჩემის;

მამამ ცეცხლი დამაბარა,
ვარ ჩემი მზის ანაბარა.
არ ვეპუე არცა მეწყერს,
გრიგალები დაცავლეწე.

ვეშაპს ცეცხლი ვაფრქვევინე,
წაიღეო, ვათქმევინე.

სამშობლოში მიმაქვს ცეცხლი,
ციდან მოდის წვიმა ვერცხლის.

ციდან მოდის ოქროს წვიმა,
მომყავს ოქროს გოგოცინა,
სასოებით ნაგებ ტაძარს
დავუყენებ კართან ცხრა ძმას.

ამერიან, იმერიან
გაიხარე, ივერია.
გამოღმა — შენ, სევდა — გაღმა,
არ მენახე ზედან დაღმა,
ცრემლო, ჩვენკენ პირი არ ქნა,
ჭირი იქა, ლხინი აქა.

ჯოკონდა

ყველაფერი ძვირფასია,
ამავე დროს მძიმეა,
სილამაზე ვინ ასწია,
თუმც ყვავილზე მცირეა.

რას არ მივედ-მოვედებით,
რა საქმეს არ ვეწევით,
როცა არ ვართ პოეტები,
ვართ უბრალო ბერწები.

რისი წევრი არა ვხდებით,
რა ძმობის და რა დროშის,
ვუმღერთ ქარებს განახლების
და ვაზროვნებთ სხვა დროში.

ჯერ სიცოცხლით ვინც დამთვრალა,
მშობელი დაიგინოს,
გაიხედე, შე ცალთვალა
პაწაწინა პინგვინო.

ყველაფერი ძვირფასია,
ამავე დროს მძიმეა,
სილამაზე ვინ ასწია,
თუმც ყვავილზე მცირეა.

ხოლო, ხოლო, მავან სხვანი,
ვინც არაგვი დააშრო,
სასახლიდან გვამასხარებს,
სენაკში მჯდომს თამაშობს.

იმან იცის თავის საქმე,
ის ერკვევა ქაოსში,
მარცხნისაკენ?
                მარჯვნისაკენ,
მაგრამ სანეტაროში.

გული რას ვერ შეელია,
რაც ვიტვირთე — რა მსჯიდა,
მარცხნივ ჩვენი ტყე-ველია,
ჩვენი მთაა მარჯვნითაც.

არც ერთი და არც მეორე,
მხოლოდ, მხოლოდ ჯოკონდა,
გუშინ ისეთ კაცს ვეომე,
მკვლელის სახე რომ ჰქონდა.

ყველაფერი ძვირფასია,
ამავე დროს მძიმეა,
სილამაზე ვინ ასწია,
თუმც ყვავილზე მცირეა.

ყოველ წამს და ჩუმად მოდის,
რასაც ელის სამყარო...
მიდი, მიდი, გაუსწორდი,
ფარ-ხმალი არ დაჰყარო.

არცა მარჯვნივ არცა მარცხნივ,
უდაბნოზე გავდივართ,
გინება მაქვს დასამარცვლი,
ტორში ვუყრი შადიმანს.

არცა მარცხნივ, არცა მარჯვნივ, –
ვინც სულს არ ვაბრჩოლებდით.
გული — გულით, მაჯა — მაჯით,
ყანა — ყაყაჩოებით.

ყველაფერი ძვირფასია,
ამავე დროს მძიმეა,

სილამაზე ვინ ასწია,
თუმც ყვავილზე მცირეა.

კურთხეულ ხარ მხოლოდ მაშინ,
როცა გმინვა-წამებით
ბრძოლის ველზე ისე დარჩი,
ვით რჩებოდნენ მამები.

იღრინება სამყარო

ალავერდი ევგენი ევტუშენკოსთან

იღრინება გაღმა ზანგი,
პრეზიდენტიც ამ დღეშია,
იღრინება ავაზაკი, —
არც სახლშია, არც ტყეშია.

იღრინება დალაქი და
ყვავილების გამყიდველი,
იღრინება ჰამაკიდან
კაცი არა, ნაღდი გველი.

იღრინება მოსამართლე,
იღრინება გამომცდელი,
მთელი დღე რომ მოსავათდე,
ერთ ცნობასაც არ მოგცემენ.

იღრინება მილიცია,
მონტიორიც იღრინება,
კაი კაცად ვინც მიცვნია —
ის მამის სულს იგინება.

იღრინება დახლიდარი,
იღრინება კარისკაცი,
ხოლო ის, ვინც მკაცრი არი,
ის ისედაც არის მკაცრი.

აგერ, ძველი „ბურგომისტრი“
ძველებურად იჭერს ქამარს,
ისე მტუქსავს, ვითომ მისი
გაჩენილი ბიჭუნა ვარ.

იღრინება მდიდარი და
ღარიბი ხომ იღრინება,
ერთადერთი იმთავიდან
ღმერთი გულში იღიმება.

განწირულო, აწ მარადის
საჩინონი აიხილე —
კაცს ღიმილს ნუ დაამადლი,
თუ კაცი ხარ, გაიღიმე.

დათვის და კაცის ამბავი

ორბელელ კაცზე გამიგონია: ალი ჰყავდაო საყვარლად ტყეში, ნადირობისას ხვდებოდა თურმე; ეფერებოდა, ეხვეწებოდა, არდაბრუნებას ესვეწებოდა, ვერც ალს მოშორდა ის ორბელელი, მაგრამ ოჯახიც ვერ მიატოვა.

ერთ მშვენიერ დღეს, სანადიროდ გასულმა ტყეში, დათვს მოკრა თვალი, თვალი მოკრა და თვალთ დაუბნელდა, ფესი გადადგა — უმალ გაშეშდა; ალის მოგზავნილმა დათვმა დატორა და დალეწილი დატოვა ტყეში.

ახლა, გვიან ღამით, ალის კივილი იკლებს თარიგონს, სტირის საყვარელს, დათვის დატორილს.

თარიგონიდან ჩამოყრიან წითელ ნაწნავებ
და ნაცრისფერი აბლაბუდებით
დაქსელილ დილას
შეულოცავენ თეთრი ჭინკები,
ავი სულები, კუდიანები
და ოჩოპინტრეს აჟრჟოლებს ტანში.
გატრუნულია დილა ფოთლებში
და ულოცავენ კუდიანები:
დალის დაპნევია მძივები,
მძივი უძოვია არჩვს,
არჩვმა მოიტეხა რქა,
და რქა დაკარგვია არჩვს,
ის რქა უპოვია კაცს,
სახლში წაუღია რქა,
რატომ წაუღია ნეტა?
ფეხი მოსტეხია კაცს.
თარიგონიდან ჩამოჰყრიან

წითელ ნაწნავებს,
მერე ხრიალით ჩამოჰყვებიან,
ცეცხლს დაანთებენ ეშმაკუნები,
თარიგონის მთას გაანათებენ
და თარიგონი, მოთხვრილი სისხლში,
უყვირის მთვარეს...
ზარდაცემული შავი დათვები
შავი ბუნაგის სითბოს სტოვებენ,
ამოიჩრიან ლაჯებში თავებს
და მიგორავენ, არავინ უწყის,
სად მიგორავენ...
დღეს ნუ შეხვდები, შავო დათვო,
იმ ფეხმოტეხილს,
მისი ეყოფა, რქა უპოვნია
არჩვის, რომელმაც
იპოვა მძივი თეთრი დალისა,
გატრუნულია დილა ფოთლებში,
კუდიანები ჰყვებიან ამბავს:
იმ ფეხმოტეხილს, უთოფოს და
არჩვის რქიანსა,
დასჯახებია შავი დათვი,
ისიც დაჭრილი....
იმ შეჩვენებულს აბურძგვნია
ტანზე ბალანი
იმ ფეხმოტეხილს დათვის ტორი
აუცდენია.
იმ ფეხმოტეხილს რქა კეფაში
უძგერებია.
და დათვი კლდიდან გადავარდნილა.
თარიგონიდან ჩამოჰყრიან
წითელ ნაწნავებს,
მერე სიცილით ჩამოჰყვებიან
და კუდიანი თეთრი ჭინკები
ლოცულობენ და ჰყვებიან ამბაეს
დათვის და კაცის.

ი მ ე დ ი

აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას ხსოვნას

სახელს ნათელს და დიადს
ქვეყნად ვერავინ მოშლის,
შენი სახელი ჰქვია
ოჯახს, „მშვიდობის“ 2-ში.
გულს სტკივა შენი წასვლა,
მაგრამ ფიქრი რომ ჩნდება,
ათასი სევდის ნაცვლად
ერთი იმედი მრჩება:
თუ ისე ცხოვრობს კაცი,
შენ რომ ცხოვრობდი კაცად,
მაშინ ეშმაკს და მაცილს
არ ედგომება არსად.
კაცი თუ ისე კვდება,
შენ რომ წახვედი ჩვენგან,
ყოფილა ნეტარება
თვითონ სიკვდილთან შებმა.
ისეთი თუ ჰყავს ყველას,
შენ რომ დასტოვე ცოლი,
შვილებს ასცდებათ წყევლა
უპირველესად ყოვლის.
ბილიკს დაადექ ცალად,
სამოთხის კარი შეხსენ,
შენი კაცობის ძალა —
დგას საქართველო ფეხზე.

ვაზის საგალობელი

წინათქმა

ნამდვილქართველნო,
ძმანო კახელნო,
ნამდვილქართველნო,
ძმანო იმერნო,
რამეთუ ერის
ხართ სასახელოდ,
საამაყოდ და
საბედნიეროდ.

შენ, ჭირნახულო
მიწავ, საჭურჭლევ,
ტაფაზე იწვის
ჰური ლაღანო,
შენი ღრუბელი,
სეტყვის, დაეჭმუჭნე,
ვენახმა შენმა
რომ იღაღანოს.

სიცოცხლევ, მყეფე,
გამიხანგრძლივდი,
იტიროს ჩვილმა
და იტიტინოს...

ისე დამწიფდი,
ისე დამძიმდი,
ქვეყნის ბელელმა
ვერ დაგიტიოს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

შენ სისხლიანი ქარიშხლებით,
მაგრამ უბიწოდ
მოგვმადლე
წმინდა სამყოფელნი,
ადგილნი წმინდა.
ოქროთხზულებით
ვის ვულოცო,
ვის დავუფიცო,
რომ შენ მოდიხარ
არა მიწით,
არამედ მზიდან.

რომ მარცვალ-მარცვალ,
მტევან-მტევან,
ჩხა-ჩხა-აკიდო,
რომ ვაზი-ვაზ და
ჭიგო — ჭიგო
ერთზრახვა ხე ხარ.
შენ ვინც გაგწირა,
ვინც გიმუხთლა
და არ დაგინდო —
ის დღეს ფხიზელი,
საკუთარსვე
ხერხემალს ხერხავს.

შემკულო სიბრძნით,
ეს სიბრძნეა
ივერთა წილად,
პირველწმიდათა
მამებში ხარ
გულით უშიშარ...
ცხრაჟამს, ცხრაძალას,
ცხრა სიყვარულს
შენ შემოგწირავ,
რამეთუ ხორცი

ხორცში ხარ და
სული სულში ხარ.

სიწმინდემ შენმა
გული მომცა
მილიონ ძმათა,
ვითარცა
შვილის სიყვარული
გულზე გეხლები.
მნახავ ცრემლიანს,
აღგზნებულსაც,
ვერ მნახავ წამხდარს,
ხოლო წამხდარი
რა ჟამს მნახო —
ნუ შემერგები.

ორბის სიჯაბუკე

აჰა, ეს ჯვარი
ძელისანი —
ტანისა შენი,
ხოლო დიდი მზის
წვენისანი —
შენი რქის წვენი.

ჯვარი დამწერე,
სანატრელო,
ვაზისა ჯვრითა,
ძმა ჰყავდეს ძმითა
საქართველოს,
მიჯრით მიჯრითა,

მრავლფეროვანო,
მრავლჟამიერ,
აკურთხე მიწა,
ქარვის მტევნებით
გადარიე,
ვინც გვირგვინს იწნავს.

მე გელოცვები
ცისგახსნიდან —
გახსნამდე ცისა,
სარწმუნოებავ,

ვინ აგსხლიტა
მამათა ღირსად?

ღირსო დედაო,
ვენახი ხარ,
შენ ღვინის ხე ხარ.
ქვე მიწაი ხარ,
მზე მაღლივ ხარ,
დგახარ თუ წევხარ.

შენ განახლებავ,
შეერთებავ
სულისა ხორცთან,
შენი ზარის ხმა
შემენთება
სიკვდილის კონცხთან.

აღვიწეოდეთ
შენი ფესვით
მარადის მზემდი,
მე შენი ფესვის
წვენი შევსვი,
ამ ლექსს რომ ვზელდი,
დაუჭნობელო,
ღამისთევით
ვრსახურებო ირგვლივ,
გარეთ მთვრალი ვარ,
არ ვითვრები
სულისა შიგნით.

ჩავისუნთქე და —
სულს ამოჰყვა
იბერთა ტანჯვა,
დაუსაბამოდ
უჟამო ხარ,
გვიხილე რაჟამს,

მოდი გარეჯით,
გურჯაანით,
მესხეთით მოდი,
მოდი იმერით,
მოდი ქართლით,
რაძეთუ ვცხონდით.

არ განვილურდეს
ერმათ წყალობით
ვაზისა მადლი,
სათნო ცხოვრებით
აწ ხარობდეს
რა ჯიშიც გადგი.

იბერთა ორბის
სიჭაბუკევ,
გვაშორე რისხვა,
შე ეერნახულო,
სიჩაუქევ,
იბერთა ხნის ხარ,

კოპალას სისხლო,
ამირანის
სისხლო ჩახჩახა,
შენ ვინც აგჩეხა,
შენს ძირშივე
მოკვდა ყაჩაღად.

გამახვილე და
გადამრიე,
და გამამწარე,
შენ ხარ ვენახი,
მრავლჟამიერ,
აჰა, დავცალე.

ვაზისა ძირში
შენივ სუფრის
„სუფრულს“ გისხამდე,
აწ და მარადის,
უკუნითი
უკუნისამდე.

ზ უ რ ა ბ!

აჯიმუშკაით ვიხილე
შენი საძვალე ვაჟური,
გულზედა ჩამოგდიოდა
შავის მიწისა ნაჟური.
გული ეკალზე დაჰკიდე,
როგორც იბერთა წესია,

ისე შეჰლებე პერანგი
ერთი არ დაგიკვნესია.
სამარეში ვერ ჩაგტიეს,
მოჰგავდი ძეხს და ელვასა,
ვით დაიტევდა საფლავი
გულს საქართველოს ხელასა.
მე შენ რომ ბიჭად გიცნობდი,
ყელს იღერებდი ყინჩადა,
ორბელის წვერზე მოგნათლეს
დაჭრილი ვეფხვის ბიჭადა.
შე ხარის რქაზე გაზრდილო,
სამშობლომ გიმადლიერა,
ჩამოვჰქმენ წყვილი სანთელი,
წასულო პირნათლიერად,
იმ შენი ვენახისასა
ველარა დაჰლეე ღვინოსა,
მოგართვი ვაზი რქაწითლის,
წარაფად დაგედინოსა.

ბ ა ბ ი ლ ო

მოიხსენ ეგ მწვანე მანდილი,
ბაბილო, მაღლარო ვენახო,
ხანდახან მომივლის წადილი...
იქნებ, ვერასოდეს ვერ განახო,
რა ეშხით იყავ მორთული,
რა გესხა, ბაბილო, ყელამდე,
ადესა თუ მუჯურეთული —
მკერდზე მარჯნებად რომ
ელავდნენ.
იმ სიოს მაგივრად ვინ დაქრის,
ვინ დაქრის ბარდებში
წყევლითა,
სად გაქრი, წამწამო მინანქრის,
სად გაქრი საკოცნელ
ცრემლითა.
წყვდიადშიც ბრილიანტს
აფრქვევდი —
მინდა ხელისგული შეგახო,
მეც ერთხელ შენსავით
გავქრები,
ბაბილო, მაღლარო ვენახო.

საკარგყმო

მუზარად-მახვილიანო,
გაშორებ შამბს და ბალახსა,
მკერდს დაგიკოცნი,
დაგწურავ,
მერე გამოვხდი არაყსა,

საკართანოსაც იტყვიან,
იტყვიან კაიყმისასა,
აქეთ, მოყვრისას შაჰფრენენ,
იქით, ჩაქოლვენ მტრისასა,
კარგ ყმას კარგ ღვინო უხდების,
ცუდას — ჟოქო და შამანი,
საწნახელ აფთიაქია, —
ღვინოა ჩვენი წამალი.

სიკვდილშიაც მომწყურდები

სამამულე რქაო ვაზის,
ირემს გავხარ ქორბუდასო,
შენ რომ მკერდზე ძუძუ გაზის,
ერთ კაიყმას მოგუდავსო.

სიკვდილშიაც მომწყურდები,
ბნელში დაგეწაფებიო,
სააქაოს მოვბრუნდები,
ვითომ, დამრჩა ტაქნებიო.

მინდისფერი პირს შემიშრე,
აგრემ უფალს გაჰხარდიო,
სამოთხეში ვინ შემიშვებს,
თორემ, იქაც გნასავდიო.

სიზმარი

საყვარელო, სანატრელო,
უძველესო, აქამდელო,
დამესიზმრა — ჭილყვავები
დაგსეოდნენ, საქართველო.

შე გოჯი-გოჯ გულმზიანო,
სატანჯო და სადარდელო,
დამესიზმრა — დაღლილ თვალებს
გაკორტნიდენ, საქართველო.

ვთქვი, ჭილყვავო, სით
ძოსულხარ,
შე საღათის საღათელო,
მარიამის წილხვედრია, —
შეიბრალე საქართველო.

ძველ პერანგში დამესიზმრე —
მოუხდელო სახადელო,
ჯვარს გაკრავდნენ ოთსივ
კუთხით
ყაჩაღები, საქართველო.

ვთქვი, საწადელს მიღწეულო,
ვახის ჯვარმა გაგამთელოს,
სიზმრად ვნახე საქართველო,
საყვარელი საქართველო.

სიზმრის ასნა

სიზმრად ჭილყვავი
გკორტნიდეს,
მტერი კვდებოდეს ტიალი,
შენ სიზმრად, იმას ცხადშია
სისხლი სდიოდეს თქრიალით.

ყაჩაღი ჯვარზე გაკრავდეს,
იარო წაღმა ხნულითა,
მ·რან-მაჩუბი აგევსოს
ბალღით და ჭირნახულითა.

ძველი პერანგი გესიზმროს —
აგავსოს ფარჩა-სტავრითა,
მამულის საკურთხეველზე
მიხვიდე მისატანითა.

ორი ცრემლიდან

მიჯაჭვული ამირანი

ლოცვა—ცით,
ნეფე — დედოფალით,
ცელი — ქვა-სალესავითა,
წასული მეზვრე — შენდობით,
აქ დარჩენილი — ხვავითა.

დღე—დღითა,
კაცი — კაცითა,
მზე — მზითა,
ხარი — ურჩითა...
ახალი წულა გაცვითა
მარანში სიარულითა.

ტაძარი — ბჭითა,
მარანი —
ამბოხითა და მაჭრითა,
თარხანავ, თარითარალი —
ძარღვში ტანინი გაჯიქდა.

მუხა —
ფესვით და კორძახით,
ერის რთველო და
მზის ლხინო,
ხოლო, ამირან მოგვძახის —
მასვით დეევების სისხლიო.

მრავალჟამიერ

შენ ჩემი თავი მოგიკვდეს,
შორიდან მოგესალამო,
შენი გენია მომკიდე,
ჩემო ცეცხლო და წალამო.

იქ, ვაჩნაძიანთ მდელობი
ვაჩნაძის ეშხით მქურდავსო,
ვიგონებ სანატრელობით
შენს „წარაფსა“ და „გუდასო“.

სათნოვ და ფრიად სურნელო,
თუმცა ფასი გაქვს ოქროსი,
შენ ძალგიძს, გაასულელო,
ბრძენი და ფილოსოფოსი.

შენ ისიც ძალგიძს, ძვირფასო,
მახვილსა სცემდნენ შენითა,
იოხუნჯო და იმასხრო
ყრმათა ქარგული ენითა.

წინაშე უსჯულოისა
შენით ვართ შიშისმგვრელები,
რაც უფრო მადლსა მოისხამ,
მით უფრო შემოგევლებით.

თუ ფხიზელი ვარ, შენითვე
ღმერთი ზღავს ასიათასად...
რაც ვერ გიმღერე, შემინდე,
შენგნით მთვრალსა და მართალსა.

დიდი ნათელი

დაღამებულა ფიქრით და სევდით
და ლურჯი ფერი წასულა ცისკენ...
ჩვენ კი ოთახში ვიჯექით, ვწერდით
და ხმას კეტავდა კედლების სისქე,
თურმე გარბოდნენ ლამაზი წლები,
ჩვენ რომ გვეგონა, გავრბოდით მზისკენ.

თეთრი ფიქრები ორთქლავენ მინებს,
მერე თითებით აწერენ ცრემლებს,

დაეშვა ფარდა შხაპუნა წვიმის
და თქარათქური გაუდით ცხენებს.
წვიმასაც მიაქვს თავისი წილი
და გვიფათურებს უამრავ ხელებს.

ხომ არ გვეძინა, რა ვუყოთ მერე,
ხომ არ ვტიროდით დაკარგულ წუთებს,
დავდიოდით და ვეძებდით ფერებს,
დაგვდევდა სევდა, ვით სულის ხუთვა,
მზისკენ მივსდევდით გაფრენილ მერნებს
და მკერდში წლების გვესმოდა სუნთქვა.

ახლა თუ გინდა, წავიდეთ მართლა,
ახლა თუ გინდა, გვიმუხთლოს ბედმაც.
შენი ჭირიმე, აუგი არ თქვა
და არ აჩვენო არავის სევდა,
შენ სხვა იყავი, შენ წერდი მართალს
და დიდი ღმერთის ნათელი გედგა.

ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო — 1961

მთებზე დახეული ქარი ფრიალებს,
ბრძოლაგამოვლილ დროშად ფრიალებს
და გამარჯვების დროშად ფრიალებს,
მე ცრემლით ვავსებ ყველა ფიალას
და ვსვამ ბრძოლების დიდ სადღეგრძელოს.
ბრძოლებს ვეკუთვნი რადგან მთლიანად
ჩემი ლექსით და ჩემი შეძლებით,
ვიპოვე, ძმაო, რასაც ვეძებდი,
მაღალი მთების ქარებს ვეძებდი...
ძველს და დახეულ ქარებს ვეძებდი...
მე ვხედავ, მთებზე ქარი ფრიალებს,
ბრძოლაგამოვლილ დროშად ფრიალებს
და გამარჯვების დროშად ფრიალებს...
ბევრი მზით ვავსებ სულის ფიალას
და ვსვამ ბრძოლების დიდ სადღეგრძელოს.

1978 წლის 31 დეკემბერი

კვლავ ერთი წელით,
შეშფოთების
კვლავ ერთი წელით,
ვუახლოვდებით
გვირგვინოსან
ვარდისფერ ლანდებს,
გვერეკებიან
ტკბილი სიტყვით,
სახრით და წნელით,
გვიფენენ ფარჩას,
სიხარულით
გვესვრიან ვარდებს.

გზას გვიკვალავენ,
გვიკაფავენ
ბარდსა და ეკალს,
ანგრევენ ღობეს,
მავთულხლართებს,
პატარა კედლებს,
ოღონდ წავიდეთ
ოღონდაც კი
წასული გვერქვას,
ოღონდაც ახლა,
რაც მოუვათ,
ჯანდაბას, შემდეგ.

და ჩვენც მივდივართ
ყვავილებით,
სიმღერით, სევდით,
მთვლემარე თოვლით,
წვიმებით და ზარების რეკვით,
ნეტა ვის რჩება, ძვირფასებო,
რასაც ჩვენ ვწერდით,
რომელი მართვე გაიხსენებს,
რომელი ლეკვი.

ოღონდაც ფრთხილად,
ძვირფასებო,
ფრთხილად ოღონდაც,
ეს დედამიწა
სხვანაირად გვიმზერს —
ბებერი,

რადგან ჩვენს შემდეგ,
დაიწყება
თქვენი გოლგოთა
და აღარავინ
არ იქნება
მიმტევებელი.

პატივი ეცით
მოკვდავთა და
მკვდარი აცხონეთ,
წარსული თქვენი
მოგონების
ჩათვალეთ ღირსად.
ჟამსა გაყრისა,
დაგვაკვირდით,
დაიმახსოვრეთ,
რა ნათელია
ჩამავალი
გვირგვინი მზისა!

მოწყვეტილი ვარსკვლავი

მეცა მწამს ქვეყნად
ვამჩენი და ბედის ვარსკვლავი,
ჩემიც იქ არის,
ერის სისხლი რომ მოწანწკარებს,
მაგრამ მე ვიცი
ჩემი ყანა, ჩემი სამკალი
და არასოდეს არ ვაწუხებ
ბედის ვარსკვლავებს.

ერთადერთს ვუთქვამ
ფიქრის ვარსკვლავს, ცას რომ მოსწყდება,
ერთადერთს ვუთქვამ
და მოწყვეტილ ვარსკვლავს ვაბარებ—
მე რასაც ვებრძვი,
ვებრძვი ჩემი დღე და მოსწრება,
გულდედლობას და მიწის ღალატს
ნუ დამაბრალებთ.

კიდევ ქართლოსი

მესიზმრება ყანა,
მგლოვიარე ერთობ,
მე შენს იავნანას
შიწაშიაც ვერ ვთმობ.

მეშინია, რა ვქნა,
შენი ძველი ლანდის,
რაც მოგართვი შაქრად—
სულ სამსალად დამდის.

გადაჩეხილ ხეთებს
ზურგში სცემდა ხეთი,
ჩვენ ვებრძოდით ღმერთებს —
იცინოდა ღმერთი.

იმ ქაოსურ ტახტებს
გაგიჟება ჯობდა,
ჩვენ ვანგრევდით საყდრებს—
ღმერთი თვისას ბჭობდა.

როცა დღესაც ვზიდავ
ცოდვილ უღელს მწირის,
ხმა მომესმის ციდან
მწუხარე და ცივი.

შენი არის სამცხით
ალგეთ-ბოლნისამდე.
ახლა მაინც დაცხრი,
მადლსა მოისხამდე.

მაინც, მაინც ვყვირი
სისხლის ბოლო წვეთით,
სანამ ცხელი ტყვიით
დამისვამდენ წერტილს.

„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“

სულ ახალი კორდია,
შრიალებენ ალვები,
დროთა ბურუსს სცოდნია
გამკრთალება ალმების.

ახლა სხვები მოდიან
და სხვებს არ ვენანებით,
ნეტა რისი დრო არის,
იქნებ გამოსალმების?

დაკოდილი ჩრდილები
თეთრი წამოსასხამით,
ხელებგამოწვდილები
წალდითა და სასხლავით.

ცუდად გვეფერებიან,
ცუდი იდუმალებით,
მაგრამ შენს წინ მთებია,
ჯერ ვერ დაევანები.

იფოთლება ედემი
მთვარეული ფოთლებით,
გარინდულა ბეთლემი
მოუთმენელ მოთმენით.

იფოთლება ედემი
სურნელების ხმაურით,
ცეცხლით, შემოქმედებით,
ჯიბრით და სიყვარულით.

სარკეში არეკლილი ფილოსოფია

სხვათა მიწა,
სხვათა წყლები,
შენი თავდავიწყება,
არ მისწვდება რასაც ხელი,
კაცის ფიქრი მისწვდება.
მზე და მთვარე არაფერი,
შენ ჩემგან რა გესწავლის,

უფრო იქით გადაფრენილს
გნახავ, თუ მოვესწარი.
ამყოლი ხარ,
დამყოლი ხარ,
რაცა ხარ და ვინცა ხარ,
იმ ღონის ხარ,
ამ ღონის ხარ,
მაინც ერთი ციცქნა ხარ.

ვით სინათლის ცოცხლობს სვეტი,
რომ იცოცხლო იმდენ ხანს,
უნდა იყო უფრო მეტი,
უფრო მეტი,
ვიდრე ხარ.

* * *

ერთი თქმა მეცა მსურდა
ორლულიანი თოფით,
როს ამოვითქვამ სულს და
წავალ მდიდარი ყოფნით,
— მე ვითომ არცა გყავდი,
ვიქცევი ისევ ბელტად,
ოღონდაც შენ აყვავდი,
მამულო, უფრო მეტად.

გეფიცები ძმობას...

ასე იყო მაშინ,
ასე არის ახლა,
მუხლში, ქედში, მხარში,
არ მიგრძენია დაღლა.
შევუხამე მინდვრებს
ჩემი რწმენის დროშა,
ოქროდ რაც ვიყიდე,
გავასაღე გროშად.
ვწონე მისხალ-მისხალ,
ყრუც ვყოფილვარ, მუნჯიც,
ლექსად ჩამომისხამს,
ფოლადი და თუჯი.
ჩემო წინათგრძნობავ,
ჩემო ატამანო,
გეფიცები ძმობას,

არაფერს არ ვნანობ,
დარდი მაინც მიმაქვს,
საქართველოს მთანო,
რასაც ვნანობ, იმას,
ვაი, როგორ ვნანობ.

ასი ათასი ქართული სიტყვა

ეს არის ჩემი მწარეც და ტკბილიც,
სხვა ეტრფის სხვათა
დროშებს და გერბებს.
მე ვადღეგრძელებ
საყვარელ თბილისს, —
ჩემს დედაქალაქს,
ჩემს ლამაზ ბებერს.

მივდივარ შორ გზას,
მიმყვება საგზლად,
დამყვება ჩუმად —
ნისლიან მხრებით...
გადავაბიჯებ მიუვალ საზღვარს,
იქაც იმისი ჩამესმის ხმები.

ასი ათასი ნათელი ფიქრი,
ასი ათასი ქართული სიტყვა...
მე ვადღეგრძელებ
მშობლიურ ჭიქით,
უფრო ლამაზი ამქვეყნად ვინ მყავს.

მე ვადღეგრძელებ
ჩემს ლამაზ ქალაქს,
მისი ულელი და ჩემი ქედი...
მის ლაჟვარდებში
დაიდგამს კარავს
ჩემი ოღბალი და ჩემი ბედი.

ეს არის ჩემი მწარეც და ტკბილიც,
სხვა ეტრფის სხვათა
დროშებს და გერბებს.
მე ვადღეგრძელებ
საყვარელ თბილისს, —
ჩემს დედაქალაქს,
ჩემს ლამაზ ბებერს.

ჩემი თბილისი

1

რუსთველის ჭადრებს,
ვერცხლისფერ ჭადრებს,
ტაშის ცემაზე გატრუნულ ჩიტებს,
ჩემი თბილისის საღამო ვანდე
და მერე გული ვერ დავიმშვიდე.

თეთრი ქარებით მომდევენ მთები
და მე ვაბიჯებ კუზიან მხრებზე,
მაღლა კი მთების გაშლილი ფრთები
ქარში დაკარგულ სიყვარულს ეძებს.

ჩემი სახლები მომდევენ უკან,
როგორც შვილები, მომდევენ ისე,
ჰგავს სიყვარული ანთებულ ვულკანს
და ქარში მთების სიმღერას ისმენს.

და სიჭაბუკე აღმართებს მისდევს
შავნაბადას და ქოროღლის მთებით
და ქორებივით გაფრენილ ხიდებს
ოქროს თბილისი უჭირავთ ფრთებით.

2

მოვდივარ შენთან და გეტოლები,
შენი ცისფერი კვამლით გაზრდილი,
დამიტრიალე სულში მორევი
და სიყვარული გამიადვილე,
მხოლოდ შენა ხარ ჩემი მომრევი —
მოდი, სიმღერის ღვარი მადინე.
გამეჯიბრე და ისე დამღალე
და შემასუნთქე მტვერი ყვავილის,
მაჩვენე სახლის ჭერი მაღალი,
მზის ცხელ თონეში გამოყვანილი,
რომ შენი მწვანე ყანის ღაღანი
მესმოდეს, როგორც ირმის ბღავილი.

მე შენს ბოლნისზე მეტი ხნისა ვარ
და შენი სული ხელთა მჭერია,
შენი მთისა ვარ,
შენი ღვთისა ვარ

და შენი მიწის შესაჭმელი ვარ...
და შენს გუმბათზე დროშად ირხევა,
რაც მე ჩაგითქვი და რაც ასრულდა.
ვენახებს უვლის, როგორც სიმღერა,
ჩემი აწმყო და ჩემი წარსული,
შენი კლიტე ვარ,
შენი ციხე ვარ
და შენი ტყე ვარ მზისკენ წასული.

3

ნუ გაამტყუნებ ჩემს წუთისოფელს,
ისევ ჯობია შორიდან გნახო,
არ შემიძლია მე შენთან ყოფნა,
მე შენ დამღალე,
ლამაზო სახლო.

ავალ და გნახავ ოქროყანიდან,
მერე ავალ და წყნეთიდან გნახავ.
რადგანაც სული ვერ აგარიდე,
რადგან სამოთხის ხესავით დგახარ.

ავაღრიალებ შინდისში არღანს,
გავიტრუნები ღამის ლოდინში,
მერე დაღლილი შორიდან გნახავ
და ჩაგიხუტებ მთვრალი ლოგინში.

4

ლამაზო ფიქრო, გუგუნებს ქარი,
და საუკუნის ცის ფერი ხურავს...
და სიმღერებით სავსეა ღარი,
რომლითაც შენი ბორბალი ბრუნავს.
ჩემი თვალები შენს თვალებს ჰგვანან,
როგორც მეტეხთან მტკვარსა ჰგავს
მტკვარი.
დიღომთან ვდგავარ,
ლილოსთან ვდგავარ,
ვარ გაგრძელება მეტეხის მხარის,
სოღანლუღთან და თელეთთან ვდგავარ,
რომ თბილი გქონდეს ფუძე და კარი.

მეძახის შენი სინათლის ღვარი,
როგორც მეუღლის მძიმე უღელი.
ვარ შენს უღელში შებმული ხარი
და გრიგალებში ქედმოუხრელი.

საწუთრო

„და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი“.
დუტუ მეგრელი

დავიბადე, ქმნეს სერობა,
სთქვეს: უდაროს საცა წვიმდეს,
ამ საწუთროს დღეგრძელობა,
იმ საწუთროს გარდაწვნიდეს.

კახ ბატონსაც შენი შურდეს,
შენი შურდეს მუხრან ბატონს,
ცოტნეს სისხლი შეისრუტე,
უმარცხო და უღალატო.

ჩემი სისხლის ნიაღვარმა
მარილი და პური მომცა,
სიტყვა სიტყვას მიახალა,
შიფეშქაშა ურითმოცა.

მოვიზარდე, მოვყვინჩილდი,
ტანი მზეზე მებრწყინება,
ღმერთო ჩემო, მოყმის მშვილდი
მიბოძეს და მერცხვინება.

ვერა, მტერს ვერ დავმორჩილდი,
ვარ გინების გამომცრელი,
არ ყოფილა ტანმორჩილი
ჩემი ფესვის დამლოცველი.

ჭაბუკი ვარ, უწრთვნელი ვარ,
თუმც წკეპლაში გაზრდილი ვარ,
სიზმარში ვარ — რუსთველი ვარ,
ცხადში — არცა ვაზირი ვარ.

ეს საწუთრო რა ყოფილა,
ცოტა მიწა მამყოფინა,
რაც მეგონა ჩემი იყო,
თურმე, ჩემი არ ყოფილა.

* * *

მკითხე, ის დღეები სადღაც გაპარული
ახლა რომ მობრძანდეს, რაიც კერპი არი,
გეტყვი: იმგვარივე,
ოღონდ, დაფარული,
ისევ ჩრდილიანი,
ისევ ეკლიანი.

ისევ სალოცავი,
ისევ ცრემლიანი,
ისევ შეცდომებით,
ისევ დაწყვეტილი,
ისევ ულმობელი,
ისევ ცილიანი,
ისევ უსიმღერო,
ისევ დაწრეტილი,
თვალებამღვრეული
ტანჯვა შინ და გარეთ,
არცა გამარგლული,
არცა დაბარული,
ზუსტად ისეთივე.
ზუსტად იმდაგვარი,
მაგრამ უჩინარი,
მაგრამ დაფარული.

იქ, მარტოობაში...

მოვდივარ სისხლით, ბნელით, სარდაფით,
მოვდივარ ბრძოლით, ვნებით, მირაჟით,
ო, შენს ჯურღმულებს, როგორც სადაფი,
დაუბნევია ვარდი შირაზის.

შორს მოსჩანს მთვარე ოქროს ზოდივით,
მთვარეც მენახა მსურდა ფრთებგაშლილს,
მოვდივარ მუნჯი, მშვიდი, ცოდვილი,
მოვდივარ, როგორც უკვდავებაში.

შენს მარტოობას ვუახლოვდები
ფარშევანგების ჭრელი დროშებით.
გაძარცულივით თუ არ ვცხონდებ,
არცა იუდას მელის გროშები.

გვირილების გზა

ისევ ირინე სხირტლაძის მოსაგონებლად

ო, რა მწვანეა ტბა ფარავნისა,
ო, რა მკვეთრია სუნი იელის,
ჩვენს შორის დარი დადგა ფარეზი
და განიერი უკაცრიელი,
აყვავებულა შენი მინდორი,
თუ სამეჯლისოდ მოუქარგიათ?
და გვირილების თეთრი სიდონი
მზის და სიკეთის უცხო თარგია.
აყვავებულან შენი კორდები,
აყვავებულა გზაზე ყველა ხე.
უფრო და უფრო გიახლოვდები,
საცაა უკვე ლოყას შეგახებ.
და თუ მომიჭრეს გზები ყვავებმა,
თუ ვერ მოვყევი შენკენ გვირილებს,
ამ გაზაფხულს და გზებს აყვავებულს
შენი სახელი ერქვას, ირინე!

ცეცხლის, ყინულის და მწუსარების დეკემბერი

I

ცხენს შევუტევ და მე მაინც მოვალ,
შევანგრევ ციხეს, იქნება თოვა,
რძლისა და ქალის იქნება გლოვა,
გენატრები თუ არ გენატრები...

ფხასისხლიანი მექნება ხმალი,
ციხის გატეხვას გაიგებს სვამლი,
ფეხზე მეცმევა ქურციკის ხამლი,
გენატრები თუ არ გენატრები...

მე გარიჟრაჟით ვიქნები მთვრალი,
შენ კი, ძლეული, ნაზი და მწყრალი,
ჩემთან იქნები ვით შუქი მთვარის,
გენატრები თუ არ გენატრები.

II

ეს ძველი ლექსი რამ გამახსენა,
რამ გამახსენა ძველი წუხილი,
ვინ აამღერა ლექსში არსენას
ხმლის ტრიალი და თოფის ქუხილი.

წვიმს და წვიმაში მცხეთა სველდება,
როგორც ნამქერი, მცხეთას ჩავუელი,
რა დრო გასულა?! მე მახსენდება
დეკემბრის ერთი დღესასწაული.

მე მახსენდება, როგორც ზღაპარი,
ბურუსში როგორ ჩანდა სხეული,
ჩვენს შორის იყო ლურჯი ნაპრალი,
ნაკადულივით მთას დაჩნეული.

მე მახსენდება, როგორც ზღაპარი,
ჩემი სხეულიც, მთას გადმომდგარი,
ასე ძლეული, ასე ჩამქრალი,
ასე სნეული და საცოდავი.

ჩვენს შორის იდგა უცხო ტაძარი,
ცეცხლის, ყინულის და მწუხარების,
დამარცხებული ბრძოლის, ხანძარის
და მთების, ზეცის მათუსალების.

არა, სამდურავს არ გეუბნები,
იმ მწუხარებით ვარ მოხიბლული,
ცარიელია გზაზე სუფრები,
ვარ იმ სუფრებზე ჯაჭვით მიბმული.

არა, სამდურავს არ გეუბნები,
მე მინდა მხოლოდ, რომ გაგახსენო,
მხოლოდ და მხოლოდ ჩემი უფლებით
შენ რომ ცოცხლობ და შენ რომ არსებობ.

ციცი, გამჭოლი დგას დეკემბერი,
სიკვდილს ებრძვიან მთებში ორბები,
ნამდვილ სიყვარულს როგორც შეპფერის,
ეკვდები, მაინც არ გემშვიდობები.

ჩარგალში

აბჯარს აცმევენ ბაჟანს,
ხანჯალს ჩარგლულა გაბანს,
ბაჟანი ჰყვება ვაჟას
დაჭრილ არწივის ამბავს.

ლებანი ლებანს არ ჰგავს,
ქოქოსი არ ჰგავს ქოქოსს,
ნისლივით მისდევს ჩარგალს
ფშაველის პატარა გოგო.

არც ბაჟანი ჰგავს ბაჟანს
არცა ჩარგალი ჩარგალს,
გაელვიძების ვაჟას,
სახეს ტორებში ჩარგავს.

ეშვიდობით

სოფიკო კახიანის ხსოვნას

ყველა აქა წევს,
ვინც რა მოიგო,
ვინც რა წააგო,
ისიც აქა წევს.
სასაფლაოდან
ვუმზერ პოლიგონს,
ვუმზერ და
ფერად ფიქრებს აქარწყლებს.

ინოლა გურგულიას

აჰა, გარდმომხსნეს,
ფერმიხდილი, თავისუფალი,
თავს მოწყენილი ყვავი დამჩხავის.

ნისლით დამთვრალის სიმღერა

ვუძღვნი ლადო ასათიანს

ვფრუტუნებ უმისამართოდ,
რკინის ლაგამს ვხრავ კართანო,
დავითვერ, ნისლმა დამათრო,
ვაი, შე ნისლით დამთვრალო.
საითაც გავიხედავდე,
დიდგორთან
თუ ბასიანთან,
არ გამყვეს ხმალი ხერთვამდე,
ოხრად მრჩებოდეს სიათა.
ზეით რო არხოს მთებია,
მზისა და მთვარის ხნის არი,
ყოილნიც აყოვდებიან,
შენი ბარის და მთისანი.
ჩავლილი გნახეს იქით ხევს,
მაღალ-მაღალი, მკრთალიო,
თორმეტი წლისამ გიკითხე,
შენ თორმეტი თვის მკვდარიო.
შიშველ ხმლით გადამეღობის,
კარგს არას მიგრძნობს ტანიო.
შენს სატირლად არ მეყოფის,
ბაზალეთურნი ტბანიო.

დათო ჯავასიშვილს

სავსებით არა,
მაგრამ მაინც ვმეორდებით,
შიშის დათრგუნვაა
ყველაზე დიდი ნიჭი კაცისა.

სიყრმის მეგობართა გახსენება

გ. კალაძეს, კ. გაბუნიას.

შენ შემწირველი გსურდა
და სიზმარივით ახდა —
პირველი იყო გულდა,
მეორე კარლო გახლდათ.

შორეულ ჩნდები ისევ,
ფერმკრთალი, როგორც მთვარე,
ნეტა მე ვიყო ღირსი,
მოვათავებდი ბარემ.

ნეტავ მესამე, ნეტავ...
მომცემდე შორით პასუხს,
ჩვენ ვიქნებოდით კენტად —
გულდა, კარლო და ჯანსუღ.

* * *

მე მესიზმრება ჩემი ცაცხვები, —
ისე მინდიხარ, როგორც მინდოდი,
სანამ არაგვის ცქერით გავძღები,
სანამ სავსე ვარ დროის კიდობნით.

ასეა, სანამ ჩემს თავს ვეკუთვნი
ჩემი ჟინით და კორიანტელით.
მერე — ბაგრატი, მერე — გეგუთი,
მერე — ბნელი და ორი სანთელი.

რვეულიდან — „გამარჯობათ, ფრანგებო!“

მღერის კაბარე, სულ მთლად შიშველი,
თავისუფლების დაღლილ სიმღერას...
მე მახსენდება თამარ იშხნელი —
მოდრიკა ყელი და მოიღერა.

მოჯადოებულ ველებს, გაძარცულს,
თვალებში უდგას სხივი წარსულის,
შენ გახსენება ჩემი არცა გსურს,
ვით სიძულვილის,—წერტილდასმულის.

მე მახსენდება თამარ იშხნელი,
გულში უსაზღვრო სევდა მიღელავს,
რა ვქნა, ძვირფასო, მე ვერ გიშველი,
თავისუფლება უყვარს სიმღერას.

ღმერთების ლოდინი

ს უ რ ა თ ი: უნუგეშო ვაჟას თავს დასდგომიან
მწუხარე ხატისდები.

ვაჟაი უსვენიათ ხატისდებს,
ცოცხალი ვაჟა უსვენიათ.
ღმერთები დღეს ელიან ხვალინდელს,
ღმერთები ვაჟას სულს ელიან.

მოზარე, წამებულო ხატისდებო,
მე რას მიცქერით, მე რა გიშველოთ...
ეგეთი ორბი აღარ გაიზრდების,
ამოღებული ხმალი იყო შიშველი.

იქეთ სიკვდილია, საით იხედები...
შენფერეები მოსდის ჭკვაშია,
იყუჩე ცოტაც, ჩვენი ქედები
ჩალისფერ მინდვრებს დროშად გაშლიან.

'იყუჩე ცოტაც, ვითომ კარგადა ხარ,
ვითომ არ მიგიღეს და გამაგდევნესა...
დევებსა ქორწილი აქვის კარგადაღმა,
ქორწილი ჩავუშალოთ დევებსა.

ვაჟაი უსვენიათ ხატისდებს,
ცოცხალი ვაჟა უსვენიათ,
ღმერთები დღეს ელიან ხვალინდელს,
ღმერთები ვაჟას სულს ელიან.

ფიქრი უბედურებაზე

უბედურება
შორეული სივრცის შვილია,
უბედურება
რაინდია თვალდაბინდული,
იქით ისა დგას,
აქეთ შენ ხარ და გეშინია,
შუაში უფალს დაუშვია
ფარდა მდიდრული.

უბედურება
არის მხოლოდ მოულოდნელი,
ვინც კი დაუხვდა
ამ დიდ სტუმარს —
ქების ღირსად ვთვლი,
ვისაც გულით სურს
გახდეს წევრი
ჩემი ორდენის,
თავიდან უნდა განემზადოს
წამებისათვის.

ჯერ სად ხარ, ძმაო,
ერთხელ მტრობას
შენც დაგწამებენ
და აღმოჩენას დაარქმევენ
იმ დაწამებას...
მე ვენაცვალე
გაჭირვებას —
ჩემს მასწავლებელს,
რამეთუ ცისკენ გზის გაკვალვა
არის წამება.

* * *

დავაგდე ჩემი მსუბუქი სევდა,
როგორც ნაბადი, ისე დავაგდე,
აჰა, ძვირფასო, სენაკში გხედავ,
რადგან მოგაგენ, უნდა გავმაგრდე.

ბალახს ვჭამდი და მზის სხივი შემყვა,
იმ სხივით გდიე კუბოს კარამდე,
რადგან შენ მაინც ყოფილხარ ქვეყნად,
ჩემი მწუხარე ღმერთი გფარავდეს.

ᲬᲣᲮᲘᲚᲘ

სალამი სევდას და მწუხარებას,
მშვიდობით, ძველო გზებო, მშვიდობით,
ვინ იცის, ახლა რას წუხს სამება,
იქნებ ჩემს ილბალს, მიწის შვილობილს?
ეს თუ ყოფნაა, პირველი მე ვარ,
თუ არყოფნაა, მე ვარ პირველი,
სამოთხით მოდის ადამ და ევა
და მოაქვთ ვნება შესაწირველი.

ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

გ.-ს

გაზაფხულია, მე შენს ხსოვნას შორიდან გავმზერ,
შეყვარებული გაზაფხული ისევ ერთგულობს,
ქუჩაში შემხვდი, შავი ღამე გემოსა ტანზე,
არ გკითხავ, ვიცი, რაც დაგატყდა, შე უბედურო.

თხოვნა

სიზმარივით ღრმა და უეცარი,
გაყინული თვალით უმეცარით,
აღმიდგინე ლანდი ბავშვობისა,
ვით ძვირფასი რამე მზითეული,
დამითვალე დღეი თვითეული
და სურვილი მომეც ლაშქრობისა.

ამიმხედრე ყანა წაქცეული,
დაპნეული მომეც მარცვლეული,
წაქცეული სახლი გამიმართე,
ჩემი იყოს გზები სისხლიანი, —
ვარდფენილი რადგან სხვისი არი,
ტაძრისაკენ გზები გამინათე.

სიცოცხლე

ნ.-ს

მეც მანდაური წყარო ვარ,
მეც დღეის ჭირი ვიაზრე,
მეც შენებრ ველი წყალობას,
გრემზე და ბეთანიაზე,
შენ წადი,
მე ვერ წამოვალ,
მე უნდა დავრჩე ჯინაზე.

სიცოცხლე

შენ დაღლილი ხარ, დაიძინე,
კრთის საფეთქელი.
მე დამავალე გაღვიძება
მივიწყებულ სამრეკლოებით.
გესმის ზარის ხმა?
რა მწარეა ეს ყველაფერი,
გამოღვიძება
თვითონ შხამზე უფრო მწარეა.
მხოლოდ სიცილი,
არცა ცრემლი, არცა მგლოვარე,
შენ რას დაირქმევ?
ადამს ერქვა უკვე ადამი.

* * *

ნეტავი რა ამღერებს
ამ წყაროს და ამ ღელეს,
ნეტავი რა აცრემლებს
ამ ველებს და ამ სერებს.
ამ წყაროს და ამ ღელეს,
ამ ველებს და ამ სერებს,
მარტოობა ამღერებს,
მარტოობა აცრემლებს.

თ ე რ გ ი

ვით საიდუმლო
საუკუნით დაფარულ მერქნის,
ჩემო ძვირფასო, შენ გიხდება
ბეწვი ანდატრის,
როგორც სიზმარში,
დარიალში ქაფქაფა თერგი
ჩემი საფლავის ქვაზე გადადის.

* * *

ო, დაწყნარდი, გულო, მღვრიე მდინარე
უდროობის მკვეთრი თანამგზავრია.
ლურჯ ნისლებში ნაზი მთები ბრწყინავენ,
ბრწყინავენ და ჩვენთვის არა სცალიათ.

სად არ იყავ, სად არ იხეტიალე,
რას არ მისწვდა შენი თვალსაწიერი.
ო, დაწყნარდი, შენი ცეცხლიც იალებს,
დანთებული შემოდგომის იელით.

გავა დრო და გავა საცოდაობაც,
კრულვით ვიტყვით მოსაგონარს კრულვითა,
თუ მისტირი შენს დაკარგულ თაობას, —
„— ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა“.

ᲬᲕᲘᲛᲐ — 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ყველაფერს აწვიმს — ხეს, სახლებს, ცხენებს,
სიზმრებსაც აწვიმს, აწვიმს ქაშუეთს,
შენ ვინ გაგითბობს გათოშილ ხელებს
ან სითბოსათვის სად მიაშურებ.

სუყველას აწვიმს, პოეტს თუ ყაჩაღს,
აწვიმთ გაზონებს, გზებს და ტერასებს,
ცალ ფეხზე დამდგარ წეროს და ყანჩას,
პირველს და მეცხრეს, მეცხრეს, მეასეს.

ყველაფერს აწვიმს, ნათელს და მირონს,
შუა ცეცხლს აწვიმს, აწვიმს მთაწმინდას,
შუა ღამეა, ის მიდის, ფრთხილობს,
გამოჰკრა ჩახმახს, მაგრამ გაწბილდა.

* * *

იქნებ იყოს მეტი ნიჭი,
მეტი მიგნება,
დაიბადოს ვინმე ბიჭი,
დაშვრეს წიგნებად.
მის წინ დიდი რუსის ჯარი
დადგეს რიგებად,
შეებრძოლოს ბოროტებას
შეურიგებლად.
რასაც ვამბობ, არქვი შური
და განქიქება —
ის, რაც იყო, არასოდეს
აღარ იქნება.

* * *

მართალია, მარტო დავრჩი,
შენ დამშორდი უმალ.
სადღაც მღერის სული ჩარჩის,
მე ვენდობი გუმანს.
უმთვაროში გამაჩერე,
როგორც ღამის მეხრე,
შენ რომ სოფელს ააშენებ,
ცალკე დაიკვეხე.

სასლში დაბრუნება

„არ ასმინო კვნესა გრიგალებს...“
ბ ა ი რ ო ნ ი

მე ვიცი, ერთხელ შეხვდება მთა მთას
და ჩუმად ვრჩები საკუთარ თავთან...
და როცა ვუსმენ მთების ლაპარაკს,
ჩემივ ტყავიდან მინდა გაპარვა.
მინდა დავტოვო ეს ძველი სახლი
და ჩემი სული — ერთგული ძაღლი,
უკან მეწევა ჩემს ძველ მაჩუბში,
იყუჩე, სულო, სულო, გაჩუმდი,
ძაღლო, გაბმულო ოქროსფერ სხივზე,
ნუ აყეფდები, ქვეყანა გვიმზერს...
გადაუფრინეს გორებს ნისლებმა,
ნისლმა არ იცის მთების გარჩევა,
გემუდარები, არ შეიძლება,
არ შეიძლება ჩემი დარჩენა...
და ჩემი სული — ერთგული ძაღლი,
უკან მეწევა დაქანცულს, დაღლილს,
იყუჩე, სულო, სულო, გაჩუმდი,
ვსვამ სადღეგრძელოს ძველი მაჩუბის.

ომის მოგონება 35 წლის შემდეგ

ვყვები, ვყვები, მართალს ვყვები,
ვყვები, როგორც ზღაპარს, —
ვით დაეღო ზამთარს ყბები,
ნამდვილ რუსულ ზამთარს.
ვყვები, ვყვები, ცალულელში
ვით შეაბეს ფური,
ვით ყოფნიდა ერთ კაცს დღეში
ასი გრამი პური.
ვყვები, ვყვები, მართალს ვყვები,
ვყვები მხოლოდ მართალს,
რომ კინაღამ გადავყევით
ლენინგრადის ზამთარს.
ხმამაღლა ვთქვი, ახალგაზრდა
გვარდიელთა ფიცით, —
რა დაჯდა და რა დაფასდა
გოჯი ჩვენი მიწის.

რომ მე, ამ დროს, მხედარიც ვარ,
სულ ათი წლის ბიჭი,
რომ დაჭრილი დედამიწის
მიტოვება მიჭირს,
ვყვები, ვყვები, წამებითაც
ვით ვერ შეგვქმნეს ყმებად,
ვით ვაგებდით გვამებისგან
ბარიკადთა წყებას.
ალარ ვფიქრობ დამთავრებას,
ვყვები, ჟინით, წყრომით,
ვყვები, მაგრამ პატარებმა
ვერ გამიგეს ომი.

ჭაბუკური ნაბიჯით

ასიათასს ითვლი,
მილიონსაც ითვლი,
წლებით ვერა, აბა,
გაგაკვირვო რითი?

სისხლიანი დროშა,
კირზის შავი ჩექმა,
მიაწვა და მორჩა —
მტერი გაიჯეგა.

ჭაბუკური ნაბიჯით
მწყობრში ჩავდგეთ,
გავითვალოთ...
შუბლით უნდა გაგლიჯო,
შუბლით უნდა გაიტანო!

ჩალისფერიც გვქონდა,
ლომის დროშაც გვქონდა,
ეუმარჯვებდით კონდახს,
საიდანაც ქროდა.

რა სიკვდილის წაბი,
რა დღეები მწარე,
რას არ მოესწარი,
რას არ შეეყარე.

ჭაბუკური ნაბიჯით
მწყობრში ჩავდგეთ,

გავითვალოთ...
შუბლით უნდა გაგლიჯო,
შუბლით უნდა გაიტანო!

ქვეყნის ოთხი დრო ხარ,
ალმატებულ რიცხვით,
მიხარია, რომ ხარ
ფოცხვერივით ფიცხი.

შენ მარადის იფრენ,
შენ უპოვარს ნახავ,
ბეჭზე ამოვტვიფრე
ყველა შენი ზრახვა.

ჭაბუკური ნაბიჯით
მწყობრში ჩავდგეთ,
გავითვალოთ...
შუბლით უნდა გაგლიჯო,
შუბლით უნდა გაიტანო!

მიხაკივით გულზე,
გულზე მაბნევია
შენსკენ გასროლილი
პაწაწინა ტყვია.

ვით მამულის კვამლი,
ვით ჭრილობა ღია,
შენი-ჩემი ხმალიც
არვის გაუყვია.

ჭაბუკური ნაბიჯით
მწყობრში ჩავდგეთ,
გავითვალოთ...
შუბლით უნდა გაგლიჯო,
შუბლით უნდა გაიტანო!

ჩუქურთმათა მჭრელო,
გვარში არ გყავს გონჯი,
გისმენს საქართველოს
მიწის ყველა გოჯი.

კვლავ ძველებურ ბუკებს,
ბუკს ჩაჰბერე ისევ,

ქვეყნის სიჭაბუკეე,
მთლად სამყარო გისმენს.

ჭაბუკური ნაბიჯით
მწყობრში ჩავდგეთ,
გავითვალოთ...
შუბლით უნდა გაგლიჯო,
შუბლით უნდა გაიტანო.

წარწერა უსასელო პირამიდაზე

დაბრმავებულა,
დამსხვრეულა
ჩემი სხეული —
საგვარეულო წელთაღრიცხვის
შავი ბაზალტით.
გაქრა სიმშვიდე,
ბრწყინვალებაც
გაქრა, წყეული,
შერჩა ვიღაცას
ჩემი ხსოვნა,
როგორც აზარტი.
მურა დათვებზე ნადირობენ
ჩემი ბერდენკით,
მკვდარი მზეებით
მილვიძებენ
ბავშვურ ოცნებებს,
ვით ფარაონის პირამიდა
მაწევს დერბენტი,
ეს ჩვენებურად
იმას ნიშნავს,
რომ ვერ მომცელეს.
გამთბარ ბალახებს
ფანტაზიის
ქარი უბერავს,
აკლდამას ჩემსას
საიდუმლო აქვს შესასვლელი,
ჩემს სარკოფაგზე
გრანიტივით წყნარი ღრუბელი
ემხრობა სიკვდილს,
თუმც შენიღბვით,
მთელი არსებით.
არქეოლოგი თუ მიხვდება

ჩემს მისამართებს,
ჩემი მზე მყოფნის,
შენი ჩრდილის
ქარიც არ მინდა,
მე ჩემს საკუთარ არსებობას
იმით ვამართლებ,
რომ შენ ანიჭებ
მნიშვნელობას
ამ პირამიდას.

ტაიგის აღმოჩენა

საკუთარ მხრებზე მეჯდა ქედანი,
გაღმა ხარობდა ფიჭვი ელდარის,
ბილიონი წლის სული აღზევდა
და რომ მეგონა, ღმერთიც დავჩრდილე,
მე, საქართველოს მთის შემხედვარემ,
მთის, ტყის, მზისა და გზის შემხედვარემ,
სხვა მთა, სხვა ტყე და სხვა ცა, სხვა მზე და
სხვა თეთრი გზები აღმოვაჩინე.

წერილი თამუნია ჩარკვიანს

ოცდასამია.
მე ვარ ნიაზე,
მივდივარ, ბამზე
ძმები მიცდიან,
ვით მენატრები,
ვერც გაიაზრებ,
თურმე უშენოდ
არ შემიძლია.
მთელი ტაიგა
შენთვის მორთულა
და სუყველა ხეს
ჰქვია თამარი,
ნიაზე, როგორც
გუბაზოულთან,
კალმახია და
ვერცხლის ჭანარი.
გამომყოლია სევდა
ძეწნების,
გამომყოლია

ვით შენი კოცნა,
რა ვქნა,
კონცერტზე ვერ დაგესწრები,
მაგრამ შორიდან
თავს ვუხრი მოცარტს.

მოხეტიალე „ცირკი“ ბორჩალოში

გამახსენდება გადამხმარი
ბორჩალოს ველი,
გამახსენდება და სიყვარულს
გემო აქვს ცეცხლის.
ორმოცი წლის წინ, რაც მე მახსოვს,
ეს იყო წელი —
ცირკის ნახერხში ამოთხვრილი
გაწვრთნილი მხეცის.
უცხო კაცებმა მოედანზე
კარავი დასცეს,
მურა დათვებთან
ბრძოლის კარავი,
მე ვუყურებდი ამ უცხო კაცებს,
თვალები ჰქონდათ ანთებული
და შემზარავი.
ატყლაშუნებდნენ მათრახებს მშვიდად,
ორი მათგანი ცხენით დაჰქროდა,
მე ის ტყლაშუნი ნერვებზე მშლიდა,
მინდვრიდან ქინძის სუნი აჰქონდა.
ორმოცი წელი გასულა უკვე,
იმ მოგონებას გემო აქვს ცეცხლის,
და ღმერთმა იცის,
ვის როდის უკბენს
ცირკის ნახერხში ამოთხვრილი
გაწვრთნილი მხეცი.

30 სექტემბერი, 45 წლის პოეტი

სალამოს მტკვარი მოწყენილი
ეგდო რიყეზე,
თითქოს თვალებით
მთხოვდა შვებას და მოწყალებას.
მინდოდა წასვლა,
გული მაინც ვერ წავიქეზე·
შენ ქარიშხალში გავდი
ქრისტეს გამოცხადებას.
იყო ტალახში
სევდიანი განწყობილება,
ორმოცდახუთი წლის ბებერი
იდგა პოეტი.
ციცხლივით ენთო
ორი მხედრის დაძმობილება,
მეტეხისა და
ამხედრებულ უდაბნოეთის.

დავიწყებული ზღაპარი

მე გავეცალე უგნურთა,
დავტოვე ჩემი სამკალი,
არის ცამეტი ჩუქურთმა,
ცამეტი ლურჯი საკანი.

მზეზე ზვირთები ბრწყინავენ
და ცრემლი ცვივა ციდან ცის,
ეს სული შესაწირავი
გუმბათზე არბის წინდაწინ.

გაფერმკრთალებულ აგვისტოს
აქვს სიცხის კაკაფონია,
სიკვდილმაც ბედზე გამისწრო,
ილბალი არც აქ მქონია.

საუბარი შვილთან

რაო? აღიტყუე? — ენა ამოიდგი?
ადრე არ ისწრაფვო,
ადრე არ აღიკარვო.
დღეს თუ ხვალ აღტყინება გამოივლის,
აღესრულე და ახლოს არ გაიკარო.

ქვითა და კირით
შეკიბული გაქვს აღსავალი,
ბაქან და ბაქან
მიდის შენი ხარისხეული.
შენ როცა გაჩნდი,
შენი წილი ქვა და სამარე
შენ უკვე დაგხვდა ღრუბელივით განრისხებული.

არც აღმატება,
არცა, შვილო, ოქროს ლაგამი,
მხოლოდ აღმართი,
ისიც, ისიც მხოლოდ ყაფარი.
შენივე რჯული —
სხვა ვერავინ მოგცემს მაგალითს,
შენივ სხეული —
შენივ სულის თავშესაფარი.

ელოდე ასე
და გჯეროდეს, მაინც ამოვა —
ოდეს საცისკროდ,
ოდეს ღამით, დღისით ოდესმე,
შენა ხარ შენი სხეულის და
თავის წყალობა,
მე კიდევ, შენთვის სიტყვა მეთქვა,
მისთვის მოგესწრე.

ითრევ მე წავალ,
მელოდება მთების ხანძარი,
მე რწმენას ჩემსას,
რა თქმა უნდა, აღარ შევიცვლი,
გადავაბრუნე
ჩემი ქვა და ჩემი არძანნი...
მოჩანს აღმართი?!
მიდი, შვილო, აბა შენ იცი!

ჩვეულებრივი სინანული, ანუ ლექსი დედაზე

თურმე ქვეყნად ყველაფერი ჭკნება,
წყნარდება და ემსგავსება ზღაპარს,
ჯვარზე მოსჩქეფს ღვთივ დაცული
ენება —
მიმსუბუქებს ჯოჯოხეთურ ჭაპანს.
უცხო ქუჩებს მარტო მივსდევ ფეხით,
შენს მოწყენას მე რა თავში ვიხლი,
მეცხრე ციდან მომივარდა მეხი
და ჭინჭილა გამიტეხა თიხის.
იქნებ, მართლა არაფრისთვის გავჩნდი,
არაფრისთვის მივსდევ მზისკენ
მერნებს,
ვენაცვალე შენს დაღალულ აჩრდილს,
ლოცვასავით შენს დაქანცულ ნერვებს.
გაძარცული ხენი დგანან თუთის,
მეჩვენები ფრთებით ნათლის წრიდან,
მე ცოდვილი შემიწყალე წუთით
და მფარველი მომივლინე წმინდა.

* *

სიმკაცრე თიბავს
საუკუნის ყველა სიმშვიდეს,
მომაგონდები
მოგონების დაღლილ ფსკერიდან.
თუმც გადაგიგდეს,
წყალი მაინც ვერ დაგიწრიტეს.
აღზევდი ისევ,
დამარცხებულ გმირებს ვერ ვიტან.

რას მოასწავებს
შენი კვდომა, შენი ღრუბელი
ანდა ფოსფორის
ყინულივით ლურჯი ციმციმი.
საფლავის ლოდზე
ჩამომსხდარან მოსაუბრენი.
გოგო და ბიჭი,
ხომ არ გტკივა მათი სიცილი?

ლაზარე

უკან დასდევდა მთელი ბაზარი,
ეზიდებოდა მორებს და ლოდებს,
ესიზმრებოდა სოფელს საზარი,
ესიზმრებოდა ლაზარე ოდებს.
გაჰქონდა დამსკდარ მიწას ზანზარი,
დააბიჯებდა ლაზარე ოდეს,
ეფერებოდა ყორეს ლაზარე,
ეფერებოდა, ვით ოქროს ზოდებს.
დაეცემოდათ დათვებს თავზარი,
მოიკიდებდა ლაზარე გოდრებს,
შეუდგებოდა აღმართს მთასავით,
მისი თმა-წვერი ეფინა კორდებს.
შემოივლიდა ახოს, ამზარას,
სუყველა ჭიუხს, სუყველა კბოდეს, —
ეს იყო მაშინ, ახლა ლაზარე
განისვენებს და სოფელი გოდებს.

ენით დაკოდილი

ტყავ-კაბას შემომეცილე,
დაუმადლებლად გიბოძე...
ღმერთს ბატკანივით შემწირე,
მე მაინც შენთვის ვილოცე.

მრავალი ჯოხი დამკარი,
კიდევ მრავალი ინდომე,
მკის დროს გამპარე ნამგალი,
ბოსტანი გამიმინდორე.

წელებზე ფეხი დავიდგი,
ცხენსაც გიჩუქე თავლაო,
წახველ და მაინც ავი თქვი, —
ავადმყოფს არ მიწამლაო.

მე რაც მომსვლია, მისთანა
სხვასაც მოუვა მარცხიო,
ეჰე, ძმობილო, სხვით არა,
ენით წახდების კაციო.

ᲒᲖᲐ

მეც მხრებზე მაწევს
ჩემი დარბაზი,
სავსე მზით, ცეცხლით,
მტრით და მოყვარით.
სულ რამდენიღაც
შემრჩა ემბაზი,
მოსავლისა და
სტუმრის მომყვანი.
დაჟანგულია
ქამარ-ხანჯალი
და სიმღერები
დახარჯულია...
და სიყვარული
ანჩხლი, არჯალი,
თუშის ყბასავით
დახანჯლულია.
წავალ, გავყვები
ჩემს გზას გასავლელს,
ლამაზს, უწმინდესს,
ჩუმს და სევდიანს,
ოღონდ ნუ იტყვი,
შენ გენაცვალე, —
ერთხელაც კი არ გავახსენდიო.

ᲯᲐᲭᲕᲐᲜᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ

გაქრნენ, წავიდნენ, აწ ნულარ შფოთავ,
დღეიდან თიბე ყვავილი სწორთა;

მცხეთასთან, რუხთან, რკონთან და წნორთან,
ჭყვიშთან, იორთან, რიონთან, წრომთან,

შევხედე, ნუკრი ძუძუსა სწოვდა,
ირემი ცვრიან ბალახსა სძოვდა.

ჰოი, რამდენი სათქმელი მქონდა,
სულში უდაბნოს ქარები ქროდა.

ვილაცა მტრობდა, ვილაცა გმობდა
და მაინც მქონდა გორდი და გორდა,

გაქრნენ, წავიდნენ, აწ ნულარ შფოთავ,
აწ დაისიზმრე ვაჟა და შოთა.

ფიქრები დროშებზე

შორით შხარა მოჩანს,
შორით უშბა მოჩანს,
ჩემი ძველი ტომის
ბრძენი ბელადები.
„ლემ“, საქართველოს დროშავ,
შორით, ათასი წლის
მიღმა მენატრები.

შორით ჩალისფერო,
შორით მინდვრისფერო,
ხმალი გავიფერო,
ზარის ხმით გიმღერო.

ახლა შენი დროშა
ალისფერი არი,
ღერბში ვაზი ჰყვავის,
ჰყვავის ლელიანი.

ჩენი მეწამულო,
შინდით შეწამლულო,
ხვალის სანუგეშო
უთხარ ქართველსაო.

ჩემო სისხლისფერო,
სისხლით ნათესაო,
რამე სანუგეშო
უთხარ ქართველსაო.
იგი შორი იყო,
შენი ახლოს არი,
შენი მომავალიც
მიყვარს აწმყოსავით.
ჩემო სისხლისფერო,
სისხლით ნათესაო,
ხვალის სანუგეშო
უთხარ ქართველსაო.

ვეფხვი, დუმილი!

„მაშა დუმილიც მიმითვალენ“...

ნიკოლოზ ბარათაშვილი

გულთამხილავო,
მიწაშია ჩემი დუმილი,
დამჯახებია შენი ზვირთი
და ვიტანჯები.
მრგვალ მაგიდასთან
„შორეულ ვეფხვს“ ამბობს ტუვიმი
და სიძულვილში ჩემი მტრები მიალაჯებენ.
შენ ვერ გაიგებ ვეფხვის ღრიალს,
იგი შორს არის,
მე კი მაღვიძებს ყოველ ღამე
მისი ღრიალი.
მშვენიერება მიბრძანდება — პატიოსანი
და სულში მრჩება მისი თოვლი, ტალახიანი.
გულთამხილავო,
სისხლი, სისხლი ვეფხვის მაღვიძებს,
შენ არც კი იცი,
ვეფხვის სისხლი რანაირია,
ის იდგა ჩემში,
მერე, დუმილს რომ ვერ გაუძლო,
აყვირდა უცებ და ძარღვებში გადაირია.
გულთამხილავო,
სისხლი, სისხლი ვეფხვის მეძახის,
შენ ვერ მიხვდები, ის ჩემშია,
ჩემში ღრიალებს.
გაქრა ღრუბელი,
მეც კაცი ვარ და არ მეძრახვის,
ჩემი დუმილი თუ ვეფხვივით გამატიალებს.

ᲒᲐᲛᲝᲦᲕᲘᲫᲔᲑᲐ

ლურჯი ყანა და ვენახი
დათვებმა გაატიალეს,
ყრუდ მიტოვებულ ფარეხში
ჯერ კიდევ ტურა ტრიალებს.

ვისაც რომ ცრემლი მოადგა,
მატყუარა და ფლიდია,
ვისაც რომ ცეცხლი ჰქონია,
სულ ვერცხლზე გაუყიდნია.

ვისაც მოყვარე ჰყოლია,
სულ ჯავრად შეუჭამია.
სადაც მდინარეს უვლია,
ახლა მდინარის ჭავლია.

წყარონი უკვდავებისა
მასხარათ წაუბილწიათ,
ვინაც დაანთო, იმ ცეცხლზე
ისევ ისინი იწვიან.

ბინულის ცივი ყელიდან
სულ ცოფი მოედინება,
უნდა ვიღონოთ, სანამდე
ქვეყანას მოეფინება.

უნდა ვიღონოთ, თორემა,
ღმერთი არ მოგვცემს წყალობას,
სად დაუბერტყავს სიკეთე
თაღლითთა მაწანწალობას.

სულამდე ვსდიოთ უგვანოს,
ბრძოლა მოიტანს შვებასა,
ვისთვის უქმნია, უფალო,
სიკეთე მოთმინებასა.

მზის სხივით გადახურული,
ახალი სახლი გვეღირსა;
აენთო ცისკრის ვარსკვლავი,
დრო არის გაღვიძებისა.

აენთო ცისკრის ვარსკვლავი,
ახალი გზებით დაჰკვესა;
ჩვენი ყანა და სამკალი
დროულად ელის მამკელსა.

ს ი მ ა ღ ლ ე

რაა სიმაღლე, რაა სიმაღლე,
სიცარიელე თუ განსაცდელი?
კვდომა,
ღვიძილი,
ცრემლი,
სილაღე,
თუ ერთი წამი უმალ საწვრთნელი.

თუ ძველი დარდი და სინანული
ფრთით მოტანილი უდარდელობის?
იქნებ სიმაღლე არის მამული —
მუდამ ბრძოლის და მუდამ ქველობის.

იქნებ სიმაღლე მეცხრე ცა არი,
მაგრამ თუ იგი იქვე მთავრდება,
მაშინ სიმაღლე მართლა რა არი,
გამოდარება თუ გაავდრება?

იქნება არის მადლის გადახდა,
მადლის, რომელიც არღუნს მიარღვევს,
იქნებ სიმაღლე ამ ცის გადაღმა
არის და იმას ჰქვია სიმაღლე?

ყოვლის მომთმენო, ყოვლის შემწეო,
იმ ძველ ტკივილებს ნუ გაშიახლებ,
უზეშთაესო და სამხედწელოვ,
შენ გეკითხები,
რაა სიმაღლე.

ყიფიანის ქალის შელოცვა

ბოროტ კაცს ლეჩხუმში კუდიანს ეძახიან.

კუდიანს ჰკიდია ზანზალაკი,
კუდუნი ჰკიდია კუდიანს,
შეწირული ცხვარი — ზვარაკი
ეს მისი ქეჩერა ქუდია.

კუდიანს ქედი აქვს ქედნისა,
კუდიანმა ცეკვა იცის გედისა,
კუდიანის ღიმილი ჰგავს დედისას,

კუდიანს, ქეჩერა ქუდიანს,
უფრთხილდით კუდიანს.

მოქნილი თხის ტყავი კუდიანს
მხრებზე აქვს, ეძახის ქეჩხოსა,
რქიანი ცხოვარი ქურდია,
სულს გპარავს და მიაქვს ჭერხოსა.

კუდიანს ქედი აქვს ქედნისა,
კუდიანმა ცეკვა იცის გედისა,
კუდიანის ხელებიც ჰგავს დედისას,
კუდიანს, ქეჩერა ქუდიანს,
უფრთხილდით კუდიანს.

გრძნეული სუყველა კაცშია,
ქვაბთა და ზანდუკთა ღმერთია,
არცა სწყურია და არც შია,
ლაბლაბოს ფლავივით თეთრია.

კუდიანს ქედი აქვს ქედნისა,
კუდიანმა ცეკვა იცის გედისა,
კუდიანის ღიმილი ჰგავს დედისას,
კუდიანს, ქეჩერა ქუდიანს,
უფრთხილდით კუდიანს.

ბ უ ლ ბ რ ი ლ ო ბ ა

ტყეთ თმები ჩამოიშალეს,
არც იხედები იქით...
არა სიბრმავის ნიშანი,
არამედ სხვაა იგი.

ტბა უძირო და პირშავი,
წყალი გგონია ჭიქით,
არა სიბრმავის ნიშანი,
არამედ სხვაა იგი.

ძმაკაცთა პირი ვიშალეს,
ვერც შეამჩნიე დინგი.
არა სიბრმავის ნიშანი,
არამედ სხვაა იგი.

ჩამოიშალნენ ქვიშანი,
ვერაფერს ხედავ ირგვლივ,
არა სიბრმავის ნიშანი,
არამედ სხვაა იგი.

გულგრილობაა, ძამიკო,
— მგელს მზერა უნდა მგლური,
ერთი ბრძენკაცის არ იყოს —
გულს საჭიროებს გული.

* * *

ნუ ჩნდები უმაღლეს სხვათა უკეთესად,
ნუ იტყვი, უმეტეს სხვათა თუ გეთესა.
თხის და ცხვრის ჯოგი გალაღდეს ლაღობით,
ლაღობა კაცისა არის ქედმაღლობის,
ღმერთმა შეარცხვინოს მხევალის მხევალი,
თუ გინდა მზითევში მიჰყავდეს ყევარი.
ახლა უნდა გითხრა ქვემორე, შეფარვით, —
ვეფხვი თუ გინახავს
ძაღლივით მყეფავი?

* * *

შენს ნებასა და ნათელს ვუგალობ,
უსილავო და თვალშეუდგამო,
ვარ მონდობილი და გევედრები.
რამეთუ სული გვმართებს ღმერთების,
ო, ნურასოდეს განმირისხდები,
სავსეა სული შავი ნისლებით.
არ გთხოვ სიცოცხლეს განგეშორები
და მომიჩრდილე მწვანე რტოები,
სიყვარულისთვის თუ ვარ დევნილი,
სასუფეველი მომეც ცრემლივით.
თუ არ მიხედე მონათ ვედრებას,
ჩაქრება სული და გამტვერდება.

ილიას სურათთან

არც სამასი ძმა
და აღარც ცხრა ძმა,
მინთხეულია
სისხლი კედელზე.
დაგვლუპა შურმა,
დაგვლუპა ღვარძლმა
და მწუხარებამ
სხვის სიკეთეზე.

ჩვენი ნამუსის
თავი და ტანი
ვინმე ქართველმა
თუ მტერს დაუთმო,
დღეიდან მაინც,
დღეიდან მაინც
შენ გაასწორე
მრუდე საწუთრო.

ვინც შემოგვრჩა

ვინც შემოგვრჩა, ხომ კაი და,
გაიყიდა ბევრი,
გაყიდულთა (მომკალი და)
არის მთელი ტევრი.

ვინც შემოგვრჩა, მოსდგამს ეშხი,
კაცია და მისთვის,
ჩვენ სიკვდილის მოსახვევშიც
სიყვარული გვიცდის.

ვინ ცოცხლობს და ვინ არსებობს,
ვინ ფეხის მტვერს კოცნის,
სული მხნეა, ძვირფასებო,
უძლურია ხორცი.

გაზაფხული

მე ვურეკავ ჭანტურიას,
— გამარჯობა,
მომილოცავს გაზაფხული, ტარიკ!
ახლა იქით, მცხეთისაკენ არა ჯობდა?
— მცხეთისაკენ?
კი ბატონო, არის.

ყველაფერი, ყველაფერი ქართულია,
მიგვაქროლებს მცხეთისაკენ „ვოლგა“,
ვეუბნები:
— ტარიელა ჭანტურია,
აი, ეს მთა პირამიდას ხომ გავს?

ტარიელი უცებ, უცებ გაბრწყინდება,
— მაი რაა,
მე შენ გეტყვი მთავარს,
საქართველოს პირამიდა არ
სჭირდება,
საქართველოს პირამიდა მთაა.

შენ იცოცხლე, საქართველო,
ღმერთის ძალით,
ჩვენ ორთავემ ვიცით შენი ყადრი,
სვეტიცხოველს გადმოჰყურებს
მცხეთის ჯვარი
და მიწაზე სათნოება დადის.

ნახევარი

ქართვლის მთებზე არწივივით ვიფრინე,
ფრთით ვკვესავდი, გიმარჯვებდი ნაპერწკალს,
წკვარამიდან გაყვანა დაგიპირე,
იმ ნაპერწკლით ორივე ფრთა დამეწვა.

ფრთადამწვარი საბუდარში დავეშვი,
პერანგს ვიხდი, ნისლით ნაქსოვს შენმიერს,
ახლა ვზივარ მიწის სიმწუხარეში,
უცხო ფრინველს ველოდები მშვენიერს.

ახლა ცაზე ნახევარი მთვარეა,
ნახევარი თეთრიც გამომერია,
გააჩნია რისი ნახევარია,
საუკუნის ნახევარი ბევრია.

* * *

შენი უნიჭობა შემიყვარდა,
შენი აზროვნება ქვის ხანის,
ერთი სასაცილო ლექსის გარდა,
რა დაგიწერია, მითხარი.

შენ რომ ჯოჯოხეთმა გიჩურჩულა,
შენ რომ სისულელეს გულში ეტრფი, —
ყური მომიწიე — ბრიყუჩუნა.
იმ ლექსის სათაურს ყურში გეტყვი.

ანნა შოსტაკი

> იგი ეული, ამ თხუთმეტი წლის წინათ კარზე მოგვადგა და მას მერე ჩვენთან ცხოვრობდა, როგორც ოჯახის წევრი და დიასახლისი.

ესეც მისი კონდაკი,
წირვა, ვით მოფერება,
გარდიცვალა შოსტაკი,
ანნა ტიმოფეევნა.

ანნა ტიმოფეევნა,
ქალსატონი ანნა,
ღმერთმა იცის, გვიან თუ
ადრე წაგიყვანა.

წვალებით დაბნეულო,
ტყვიებით დაკოცნილო,
მარტოსულო, ეულო,
სიკვდილისთვის მოცლილო.

არ გყოლია სტუმარი,
არცა ვინმე მოხარე,
გედო თავსასთუმალთან
საყვარელი „კობზარი“.

თელგამს გამოქცეულო,
ილბალთან საქორწინოდ,
მარტოსულო, ეულო,
სიკვდილისთვის მოცლილო.

დგახარ ცისფერ ტაძართან,
ჟღერს დაფი და ებანი,
მიუტევენ და-ძმათა
ძველი შეცოდებანი.

მოგვანდე სამარემდის
აღსრულება სურვილთა...
ნეტარ იყვნენ მარადის
მ.ლოვარენი სულითა.

ერთი მშენებლის ექსპერიმენტული ტირილი

როცა ვიხსენებ,
ახლაც მომდის
ელეთ-მელეთი,
სახლი ავაგე
და შევყარე
მთელი ხმელეთი.

დაინგრა სახლი,
ჩამეშალა ექსპერიმენტი.
ქუჩაში ყრია
უსახლკარო
ხალხი მილეთის.

ნეტა მეყიდნა
ლატარიის
ერთი ბილეთი,
იქნებ იქ მაინც
გამმართლოდა
ექსპერიმენტი.

ბ ე დ ი

შენ ვისაც მტრობ, გაიხაროს,
რადგან ნაღდი მტერი ხარ,
მტერს რომ ეტყვი — კაი ხარო,
სადღა არის, ერიჰაა...

ხომ ვერ იტყვი, ხალხის ტევრში
ცუდი კაცი გვაკლია?
მაგრამ ბედი არ გვაქვს, მტრებშიც —
ყველა ლაწირაკია.

ორი ლექსი ლადო გუდიაშვილის ნახატების მიხედვით

სახლის პატრონი

კაცუნიები ქონდრის
მოჰკიდებიან სახნისს,
უპყრიათ ოქროს ზოდი, —
ძალაუფლება დახლის.

წვიმა იღბლისა მოდის,
ბედი კიდენა — ძაღლის,
არავინ იცის, როდის
მოვა პატრონი სახლის.

სიმაღლე

მიწაზე, სად ქაცვია,
საყდარი დგას მზის სხივთა,
სამოსელი აცვიათ
შებღალული სისხლითა.

ბელადი იმ საყდრისა
ჯალათი და მკვლელია,
რომლის ხელით კარებზე
მაცილს წაუწერია:

ღმერთმა დილა გვაღირსა,
ვით სამოთხის მაღნარი,
მსგავსი არა მაღლისა —
უნდა იყო მაღალი.

სიასლე, ანუ გარდაქმნა

ჟური უგდე!
ღმერთი გესაუბრება:
მომავალში
უქმად რომ არ იწვალო, —
ჩამოერთვათ მსტოვრებს
მსტოვრის უფლება,
პროფესია უნდა გამოიცვალო.

არაფერი დამრჩენია

წუთისოფლის საყდრის ფასადს
ჩუქურთმა ვერ მივუმატე.
მერე სიტყვა სისხლის ფასად
მივუგდე და მივუმადლე.

ღმერთო ჩემო, რას ვჩემობდი,
ისიც შენი სარჩენია,
მეგონა, რომ დამრჩებოდა,
არაფერი დამრჩენია.

ა ნ ა ნ უ რ ი

ძმავ ანანურო,
უნდა გიძმო,
უნდა გიტირო.
ჩემო გუმბათო,
ჩემო ციხევ,
ჩემო ქვითკირო.
ჩასული მთვარის
ბებერო და
თეთრო გვირგვინო,
წყალობით შენით
მტერმა მიწა,
ვერ შემიგინოს.
არაგვის პირნო,
ღრუბლებივით
მოყრილ-მიყრილნო,
მზემ მამალივით
კიდევ ერთხელ
უნდა იყივლოს.

(,ხენს მოვაძოვებ,
ერთ ჭელ კიდევ
გადავკრავ ღვინოს,
რომ ეგ წუხილი
ღრუბელივით
დაგაკარგვინო.

ᲛᲣᲖᲘᲡᲐᲓᲛᲘ

შენ გეუბნები,
მილიონი წლის ცის კიდურო,
ასიათასჯერ წამებულო
და გაყიდულო.

სულის აღძვრა ხარ
სიკეთეს და სიავეს ზედა,
შემქმნელი შენი
კვალში იდგა, აყალოს ზელდა.

მეშვიდე ცაზე ვაშლებივით
კრეფდა ვარსკვლავებს,
ვარსკვლავებს კრეფდა
და ვარსკვლავებს არ გააკარეს.

რადგან ესმოდა ცოდვილთა და
განსაწმედელთა,
ის დასახვრეტი ყმაწვილივით
დადგა კედელთან.

ხოლო მაცილიც იქვე იდგა,
იდგა მხეცივით,
თუმცა მუზაზე მიმზიდველი
და დახვეწილი.

ასე მოდიან საუკუნის
ბალდახინები,
ჩვენც უკან მოვსდევთ
მწუხარე და თავდახრილები.

იჩქითად გვიმზერს საუკუნე
ვნებადაცლილი,
და პოეზიას სულში უზის
ასი მაცილი.

* * *

ჩვენ ჩვენს წიგნებს ჯანდაბაში გადავყრით
ოღონდ შვილმა კარი შეხსნას მუზათა,
არც ფშაველას, არც წერეთელს აკაკის,
ამ მხრივ არ გაუმართლა.

ყველა ლექსი უცებ გაგვიწირია,
ოღონდ შვილმა თქვას ბაგეთა მდუმართა,
არცა საბას, არც შუბლნათელ ილიას,
ამ მხრივ არ გაუმართლა.

ჩვენ, ღატაკნი, და ჩვენ არასმფლობელნი,
გავივლით და ეკლიან გზებს შევარცხვენთ.
ღმერთის შვილი არის საწყალობელი,
თუ წმინდანად მაინც აღარ შერაცხენ.

მორჩა აღმართი

მიყრუებული გულის ჭირი აჩალულია,
არ ჩაუვლია
ჩემს სიცოცხლეს შფოთვის გარეშე,
შფოთვის გარეშე
არცა სიკვდილს არ ჩაუვლია,
მორჩა აღმართი,
ახლა უნდა თავქვე დავეშვა.

ვინღა უცქიროს
საქართველოს ტაბლას წმინდასა?
ახლა ვინ დავსვათ
თამადად და სოფლის მომღერლად?
შეშფოთებულთა საწყნარებლად
ახლა ვინ დავსვათ?
ვის დავავალოთ
უჩინარი კედლის მორღვევა?

მორჩა აღმართი,
ახლა უნდა თავქვე დავეშვა,
აქეე დამიშრა
ტბა გიშრისა ღვთით ნაბოძები,
ჩემი ცრემლების ლურჯი წყაროც
აქეე დამიშრა,
ჩაკეტილია კარი ყველა ხმის გამომცემის.
მორჩა აღმართი.
რა ვიღონოთ,
მორჩა აღმართი,
დროთა ღაღადი
იყო ჩვენი შფოთვა სულისა,

ის,
ვინც სიცოცხლე მოიხადა,
როგორც სახადი,
გასწირა ღმერთმა,
თვალი მისცა
და დაუნისლა.

მორჩა აღმართი,
გულის ჭირი აჩალულია,
არ ჩაუვლია
ჩემს სიცოცხლეს შფოთვის გარეშე,
შფოთვის გარეშე
არცა სიკვდილს არ ჩაუვლია,
მორჩა აღმართი,
ახლა უნდა თავქვე დავეშვა.

თავუნიას

თუ მერგო წილად კვალის გაყვანა
და არ ვიქენი ბედს მიგდებული,
არ გადარჩენია ქვეყნის ყაყანმა
ტანჯვას და ოღბალს შერიგებული.

თუ გავხდი ღირსი შენი მშვენების,
შენი სიცოცხლის,
შენი ნათელის,
ქვეყნად სუყველა მსტოვარს შევები
და პირში ვუთხარ სუყველაფერი.

თუ ჩემი ხატი მე გამოვჭედე,
მე გამოვჭედე და გავამხილე,
თუ ჩემი სისხლის
ყველა უჯრედი
მხოლოდ ბრძოლებით მექნა დაღლილი.

სულ ფეხზე დგომას თუ გავუძელი,
თუ დავადევნე ეშმას მაცილი,
თუ გავამზევე ჩემი ყურძენი
და კვლავ შევავსე
ჭიქა დაცლილი, —

გაიფანტება ღრუბელთა სისქე,
შენ დაგინახავ, ჩემო ღვთაებავ,
შენი თვალებით შევხედავ ცისკარს,
მერე გაუწყებ შემოღამებას.

პოემები

ტკივილის დასაწყისი

I

უკან რა გაქვს დასახევი,
მტერმაც იცის ვინცა ხარ,
თავსაფარში გასახვევი
ერთი პეშვი მიწა ხარ.

ღარიბარ ხანჯალჩაგებული,
ცარიელი ჭურებით,
ეზომოფარდაგებული
მზისფერ ჭრელაჭრულებით.

ყველაფერი გაიტანეს,
ყველაფერი წაგვართვეს,
ქრისტეს რწმენა გაგვითვალეს,
დაგვამსგავსეს წარმართებს.

მაგრამ როგორ დაბრმავდები,
ისე როგორ წახდები,
ყვარლის მზეში დაბადებულს
წიწამურთან დახვდები.

ეშმაკი გყავს შეჩენილი
მთა-ბარში და ტყე-ველში,
მაგრამ ღმერთი გელოდება
ღმერთის სასუფეველში.

მოსასხამი გშვენის ღამის,
ხელში მთვარე გჭერია,
გაღმა ხარირემი ბღავის,
ნეტა ვისი ჯერია?

ნეტარ იყვნენ მგლოვარენი,
ხოლო ვნებადამცხრალებს
კაცის პატივისცემა და
არა კაც-ჰკლა ასწავლე.

II

ავსებულა თვალის უპე,
ცაზე ცრემლი დაგვაქვს
ღრუბლით,
რა თქმა უნდა, დავიღუპეთ,
ცრემლი დაგვდის ღაპაღუპით.

III

არა მხოლოდ ობლები,
არა მხოლოდ მარტონი,
ჩვენ ვართ დაუნდობლები, —
შენ ხარ ჩემი ბატონი.

იმე, რავა გეკადრებათ,
არა, შენ გენაცვალე,
მხოლოდ ისე, რავარც სხვებმა,
რავარც სხვებმა დაცალეს..

აპა, რას მოდიოდი,
აპა, რას ირჯებოდი,
ძამა, თუ არ შეგეძლო,
სუფრაზე რას ჯდებოდი?

IV

ავსებულა თვალის უპე,
ცაზეც ცრემლი დაგვაქვს
ღრუბლით,

რა თქმა უნდა, დავიღუპეთ,
ცრემლი დაგვდის ღაპაღუპით.

V

ქართველმა მოჰკლა
ქართველი,
გაუყარა და წავიდა,
გადაკარგულა ნათელი
ველიდან, გადამწვარიდან.

ნუ გეშინია, სომეხო,
რუსო, დაინთე სანთელი,
ბოლომდე უნდა მოგემხროთ, —
მხოლოდ ქართველს კლავს
ქართველი.

ძმებო, დაანთეთ სანთელი,
ღმერთს ლოცვა ესმას ალალი,
თავს ნუ იტყუებთ, ქართველი
თქვენი მომკველელი არ არი.

VI

ღმერთო, ღმერთო, სად
წაიყვან,
ვინც რომ დაუნდობელია?
— იქეთ, იქეთ, სად ლეშია —
სად ყორნები გროვდებიან.
მაინც, მაინც ვკითხოთ
გამჩენს —
ღმერთო, რაი გადაგვარჩენს,
თუ უკუნი დაგვჩრდილავს?
— თქვენ, არ ვიცი, ისე, კაცი
რწმენამ გადაარჩინა.

VII

არც უფროსი, არც უმცროსი,
არცა სამართალია,
დადიან და იცინიან,
მაგრამ ავად არიან.

ვირზე ჯდომა გამიგია,
გამიგია ტყემალზეც,
ნემსზე ჯდომა?
საშინელი,
საშინელი ყველაზე.

შენ გგონია მთვრალი არის,
განა მართლა მთვრალია,
ჯანმრთელები არიან და
მაინც ავად არიან.
გვერდზე გადექ, ხმა არ გასცე,
რადგან ჩვენი ბრალია.
განა მართლა თავკვერით და
წარაფებით მთვრალია,
განა მართლა საქართველოს
სიყვარულით მთვრალია,
გვერდზე გადექ, ხმა არ გასცე,
რადგან შხამი დალია,
რადგან, რადგან ყველაფერი
მხოლოდ ჩვენი ბრალია.

VIII

ავსებულა თვალის უპე,
ცაზეც ცრემლი დაგვაქვს
ღრუბლით,
რა თქმა უნდა, დავიღუპეთ,
ცრემლი დაგვდის ღაპაღუპით.

IX

დუღს ქართული მიწის
სისხლი,
ის დუღს, რაიც შემოგვრჩა,
წმინდა მარიამის ღირსი —
აღმოსავლით მზე მოჩანს.

კეისარსა კეისრისა,
ღმერთს მიეცით ღმერთისა,
შიგნით ტეხენ გორის ციხეს,
შიგნით ტეხენ ხერთვისსა.

არ არსებობს არც მოძღვარი,
არცა მამა ტაძრისა,

არცა მშობლის სიყვარული,
არცა კიდე და-ძმისა.

ვაი, ჩემო საქართველო,
ვისი შემხედვარე ხარ,
ნამზევი და ნამთვარევი,
როგორ გავხარ ნამეხარს.

X

მაინც იმედს არა ვკარგავ,
სულ მთლად არ ვითოშები,
აქეთ, აქეთ, ჯეელებო,
სამფეროვან დროშებით.

აქეთ, აქეთ, ჯანმრთელებო, —
ბრდღვინავს ერის ვულკანი, —
საქართველოს არ სჭირდება
მაწანწალა წუნკალი.

აქეთ, ვინც კი იცის ფასი
თავის მამა-პაპისა, —
ვისაც ბედი არ ჰქონია,
არც გვირგვინი დაფნისა.

ვისაც ჰქონდა ბორკილი და
ვისაც ჰქონდა გალია,
ვინც ციმბირში, თუ თბილისში
მოკვდა, სული დალია.

ვინც ელოდა საქართველოს, —
ხვალინდელ დღეს ელოდა,
ვინც ყოველთვის,
სუყოველთვის
იყო საქართველოდან.

ვინც ბოლომდე ქართველია
სისხლითა და ჯიგარით,
ვინც დღეს იცის სიყვარული
ხვალინდელი გრიგალის.

ნეტარ იყვნენ მგლოვარენი,
ხოლო ვნებადამცხრალებს
კაცის პატივისცემა და
არა კაც-ჰკლა ასწავლეთ.

XI

მე რა ვუთხრა ფარისეველთ,
ზღვის და ხმელის
თვალთმაქცნო,
ბრმებო, ძენო იქედნეთა,
ღმერთის ტახტს რომ არა
ცნობთ.

XII

ავსებულა თვალის უპე,
ცაზე ცრემლი დაგვაქვს
ღრუბლით,
რა თქმა უნდა, დავიღუპეთ,
ცრემლი დაგვდის ღაპაღუპით.

XIII

ჯერ შიგნიდან
გავსუფთავდეთ,
რომ გარედან სუფთა ვიყოთ,
არ არსებობს ისტორია,
უდღეოდ და უთარიღოდ.

ჩვენ გარედან ვსუფთავდებით,
შიგნიდან გვყავს მტაცებელი,
ასჯერ ასი, სუფთა მტერი
და ათასი გამცემელი.

რა საოცრად ხარობენ და
თავისუფლად მკვიდრდებიან,
ახლა მოყვრად შემოსეულს
მილიონ თურქს გვპირდებიან.

„ჭეშმარიტად გეუბნებით,
რომ ქვა ქვაზე არ დარჩება“,
გაიყოფა საქართველო
რაინდებად და ლაჩრებად.
საქართველო უფლისაა —
საქართველო გადარჩება.

XIV

მაგრამ მაინც ბევრი მოვა
და ღმერთობას დაიჩემებს,
თვით რჩეული, შეცთომილი,
ცრუ ქრისტესაც დაიჯერებს.

აღსდგებიან ცრუ ქრისტენი,
ცრუ წინასწარმეტყველნი,
ცრუ შემტყობნი ყურძნის
მტევნის,
ცრუ მცხეთის და კვეტერის.

ცის ღრუბლებზე ვერა
გვცნობენ
ძალითა და დიდებით,
ვინ, ჩვენთვის, არ უწყიან,
რომ ქვეყანას ვჭირდებით.

XV

ქართველებო, არ ერწმუნოთ,
არ ერწმუნოთ სასწაულებს,
თქვენი ცრემლი ჩაეწუროს
აღუვსებელ საწყაულებს.

თუ ის მოვა, აღმოსავლით
დასავლამდე გაანათებს,
ჩემი რჯულის კალმოსანი
ცაში გზავნის ამანათებს.

XVI

ყვავილო, ნუ შეძრწუნდები,
ჯერ არ არის აღსასრული,
აბაზრზენი ეს წუთები
არც აწმყოა, არც წარსული.

მომავალი მიწისძვრაა,
მომავალი შიმშილია,
მომავალი შვილია და
მომავალი ძმისშვილია.

მშობიარე ქალბატონო,
ტკივილის გაქვს დასაწყისი,
სხვა ღმერთების არ გვქონია
არც სამკალი, არც სახნისი.

უსჯულონი მრავლდებიან,
ანელებენ სიყვარულსა,
შენ, მომთმენო ბოლომდინა,
ყური უგდე ცის ხმაურსა.

ის ზამთარიც ჩამოდგება,
ის შაბათიც ჩამოდგება,
ერთადერთმა, ვინც კი იცის —
ღმერთმა იცის რა მოხდება.

ერთად, ერთად მოისრება
უგვარო და გვარიანი,
მაგრამ რჩეულთ გადაარჩენს
ღვთისმშობელი მარიამი.

1990 წ. 21 აპრილი.

სამი თამარი

ძვირფასო მკითხველო!

ვიდრე ამ პოემას ღაეწერდი, 1975 წლის 15 იანვარს ასეთი შინაარსის წერილი მიეიღე:

პატივცემულო ჯანსულ!

მე თქვენ არ მიცნობთ, მე თამარ ჯარიაული გახლავართ, თბილისის ერთ-ერთი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ჩემს შვილსაც თამარი ჰქვია, — დედასაც თამარი.

დედა სრულიად ახალგაზრდა გათხოვილა და ომიც დაწყებულა. ოცი წლის მამაჩემი უყოყმანოდ წასულა ომში. მამაჩემი თურმე ლექსებსაც წერდა.

ეული სული ღვთის სამეფოშიაც კი სრულიად უბედური იქნებოდაო, და დედაჩემსაც მარტოობის მეგობრად სევდა დასჩენია.

კეთილი ადამიანები ბოლომდე ცდილობდნენ უნუგეშობა და კაეშანი გაექარვებინათ დედაჩემისათვის. მარტოდ დარჩენილმა დედამ ბევრი რაე ვადაიტანა. მამულისათვის თავდადებული მეუღლის სული ჩაისუნთქა და ბოლომდე ერთგული დარჩა მეუღლისა, შვილისა, მამულისა, მტერმოყვარისა.

მე შეეძინე 1942 წელს. ქალს სხვა რა შეეძლო? — სიყვარული ვადაარჩინა, თაყვანი სცა ყოველივე წმინდას.

დღეს, ჩემს პატარა თამარს მოვუთხრე ჩემი ძვირფასი მშობლების ამბავი, მათი სიყვარულის ამბავი.

ბატონო ჯანსულ, აი, მაისი მოდის, გა-

მარჯვების დღესასწაული, დედა კვლავ ელოდება, ჩვენ ყველანი ველოდებით, მამას ველოდებით, მე, დედა, ჩემი გოგონა, —სამი თამარი.

როგორ მინდა, დედაჩემზე რაიმე დაიწეროს.

პატივისცემით და მორიდებით

თ. ჯ ა რ ი ა უ ლ ი

1975 წლის 13/I

პ ო ე ტ ი

მზეო, ნათელი მაჩვენე,
ნათელი პირის შენისა,
თვალნი მომაპყარ, თუ მშვენის
ტარება ფარშიმშერისა.

განსწმინდენ სულნი და ხორცნი,
სნება წამართვი ძრწოლისა,
დაგვიფარენ და დაგვიხსენ
უცხო ყოვლისგან ბრძოლისა.

ანგელოსთ მიმსგავსებული,
ქვესკნელს მიეცი რისხვითა,
თამარს ვაქებდე კეთილხმით
ძლიერებითა მისითა.

მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან,
დამმოძღვრე მოძღვრის კართანა,
თამარს ვაქებდე კეთილხმით,
თამარს ერთს არა, —სამ თამარს.

I

სამი თამარი

სამი თამარი, თამუნია, სამი თამარი, მე, შენ
და დედა.
სამი თამარი, გაყინულია ყველა ცრემლი და
სიჩუმეა.
ტრიალებს ლანდი მეზღვაურთა და უდაბნოთა,
უცხო მხარეთ,

მაცილთა და ფარულ დემონთა სარკეში
ბრწყინავს შენი
ფრთები ცეცხლმოდებული, შენი მიზანი,
უსაშველო,
უკაბადონო.
მაისი მოდის, თამუნია, მაისი მოდის,
ჩვენ ველოდებით
და მისთვის მოდის. შეიმოსება ყვავილებით
მინდორი,
კორდი, ეკალბარდებით მოირთვება ტყის
დასასრული.
მდინარეები იმღერებენ, ქაფს მოიდებენ, ქაფს
დაარქმევენ
პოეტები ბატკანს, გვირილას, წაეკიდება
ცეცხლი ზრახვებს,
დიდებულ ზრახვებს, ჰაეროვანი ფერები
ზეცის აივსებიან
სევდით მწყაზარით, რომელსაც მაინც არ
ჰქვია სევდა.
გაზაფხულს თავის სიჩუმე აქვს, მზიანი,
წყნარი,
როგორც ნანგრევებს, ოღონდ ოდნავ
ხმაურიანი.
დღევანდელი დღე შენთვის არის
ჩვეულებრივი,
ვწუხვარ ასეა, ვწუხვარ, მაგრამ თან
მიხარია.
ამ ჩვეულებრივ, უდარდელ დილას მხრებით
უდგანან შეწირულები,
მათ შორის მამაც, ჩემი მამა, გმირი,
პოეტი.
მე ის არასდროს არ მინახავს, დედამ
გამზარდა;
ცის კიდეები, მოფენილი ნისლით მსუბუქით,
მეუბნებოდა — მამაშენის სულსა ჰგვანანო.
მათ სიყვარულზე მინდა გიამბო,
ნებისყოფაზე, დარდზე,
ლოდინზე, დღეს გამარჯვების დღე არის,
შვილო!

ბოგო

იგი ცხოვრობდა
თვალებდათხრილ პატარა სახლში,
იგი ცხოვრობდა —
მხიარული პატარა ბავშვი.
ელანდებოდა ყოველლამე
კოშკი შეშლილი,
ახალი მთვარე,
ცხრათავიან დევის ეშვივით.
სარკეში ნისლი, მოფარფატე
მტრედის ფრთასავით
და სივრცის მზერა
სახალისო, ყანის მკასავით.
ელანდებოდა ზმანებანი
უზენაესი
და არ იცოდა,
რომ ყველაფერს ერქვა ალერსი.
თვალებდათხრილი ოდა იდგა,
ტრფობით მღერალი,
ეზოში იჯდა ინდაური,
ვით ღენერალი.
ოღიმებოდა ჭრიოლა თუთა,
როგორც ქალწული,
გოგონას ჰქონდა გვირილები
თმებში ჩაწნული.
კისერს იმტვრევდა
ლურჯი ღელე პატარა ქვებზე,
ჩითის პერანგებს გოგონები
აშრობდნენ მზეზე.
დავობდნენ წყალთან,
სათიბებთან, დავობდნენ ქართან
და ასე იდგნენ
სიყვარულის ვარდისფერ კართან.

II

ბიჭი

ხოლო ბიჭები წუთებს კლავდნენ
ჭალა და ჭალა,
ცხენების რემა, თივის ზვინი,
ჩალა და ჩალა,

მატარებლებზე ოცნებობდნენ,
მაღალ სახლებზე,
თავად მაღლები,
გაზრდილები ხარის სახრეზე.
იმნაირ ბიჭებს
სოფელ-სოფელ დღესაც მოსძებნი,
ჭყინტ ტაროებზე
მიჩვეული ჰყავდათ მოზვრები.
ო, ერთი მაინც
მეთაური იყო ყველასი,
თოფის სროლაში,
შაირებში და სიმღერაში.
მზე ჩადიოდა,
ციხკარივით ლამაზი ყოვლად
და სასაფლაოს ახლო იდგა
პატარა სკოლა.
დავობდნენ წყალთან, სათიბებთან,
დავობდნენ ქართან,
და ასე იდგნენ
სიყვარულის ვარდისფერ კართან.
იმ გოგონებში ყველაზე ცელქს,
ყველაზე თამამს,
ყველაზე თვალებგაჩაღებულს
ეძახდნენ თამარს;
ხოლო ბიჭებში გამორჩეულს,
თვალებღადარას,
ტოლ-მეგობრები
სიყვარულით ხმობდნენ სანდალად.
მხოლოდ სიზმრებით,
ვ. რსკვლ.ვებით და მწ'ვერვალებით,
(ო, მათ სიცოცხლე სხვანაირი
არც ევალებათ)
ცოცხლობდნენ, როგორც სამოთხეში
ანგელოსები,
მიწაზე იყვნენ ისინი და
ცაზე — ფრთოსნები.

III

ერთხელ, გოგონას
თავის ლექსი უთქვამს ზეპირად,
„წუხელ სიზმარში
მზის სხივები მკერდზე მეფინა,
ტოროლასავით მეც მინდოდა

მზისკენ მეფრინა“.
ორი სტრიქონი მერე ბიჭსაც
დაუწერია:
„ნამდვილ სიყვარულს
გამხელა ხომ არ უწერია?“
ეს გაუგია იმ გოგონას
და უწყენია.
უწყენია და უტირია
წვიმაზე ბევრი,
მერე კი, მზისკენ უფრენია
ტოროლას ფრენით.
ბიჭმა გაიგო, რომ გოგონა
ტოროლად იქცა,
ბიჭმა ტოროლას გუნებაში
პირობა მისცა.

IV

დიდხანს განდაგან დადიოდნენ,
ულურად, ყინჩად,
ორმოცდაერთში იქორწინეს
გოგომ და ბიჭმა.

V

...და როცა დიდი სიყვარულის
დარეკა ჟამმა.
ის გოგო ჩემი დედა გახდა,
ის ბიჭი — მამა.

VI

მე არ მენახა, ხოლო სული, სული თუ
გენი
ეძახდა მამას ქარში, ჯურღმულში.
მრისხანე აფთარს აინუნშიც არ ჩაუგდია
ჩემი ძახილი. მე ვიყავ სუსტი, სუსტი,
უმწეო,
ვიჯექ ბუდეში, ტიტველი ბარტყი,
მაინც ვეძახდი,
ვეძახდი, რადგან მე არ ვიცოდი, ისე
ვეძახდი,
დაბინდულ ლანდებს, ღელეებს და
ცხენების

რემას, წისქვილის ღარებს,
მოზვრებსა და
პატარა სკოლას, ბერიკაცებს და ღამის
მეხრეებს, მხვნელებს, მთესველებს, მამა
ახსოვდათ, იმიტომაც, რომ ის წერდა
ლექსებს, ყველა მათგანზე ის წერდა
ლექსებს.
ის წერდა ლექსებს გაზაფხულზე,
გორგასლის
სულზე, მეტეხზე, მტკვარზე, ყვითელ
სიზმრებზე.
დღეს უნდა გითხრა ლექსი, სიკვდილის
შემდეგ ნაპოვნი.

ძალაუფლებას სიკვდილშიც აქვს
თვალი ბრწყინავი,
ტრაგიკულია ჭეშმარიტად
ჭვრეტა მონური.
ფესვების ფესვი
უბადრუკი არის წვრილმანი,
რაინდი კაცის
ამაშია ფესვი ფორმულის.
მტკვარივით ბრუნავს
ზედ მეტეხთან
სული გორგასლის,
მე, როგორც მზის სხივს,
უსასრულო სივრცე მომელის,
ნუ შეეცდები გაარკვიო
სული მოყვასის,
ან უმწეობა
კაცის, მარად შეუცდომელის;
მე ვარ, გეძახი, გიხმობ ისე,
როგორც აროდეს,
შენსკენ წამოსულ
აღშფოთებულ ქარებს მოვნათლავ.
თავისუფალი ჩემი მიწა
არ მიხაროდეს, —
ვილად გაჰქონდეს ჩემი ლეში
ყვავთა, ყორანთა.

VII

ორმოცდაორ წელს რა ვიქნებოდი,
ჩვილი,
პაწია, აუფრენელი, არცა მტკიოდა,

არც შშიოდა, არც მიზაროდა, ვიყავ
მორთული ღილკილოებით და
ვარსკვლავებით,
ღვინჯილებით და თილისმებით,
ნაირ-ნაირი სამოთხეებით, გარეთ კი
თოვდა, თოვდა და თოვდა. დედა
გოდებდა:

1942 წელი, გოდება პირველი

რა უბედურად თოვს,
რა თეთრი მწუხარებით.
გულო, რასაც შენ მთხოვ,
ნურასდროს ნულარ ელი.
ასე მხარდამხარ მომდევს
ძველი წუხილის ჩრდილი,
მიწიდან ანგრევს ზოდებს
ჯვარზე გაკრული დვრინი,
როგორც ზღაპრებში, ისე,
ისე მიმოდის მთვარე,
და მე ღამეში ვისმენ,
როგორ უყეფენ ღამეს.
ჩემო პატარა გოგო,
ჩემო პატარა თამი,
ცარიელია ხორგო,
აკლია სევდა მამის,
ცარიელია სევდაც,
რადგან აკლია მამა,
ცარიელია დედაც, —
დარეკა მწუხრის ჟამმა.
დალეწილია სული,
ვით გალეწილი კალო,
ხოლო ის ძველი წყლული
კი აღარ ცოცხლობს, წვალობს.
ვართ მაინც მოლოდინში,
კარებისკენ გვაქვს თოლი,
მერე ჩაგვყვება ძილში,
თოვლი, თოვლი და თოვლი.

VIII

დღევანდელი დღე შორეული და
სასწაული,
დედაჩემს შემკრთალს მარტოობით,
განძარცულობით,
ამხნევებდა და უბიძგებდა
წუთისოფლისკენ,
გთხოვ დამიჯერო, დღევანდელი ხმები
ესმოდა.
ბულბულის სევდას ამსგავსებდნენ
სევდას დედისას.

ხვა დღევანდელი—1975 წელი

მზე ამოვიდა თუ აღმოცენდა,
თუ მზემ იყივლა,
ვით ფარშევანგმა.
ბულბულის ყელით სევდა მოწვეთავს,
თამარ, ბულბულის სევდა შენა გგავს,
ქარი მოედო ქუჩებს, მოედნებს,
ცრემლს ცრემლი მისდევს,
მხედარს — მხედარი.
ცბიერი ძილით სძინავთ პოეტებს
და ღამეს აწევს ღრუბლის ცხედარი.
შენ ფერმიხდილი და მომწუხარე,
მოფიანდაზე და შემწირველი,
ეტრფი იმ ღამეს,
ღამეს წუხანდელს,
ის წუხანდელი იყო პირველი.
ეს შენ გვონია, რომ წუხანდელი,
რომ წუხანდელი იყო ჩურჩული,
ოცდათოთხმეტი ბჟუტავს კანდელი
და გვერდით გიწევს შავი ურჩხული.
ოცდათოთხმეტი, თუ უკუნეთი,
ოცდათოთხმეტი, თუ წუხანდელი.
როგორც ზღაპრებში
თეთრი ჰუნეთი,
როგორც ზღაპრებში
თეთრი ფანტელით,
იგი გაფრინდა,
იგი გაფრინდა,
ოცდათოთხმეტი, რა დრო გავიდა,
შენ მას იგონებ

არც არაფრიდან,
შენ მას იგონებ ერთი ღამიდან.
ო, შენ გგონია,
მაინც გგონია,
რომ წუხანდელი იყო ჩურჩული,
არა და, დღემდე, ვით აგონია,
ლოგინში გეწვა შავი ურჩხული.

IX

1942 წელი, გოდება მეორე

საით მივდივართ,
რომელ ჯურღმულში,
გამოქვაბულებს
გზები ელტვიან,
ზვაძლაძი, ძულახძი,
ღუში, ძუღურში,
თუ ჩემს ალვანში,
ეს სულერთია.
საით მივდივართ,
საით მივდივართ,
რას რეკავს ნეტა
ჩემი იღბალი,
წუთისოფელი
ბეწვზე ჰკიდია,
დაჭრილი მიწის
გვიხმობს გრიგალი.

X

ის აღამებდა მამაზე ფიქრით, ის
ათენებდა მამაზე ფიქრით,
თიბათვესავით იყო მწუხარე, მაგრამ
ლამაზი თიბათვესავით·
დაღლილი ლოცვით, ყურადღებით,
ვნებით, ჩვენებით,
მიუსაფრობას შეუძახებდა.

უ ე ძ ა ს ი ლ ი

მე შენი ცელით ვდგავარ სათიბში
(ადრე ცელისთვის არა მცხელოდა),
შენ სული გქონდა ისე ნატიფი,

პირველი ტყვია შენ მოგხვდებოდა.
იმ შენს გუთანსაც ახლა მე მივდევ,
— ღიაცის ხნული ალმაცერია.
ისე დამშორდი (ღმერთო, შემინდე),
რომ სიყვარულზე არ დამცდენია.

შენი ნამგალიც თუმცა ჩემია,
შენს ხელებს ჩემი არ ჰგავს ხელები,
მოდიან, მაგრამ რას მიშველიან
ან დახმარებით,
ან გამხნევებით.
მოდიან,
თითქოს მხარშიც მიდგანან,
ასე ყოფილა წესი, ადათი,
მე მაინც ქვეყნად არა მინდა რა,
მე უნდა ეზიდო შენი ალმართი.

ყველას თავისი ღმერთი და მზე ჰყავს,
ოდეს გვიჭირს და
ოდეს ვლონდებით.
მე არაფერი არ ვიცი ქვეყნად,
მე ვიცი მხოლოდ,
რომ გელოდები.

XI

იგი ცხოვრობდა ჩემი იმედით,
ერთგულებით და
შურისძიებით. ახალგაზრდობით,
ზრუნვით,
ოცნებით და დაფერფლილი
მშვენიერებით.

1943 წელი, ბოდება მესამე

თამი — ავდარი,
თამი — მრისხანე,
თამი ცრემლია
ქარში ნაბრძოლი.
დღეს მთებიც
ნისლებს წამოისხამენ,
დაგვეკარგება

სუნი საძოვრის.
უკანასკნელი
გზა სიყვარულის
შეღებილია
სისხლით წითელით.
პატარა ოდა,
ოდა ყავრული
და ძველ ზანდუკში
ჩემი მზითევი.
ჩრდილები ჩრდილებს
გადავაფაროთ,
გადავეფაროთ
იქნებ ერთმანეთს,
ჩვენი ზღურბლი და
ჩვენი ლაფარო
სანამდე ერთურთს
გადაკვეთავენ.
გადავეფაროთ,
გადავეფაროთ,
გონით და შფოთვით
გადავეფაროთ,
თორემ ოცნების
ფესვი, ღმერთმანი,
ვით უპატრონო
ძაღლი მყეფარობს.

XII

კვლავ მოდიოდა ხმა იმედისა,
გაბედულებით,
ნისლით, ვედრებით, დროის კივილით,
ფანჯრების მსხვრევით, სველი
ფოთლებით,
სეტყვით, მეწყერით.

1975 წელი — ხმა იმედისა

იგი გაფრინდა,
იგი გაფრინდა,
ოცდათოთხმეტი, —
რა დრო გავიდა,
შენ მას იგონებ
არც არაფრიდან,
შენ მას იგონებ

ერთი ღამიდან.
ჰა, საძირკველი,
შენ დარჩი მარტო,
ცარიელ სახლში
შენ მარტო დარჩი.
არავინ გიყეფს,
არავინ არ გმტრობს,
ძაღლები ყეფენ
თავისთვის, კარში.
მაგრამ რას იზამ,
ასეა მუდამ,
სულ უეცრების
გაქვს მოლოდინი,
რადგან ამქვეყნად
გაჩნდი ცოდვილი,
დაკარგულს
მეტი შენახვა უნდა.
ეს მწუხარება
შენია, მაგრამ
სამშობლოსია
ეს მწუხარება,
წუთით, სიკეთეს
ბოროტი ჩაგრავს,
წუთით. აკლდება
დღეს მქუხარება.

XIII

და პასუხობდა
ძვირფასი დედა
წუთით, ო, წუთით,
მაგრამ ეს წუთი
იქცევა ხოლმე
წუთისოფელად,
ამოაბრუნეს
გულ-ღვიძლი გუთნით
და იმ გუთანზე
ზის წიფობელა.
გული გაწვრილდა
ჩანგის სიმივით,
იმ მწუხარებით,
იმ მოლანდებით,
სმენას მიხედნის
ტყვიის წივილი

და ცრემლით ქრება
წყვილი სანთელი.
წუთით, ო, წუთით,
მაგრამ ეს წუთი
კაცობრიობას
თუ უდარაჯებს?
წუხელ მესიზმრა
საველე ყუთი
და ვთქვი,
წერილი მაინც გადარჩეს.
ერთი წერილი,
ერთი წერილი,
ერთი სამკუთხა
მისი ბარათი,
და მერე, ქვეყნად
თუნდ დაწყევლილი
ყოფილა
ჩემი გზა-მისამართი.

XIV

სასწაულია კაცის ცხოვრება, დადის, ოცნებობს,
ამაყობს, ილხენს, ჩაგრავს, კლავს კიდეც
და თავს იმართლებს, სავსეა იგი ღალატით,
შურით, ღვარძლით და ბოღმით,
როგორც ჯუნგლებში, ისე ცხოვრობს
ადამიანიც,
თუ მოერია, მოერია, თუ არა, მაშინ
მოერევიან. ადამიანი, ჯარისკაცია დიდ ბრძოლებში
გადარჩენილი.
კაცობრიობა იბრძვის
იმისთვის, რომ ქვეყანაზე კაცს ერქვას კაცი,
მხეცს მხეცი ერქვას, ჩვენი ცხოვრება
არ ჰგავდეს ჯუნგლებს.
რასაც მე ვამბობ, სიცხადე გახლავს,
ოღონდ ზოგისთვის გაურკვეველი.
რადგან გადავრჩით, ჩვენი ვალია
სიყვარული გადავარჩინოთ.
დედა იბრძოდა სიყვარულის გადარჩენისთვის
(ესეც ომია) ხელში ეჭირა ატმის ტოტი,
გამთბარი ტოტი, მოხეტიალე ღრუბლის
ნაფლეთით, საჩეხეში ბღაოდა ხარი და
თავის პატრონს ელოდებოდა მუხის კუნძში
გარჭობილი დიდი ნაჯახი.

1944 წელი, ბოდება მეოთხე

იდუმალება თეთრი თოვლის
არის მდევარი,
იდუმალება მკერდს გაგვჩრია,
ვით სატევარი.
ის კედელზეა, კედელზეა,
როგორც ხანჯალი,
იდუმალება
დაჟანგული არის აბჯარი.
იდუმალება სიზმარია,
არის ვედრება,
იდუმალება, ზოგჯერ მსხვრევა
და დაყვედრება.
ის ყინულს ალღობს,
ღვინოს გისხამს, —
იდუმალება,
ო, მის სითბოსთან
ვერას მივა
მზის ბრწყინვალება.
მთავარი არის —
სიყვარული გადავარჩინოთ,
როგორც მამული.
ისე უნდა გადავარჩინოთ,
შენი არჩევი სიყვარული,
შიშის აჩრდილო,
როგორც მამული,
ისე უნდა გადაარჩინო.
აი, გაზაფხულს
მოაქვს თბილი მთვარის სურნელი,
იდუმალება,
ჩემი სენი განუკურნელი,
მტრედის ღულუნით
მოდის ჩემთან
იდუმალება,
ვით ჯარისკაცის მწუხარება,
იდუმალება,
მთავარი არის —
სიყვარული არ დავიკარგოთ,
სხვის მწუხარებას და გასაჭირს
კარგად ვინ იცნობს?
იდუმალებავ,
მეტი რაღა გამაჩნიაო,

იდუმალებავ,
სანგრიანო, ფარაჯიანო.

XV

სხვა არის დარდი, სულ სხვა არის
სასოწარკვეთა, სასოწარკვეთა არ
ყოფილა
დედის ლოდინში, იწამა ბოლოს, თუ არ
ვცდები, თითქმის იწამა, რომ ის
ძველი გზა შეიცვლებოდა.

1942 წელი, ისევ ლოდინი...

ქარი მოედო ქუჩებს, მოედნებს,
ცრემლს ცრემლი მისდევს,
მხედარს — მხედარი,
ცბიერი ძილით სძინავთ პოეტებს
და ღამეს აწევს ღრუბლის ცხედარი.
ასე დაკარგვა სიზმარშიაც
არ შეიძლება,
ფანტასტიკურად მოელვარე
გზა შეიცვლება.
მე ისევ გელი, მინდობილი,
თვალდახუჭული,
მინებზე ზამთარს შავი სისხლით
ხატავს ურჩხული.
მე ისევ გელი,
მე მაცვია შენი ფარაჯა,
ამბავი რაა, ამბის მთქმელი
ჩიტიც არა ჩანს,
ასე დაკარგვა
სიზმარშიაც არ შეიძლება,
ფანტასტიკურად მოელვარე
გზა შეიცვლება.

XVI

მე ბეჭდის თვალში ვიჯექი, ვგრძნობდი,
ახლოვდებოდა
დღესასწაული, ხოლო ტკივილი განუკურნელი
ორმაგდებოდა თვალებში დედის, იგი
კარგავდა,

მაგრამ იძენდა, ის ჰგავდა ტაძარს
მოგუგუნეს,
ღონემოკრებილს.
გაკვესა ელვამ, იქუხა მეხმა, დაიძრა
მიწა და მე მოვწყდი ცხრა თვის
ქვეყანას.

1942 წელი, დაბადება...

ის თეთრი ღამე თუ უკუნეთი,
დიახ, ის გახლდათ მზე წუხანდელი,
როგორც ზღაპრებში თეთრი ჰუნეთი,
როგორც ზღაპრებში თეთრი ფანტელით,
იგი მოფრინდა,
მადლობა უფალს,
პირველი ღამის სხივით მოფრინდა.
მოდგნენ, მოჯარდნენ,
მოუსხდნენ სუფრას,
შენი სოფლიდან,
ჩემი სოფლიდან,
იგი მოფრინდა,
მადლობა უფალს,
პირველი ღამის სხივით მოფრინდა.
იგი მოფრინდა,
ლამაზი, ტურფა,
ქვეყანას ამცნეს შენი თოფიდან,
ის გაიზრდება, როგორც სიზმრებში,
როგორც სიზმრებში
ჩვენ ვიზრდებოდით,
დაებედება შენი მზის ეშხი,
მე ვგრძნობ, რომ სახლში
შენი მზე მოდის.
შენი მზე მოდგა.
შენი მზე მოდგა,
თამარისთვის და სიყვარულისთვის,
წამსვე გაშორდა
ურჩხული ოდას
და გაქრა, როგორც სიტყვა ულირსი.

XVII

არ იქნა მისი დაშშვიდება, არც
შერიგება, ის კვლავ ცხოვრობდა
მწუხარებით, სევდით, ბურუსით,
ვით უთვისტომო, ლაჟვარდებში
დამარცხებული.
თუმც ყურს უგდებდა
გაზაფხულის წვიმის სიმღერას, კვლავ
უღლის ცალთან საუბრობდა
დაუცხრომლობით.

1945 წელი, გოდება ეეხუთე

შორით გამოჩნდა თეთრი მწვერვალი,
ხეში და წყალში დგას თებერვალი,
გაზაფხულზე ვერ დაგენახვები,
თუმცა ამღერდნენ ჩვენი სახლები.
თუმცა ამღერდნენ ჩვენი მინდვრები,
სიმღერას ჩემსას ვერ შეგპირდები.
კვლავ მოიქარგა ველი ჩითებით,
კვლავაც მოფრინდნენ ჭრელი ჩიტები,
მე რა ვქნა, მაინც ვერ დავმშვიდდები,
შვილს გიზრდი,
მაინც ვერ დავმშვიდდები.

XVIII

1945 წელი, კვლავ გოდებს დედა

აი, გაზაფხულს
მოაქვს თბილი მთვარის სურნელი,
იდუმალება,
ჩემი სენი განუკურნელი.
მტრედის ღუღუნით
მოდის ჩემთან იდუმალება,
ვით ჯარისკაცის მწუხარება, —
იდუმალება.
მთავარი არის —
სიყვარული არ დავივიწყოთ,
სხვის მწუხარებას და გასაჭირს
კარგად ვინ იცნობს.
იდუმალებავ,
მეტი რაღა გამაჩნიაო,
იდუმალებავ,
სანგრიანო, ფარაჯიანო.

XIX

მოვიდა იგი, გამარჯვება, ზღვით
და ხმელეთით, მოვიდა იგი,
გამარჯვება, მზით და მთვარითა,
ძდინარეებით, ნანგრევებით, სოფლით.
ქალაქით, ცრემლით, წუხილით,
დაფნის ფოთლით, ლოცვით,
გინებით, ქარით, ტალახით,
გუბეებში შემოაბიჯა, ააყვავილა
გაზაფხულის სევდის ბაღები,
მოვიდა იგი, 1945.
ბორჩა,
გადაწყდა, ბილიონი
ჰყავდა გარშემო, მაგრამ დედაჩემს
მე ვყავდი მხოლოდ.

1945 წელი, ცხრა მაისი

თამ, ბულბულები ყეფენ,
ძაღლებისა წილ ყეფენ,
ო, ვერასოდეს შენფერს,
ვერ ვიპოვიდი შენფერს.
თამარ, მიმოდის მთვარე
შეყვარებულთა შუქით,
შენს სადღეგრძელოს სვამენ
იაგუნდების თუნგით.
მაინც არ იცვამს დედა
ქალიშვილობის კაბას,
თამ, მღერის დედის სევდა,
სხვა სიმღერას რომ არ ჰგავს.
გაუხარია ტრამალს,
მაღლა ტრამალის თავანს,
ცხრა მაისია, თამარ,
ჩვენ გავიმარჯვეთ, თამარ!

XX

მას შემდეგ დრო გავიდა,
შენც სიყვარულით გაჩნდი,
ო, მარად, მარად წმინდად
ხედავდე პაპის აჩრდილს,
იცოდე, ყოველ მაისს
თან სდევს პატარა სევდა,

რომ ანგელოსი არის
ჩემი ძვირფასი დედა.
კვლავ მეუბნება, როგორც
მეუბნებოდა მაშინ:
ჩემო ძვირფასო გოგო,
მზესავით მოდექ ძნაში.
ჩემო ძვირფასო გოგო,
ჩემო ძვირფასო თამი,
ცარიელია ხორგო,
სევდა აკლია მამის,
ცარიელია სევდაც,
რადგან აკლია მამა,
ცარიელია დედაც,
დარეკა მწუხრის ჟამმა,
დალეწილია სული,
ვით გალეწილი კალო,
ხოლო ის ძველი წყლული
კი აღარ ცოცხლობს, წვალობს.
ვართ მაინც მოლოდინში,
კარებისკენ გვაქვს თოლი.
მერე ჩაგყვება ძილში
თოვლი, თოვლი და თოვლი.

XXI

მე დავამთავრე, თამარ,
ამბავი თამარისა,
რაც შეეხება მამას
და ადგილს სამარისას,
ნუ ეწყინება ქერჩის
ნურცა წყალს,
ნურცა მაღლობს,
ის განისვენებს ჩვენში,
ის სამ თამარში სახლობს.

1975 წლის 9 მაისი,

ა ო ე ტ ი

მოგონებაა ტალღის,
მწუხარების და ცოდვის,
გამარჯვებული ხალხის
და მისი ოქროს ზოდის.

ღალანებს მიწა ლურჯი,
მისი ველი და კორდი,
დიდი რუსთველის ქუჩით
სამი თამარი მოდის;
თვით უკვდავება მღერის
ერის სიმღერას მთავარს —
შენ მოუმართე ხელი
რუსთაველსა და თამარს.

მირზა გელოვანი

ჩვენს დიდ მწერლობას ბევრი როდი ჰყავს გამოჩენილი პოეტი-ჯარისკაცი, რომელიც გმირის სიკვდილით დაეცა დამპყრობლებთან ბრძოლაში.

სისხლით მორწყული გზა განვლო მირზა გელოვანმა. 1944 წელს 27 წლის მგზნებარე მამულიშვილი ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. მარადჟამს დამდევდნენ მისი სტრიქონები:

„ვაი, ლიბო დამინგრიეს,
დამამგვანეს ნარიყალას“.

„თიანეთი და სწორები,
თიანეთი და ფიქრები“.

„ვიცი, გრიგალებს ერთად შევხვდებით,
მაგრამ ერთმანეთს—ეელარასოდეს“.

„...ჰო, დაებრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ“.

„ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ“.

გმირი პოეტის გმირული სიცოცხლის, გმირული სიკვდილისა და ვაჟკაცური პოეზიის გამოძახილია ჩემი ლირიკული პოემა „მირზა გელოვანი“.

ბ ა რ ა თ ი დ ა ნ

„ომი დაიწყო. ვიცოდი, რომ დაიწყებოდა... გჯეროდეთ ჩემი, ძვირფასებო:

თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას დაე ნუ შეგრცხვებათ, რომ მე, თქვენი სისხლი და ხორცი ვარ; მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე, ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცავ საშშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი. მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო. ის, ყველაფრის მიუხედავად, ცოცხალია და მისი შვილების დაძახილი აღვიძებს გრიგალებს... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორიც მე მაქვს ახლა, როგორიც აქვს ჩემს ამხანაგებს“.

მ ი რ ზ ა.

1941 წელი, ივნისი.

მახსოვარი[1]

დიკლოს ზარივით გული ცემს,
შენაქოს გაუკვირდება.
კაიყმას სევდას ნუ მისცემ,
სისხლივით აუყვირდება.

ლაშქარს მოჰკვდება კაიყმა,
ტოლების მჯობინებასა,
მეც იმ გალავანს გამიყვათ,
მაგ თქვენი სულის შვებასა.

მიწას სისხლითა დამეწყრილს
ცრემლიც დასდინდეს უფლისა.
ზეცას სცვიოდეს ნალეწი,
ნალეწი ხმლის და შუბისა.

ასე სამასჯერ, სამას დღეს,
დიდგორითა და უჯარმით,
ხან თუშის ცხვარი წაასხეს,
ხანაც ფშაველის ლურჯაი.

ზედ ფარზე გვედო მტრის ხმალი,
ჯვარი ლაშარის მთაზედა,
ჩვენი ბედი და იღბალი
თან დაგვყვა ბეჭის ფრთაზედა.

შესავალი

მე არ გიცნობდი,
ჭიხვინებდნენ შენი დღეები,
მე არ გიცნობდი,
უკან დარჩა უცხო ჰანგები,
მიგაცილებდნენ მშვიდი ტყეები,
მოგდევდნენ, როგორც ამხანაგები.

დღეს რასაც ვფიქრობ,
დასაწყისი არის პოემის.
ახლა რომ ვფიქრობ,
ძმა მგონიხარ ჩემი, უმცროსი,
თავი და თავი,

---

[1] **მახსოვარი**— ძველის მცოდნე, გამხსენებელი.

მოგონება არის ყოველის,
ახლობელის თუ შორეულის,
ძმის თუ უცხოსი.

უმძაფრესი და ძლიერია
შენი სახელი,
მირზა, მზე, ზარი,
ზედაზენის ბზა დაბზარულა,
შენი ფიქრივით წმინდა იყო
შენი სამხრენი,
შენი მიზანი,
აგზნებული გზა და მგზავრული.

მირზა, ზარნაში,
ზარზეიმი და ზარბაზანი,
ზამთარგამოვლილ ზამბახებით
მზერა ზეიმობს,
ზნეკეთილი და ზნემაღალი
ბზეა მწყაზარი,
მზის ზღუდე-ზღურბლი
ზერდაგ ცხენებს ავაზელინოთ.

გთხოვ, მაპატიო
ეს ბავშვური ჟონგლიორობა,
ჩემი ბავშვობა გამახსენა
შენმა სახელმა,
ყავისფერ მუნდირს
ახატია გონჯი ობობა
და ელოდება
გელოვანის ტყვიის გამხელას.

ტოტიდან ტოტზე,
ტბიდან ტბამდე,
მთიდან მთებამდე,
სოფლიდან სოფლად,
ბაღებიდან სხვა ბაღებამდე
გიხმობდნენ ყველგან,
ვით მიმინოს
და ვით შევარდენს;
ჯარისკაცები დროშებს
შენი სისხლით ღებავდნენ.

ვარსკვლავებივით ანათებენ
შენი წყლულები,

ქარიშხლებივით გგრძნობენ
ქართლის განთიადები.
შენ გაიმარჯვე,
მჯერა შენი
სასწაულების,
მე ისიც მჯერა,
რომ უფრორე გადიადდები.

სამკუთხა ბარათები

პირველი ბარათი – ფიცი

დაიწყო ომი და სისასტიკე
მოხეტიალე ქარში მეძახის,
იქ, გერმანული არის სვასტიკა,
აქ, საქართველოს ღერბი — ვენახი...

ვაზს ჩახვეულა პურის თაველი
და მზეს უცინის მიწა ჯანმრთელი,
დაიწყო ომი და რუსთაველი
თვალწინ დამიდგა, დაუჯაბნელი.

თვალწინ დამიდგა, დაუჯაბნელი
ცოტნე და ცხრა ძმა ხერხეულიძე,
მშობელო მიწავ, ტყვიის შრაპნელი
შენს მთვარესა და შენს მზეს უმიზნებს.

რისი მხეცი და რისი აფთარი,
სანამ ფეხზე ვარ, სანამ ვჯანმრთელობ,
დიახ, ჩვენს უკან დგას სამართალი,
დიახ, ჩვენს უკან დგას საქართველო.

მეორე ბარათი–შეხვედრა ზამთართან

ეს დღეც მოსულა, ჩამოიშალა
ოქროს წვეთებად
ბრწყინვა ვარსკვლავთა.
ვნახე სიკვდილი,
სულ მთლად შიშველი
და ყველაფერი უცებ გათავდა.

ვერა, ვერ ვძლიე ლამაზ ცთუნებას,
ყრმობის შეხვედრა მოხდა ზამთართან,

მოფრინდნენ ციდან
თეთრი სტუმრები
და ყველაფერი უცებ გათავდა.

დაღლილი გული ვერ შევიცვალე
და დამეცალა როგორც მათარა,
ფეხზე ვიმღერე, ფეხზე ვიწვალე
და ყველაფერი უცებ გათავდა.

მზის ტოტზე იჯდა ჩემი სახატე,
სამკუთხა ბარათს იმედს ატანდა,
ვით გრიგალის წინ, ისე დაღამდა
და ყველაფერი უცებ გათავდა.

ხმა ძლიერებისა

ეგ შენი სუნთქვა გრიგალის
ცეცხლია მიუწვდომელი,
ღამე ნაბრძოლი, მიმქრალი
არის სიზმართა მთოველი.

ახლა ვარსკვლავი ცისკრისა
მშვიდია და ძვირფასია,
ცისკარმა გადიკისკისა...
ღრუბელი კაცის მსგავსია.

ახლა ღელდება შავი ზღვა,
ველს სუნი ასდის იფნების,
ტყემალმაც ახლა დაისხა
პირველი თოვლის ფიფქები.

ქვესკნელის გასაწყრომელი
საუბარი მაქვს ზამთართან,
ახლა იწყება ყოველი,
შენ ამბობ, ახლა გათავდა.

გამძაფრება და ჭიდილი
სულში არასდროს მიცხრება,
ახლა იწყება სიკვდილი?
— სიცოცხლეც ახლა იწყება.

მესამე ბარათი — თიანეთი
და ფიქრები

ჩავსცქერი ტალღებს,
არაგვის ტალღებს
და ველოდები ჩემს მზეთუნახავს,
ვუყურებ სახლებს,
ბაღებს და ბალღებს,
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

მახსენდები და ვარსკვლავებს ვითვლი,
არაგვის პირზე ვწევარ გულაღმა.
იღვიძებს ყველა ლეგენდა, მითი,
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

ახლა ამინდი ვერაფერს შეცვლის,
ო, მომიტევე, სევდა თუ მახლავს,
სულში მინთია სუყველა ცეცხლი —
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

გადნა თოვლივით ციმციმი ხომლის,
სიმშვიდეც ვეფხვის ხმას შეულახავს.
გაქრა ყოველი,
შენ დამრჩი მხოლოდ —
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

მეოთხე ბარათი — ბორჯომის
სტეპები

მოუხატიათ სტეპები პეპლებს,
მიმზერს ქვემეხი, მშიერ-მწყურვალი,
ჩემი სალამი ბორჯომის სტეპებს,
ჩემი სალამი გაშლილ დუნაის.

მიდის ტანკების მწვანე კოლონა,
ბრძოლის ჟინით და ბრძოლის უნარით.
ყვავილებს მაწვდის მთვარე — გოგონა,
თვალები უგავს გაშლილ დუნაის.

ყვავილებს ვუძღვნი გმირების ხსოვნას.
ხსოვნაა მხოლოდ გაუხუნარი
და გადაუვლის ზარბაზნის სროლა
გონებას, როგორც გაშლილ დუნაის.

ვერა, ვერ დავთმობ ძმათა საფლავებს,
ღმერთმა ქნას,
ვინმემ მიგრძნოს გუმანით,
მოდი, გეძახი, მოდი, დამფარე,
შენი პატარა თავსასთუმალით.

მოკლული ჯარისკაცის ბარათი

ისევ ძველი მრისხანებით,
ძველებურად დულს გულები,
ინგრევიან მთის ქანები
სიმღერებით უშგულლების,

ისევ მსხვრევა მაძაგძაგებს,
კორდების და ქარაფების,
ისევ მკილავს და მაძაგებს
შენი თეთრი ბარათები.

ო, ძვირფასო, უნდა გაგთქვა,
ცხადია თუ სიზმარია,
შენია თუ, იქნებ მართლა
სხვის ბარათებს მიგზავნიან.

შენზე ფიქრით წინ ვიარე,
ომია და რას მემდური,
აქ სანგარი ცივი არის,
როგორც შენი საყვედური.

აქ ზამთარმა შენი მკერდის
ფერი ფიფქი შემოთოვა,
შენზე დარდი შევ‹ კედლე,
შენზე ფიქრის შემოდგომა.

შენზე ფიქრის ვიყო ღირსი,
ასე შორით მელამაზე,
მე ხომ შენი სიცოცხლისთვის
გავჩენილვარ ქვეყანაზე.

მეხუთე ბარათი – პირველი თოვლი

შენ აქ არა ხარ, მაინც გათენდა,
ყურს მაინც ხედნის მამლის ყივილი,
მე ის ვარ, შენი ვისაც მართებდა
ყირიმისა და ქერჩის ტკივილი.

სანაპიროზე შავი ყორანი
შავი მანტიით დადის მძორებში,
მე კი, შენი მზე შეუპოვარი
ფარივით მიმაქვს ფიცხელ ბრძოლებში.

ნუ მომწერ, ვინ გვყავს ჯანგამოცლილი,
ნუ მომწერ, როგორ უჭირთ ძმობილებს,
არცა სიკვდილი, არცა ქორწილი,
პირველი თოვლი შემატყობინე.

შემატყობინე პირველი თოვლი,
მისი ფიფქების ლხენა მომფინე,
პირველ ყოვლისა, ო, პირველ ყოვლის,
პირველი თოვლი შემატყობინე.

მეექვსე ბარათი–რუსუდანს

1943 წლის 31/X

ვარ ძველებურად, ისევ გიგონებთ,
მელოდეთ, გზაზე თვალი გეჭიროთ.
დაო, გიგზავნი ფრონტულ სტრიქონებს,
იქნება სადმე დააბეჭდინოთ.

მე ისევ ვცხოვრობ ჯარისკაცურად,
ტყეში, მიწურში და ჯანდაბაში.
ეს წამება თუ მალე დასრულდა,
ცხოვრების ახალ
ფურცელს გადავშლით.

ვარ სავსე რწმენით და იმედებით,
უფრო ამტანი და მოუხრელი.
ვით მეკადრება, ისე ვმხედრდები
და გელოვანის მწყალობს მუხლები.

დაო, ამ ბარათს ისე განვიცდი,
თითქოს მიზანში ტყვიას მესვრიან,
თქვენამდე იგი მოვა? რა ვიცი,
და თუ არ მოვა, უკეთესია.

გაგექცეთ, საით გაგექცეთ —
წამოხვალთ საძებნელადა
და თუ მთლად სახლი დამექცეს,
მე კი მტერს დავრჩე მძევლადა,

სულ მთლად დამიშრეს წყარონი,
დამექცეს ნათლის სვეტიცა,
წუთები სამწუხარონი
სიხარულად ვერ შევიცან,

გამყარეთ ხორცსა და სულსა,
არსობის პური წამგვარეთ
და მადლით მოსილ წარსულსა
უკუნისამდე გამყარეთ,

ნუ მიხსნას მწყემსმა კეთილმა
და ნურცა მისმა ცხოვარმა,
გულით დამწყევლოს დედილამ,
ამინ, დასძახოს მხცოვანმა.

და თუ წარვუძეხ სიკვდილსა,
სიცოცხლე ისე გავლიე,
სთქვით სადღეგრძელო მკვიდრისა,
თქვენს სამწყემსოში გამრიეთ.

თქვით, ბედმა ადრე დაღვენთა,
ადრე ჩაუქრო ბრწყინვაო,
მიწა უყვარდა და ღმერთმაც
მიწასთან აქორწინაო.

გაზაფხულის ჩანახატი.

ბელორუსიის ტყეებსა და
ლამაზ ჯაობებს
ზედ დასდენიათ
ოქროს წვეთები.
შარშანდელი ცის
წვიმას ნანობენ
და სხივი კვდება
ჯაჭაგრულის სულისკვეთებით.

დაიმსხვრა იგი
თუ შევიდა მიწის გულამდი?
რისთვის აიმღვრა

სისხლი მიწისა.
ეჰ, ახლა ეროი
ჩემს თუშურ ქუდს დავიხურავდი,
გავიხურავდი
კარებს სიმწრისას.

ვაჰ, ჩემი იღბლის
დედა ვატირე,
თორე თეთრ სუფრას
ზედ მამულის გულზე გავფენდი.
ახლა ომია
და მაპატიეთ,
მეც ვაპატიე ჩემს წარსულ წლებს
სუყველაფერი.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ – ᲨᲔᲜᲓᲝᲑᲐ

ძარღვებში სისხლი ისევ რიალებს,
ისევ ბობოქრობს,
ისევ არწივობს
და თუ უარეს გზებით ვიარე,
შემინდე მხოლოდ,
კი არ გამწირო.

მე მოვიხადე ვალი მხედრული,
მაგრამ თუ შენთვის ვიყავ საჭირო
და არ ვიყავი წინდახედული,
შემინდე მხოლოდ,
კი არ გამწირო.

თან გამყვა შენი შუქი თვალების,
შენ იცი,
მტერი არ გააცინო,
თუ მარტო ხარ და თუ ეწამები,
შემინდე მხოლოდ,
კი არ გამწირო.

მე გზას დავადექ ცივს და ვარდისფერს,
უკიდეგანოს და უმანძილოს
და თუ სამსხვერპლო ცეცხლს
ვერ ვადვიფრენ,
შემინდე მხოლოდ,
კი არ გამწირო.

მახსოვარი

სადაც რომ ყანა მეთესა,
ნადირთა გაუქელიათ,
წისქვილის საბრუნებელსაც,
ჟამისა საბრუნებელსაც,
ბედისა საბრუნებელსაც,
ვახ, საკუთარი თავისთვის
ბორბალი დაურქმევია.
ყველგან ქარები დაჰქრიან,
ყველა აღმართი თავქვეა,
უკუღმა ბრუნვა რას ჰქვია,
ან წაღმა ბრუნვა რას ჰქვია,
ბორბალი ღმერთს უჩიოდა,
ნუგეშს ელოდა მაცხოვრის...
მაცხოვარს პური შიოდა
დედობილების ნაცხობი.

ხმა მოყვასისა

დაიხსომე, ვით მოძღვრება,
მწუხარებაც ჟღერს,
რომ სიკვდილში სიცოცხლეა
და ღამეში — დღე.

საიდუმლო მართავს საჭე
ჯოჯოხეთის კვამლს,
რომ ღიმილშიც აღმოაჩენ
ბოროტების კვალს.

მღვრიე წყება ნაპრალების
რა სიმკაცრით ქუხს.
რა სიმკაცრით აბრალებენ
ჩაუქობას მუხლს.

დაიხსომე გლოვასავით —
წისქვილის ქვაც ჟღერს,
ყველაფრის თქმა მოასწარი,
მოასწარი დღეს.

მტერს ტყვია არ დავაცილოთ,
შორს გაქცეულ მტერს,
გაუმარჯოს კავკასიონს,
საქართველოს ჭერს!

მზდალთათვის

დასწყევლოს თქვენი ყალბი დღეები
და ყვავილების თქვენი სიყალბე,
ყალბი სიმკაცრე და სიმღერების
გამჭვირვალე და თეთრი ნიღაბი.

დასწყევლოს თქვენი დღე უდარდელი,
გამოხვეული დარდის ტყაპუჭში,
გულში დაიკრა ტყვია გამზრდელმა,
როცა წახდით და როცა გაფუჭდით.

დასწყევლოს... ახლა გიმზერთ შორიდან.
არა იმედით, ლოცვა-კურთხევით,
თქვენ გაიქეცით ისე ომიდან,
ვით გაქცევია ძაღლებს კურდღელი.

ხან ვარ ქვეითად, ხან მოდრეიფე,
ვგრიგალობ,
ვწვალობ,
ქვა-ღორღს ვედები,
მტერს ვესვრით ჩვენი ჭკუის ქვეიფზე
ჯარისკაცები და პოეტები.

მეცხრე ბარათი – დაბრუნების იმედი

მორჩა, გათავდა, ჩემი სიმკაცრე
(მთელი სიცოცხლე სევდას ვუნდებით).
მივდივარ, თითქოს მელის ვიღაცა,
მაგრამ იცოდე,
მე დავბრუნდები.

არ ჩამყოლია დარდი აფთრისა,
არც ჩემი ხვითქა ბედაურების,
არ მაქვს იმედი არც არაფრისა,
მაგრამ იცოდე,
მე დავბრუნდები.
კვლავაც მოვუხმობ
ჩემს ძველ ლაღობას
და შენს თვალებში მზედ ჩავბუდდები.
მე ვუღალატე შენს ქედმაღლობას,
მაგრამ იცოდე,
მე დავბრუნდები.

სული იმდენად ამაყი არის,
ვფიცავარ ძალას დედაბუნების,
თუმცა დაღლილი და ნატყვიარი,
მაგრამ იცოდე,
მე დაებრუნდები.

ხმა მოყვასისა

ქუხილო, შეურყეველო,
გულში რა ელვა ჩაბუდდა,
გადარჩენილო ტყე-ველო,
ჩასული მთვარე დაბრუნდა.

ღარიბებო და მდიდრებო,
ნათელი სახლებს გარს უვლის.
გადარჩენილო მინდვრებო,
მზე დაგიბრუნდათ ჩასული.

ნუ გეშინიათ, შვილებო,
ფურირემს მივგვრი ქორბუდას,
მთებო, გადარჩენილებო,
წასული ნისლიც მობრუნდა.

ცა იის სუნით გაბრუვდა,
და თესლით — მიწა მშობელი,
დაბრუნდა, კაცი დაბრუნდა,
სხვა წასულების მხმობელი.

მონადირის თქმა

ხიდან მოვდივარ,
ხენი შეიყინნენ,
ღამის სიცივემ
ფიფქი შემათოვა,
ღამიდან მოვდივარ,
მამლებმა იყივლეს,
ყაფარით მოვდივარ,
კლდეთა შეღმართობას.

ბურუსით მოვდივარ
ფიფქივით ბზარქმნილი,
შვავიდან მოვდივარ,
თოვლისა სიმრავლით.

ღათვთა და კანჯართა
ბეწვი მაქვს დათვლილი.
მამის ლოცვა მომდევს,
ქარ-წვიმა სიმამრის.

თოფიდან მოვდივარ,
ბადიდან მოვდივარ,
ურმის თვლებიდან
არჩვის კუდამდე.

ჭალას სახლი დამრჩა
მცირე და ცოდვილი,
ცოდვილი ჭალიდან
მოვდივარ მუდამდღე.

აწცა განმინათლე
თვალნი გონებისა,
ერი, ერი ჩემი
და სამკვიდრებელი,

კაცთა საბუნაგედ
ქცევა მომე მიწა,
ერთი სადარბაზო
და სამი კედელი.

ს ი ზ მ ა რ ი

რიჟრაჟსა გამოკრთიან ვარსკვლავნი,
უჯარმას
ცრემლით მლოცველნი მოვიდიან,
ყოვლისა საქართველოისა
ქებისად მოვიდიან,
ყოველთა ივერიელთა, მირზა!
უჯარმის ხევსა საგანძური დაუფლავთ,
ციცხლმსახურებს დაუფლავთ,
უჯარმას ირემთა სიმრავლეა,
ტყენი ბევრნი და წყარონი ცივნი,
ფრიად მშვენიერნი,
ბალახოვან—ყვავილოვანი, მირზა!
მზისა შვილები ოქროსი არიან.
მთვარისა შვილები — ვერცხლისა.
ირემს ნუ დავანებებთ,
წყაროს ნუ დავანებებთ,
ბალახს ნუ დავანებებთ,

მზისა და მთვარის შვილებს
ნუ დავანებებთ, მირზა!
ყოველთა ივერიელთა
ცრემლს ნუ დავანებებთ,
მოახლოებულა აღსასრული
და განიღვიძე, მირზა.

ხმა ძლიერებისა

აუქციე მხარი
საუკუნო სიზმარს,
ქარიშხალი ბღავის —
ფხიზლად, უფრო ფხიზლად.

გაიპარა მკვდრის მზე,
სადღაც გაიხიზნა.
ქარში ისევ ვისმენ —
ფხიზლად, უფრო ფხიზლად.

გელოვანო, ვაშა!
რასაც კვლავ დავიცავთ —
შენი მხრების გაშლა
პაწაწინა მიწას.

გელოვანო, ყოჩაღ,
გაუმარჯოს მიზანს,
გაუმარჯოს დროშას,
ჩვენს სისხლში რომ ღვიძავს.

აუქციე მხარი
საუკუნო სიზმარს,
ქარიშხალი ბღავის —
ფხიზლად, უფრო ფხიზლად.

მეათე ბარათი — მონატრება

თავს წამდგომია ორბი,
გულს მიგლეჯავს და ხარობს,
ღამის მანტიით მორბის
ჩემი ქვითკირის ხარო.

ქვეშ-ქვეშ შემომცქერს, ზორბა,
ზორბა მხრები აქვთ ორბებს,
მისი ლოშქრო და დორბლი
ღრუბელს შეაჭმევს დომბას.

გამხიარულდით, სწორნო,
სანამ ერთურთსა ხედავთ,
ე მანდ მომინდა წოლა
ნაომარ, დაღლილ მხედარს.

გვერდზე გავხედდი წნორებს,
ჩამაიწნოდეს თმებსა.
აგიშენებდით ყორეს,
გიშველდით ხვნას და თესვას.

როგორც ვერ გაწვრთნი არწივს,
ვინ თქვა კაიყმის გაწვრთნა,
როგორც გრილ რკინას აწვიმს,
აწვიმს სიავეს ჟამთა.

ნატირალები

საძირკველს ქვანი
დიდ-დიდნი დაგიდვია,
ლაფანი მხარზე გაგიდვია,
გმირობის სახლი ისე აგიგია,

გახლავსო სიბრძნე,
გახლავსო ძლიერება,
ასე თქვეს მთაში ხნიერებმა,
დაცემულს დათვის ტყავი გაგიგია.

ნეტა მის სატრფოს,
ვისაც არწყულებდა,
ასე თქვეს გულში ქალწულებმა,
ნაბადი მისი ვისაც ხურებია.

ვაი, მის დედას, ადრე დაბერდება,
იტირეს ასე სხვა დედებმა,
მიწის შვილს, მიწის ძუძუ სწყურებია.

იგრიკს და მარკანს,
თიბათვეს მოგელიან,
რომელი ვეფხვი მოგერია,
რომელმა მგელმა შეგიტია...
ერმა და ბერმა გლოვანი შეწყვიტა,
განულეველო ცეცხლითა,
შენს სიკვდილს მთაში ვერ იტყვიან.

ბოლო სიმღერა

ზეციდან მიწამდე, მიწამდე,
მე შენთვის მხურვალედ მომიცლია.
სხვა რა ვქნა,
საქვეყნოდ გიცხადებ,
სიცოცხლე, სიცოცხლე მომიცია.

სუყველა ტკივილის მკურნალად
ცეცხლში და გრიგალში
დრო მიცვნია,
ყველაზე ნაღდი და მხურვალე —
სიცოცხლე, სიცოცხლე მომიცია.

დაბადებიდანვე რიგში ვარ,
ო, ღმერთო,
რა გვიან მომიწია,
დღეიდან ჩამთვალე
მზის შვილად,
სიცოცხლე, სიცოცხლე მომიცია.

შეხედე, სიმღერებს შეხედე,
ხანძარში სიმშვიდით რომ იწვიან,
მამულო,
გზა მწვანედ შეღებე,
სიცოცხლე
ცეცხლივით მომიცია.

მსუბუქი მიწა

ჩახმახი გადავხსენი,
მივეცი მისამართი...
საქართველო ვახსენე
და მძლეველი წავართვი.
ვიდექ, როგორც ნანგრევი,
ვიდექ, როგორც ტაძარი.
როგორც ამხანაგების
დანთებული ხანძარი.

გახვრეტილი ბარათის
ლაპარაკს მოუსმინეთ,
გაშლილ ღრუბლებს ვზარავდი.
ტყვიები მივუსიე·

ახლა ხმალ-მუზარადი
ვანდე ტყვეებს უსიერს,
მსუბუქია მარადის
მიწა ბელორუსიის.

ეახსოვარი იმეორებს

სადაც რომ ყანა მეთესა,
ნადირთა გაუქელიათ;
წისქვილის საბრუნებელსაც,
ჟამისა საბრუნებელსაც,
ბედისა საბრუნებელსაც,
ვახ, საკუთარი თავისთვის
ბორბალი დაურქმევიათ.
ყველგან ქარები დაჰქრიან,
ყველა აღმართი თავქვეა,
უკუღმა ბრუნვა რას ჰქვია,
ან წაღმა ბრუნვა რას ჰქვია.

ბორბალი ღმერთს უჩიოდა,
ნუგეშს ელოდა მაცხოვრის...
მაცხოვარს პური შიოდა
დედობილების ნაცხობი.

ფარფერა ობელისკზე

ვწევარ ომში დაღუპულ
ძმათა სასაფლაოზე,
ჩემი მთების ღრუბელი
ისევ ისე მაოცებს.

აქ ჩემი ვინ სახლობდა,
მამა-პაპათ ვინა ვთქვა!
ვარ „რანიკის“ მახლობლად,
ვარ დასავლეთ დვინასთან —

მე და ერთი სერჟანტი
ვაუტ იზმაილოვი,
მზე ამოდის, მზე ჩადის,
ისევ ჩვენი მირონით.

მქუხარებენ ჩვენს გვერდით
ნაომარი „ჩვენები“...
თუ ჩაგვივლი, შეხერდი,
ნახე დანარჩენებიც.

ელვითა და მეხითა,
ცხრაჯერ გულგაპობილი —
ოცდაათი ვეფხვი და
ოცდაათი ძმობილი.

მოსკოვისთვის ვიბრძოდით,
კიევისთვის ვიბრძოდით,
ღალატი არ ვიცოდით
და ძილი არ ვიცოდით.

ისე როგორც ამხანაგს,
ჩვენ ვიცავდით ერევანს,
ახლა თუმცა აღარ ვართ,
ჟამი ვერ მოგვერევა.

ისე როგორც მეგობარს,
ჩვენ ვიცავდით დარიალს,
ახლა ისიც გვეყოფა,
თუ ბაქოში დარია.

თუ გადარჩა თბილისი,
ჩვენც ვიცხოვრებთ სამოთხით,
„ოცდაოთხი ივლისი,
ცხრაას ორმოცდაოთხი“.

ᲒᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

მზის ჩასვლისას მოზეიმე ქუხილი
საქართველოს გადაუვლის ცეცხლივით.
შხეფებს ისვრის
შენი სისხლის დუღილი,
ლექსს ამბობ და
ხმაც არა გაქვს შეცვლილი.

დაღლილ ქედზე განშორების ზვირთია,
უჩინარი, მეოცნებე თვალებით.
ახლა მირზა ლეგენდა და მითია,
თიანეთში მოტანილი წამებით.

ახლა მირზა,
მირზა წინაპარია,
საქართველოს მზის დროშაზე გაკრული,

ხოლო შორეთს კლდეა და ნაპრალია
და სიცოცხლე ბატკანივით დაკლული.

დაქანცულან,
დალეწილა აბჯარი.
ხომ არსებობს აღტაცებაც ტანჯული,
კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი,
ლექსში დარჩი,
როგორც ლექსის მსაჯული.

როგორც მშვიდი გათენება ღამეთა,
როგორც რეკვა
ცისკრის მთავარ ზარების,
შენთან ერთად
ვდგავართ დროშის კარებთან,
შენთან ერთად,
შენი თანამგზავრები.

1973-74 წწ.

ჯაჭვის თორანი

(არდავიწყების პოემა)

„ჩვენ უფრო გვტკივა იგი, ვინ
დაგვაკლდა სწორად თავისა“.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მე თქვენ მოგიხმობთ,
მე თქვენ გეძახით,
განათებულო განთიადებო,
თვალს თუ გიხვევდეთ,
მკლავი შემახმეს. —
ყველა ვაჟკაცის
ჩანს დიადემა.
თუმც თვალი ვეღარ ნახავს სინათლეს,
სინათლემ კარი გამოიკეტა,
გ უ ლ ი,
გ ო ნ ე ბ ა
დ ა ხ ს ი ა თ ი —
შ ე ხ ვ ე დ ე თ,
რ ო გ ო რ გ ა მ ო ი კ ვ ე თ ა.
ამ გაბრწყინებულ
დღეთა მაყრიონს
ვერ ხედავს ბევრი
ლაღი ქართველი,
მაგრამ რამდენი
გმირიც გვაკლია,
იმდენი ძეგლი
აღიმართება.
დიახ, მთასავით
აღიმართება.
და დედის გულიც
უმალ მორჩება,

სისხლსაც მოვუვლით
    დაღვრილს ქართველთა—
საქართველოში
    გავფენთ დროშებად.

დავითი

ან ჩემიც ნახე მხატვრობა...

დ. გურამიშვილი

ჯვარს ეცვა,
    კვერთხი არ გავარდნია,
წამების კარავს
    სულში მარხავდა,
„დავითიანი“?
    ისიც დარდია,—
გაწბილებული
    კაცის საღათა.
რისთვის გასწირეს?
    მსგავსებისათვის,
ღმერთსა ჰგავდა და
    მისთვის გასწირეს.
საწუთრო ღმერთის
    მსგავსებს სხვისად თვლის,
ღმერთთან ვერავის
    ვერ დააწყვილებს.
ვინ დარწეულა
    ხელის შეხებით,
სხვენზე ეკიდნენ,
    ვით აკიდონი,
იყავი ასე
    გაუტეხელი,
არ მოჩითულა
    შენი მინდორი.
ჯერ შენს თოვლს
    იისფერი არ დაჰკრავს,
ჯერ შენი თოვლი—
    თოვლისფერია.
ეს არის მხოლოდ,
    რაც ხელს გადაჰყვა
და რაც ბუნებამ
    მოგირბენინა.
ჯერ კიდევ სად ხარ,
    ბრძოლა იწყება,

სიცოცხლე ცოცხლობს
მჯობნის მჯობნითი,
ბრძოლა იწყება,
ბრძოლა იწყება,
და რუსთაველი
გიმზერს ჭოგრიტით.

თავისუფლება

აქინ! დიდება!
დიდება შენს მზეს,
სუყველა ლოცვა
შენთვის წამომცდეს,
შენს სახელს ვფიცავ,
ყველაფერს შევძლებ,
ოღონდ, გეთაყვა, —
ერთხელ დამლოცე.
მაჩვენე ერთი,
ვინ გაგიმეტა,
ვინც შენი რწმენით
არ იმოსება,
შენი ნამუსი
მიგვაქვს იმედად,
შენი მზისფერი პატიოსნება.
მივგრუხუნებდით
და მივზვავობდით,
ყველა სიკვდილთან შენახვედრია.
თავისუფლება
ისე არ მოდის,
თავისუფლება
ვეფხვთა ხვედრია.
თუნდ უტკბილესი
შხამი შხამია,
ხვალის სათქმელი
დღეს არ ითქმება.
ვდგავართ იქ,
„სადაც ქარიშხალია“
და ჭაბუკური ჭეშმარიტება.
ძლივს, ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია.
თავისუფლება
ისე არ მოდის,
თავისუფლება

ლომთა ხვედრია.
როგორ დაცხრება,
        როგორ დაცხრება,
დაუცხრომელი ხალხის ბუნება,
თავისუფლება
და აღტაცება,
დაუცხრომლობით
        აღისრულება.
ვაი, მამულო,
        რამდენს ჰგონია,—
ვისაც სიტყვა
        არ აუწონია,—
რომ საქართველოს,
        ნამზლევ გოლიათს
ხმალამოღებულს
        არ უბრძოლია.
ვაი, მამულო,
        რამდენს ჰგონია,
რომ მთები
    სულ მზით
        გადაგქარგვია,
რომ საქართველოს,
        ნამზლევ გოლიათს
გმირის საფლავი
        არ დაჰკარგვია.
ვაი, რამდენი
        ვერ დავიტირეთ,
ვისაც სიცოცხლე
        ლაღი მოუსპეს.
სამარადისო
    დიდება
        გმირებს,
დიდება გმირებს,
        სახლში მოუსვლელთ,
დაუტირებელ
        მირზას, ზოიას,
დაუტირებელ ზეზვას და ზურაბს,
ვინც საწყაოა
        და საზომია,
ვისაც დუმილის
        სიცივე ხურავს.
ისევ ოც-ოცი
        წლისას გიგონებთ,

შინმოუსვლელნო,
ძმანო ქართველნო,
თქვენს გამარჯვებას
ვუწერ სტრიქონებს,
რომ ისევ ფეხზე წამოგაყენოო.

ხმა იდუმალი

ტკბილი ყოფილა
მამულის კვამლი,
შენს დაძახებას
კვამლივით ვერთვით,
ხიშტით და კალმით,
ხიშტით და კალმით.
დგას საშინელი ორმოცდაერთი.
გაბრწყინებული ძუძუ ქართვლისა,
მამა-პაპათა რჯულზედა იწვის,
არ ამოაშრო წყარო გამდლისა,
არ გაუტეხო სამშობლოს ფიცი.
გახსოვდეს შენი მიწა მშობელი,
ახლა შენა ხარ მისი დიდება.
ბინდისფერია წუთისოფელი,
შეხე, თანდათან უფრო ბინდდება.
ძნელი ყოფილა,
ძნელი ყოფილა
ერის ჩუქურთმის სულში შენახვა,
ბინდისფერია წუთისოფელი,
არ დაანებო მისი შელახვა.
არ დაანებო შენი საუნჯე,
არ დაანებო შენი ყანები;
და თუ გაქვავდი,
და თუ დამუნჯდი,
შენ სხვაზე მეტად შეგიყვარებენ.

გულს თუ შეიცვლი,
გზას თუ შეიცვლი,
ნუმც დაგხვედრია ლურჯი ვენახი.
აბა შენ იცი,
აბა შენ იცი,
წადი,
მამული შენი ვეძახის.
გაბრწყინებული ძუძუ ქართვლისა,
მამა-პაპათა რჯულზედა იწვის,
არ ამოაშრო წყარო გამდლისა,
არ გაუტეხო სამშობლოს ფიცი.

მკაცრი ძახილი,
ძახილი მკაცრი.
ყველას შეხვედრა ელის
აფთართან,
რის ქუდზე კაცი,
რა ქუდზე კაცი,
ყველანი ფრონტზე!
მორჩა, გათავდა!
ტკბილია თურმე
მამულის კვამლი,
შენს დაძახებას
კვამლივით ვერთვით,
ხიშტით და კალმით,
ხიშტით და კალმით
დგას საშინელი ორმოცდაერთი.

ფორე

წამოდგეს ფეხზე,
ვისაც სიკვდილი
თვალით წინდაწინ გაუზომია,
მე თქვენ გეძახით,
მე თქვენ მიგტირით,
ზეზვა და ზურაბ,
მირზა, ზოია.
ეს გაზაფხული
ანთებს ოცნებას,
ძგერს გამარჯვების
მკერდი ტიტანი;
სულ ისე როგორ დავიხოცებით,
რომ აღარ დარჩეს
ამბის მიმტანი.
სხვდან ყორნები
და ხორხოცობენ,
მთლად გაძარცვული
კვნესის ბალნარი,
სულ ისე
როგორ დავიხოცებით,
არ შეაფასონ
ეს ნიაღვარი

ვერც გულს შევიცვლით,
ვერც გზას შევიცვლით,

ჩ ვ ე ნ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე
            მ ზ ი ს
                ს ა ს წ ო რ ი ა,
ა ბ ა თ ქ ვ ე ნ ი ც ი თ,
ა ბ ა თ ქ ვ ე ნ ი ც ი თ,
ზ ე ზ ვ ა დ ა ზ უ რ ა ბ,
            მ ი რ ზ ა,
                ზ ო ი ა.

ეს გაზაფხული
            ანთებს ოცნებას,
ძველს გამარჯვების
            მკერდი ტიტანი,
სულ ისე
            როგორ დავიხოცებით,
რომ აღარ დარჩეს
            ამბის მიმტანი.

ზ ო ი ა

მამულო, შენი სევდა გვაფხიზლებს
და სიყვარული შენი გვიბიძგებს,
ვარ ბედნიერი,
            შენს დაძახილზე
...უმალ პირველმა გამოვიღვიძე.

ჯ`ყაჩოებში ვნახე თიბათვე,
ვიცი,
            ახდება ჩემი სიზმარი.
შენი სიცილი გზას გამინათებს
და ანგელოზებს გამომიგზავნის.

შენი სიცილი გზას გამინათებს,
აღარ ვიქნები აგრე მწუხარე,
თუ გამიმართლებ,
            შენ გამიმართლებ
და გაუთენებ ჩემს სულს მდუღარეს.

თუ გამიმართლებ,
            შენ გამიმართლებ,
მაცოცხლებ ერთხელ გულდამშვიდებით,
დაგაბნევ გულზე ოქროს ზინათებს,
გაგაფრენ ცაში ოქროს ჩიტებით.

მე კი დავრჩები ქვეყნის სამადლოდ,
თვალს გავაყოლებ ჩიტებს გაფრენილს.
ვიცი წინასწარ,
        როგორ დამათრობ,
წინასწარ ვიცი სუყველაფერი.

ვიცი,
        სულ მალე შემობრძანდები,
მწვანე სათიბი გაითელება,
მაშ,
        გაუმარჯოს შენს მოკრძალებას
და ჩემი დიდი ღამის თენებას.

ცმა იდუმალი

დაწყვეტილია გულის
        ძარღვები
და მყუდროება შელახულია.
ო, არაფერი არ იკარგება,
სუყველაფერი შენახულია.

შენ ვინ დაგტოვებს ქვეყნის სამადლოდ.
შენი ნათელი ცისკარს შერთვია,
სხივებში შენი სული ნავარდობს
და მოკრძალებით
        გმირ ქალს გეტრფიან.

და გაფრენილი ორი მერცხალი
ქვეყანას უმზერს,
        ღვივის ანთებით,
თვალებში კვლავაც
        გაქვს ნაკვერცხალი,
ასიათასი სხივის დამტევი.

დაწყვეტილია გულის
        ძარღვები
და მყუდროება შელახულია.
ო,
        არაფერი არ იკარგება,
სუყველაფერი შენახულია.

ᲫᲘᲠᲤᲐ

მე ჯერ სიკვდილზე არ მიფიქრია,
ისე ძვირფასი არის სიცოცხლე
ჩემი კი არა,
შენი,
ძვირფასო.
გავდივარ ზღვაში,
ბღავის სტიქია,
მე დავბრუნდები,
მინდა იცოდე,
და შენს სიცოცხლეს
ვკოცნი წინასწარ.
დაჰბერა ქარმა
აღმოსავლეთის,
მაცოცხლებელი მოაქვს იმედი—
გადარჩენის და გამარჯვებისა.
მე მახსენდება
ჩემი სვანეთი,
საკოცნელად რომ
ვერ გაგიმეტე,
მერე შეხვედრაც აღარ მეღირსა.
მე მაგონდება
ჩემი ლეჩხუმი,
ჩემი ორბელი,
ჩემი ლაჯანა—
მგლოვიარეთა ორი ნუგეში.
აქ ახლა არის სისხლის ფეშხუმი,
ბნელ „მაქსიმკაში"
ტყვია ჩამჯდარა
და ღამეს მართავს
ზელი უხეში.
მე დავბრუნდები...
შენი ძახილი
მესმის, თაია,
მე დავბრუნდები...
ძველი რიხით და
ძველი გალობით.
გააწყვე ჩქარა ჩვენი მარხილი,
მოჰქარგე კაბა იაგუნდებით,
უთუოდ გაჭრის
ღმერთის წყალობა.
მე დავბრუნდები...
მე დავბრუნდები...

ხმა იდუმალი

სოფელო, ცუდსამყოფელო,
დაუთოვია მთანია,
დაგვიდგა გიორგობისთვე,
სადაა მირზა, თაია.

ვილა დაგილოცს თიანეთს,
გულზე შენალოც შანასა,
დაწირვას ამ სატიალეს,
რად არ დაუდებ სამანსა.

ვახ, შენსა მზესა-დედასა,
ვახ, შენსა მამას-მთვარესა,
ვახ, შენსა ცხენსა ზერდაგსა,
მინდორი გაუთავესა.

თოხუმი[1] ამოწყვეტილა,
თაიამ ხმალი ალესა,
ვინღა აღირსებს დედილას
სამკაულსა და ალერსსა.

ᲛᲘᲠᲖᲐ

მოვიჩქაროდი შენკენა,
მინდორს არწევდა ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო.
შევხედე,
ლოცვით ავავსე
ყაყაჩოსფერი ხალიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო,
დამწერე ჯვარიო,
ყაყაჩოს წვენი შეგარგოს,
ვერ დავტკბი შენის ხილვითა,
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა.
კვლავაც მომწერე ბარათი,
ბროლ თითებითა თლილითა,
ერთი სხივი ვერ წაგართვი,
მზევ, დაფენილო დილითა.

---

[1] გვარი, ჯილავი.

ზურაბი

იშჩორსკაია,
იშჩორსკაია,
პაწაწინა
სტანიცა,
არწივები ისვენებენ,
მტრისგან
ვიღა დაგიცავს.

ჯარისკაცებს იხსენებენ
რწმენითა და იმედით...
მგლები
ალგეთისელები,
ბოლომდე ვერ მივედით.
იშჩორსკაია,
ცელი მქონდა,
ცელი
კაი მთიბავის,
ველზე ცხელი ქარი ქროდა,
ქარი
შეურიგალი.
ვერაფრით ვერ დავანებე
შენი მხრები შიშველი,
ეკვდები შენი დავალებით,
ისევ
შენ თუ მიშველი.
სამშობლოში მიმიწვდინე
ჩემი ხმა გაწყვეტილი.
არასოდეს არ ჰქონია
გამარჯვების წერტილი.
მტრის ჯავრი არ ჩამყოლია,
დავრჩი შენი მფარველი,
უსისხლოდ არ დამითმია
მიწის ერთი მტკაველიც.
იშჩორსკაია,
იშჩორსკაია,
პაწაწინა
სტანიცა,
არწივები
ისვენებენ,
მტრისგან
ვიღა დაგიცავს.

თუ გათენდები, გათენდი,
მზე დაწვა, მთვარე შობაო,
წუხელ მგელს ცხვარსა ვართმევდი,
ღმერთმა სთქვა, გამარჯობაო,
მინდორთ რო სისხლის ტბა ბრუნავს,
სისხლია ჩვენი ბალღების,
მთვარეს უყეფენ გაბმულად
სოფლის წუნკალი ძაღლები.
შვიდ მოვეფინოთ სოფელსა,
შვიდგანვე დავსცეთ კარავი,
აბჯარი მივსცეთ სწორფერსა,
აბჯარი გაუბზარავი.
ჩქარა ვუშველოთ ბალღებსა,
გაკოჭეს,
გაჰკრეს ღვედებით,
შანთებით დაუდაღესა
გვირილებივით მკერდები.
ილხენენ,
არ მწუხარობენ,
დროით თუ გამოვიხსნითა,
გულს უგლეჯენ და ხარობენ,
ვერა სძღებიან სისხლითა.
მწუხრისა არ გვათქმევინო.
მზეევ, დაფენილო მკვდრისადა,
თუ მიწა გავათელინეთ,
ამქვეყნად ეცოცხლობთ რისადა.
ოუ გათენდები, გათენდი,
მზე დაწვა, მთვარე შობაო...
წუხელ მგელს ცხვარსა ვართმევდი,
ღმერთმა სთქვა, გამარჯობაო.

პოლიტხელი ბაქრაძე

სლავიანსკის რაიონის სოფელ ჩერნოერკოვსკაიაში 330 ქართველი წევს საძმო საფლავში.

სლავიანსკის თებერვალი
კალაბატკის ხუტორი,
მოდიოდნენ შეტევაზე
უკეთურნი, უთნონი,

რა შორს დარჩა საქართველო
და ველეთის ველები,
დღეს შენ უნდა გაათენო
ღამე საკვირველებით.
დუნაზე არ უნახავთ
შენი მიზნის სწორფერი,
შენი მკერდით სუნთქავს ახლა
ჰაწაწინა სოფელი.
ცხრაჯერ დაგჭრეს,
ცხრაჯერ მხარში,
ბრძოლებით ვერ დაგქანცეს,
გენაცვალე მარჯვენაში,
ულურკაცო ბაქრაძე.
ვაი, ბევრჯერ დაიხლართა
ბედი შენებრ ქართველთა,
ბიჭობაში დაგიღამდა,
მაგრამ იქვე გათენდა.

ი რ ი ნ ო ლ ა

მართლა მჯიღისხელა
თუ ხარ,
შენი მჯიღის ჭირიმე,
რად არ წუხხარ,
რად არ წუხხარ,
რად არ წუხხარ ი რ ი ნ ე ს.

მიწა დასწვეს იმის ცოდვით,
ზეცა გაახირიმეს,
ვინ იცნობდით,
ვინ იცნობდით,
ვინ იცნობდით ი რ ი ნ ე ს.

გამოცხვება კვერი ობლის,
გაუყუჩებთ ტკივილებს,
ოღონდაც თქვით,
ვინ იცნობდით,
ვინ იცნობდით ი რ ი ნ ე ს.

მხოლოდ ცეცხლში,
მხოლოდ ცეცხლში,
ცეცხლში გამოიცადა,
პოლონეთში, პოლონეთშიც
საქართველოს იცავდა.

აჯანყდა და მტერი ხოცა,
ბინად ჰქონდა სანგარი,
საქართველო, —
შენ ვინ მოგცა —
შვილი დასაკარგავი.

პოვონსკაში თეთრი გორა
მოუჩითავთ გვირილებს,
ირინოლა, ირინოლა,
ირინოლა, ირინე.

აჯანყდა და მტერი ხოცა,
ბინად ჰქონდა სანგარი,
საქართველო, —
შენ ვინ მოგცა —
შვილი დასაკარგავი.

ია კობ

ყველა ბორკილი ერთად იმტვრევა,
იმარჯვებს ბრძენი და შორსმჭვრეტელი,
ვინ დაამარცხოს ჭეშმარიტება —
ჩვენი ელვარე სულის მჭედელი.
მხოლოდ სიმართლის გამოსარჩლება,
არცა მზირობა,
არც ორპირობა...
თავისუფლებას და გამარჯვებას
ელის ტანჯული კაცობრიობა.
თუ გამარჯვება არის მიზანი,
დაბადებულნი არ ვართ ლაჩრებად,
მამულისათვის,
მამულისათვის,
ძმებო.
სიკვდილი ან გამარჯვება.
ძლივს,
ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის
თავისუფლება,
ლომთა ხვედრია.
ტკბილი ყოფილა მამულის კვამლი,
და მწარე მეტად —
მიწა მამულის.
გმადლობთ, რამეთუ მაჩნია კვალი
მამულის სევდის და სიყვარულის.

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ა თ ვ ი ს

უმაღლესმა მთავარსარდალმა ჩვენი ფრონტის ჯარებს უბრძანა — არ მიგვეცა საშუალება, მტერს ცოცხალი ძალა გაეყვანა სევასტოპოლიდან. მარშლის ეს დავალება ღირსეულად შევასრულეთ.

დღეს, გამარჯვების შემდეგ დაბრუნებული, ვწერ ამ წერილს, ჩემო თინიკო.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი

14. V. 44

მაგრად დაჰკარი,
        მაგრად დაჰკარი,
დადგეს
        ყიჟინის კორიანტელი,
რომ საქართველოს
        რწმენის აკვანი
კვლავ იდგეს
        ტურფა და სანატრელი.
მაგრად დაჰკარი,
        მაგრად დაჰკარი,
მტერს ავი თვალი დაენისლება,
ვინც ჩვენ ერთმანეთს
        უცებ გაგვყარა,
სატრფოსთან შეყრას
        არ ეღირსება.
თუ გამარჯვება არის მიზანი,
დაბადებულნი არ ვართ ლაჩრებად,
მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს,
        მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს,
ძ მ ე ბ ო, ს ი კ ვ დ ი ლ ი ა ნ
        გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა.
ძლიავს, ძლიავს ამოდის
        მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ი ს ე ა რ მ ო დ ი ს,
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა
        ლ ო მ თ ა ხ ვ ე დ რ ი ა.

თეთნულდის სიზმარი

„ჯერ სიმაღლის შიში უნდა დათრგუნო“.
მ ი ხ ე ი ლ ხ ე რ გ ი ა ნ ი

შემინდევ,
ღმერთი შუბლზე გემთხვია,
მშვიდი, გულგრილი
და გულახდილი.
სასწაულია, უშბის მეთხვიარს[1]
ყველა მწვერვალი ჰქონდა ტახტივით.
„ფუსნაი მუჟელვ“ —
ღმერთი — მძღოლია,
შენ თვითონ იყავ
მუჟელვ ფუსნაი,
ლაქარდიანი
ერთიც გვყოლია,
ულური, ნაღდი და შემმუსრავი.
ბარგა[2] მიმდგარა
ქანჩახზე ჯერებს[3] —
ეს ჯიხვის ჯოგი
ლოკავს კლდის მარილს,
შენ ვერ უყურებ?
ვინ დაგიჯერებს,
მწვერვალისაკენ როკავს ისარი,
მწვერვალისაკენ როკავს ისარი,
ურწყვი, უხინჯო
და უცოდველი.
აუხდებოდეს თეთნულდს სიზმარი, —
ილბალს მარჯვენას გავუწოდებდი.
მწვერვალისაკენ როკავს ისარი...
— თუ გვიბრუნებდი
რაღად წაგვართვი,
დ ი ა ხ, ჩ ვ ე ნ ი ა,
მ ა ი ნ ც მ ზ ი ს ა რ ი ს.
მ ი ს ი ს ი ც ო ც ხ ლ ე და მ ი ს ა მ ა რ თ ი.
მ ი ს ი ს ი ც ო ც ხ ლ ე
ც ი ს კ ა რ ს შ ე რ თ ვ ი ა,
ა რ გ ა უ ხ დ ი ა თ
ჯ ა ჭ ვ ი ს თ ო რ ა ნ ი
და ს უ ლ ე რ თ ი ა,
და ს უ ლ ე რ თ ი ა
ხ ე რ გ ი ა ნ ი ა თ უ ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი.

---

[1] მონადირე.

[2] ჯიხვთა ოჯახი.

[3] კლდის მარილი.

ბიჯები

გამორჩეულა ცოცხალ ბიჭებში,
სასთუმალს უდგას
ბზა და მოცხარი,
მე ჩემი თვალით ვნახე ბიტენში,
ბ ე ნ დ ე ლ ი ა ნ ი ვნახე ცოცხალი.
ბნელს აკავებდნენ
მზეზე დაგეშილს,
დაჰკრა ჭ ი ღ ლ ა ძ ე მ
და გააბრუა,
ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ტაურაგეში,
ვისლასთან იდგა
შ ო თ ა ტ ა ბ უ ა.
რამდენი ერთი,
რამდენი ერთი,
რამდენი ერთი ჩამოგითვალოთ,
რამდენი ომის
ბურჯი და ღმერთი,
რამდენი ერთი
მთა და პიტალო.
ყ ვ ე ლ ა ს ს ა ხ ე ლ ი
ც ი ს კ ა რ ს შ ე რ თ ვ ი ა,
ა რ გ ა უ ხ დ ი ა თ
ჯ ა ჭ ვ ი ს თ ო რ ა ნ ი
დ ა ს უ ლ ე რ თ ი ა,
დ ა ს უ ლ ე რ თ ი ა,
ჯ ა ჭ ვ ლ ი ა ნ ი ა თ უ ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი.

ნ ა ტ ი რ ა ლ ე ბ ი

ა ი რ ი ბ ა ზ ე

ბათაკავ, გული დამღლია,
გული, რომელიც ძმის არი,
ვინაც ჩემს იტყვის, ლაღია,
ჩემსავით ლაღიმც ის არი.
შენ რაი გესმის ამქვეყნად,
ის, ჩემს გულს მოხვდა ისარი,
დ ა ს ა
რ ა ც გ უ ლ ი ჰ ქ ო ნ ი ა,
ს უ ყ ვ ე ლ ა
თ უ რ მ ე ძ მ ი ს ა რ ი.

ბათაკავ, გული დამღლია,
იახსარს გაველ ტინებსა,
აკი დედის მეტს სიკვდილი
არავის აატირებსა.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ ი

ვახმე, სიზმარმა დამბურა,
სიკვდილი ფრთას შლის რისხვიანს,
მინდორთ რო სისხლის ტბა ბრუნავს,
ჩემი ბათურას სისხლია.
ქვეშ-ქვეშ შემომცქერს, წარბს შეჰყრის,
თვალებს ვეფხვივით ლულავსა,
გახედავს მუხას დასეტყვილს,
დაჰკოცნის თოფის ლულასა.
ვახ, მტერსა, შენი ხირიმი
ვ,რასდროს გაიხირიმებს,
თვალქოჩორგადახატულო,
შენი ჭრილობის ჭირიმე.

ა ი რ ი მ ზ ე

გული კვდება, სული ოხრავს,
დავცემულვარ მუხლზედაო,
ნაკვდებოდა თეთრი ჩოხა
წითელ ახალუხზედაო.
არ მაღირსე დაბრუნება,
თვალი მაქვის გზაზედაო,
ჰყვარებიხარ ამ ბუნებას,
ვაჟკაცო და გამბედაო.
შენს მეტს ვისმეს თუ შევხედე,
გული უნდა ავიყარო...
რ ა ი ქ ნ ე ბ ა, ბ ი ჭ ა ვ, ე რ თ დ ღ ე ს
მ ო ხ ვ ი დ ე დ ა წ ა მ ი ყ ვ ა ნ ო.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ ი

ვაი, რა სიომ მოჰბერა,
უშენოდ გაგვიჭირდება —
მზე ქრება ცხოველმყოფელი,
ოჯახს შენი მზე სჭირდება.
ბინდისფერია სოფელი,
თანდათან უფრო ბინდდება.
კარ გვიბავ ცოდვა-მადლისა,

კარგსა არაფერს გვპირდება.
ხმალს ვგავარ პატრონმომკვდარსა
პირჟანგიანსა, ოხერსა.
ნეტაი როდის მოხედავ
შენს მიტოვებულს ოლესა.
გულო, ჯავრისგან მოკლულო,
არ მოგეტევა სამარი.
არასდროს არ გათენდება,
მზე გაქრა ამომავალი.
ვაი, რა სიომ მოჰბერა,
უშენოდ გაგვიჭირდება,
ბინდისფერია სოფელი,
თანდათან უფრო ბინდდება.

პ ი რ ი მ ზ ე

ნეტავ შენ, საიქიოსა
შიგ შეხვალ მტრედის ფერადო,
ცალ ფრთას მეც მათხოვებდე
ჩემსკენ გამოსაფრენადო.
ამირანივით იცოდი
დევებთან დაჭიდებაო,
გენუკვი, თან წამიყვანე—
მოახლე, დაგჭირდებაო.
ბათაკავ, მკვდრისა მზე ჩადის,
ღვთის რისხვა ჩამოდგებაო.
შენი დედაი ბეჩავი
სანთლებურ ჩამოდნებაო.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ ი

ბრალია შენი სიკვდილი,
მზე წითლად შეუღებია,
ცა და ქვეყანა მიგტირის,
ცრემლი ცრემლს შეუღლებია.

გადაგვიბრუნდა ურემი,
წინ წასვლა შეუძლებია.
კარზე გიდგანან სტუმრები,
შინ აღარ შეუძღვებია.

ლაშქარს გიკითხვენ სწორები,
წინ აღარ გაუძღვებია,

ვაი, თუ შავი ყორნები
შენი სისხლითა სძღებიან.

მიწაში არ მეგულები,
ცაში კვლავ გორდა ტიალობს,
სამზეოს დაკლებულები
სულეთში გროვდებიანო.

ხმა იდუმალი

უკანასკნელად შევხედე ფიცრებს,
უკანასკნელად შევხედე,
მაგრამ
ერთ წამში გაქრა
დროცა და სივრცეც,
მერე ხილული სამყაროც გაქრა.
ერთ-ერთს
გამოსვლის უფლება მისცეს,
საწყალმა,
რაიც იცოდა, დაფქვა...
ერთ წამში გაქრა
დროცა და სივრცეც,
სუყველაფერი
ერთ წამში გაქრა.
ვეპარებოდით
ჩრდილებში სიცხეს...
ჩვენ ვკარგავთ იმას,
თუ იგი გვკარგავს,
ერთ წამში ქრება
დროცა და სივრცეც,
სუყველაფერი ერთ წამში გაქრა.

გათენება

აქ გათავდება ჯამი მზიანი,
აქ დაესმება წერტილი ბრძოლას,
რაც მგლოვარე და
ლამაზი არის,
გადაურჩება შიშსა და ძრწოლას.

აქ დაეცემა ტახტი დიდების,
ქარტეხილების ენება და ყინი.
აღარასოდეს არ დაგვჭირდება

ცრემლი,
ღიმილი,
ზრუნვა და ჩინი.
მორჩება სული
გზა-გზა ხეტიალს,
დაილეწება
ნუგეშის ფუძე,
რაც ძვირფასია,
რაც ზედმეტია,
სუყველაფერი გაქრება უცებ.
ახლა კი
ჩემი სალამი, ძმებო!
ჩემი სალამი
და გამარჯვება.
სიტყვის გრიგალი
სამოთხეს სწვდება
და მისი ხელი
შუბლზე აჩნდება.

ჩემს სულში თქვენი
სიცოცხლე ბოლავს,
ჩემი სალამი,
თეთრო ჭალებო,
უნდა გათენდეს
ბოლოსდაბოლოს,
რომ შენს ფერხულში
ერთად ჩავებათ.

შენი მინდვრების ძახილი მესმის,
ხმა ლაჟვარდების,
ხმა გათენების,
ს ჯ ო ბ ს ს ი ც ო ც ხ ლ ე ს ა
რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ლ ე ქ ს ი,
ჰაი, ჰაი, რომ
ხართ ქართველები!

ხასიათი

ნუ შეშფოთდები,
        წყრომა ტვირთია,
არც შერიგებას
        გირჩევ გრიგალთან,
ჯერ ხომ სანთელიც
        არ აგინთია,
ჯერ ხომ
სიბნელეც არ
        მოგინათლავს.
აქედან მოსჩანს დროის ნათელი,
მოელვარე და გასაოცარი,
შორს უნდა იცნო
        შენი სანთელი,
შენი შუადღე —
        ჭალაროსანი.

აქედან მოსჩანს
        შენი ქვეყანაც,
გაუტეხელი
        და მოუღლელი,
მე დამესიზმრე, —
        შემომეყარე
და ქედზე გედგა
        ოქროს უღელი.
მე დამესიზმრე, —
        სიმღერ-სიმღერით
გაჰკვეთე
        ღამის მკაცრი გრიგალი.
შენ გიხდებოდა
        ლომის სიმხნევე
და ხასიათი შეურიგალი!

მე დამესიზმრე, —
        ხმით მოყაშყაშე,
ქველი,
    წარმტაცი,
        ლაღი,
        გოროზი,
გადაუარა
        ღამემ ლაქაშებს,
წაიღო ჟრუოლა
        და ავგოროზი.

სანატრელ სივრცეს
ქარი არხევდა,
მიჰქონდათ თოვლი
ოქროს მარხილებს
და ორბებივით
აჩნდათ ნახმლევი
მთებს, თვინიერებს და თავდახრილებს.

ხმა იდუმალი

დ. კ. ფ-ს

დაწყვეტილია
გულის ძარღვები
და მყუდროება შელახულია,
ო, არაფერი არ იკარგება,
სუყველაფერი შენახულია.

ქარტეხილების ელვარე თვალი,
შურისძიებით მომზიანდება.
რა ლამაზია
ცის ფერი, დალი,
რა ტურფად მოსჩანს შორს დიადემა.

კიდევაც ვნახავთ,
კიდევაც ვნახავთ
მრავალ უხილავს,
მრავალ საუნჯეს,
ყველაფერს
თავის ქუხილი ახლავს,
ანგელოზები
რომ არ დამუნჯდნენ.
ახლა სიცილით
წაეყვეთ მდინარეს,
ჩემი სალამი
დიდ აღტაცებას.
შეხედე, დალი,
მთები ბრწყინავენ
და ზეიმობენ მუხლზე დაცემას.
ჩემი სალამი
ყველა უმწეოს,
კვლავად წამოდგნენ,
თუნდაც წვალებით.

ვაშა გაზაფხულს,
        თვალი უბრწყინავს,
არხევს სიცოცხლის ფერისცვალებას.
დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა გ უ ლ ი ს
        ძ ა რ ღ ვ ე ბ ი
დ ა მ ყ უ დ რ ო ე ბ ა შ ე ლ ა ხ უ ლ ი ა,
ო, ა რ ა ფ ე რ ი ა რ ი კ ა რ გ ე ბ ა,
ს უ ყ ე ე ლ ა ფ ე რ ი შ ე ნ ა ხ უ ლ ი ა.

ბ ე მ ი რ ე ბ ი

ცხრაჯერ თურქეთში გაგყიდეს,
ცხრამეტჯერ ლეკებისასა,
ნეტა რას გითვლი, ან კიდე,
კვალს ვინ გაიგებს გზისასა.
მითხარი, ვინ არ გაგყიდა,
არ მიგცა პირსა მგლისასა,
გამოღმიდან და გაღმიდან—
სამალდეს ხრავდი მტრისასა.
ახლა გზა გამოისწავლე,
საბრძანოს დაჰყე მზისასა,
თ ა ნ დ ა ჰ ყ ო ლ ი ა ს ი მ წ ვ ა რ ე
ბ უ დ ე ს ა ვ ე ფ ხ ე ბ ი ს ა ს ა.

*

მოძალდი, მზეო, მოძალდი,
შენი მზისფერი ხორბლითა.
ისევ ილვიძებს ბოძალდი,
თავისი სასხლეტ ბორბლითა.
ისევ ზედ უძევს ისარი,
საწიოკ-საბოჟიროდა.
ის არის,
სწორედ ის არის,
გაუღვიძნია დინოზავრს.
ახალი გამოჩეკილი,
ახალი გამოჟილული,
დურდო, ბრეშა და ბინძური.
ის რამდენიმე დღის არის
და ვერა მალავს სიძულვილს.
არიქა, გაფოთებულა,
ამოწყდა მისი თოხუმი,
სხვა ხმაზე გალობს ქვედრულა,
სხვა ხეობა აქვს მოხნული.
მოეზაყება ცხენზედა,
უგეზური და ლუგუმი.

დაბარგანავდა, შემხედა,
თვალი მომკიდა უგნური.
ახლავ სჭირდება გაბალთვა,
გამოცლა თავსასთუმალის,
კვლავ ყვირის მამა-პაპათა
ემირული სულის გუმანი.
მოძალდი, მზეო,
მოძალდი,
შენი მზისფერი ხორბლითა,
ისევ იღვიძებს ბოძალდი,
თავისი სასხლეტ ბორბლითა.
ახალი გამოჩეკილი,
ახალი გამოხილული...
ჰა, თანუშიამ შეჰკივლა,
იქნება გალღვეს ყინული.

*

ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს,
ქვენ ბაცალიგოს შრებაო.
ისევ იპოვის ტოლი ტოლს,
ყვავილიც გაიშლებაო.

ხეა იდუალი

I

ერთი წამია წუთისოფელი
და ზიარება ერთი კოვზია,
არ უნდა ჩაქრეს
ცხოველმყოფელი
უფლების ძალა,
ღმერთის ოზია[1].
ვიღაცის გამო უნდა იცოცხლო,
ხომ უნდა მოკვდე
ვიღაცის გამო.
ვიღაცის გამო უნდა ილოცო
და ბინდისფერი სოფელი განვლო.

ვიღაცის გამო
უნდა დამუნჯდე,
ვიღაცის გამო
უნდა გახელდე.
დრო-ჟამის ჟანგი
რომ არ გაუჯდეს —

---

[1] ძლიერება უფლისა.

ო, გაფრთხილება
        უნდა სახელებს.

ო, გაფრთხილება
        უნდა სახელებს,
ყველასთვის ცნობილს
        და შეუცნობელს.
ისინი დრო-დრო
        თვალებს ახელენ —
ჩვენ ვემალებით,
        თვალს ვერ ეუსწორებთ.
გაუღვიძნიათ
        და ცეცხლს აჩენენ,
ირგვლივ უვლიან
        ღამით გალავნებს,
ისევ
    ისინი
        გადაგვარჩენენ,
ისევ
    ისინი
    დაგვიფარავენ.
მათი დიდების
        სახელს გაჰყევი,
ჩირაღდნად გენთოს
        სული გმირული.
თუ გინდა ქვეყნად
        შენი სახელი
არ იყოს უცხო
        და განწირული.

თავისუფლება

ამინ! დიდება,
        დიდება შენს მზეს!
სუყველა ლოცვა
        ალალ შენზედა,
შენს სახელს ვფიცავ,
ყოველდღე ვეძებ,
დღეს სულ სხვანაირ
        ლამაზ მზეს ვხედავ.
მივგრუხუნებდით
        და მივზვავობდით,
ყველა სიკვდილთან შენახვედრია,

თავისუფლება ისე არ მოდის,
        თავისუფლება
        ვეფხვთა ხვედრია.

თუნდ უტკბილესი
        შხამი შხამია.
ხვალის სათქმელი
        დღეს არ ითქმება,
ვდგავართ
        „იქ, სადაც ქარიშხალია“
და ჭაბუკური
        ჭეშმარიტება.

ძლივს, ძლივს ამოდის
        მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
        თავისუფლება
        ლომთა ხვედრია.

როგორ დაცხრება,
        როგორ დაცხრება
დაუცხრომელი ხალხის ბუნება,
თავისუფლება და აღტაცება,
დაუცხრომლობით აღისრულება.

ვაი, მამულო,
        რამდენს ჰგონია,
ვისაც სიტყვა არ აუწონია,
რომ საქართველოს,
        ნამზღევ გოლიათს,
ხმალამოღებულს არ უბრძოლია.

ვაი, მამულო,
        რამდენს ჰგონია,
რომ მთები სულ მზით
        გადაგქარგვია.
რომ საქართველოს,
        ნამზღევ გოლიათს,
გმირის საფლავი არ
        დაჰკარგვია.
ვაი, რამდენი
        ვერ დავიტირეთ,

ვისაც სიცოცხლე
ლალი მოუსპეს,
სამარადისო
დიდება გმირებს,
დაუტირებელთ,
სახლში
მოუსვლელთ.
დაუტირებელ
მირზას,
ზოიას,
დაუტირებელ
ზეზვას და ზურაბს,
ვინც საწყაოა
და საზომია,
ვისაც დუმილის
სიცივე ხურავს.

ისევ ოც-ოცი წლისას გიგონებთ,
შინმოუსვლელნო,
ძმანო ქართველნო.
თქვენს გამარჯვებას
ვუწერ სტრიქონებს,
რომ ისევ ფეხზე წამოგაყენოთ.

დიდი მამული
ვალში არა ხართ,
ხმალი იქნიეთ
მამაპაპური.
ძმათა მხარდამხარ,
ძმათა მხარდამხარ,
თქვენასთქვით თქვენი
სიტყვა ზღაპრული.

1971 წ.

გაფრთხილება

ქართლოს

ისევე აღვსდექ ძველ კათედრალზე,
ისევ იწყება ძველი წამება,
ჩემი დღეების ლურჯი ემბაზი
ღირს აღელვებად და გამწარებად.

ისევე გაჩნდა ტყეში ფრინველი,
ტყეში ნადირი ისევე გაჩნდა,
მე უნდა ვიყო შენი „პირველი"
და მოგითიბო დიბა და ფარჩა.

მე უნდა ვიყო შენი „პირველი",
არნახული და არგაგონილი,
ჩემი ჩურჩულით დანაპირები
ფრთებს შლის და თვალებს ნაბავს ქორივით.

ეს, შენ გეკუთვნის ჩემი მიზანი,
მორთმეულია გულდამშვიდებით,
ჩემი ცხადი და ჩემი სიზმარი,
სავსეა შენი ოქროს ჩიტებით.

მე უნდა ვიყო შენი განზრახვა,
შენი მკერდი და შენი ნაპირი,
შენი წყურვილიც და ნუ დამძრახავ,
თუ ვარ მართალი და პირდაპირი.

ასე წავიღებ შენს ლამაზ ციცკარს,
შენს ცისარტყელებს ასე წავიღებ,
დაგროვდი ჩემში მისხალ და მისხალ,
მერე გრიგალში ცეცხლით გამიხმე.

ჯერ კი აქა ვარ,
ჯერ ისევ აქ ვარ,
ჯერ საქართველოს უნდა ვუმღერო,
ვინც უსახელოდ წავიდა, გაქრა,
უნდა დავიდგა მისი უღელი.

უნდა დავიდო მისი ბორკილი
და ვაჟღარუნო რკინის ჯაჭვები.
შეხედეთ, ელავს,

როგორ მომკივის,
ასჯერ გაზომე,
ერთხელ გასჭერი.

და როცა გავალ მეორე ნაპირს,
ნაპირს, რომელსაც ქვეყანა ელტვის,
თვალანთებული შევხედავ აპრილს,
აპრილს,
რომელიც მინდოდა შენთვის.

ჯერ კი აქა ვარ,
ჯერ ისევ აქ ვარ,
მოვსდევ ქალაქებს
და მოვსდევ სოფლებს,
წისქვილ და წისქვილ დავათრევ საფქვავს
დაფქულს ვურიგებ ქვრივებს და ობლებს.

მე შევლევივარ ძმობას და თრობას,
ამქვეყნად ვინმე თუ შელევია,
დაუნგრევია სოფელი მტრობას,
მაგრამ სიყვარულს უშენებია.

ისევ შენთან ვარ,
როგორც მკურნალი,
როგორც სევდა და როგორც წამალი
და სიყვარული გაუხუნარი
ბიბინებს, როგორც შენი ტრამალი.

მე თუ გადავრჩი,
შენით გადავრჩი
და გადავჩეხე კლდეზე მაცილი,
წუხელ მესიზმრე,
გულში დაგმარცვლე,
მერე აგკინძე მინდვრის მარწყვივით.

ისევ დაგმარცვლე,
ისევ აგკინძე,
ისევ გაქრი და ისევ გიხილე,
გამჭოლი მზერით ზურგი გამიწვეს
და გაჩნდა, რასაც ჰქვია
სიფრთხილე.

და გაჩნდა,
რასაც ჰქვია ნაპრალი,

და გაჩნდა,
რასაც ჰქვია ჭაობი,
და გაჩნდა,
რასაც ჰქვია საპყარი, —
მასხარა ერთი სანახაობის.

სიფრთხილე —
ლანდი, ქარის, გრიგალის,
სიფრთხილე —
თვლემა, ყალბი იმედი,
სიფრთხილე —
სული ეშმაკს მიჰგჭარე,
სიფრთხილე —
ეჭვი, ასე მცირედი.
სიფრთხილე —
შიში, ელდა, წუხილი,
სიფრთხილე —
ვნება, მწუხრი, ლოდინი,
სიფრთხილე —
უარყოფა ქუხილის,
გახარებულის და გაფოთლილის,
სიფრთხილე —
კვდომა გამოუცნობი —
თუ ერთხელ მისი მხარი იხილე,
წყალში იდგე და მოკვდე უწყლობით
სიკვდილი არა,
ჰქვია სიფრთხილე —
სიფრთხილე —
ჩრდილი მიდის შარაზე,
სიფრთხილე —
დალპა ფიქრი და აზრი,
სიფრთხილე —
ყველა კარი ჩარაზე,
სიფრთხილე —
ცერზე მიმინო გაზის.
სიფრთხილე —
ცერზე მიმინო გაზის.
და იმ მიმინოს
ჰქვია სიფრთხილე,
სიფრთხილე —
ეშმა მომდგარა კარზე,
სულგარეცხილი
და შეთითხნილი.

ჯანყვათ

მადლობა ყველას,
ვინც ვერ გამიგო
და ვინც გამიგო,
მადლობა ყველას...
როგორც გოლგოთას,
ვუმზერ თარიგონს
ლა მაინც
ჩემგან ელოდეთ შველას.

მოგესალმებით
ზარით, გრიალით,
გვერდს ვერ აგივლით,
მოგესალმებით.
ყველა ჭრილობა
და ნატყვიარი
ანგელოსებმა
მორთეს ალმებით.

მე თავს მერჩია
თქვენი ხიფათი,
თქვენი იღბალი,
პური და ქერი.
ო, მაგრამ
თქვენში რაც მე მხიბლავდა,
სხვისი ყოფილა
და არა თქვენი.

ახლა კი,
მაინც მოგესალმებით
იმ სითამამით
და მორჩილებით,
რომლითაც რეკენ
ჩემი ზარები,
რომლითაც მე თქვენ
სულ არ გჭირდებით.

მოსახდენია,
რაც უნდა მოხდეს,
ჩვენ არასოდეს
არ შევიყრებით,
მორჩა, გათავდა,

არა ვარ მომხრე
თვინიერების
და შერიგების.

ჩემი სიცოცხლის
ყოველი წვეთი,
ცის კაბადონზე
მზედ აინთება,
დიდება მამულს!
ეს გახლავთ ერთი
ჩემი მარტივი
ჭეშმარიტება.

თქვენ გქონდეთ თქვენი
პატარა სუფრა,
პატარა დროშა,
პატარა დახლი,
მე ქარიშხალის
ფილტვებით ვსუნთქავ,
არ მინდა
თქვენი სიმშვიდის სახლი.

ქართლს

მე შენ გენდობი,
ცამდე გენდობი,
დამიძახე და სიკვდილში წავალ,
შენი კორდი და ჭრელი ფერდობი
მე მირჩევნია სიცოცხლის წამალს.

უძლიერესი სევდით დამდაღე,
უდიადესი უღლით დამღალე,
გულმოდგინებით გული თახთახებს
და ჯეჯილივით სული ღაღანებს.

ვერა, ვერაფრით ვერ შეგეჩვიე,
სხვანაირი გაქვს ქარი და ცეცხლი,
მზის ჩასვლისას რომ გადამერჩინე—
ღმერთო, რამდენჯერ გიგორე კვერცხი.

ღმერთო, რამდენჯერ სისხლით მომირწყავს,
უდარეველი ციხის კედლები,

მურის ციხესთან ანგრევენ მიწას,
ჩარკვიანების ცივი მკერდები.
დიდება ზურაბს,
დიდება ჯანყვათს,
დიდება ციოყს,
დიდება რამზის,
მეც თქვენი ბრძოლის მარილი დამყვა
და მხარზე თქვენი ჭრილობა მაზის.

მე დაგიფარავთ,
ჩემს ძმობას ენდეთ,
მე წუთისოფელს არ ვუფრთხილდები.
მე თქვენს სახელებს მივიტან მზემდე,
— თქვენ საქართველოს ნამუსს სჭირდებით.

ჯანყვათ

ნეტა მახსოვდეს შენი სახელი,
ჩემო თოლიგე, თავს შეგაწყენდი,
არ იქნებოდა ასე დამღლელი
და რკინის უღელს უფრო გავწევდი.

არ იქნებოდა ასე დამღლელი
ჩემი სამშობლოს თეთრი უდაბნო,
ახლა დაღვრილი და დასაღვრელი,
სიცოცხლის დამღვრელს ვინ დაუმადლოს.

ვინ დაუდაფნოს გზა დასერილი
თავისუფლებით და ჯურღმულებით.
ვინ გააგრძელოს ჩემი წერილი, —
გასიებული თეთრი ღრუბელი.

ვინ გააგრძელოს ჩემი ყივილი,
მიწის ყივილი ვინ გააგრძელოს,
ვინ შეაგებოს ცისკარს ხირიმი,
ვინ გააგრძელოს მზის სადღეგრძელო.

ნეტა მახსოვდეს შენი სახელი,
ჩემო თოლიგე, თავს შეგაწყენდი,
არ იქნებოდა ასე დამღლელი
და რკინის უღელს უფრო გავწევდი.

ხმა

დაჭრილო არაგველებო,
არ გაუფრთხილდით თავებსა,
როგორც ცხენს მწვანე მინდორი,
სიცოცხლე გაგითავესა.

არ გაუფრთხილდით სიცოცხლეს,
აბობოქრებულს, მწვანესა,
დაცლამდე შეეწირენით,
მამულის ტკბილს და მწარესა.

მკვდრები იტყოდეთ მართალსა,
მაგ თქვენ გაუყრელ ძმობასა,
ფეხზე სიკვდილი გერჩიათ,
დაჩოქილ არსებობასა.

დაჭრილო არაგველებო,
სამასი დილა გათენდა,
სამასი, სამი ათასი
დაჭრილი გული გამთელდა.

გული გამთელდა მამულის,
სამარადჟამოდ გამთელდა.
თქვენი დილა რომ დაღამდა,
საქართველოსი გათენდა.

დაჭრილო არაგველებო,
არ გაუფრთხილდით თავებსა,
როგორც ცხენს მწვანე მინდორი,
სიცოცხლე გაგითავესა.

ქეთევან

უთხრეს ქეთევანს,
უნდა გათათრდე...
ხოლო ქეთევან
არა ისმინა,
გახურებულის გაზებითა
დაჰგლიჯეს ძუძუ,
გახურებული შამფურები
გაავლეს მუცელს...

ესრეთ შევედრა
წმინდა სული
თვისი უფალსა
და შეირაცხა
უწმინდესთა
კრებულთა თანა.

სიფრთხილე

სიფრთხილე —
ილდა და მწუხარება,
სიფრთხილე —
წავალ და დავისვენებ,
სიფრთხილე —
ღმერთი დამეხმარება,
სიფრთხილე —
რა ვქნა, ვერ გავიხსენე,
სიფრთხილე —
მაინც ნუ იტყვი სიზმარს,
თუ შეგიძლია, სიზმარს ნურც ნახავ.
სიფრთხილე —
ნუ ხარ ცოცხლად და ფხიზლად,
გულს გახარებას ნუ დაუსახავ.
სიფრთხილე —
ნუ ხარ ნურცა მწუხარე,
სიფრთხილე —
არა, დღეს ნუ გამოხვალ,
შენ გენაცვალე, ნუ იმქუხარებ,
თუ ბედნიერი მწუხრის გამო ხარ.
სიფრთხილე —
უცებ ნუ აღტაცდები,
ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი,
გზაზე მოდიან ბერიკაცები,
რკინის ნერვებით,
რკინის ჯაჭვებით.
ჭირისუფლებო, ერის დამცველნო,
მადლს თქვენი სიბრძნის
ელის ქართველი.
ყამთაბერებო, ბერიკაცებო,
თქვით პირუთვნელად
თქვენი სათქმელი.

ხუროთმოძღვარი

მეფემან, ალექსანდრემან,
ჭირნახულობით მრავლისა,
შეჰკრიბა ხუროთმოძღვარნი
აგარაკის და მარნისა.

იგულა, იგულმოდგინა,
ოცდაოთხისა წლისამან
და განსრულება სვეტისა
ცხოვლისა, ითქვა ღვთისაგან.

განასრულა და განავრცო,
სენაკნი, ქვითკირისანი,
წავიდა გალობანითა,
არ წაუღია მისხალი.

ხმა

ჯერ არ გამოვტეხილვარ,
შენთან უნდა გამოვტყდე,
გაძარცულო ხეხილო,
გაყიდულო სამოთხევ.

გაძარცულო პალატო,
გაყიდულო მთაწმინდავ,
შენთა შვილთა ღალატი
მე ზედ გულზე მაწვიმდა.

მე ზედ გულზე მაწვიმდა
შენი ფრთების მოკვეთა,
ავსებული ყანწიდან
სისხლი ახლაც მოწვეთავს.

გული სევდით ივსება,
ძნელად, ძნელად თენდება.
გაბზარული ღირსება
ნუთუ, არ გამთელდება.

ვინ მოგვნათლა ლაჩრებად,
ვისმა წყაროს წყალობამ,
ასე როგორ დარჩება
ჩვენი შთამომავლობა.

ჯერ არ გამოვტეხილვარ,
შენთან უნდა გამოვტყდე,
გაძარცულო ხეხილო,
გაყიდულო სამოთხევ.

ჯანყვათ

მე გიწინამძღვრებ,
მე აგაშენებ,
მე მოგწმენდ ცრემლსა
მარგალიტისას,
მწუხარე სახეს
ტყვილა მაჩვენებ,
შენი სიკვდილი
არ ჰგავს სიკვდილსა.
რაც შენ გარდაგხდა,
ცრემლის ღირსია,
მაგრამ ტირილის
არ არის ღირსი.
ჯერ ხომ ფიალა
არ ამივსია,
არ ამივსია
შენი მტრის სისხლით.
მაშ, რას მემდურის
ფლიდი საწუთრო,
მაშ, რას მიქადის
შენი ილბალი.
მზად ვარ, შენს დილას
დღესვე დავუთმო
ნაოცნებარი
და ნაფიქრალი.
მეც იგი მტკივა,
რაც შენ გაწვალებს,
ძვირფასო,
სხვისთვის რაც მცირედია,
ნუ გეშინია,
შენ გენაცვალე,
პატარა ძილით
ჩაგეძინებია.

ცვა-ბმირზე თქმული

ნიღაბი ახადა
ნიღბით აღჭურვილებს,
მწუხარე ველებზე
მოგვიკლა წყურვილი.

ჩაიცვა ფარაჯა
და ჯაჭვის პერანგი,
ქუხდა და ქუხილით
დაჯაბნა ვერაგი.

ჩვენს დარბაზს
შუქი და სინათლე შემატა,
ჩვენ მისი გვმართებს და
ჩვენ მისი გვემართა.

ფერადი დროშები
ახარა გაზაფხულს.
ფესვი მოუნახა
სიცოცხლეს დაზაფრულს.

ხოლო ქვეწარმავლის
ბუნაგს და ნააკვნარს,
ორპირი მოყვარეც
ზედ გულზე დააკლა.

ჩვენი ვეფხის ტყავი
ბოლომდე გაჰფინა,
კაცის გულის მიღმა
არ ჰქონდა სხვა ბინა.

საფლავიც არა აქვს,
კაცებში მარხია,
ჭერი მამულისა
იმისი სახლია.

ხეა მონატრებულ მთიბავზე

დღეს ყველას უნდა ვუთხრა შენდობა,
სულს პოეტისას და სულს მეწაღის.
განრისხებულა უიმედობა
და მონატრებულ მთიბავს ეძახის.

განრისხებულან ანგელოსები,
აღარ უნთებენ მუზებს ჩირაღდნებს.
ჩვენ რომ გუშინწინ ვაქეთ მგოსნები,
ცისფერ ნისლებში გაუჩინარდნენ.

ღმერთო, უშველე, ვინც სიზმარშია,
ვისაც ფრთები აქვს და ვინც ქვითინებს,
მეც შემომავლე შავი არშია,
რადგან ქვითინი ვერ მოვითმინე.

აჰა, ხომალდი, ქარით, გრიგალით,
საცა უბრძანებ, იქითკენ გასწევს,
სიბრძნით, იმედით და ნაფიქრალით,
შენი რჩეული შვილებით სავსე.

არ გაგიდგება, არ გიღალატებს,
შენი თილისმის დაჰყვა მისნობა,
ის უგალობებს შენს დიდ პალატებს.
შენს უდარეველ დარბაისლობას.

ფორე ბოსულიშვილი

ვინ შემოგვრჩა,
ღმერთმა იცის, ფრთხილი,
სად გაიყო ცხრა ძმამ
ერთი თხილი.

მენს მხედრულ ვალს
გაუმარჯოს, ფორე!
შენს ჭურ-მარანს,
წარაფენს და წნორებს,

„მონტე როზას“
მთები თოვლიანი,
შენი ზორბა
მხრების ტოლი არი.

ფეხზე სიკვდილს
გაუმარჯოს, ფორე!
დაჩოქილი
არ მიუხვალ სწორებს.

ხორციისაგან სული გაგითიშავს,
დაეცი და მიწას ეამბორე,
„გაუმარჯოს იტალიას!“ — ნიშნავს
„საქართველოს გაუმარჯოს!“ — ფორე.

ვინ შემოგვრჩა
ღმერთმა იცის, ფრთხილი,
სად გაიყო ცხრა ძმამ
ერთი თხილი.

უცნობი ჯარისკაცი

მე დაჭრილი ვარ,
ხელსაც არ მიწვდი,
ტყვიამ წელანაც მომაწივილა,
სად და ვინ დამჭრა,
აბა რა ვიცი,
მე ვიცი მხოლოდ,
რომ დაჭრილი ვარ.

მე დაჭრილი ვარ,
მწყურია წყალი,
ვერ გაგაგონე,
წყალი მწყურია,
რა საოცარი ყოფილა წამი,
ერთ წამში გული დამიწურია.

რა საოცარი ყოფილა წამი,
ათასმა მეხმა გადიგრიალა,
ციცხლმოდებული
ჩახმახი ღამის
ისევ საჩემოდ
მართავს იარაღს.

ხუთი ტყვია მაქვს
შუბლში დახლილი,
მეექვსეს ალბათ ველარ უმიზნებს...
დაჭრილი გული
ფეთქავს დაღლილი
და გზას უნათებს
ტყვიას გულისკენ.

ხევა

სისხლითა მისითა დაიდგა გვირგვინი,
სიმხნითა მისითა გადარჩა მამული,
უამრავ სიერცეებს დასერავს სიკვდილი,
ხოლო გმირის საფლავს სირცხვილით ჩაუვლის.

დამშვიდდი, გიკურთხოს ხელი წყალობისა,
შენ ჰყავხარ ნაკვერჩხლად, ნაფუძვარს, ნასახლარს,
სიკვდილი რუსთველის „ვეფხისტყაოსნისთვის“
ეს გახლავთ უზომოდ კეთილი განზრახვა.

დამშვიდდი, ბრძოლიდან გასულად არ გთვლიან,
დამშვიდდი, შენი ძმა — სიცოცხლე — თან ჩაგყვა,
შენს გულზე მუდმივი ცეცხლი რომ ანთია,
ჩვენი საქართველო იმ ცეცხლით გაჩაღდა.

დამშვიდდი, ავღმართეთ ათასი მწვერვალი,
სუყველა მწვერვალი შენს სახელს ატარებს.
ჰოი, დაღალული შენი სატევარი,
ღელეს გაუქმებული ჯვარია საყდარის.

მოაქვთ სიხარული პაწაწინა მერცხლებს,
ტალღა აქანავებს ხალხის შერისხულებს,
ჩვენ კი, შენი სისხლის მოჩახჩახე ცეცხლზე
მოვდივართ და ბავშვებს ვუთბობთ ხელისგულებს.

ბერიკაცები

სიცოცხლე სიკვდილის ფასად,
ასე გერჩიოს.
უპატრონოდ და უსახელოდ გასვლას
სიკვდილი გერჩიოს.
სულისა გახარებასა
ჭმუნვა გერჩიოს.
გონებისა მზაკუარებასა
უგონობა გერჩიოს.
სიტკბოებამ სიძვისამან-
არ დაგაბრმაოს.
სახელი ალვანსა და ახმეტას
შენიც ისმოდეს.
ერთგულთა და თანამზრახველთა
ფასი იცოდე.

ულელი უნდა გქონდეს მკვიდრეული,
ისე ვერ ზიდავ,
ესე დაიხსომე თვითეულნი,
თვისთა წესითა.

ს ი ფ რ თ ხ ი ლ ე

შევკვეცე სურვილი,
სივრცე და ტრამალი,
ტკბობას და სიცოცხლეს
მეორედ ვინ მოგცემს.
„უფრთხილდი მანქანას“,
„უფრთხილდი ტრამვაის“,
„უფრთხილდი ელმავალს“,
„უფრთხილდი სიცოცხლეს“.
ისმინოს,
ისმინოს,
ვის აღზრდა სწყურია:
— ნუ აღფრთოვანდები.
და ცოტა ილხინე,
„ეს სასიკვდილოა“,
„ის აკრძალულია“,
სიფრთხილე!
სიფრთხილე!
სიფრთხილე!
სიფრთხილე!
სიფრთხილეს თვალი აქვს,
სიფრთხილეს ყური აქვს,
სიფრთხილეს შია და
სიფრთხილეს სწყურია.
სიფრთხილეს არ სტკივა
არც გული, არც თავი,
სიფრთხილეს არ უთქვამს
არასდროს მართალი.

ჯანყვათ

გამძაფრებულან,
გააფთრებულან,
კარს მოგვდგომიან
ღამის ლანდები,
ბიჭები მაინც
დგანან მთებურად,
დგანან ისე, ვით
ბარიკადები.

თქვენ, ჩემო ძმებო,
მეოცნებენო,
მიჯაჭვულებო
დღევანდელ დღეზე,
ჩემო თბილისო,
ჩემო ბებერო,
ჩვენ, ყველას, ყველას
სიფრთხილე გვეძებს.

თქვენ, ჩემო ძმებო,
გარინდებულნო,
როგორც შეშვენის
ყველა კაი ყმას,
კვლავინდებურად,
კლავინდებურად
მამულის ჭირი
ერთად გავიყოთ.

რის შეცოდება,
რა შეცოდება,
ჯანდაბას იქით
ყველა სიფრთხილე,

სანამდე სული
აგვიმძორდება,
მანამდე სული
ელავს, ჭიხვინებს.

ბერიკაცები

რამეთუ მარადის ისმენდე,
სიტყვასა ჭეშმარიტსა,
ვინც შენიც ისმინა —
მყის ენდე,
შემდგომად შენად იცან.

დაჰკრიფე ყველა შეგონება,
ვითარცა ყვავილი ველისანი,
ახლობელი ნუ გეგონება,
ვინაც შორიდან ვერ იცანი.

სეტყვა და ქარი არ დაცხრება,
იყავ უშიშრად და დაუცხრომლად,
სირცხვილი არ გახლავს დამარცხება,
სირცხვილი ღალატია და ურცხვობა.

გვირგვინი წამებისაც გვირგვინია,
კეისარს კეისრისა სიბერემდე.
მიწიდან წიწამურს გვიყვირიან,
სირცხვილი, თოფის ლულას გვიღერებენ.

სითამამე

სადაური ვის მიჰგვარე,
ვისი ხელი დარიე,
— სადღა არის სიხარული,
სიხარული გავლიე.

შენს ტრამალებს ვემსახურე,
მარგალიტით დავქარგე,
მაგრამ მაინც ყველაფერი
შენს მიწაში დავკარგე.

სხვაგან არა,
შენს მიწაში,
შენს მიწაში ისევე,
ო, ძვირფასო, დავიღალე,
მოვრჩი და მოვისვენე.

ახლა ჩვეულ ხმოვანებით,
ჩემს შვილიშვილს ვეძახი,
არა მარტო მისი ფესვი,
ფესვი მისი ვენახის.

სითამამე, სითამამე,
სანამ სული წაგვართვეს,
შენ რომ შენი მზე გგონია,
ის ჩემი მზე ანათებს.

ჯანყვათ

შენ ხარ მამუკა,
უმშვიდესი და უნათლესი,
გაბზარულ ნუგეშს
დაუბრუნდა თავის ციაგი,
ასე იცოდე,
უცხო ტევრში წაღმა დათესილს,
ვით მამის საფლავს, უცილობლად
უნდა მიაგნო.

ასე იცოდე,
შენი სევდის მშვენიერება
არის მამული
გლოვა-ლოცვით გარემოცული,
ბოლო სიმღერა
სიხარულით ვერ იმღერება,
მაგრამ შენ მაინც
ამისთვის ხარ ქვეყნად მოსული.

შენი სახელი
გრიგალებში გამიბრწყინდება,
ზედიზედ ნახავ დამარცხებას
ავთა, გოროზთა.
როდესაც მამულს მობეზრდები
და მოსწყინდები,
უმალ დასტოვე და ჯიუტად
გაჰყევ გოლგოთას.

შენ ხარ მამუკა,
უმშვიდესი და უნათლესი,
გაბზარულ ნუგეშს
დაუბრუნდა თავის ციაგი,
ასე იცოდე,
უცხო ტევრში წაღმა დათესილს,
ვით მამის საფლავს,
უცილობლად უნდა მიაგნო.

ბერიკაცები

არა ხარ მსგავსი
წყეულთა, ცუდთა,
არ ხარ ბოროტი,
არც მსგავსი ცრუთა.

არა გაქვს ცოდვა,
არა ხარ მკვლელი,
არავის ებრძვი,
არავის წყეველი.

მაგრამ, თუ კმარა
ეს თავმდაბლობა,
მხოლოდ ამიტომ
გეთქმის მადლობა?

შეხედე! მწყემსი
არვეს მოდენის,
არვეც ღვთის წინა
არს უცოდველი.

მთავარი მაინც
მადლის ქმნა გახლავს,
სულს სათნოება
და თესლი ნახნავს.

ხარ პირუთვნელი
წინაშე კაცთა,
თუ სულს უბერავ
ნაყოფს და მარცვალს.

შენა ხარ მთა და
შენს მხრებზე არის
შენი შირაქი
და აღზევანი.

ჯანყვათ

თუმცა ხარ ჩვენი სამურავი,
ძვალთშესალაგი.
ნუ გეშინია, ისევ ისე
ვდგავართ მთებურად.
მე ვენაცვალე
სახელოვანს შენს დიდ ქალაქებს,
მათაც, რომლებიც
ჯერ კიდევ არ დაბადებულან.

მომილოცნია,
გაზაფხული მომილოცნია,
გამხიარულდი,
უტეხო და უდარდებელო.
ლურჯო თვალებო,
რუსთაველის პირით გკოცნიან,
კვლავ გაჭაბუკდი, ციხე-კოშკო,
ძველო, ბებერო.

დილამშვიდობის,
ბელურების ჟივილ-ხივილო,
მამულის გულო,
სიცოცხლევ და სახნავ-სათესო.
ჩემო სიმტკიცევ, გამარჯვებავ,
სისხლის კივილო,
დამრიე ხელი,
რომ ღვიძილი გამიასკეცო.

მომილოცნია
გაზაფხული სწორუპოვარი,
ვერცხლი უჩვენე ახალმთვარეს,
— ბელელს ეწევა,
პატიოსნება, რაინდობა,
ბრძოლა, მორალი,
დაბადებიდან
ცეცხლმოდებულ გულზე გეწერა.

ფერი ფერს,
ჩემო საქართველოვ,
მადლი სიკეთეს!
დიდი გზა არის გასავლელი
ბოლო ტაძრამდე,
დამრიე ხელი,

სისხლი შენი შემომიერთე,
შენ რომ გერწმუნო,
შენ რომ გდიო,
შენ რომ გბაძავდე.

ლირიკული გადასვლა და გახსენება

ჩემო ძვირფასო, შენ შემოგწირე
ჩემი პირველი ბავშვური ცრემლი.
ახლა ფოთლები ციდან მოცვივა
და ლურჯ სათიბში წკრიალებს ცელი.
ახლა ფოთლები ხიდან მოცვივა,
მე ახლა თითქმის ყველაფერს ველი,
მახსოვს, ძვირფასო, როგორ მკოცნიდი,
როგორ გვათრობდა აგვისტო ცხელი,
დღეს შენს წინაშე ვდგავარ მოცლილი,
როგორც ჭალაში ზერდაგი ცხენი.

ლირიკული გადასვლა და ლოდინი

გულმოჩითული ველი ბიბინებს,
ვზივარ და გიწნავ ფერად გვირგვინებს,
ჩემო თოლიგე, შემომირბინე.
გულს გამიგრილებ, შემომირბინე.

ჩემი სურვილი, ვით ბედისწერა,
არის მოწყალე, მაგრამ ამაყი
მთვარის ფერდობზე ისევ ირწევა
შენთვის გაბმული თეთრი ჰამაკი.

ჩემს სიზმრებს თვალი გამოულამე,
წაართვი სხივი უსპეტაკესი.
ისევ მოგელი ლანდი მწუხარე,
ისევ მოგელი და სულს ვაკვნესებ.

ისევ მოგელი ლანდი მწუხარე,
მოგელი თრთოლვით,
ლოცვით მოგელი,
ცის დასავალზე მზეა მდუღარე,
მდუღარე,
მაგრამ სევდის მომგვრელი.

ჯანყვათ

საქართველო გავათენე თეთრად,
ახლა ვხედავ განთიადთან შემკულს,
შენი თვალი გააჯიბრე ჩემს თვალს,
შენი გული გააჯიბრე ჩემს გულს.

კვლავ გდარაჯობ, როგორც ღამის მეხრე,
სისხლში მიქუხს მეტეხი და მტკვარი,
შენი მხრები დაატოლე ჩემს მხრებს
და მტკაველი დაატოლე მტკაველს.

მკერდის ხორცი შევაპარე არწივს,
გაქვავებულ ქალაქამდე მივალ,
სვანურ არაყს სუნი ასდის ანწლის,
ჩემი არა,
შენი გული მტკივა.

ჩემი არა,
მტკივა შენი გული,
შენი ცრემლი,
შენი სევდა მტკივა,
ჩემი მკერდის პაწაწინა წყლული
გზას უნათებს საქართველოს დილას.

ქართლოს

ეშმაკნო, განეშორენით,
არა მომკვდარან მართვენი,
ჰსხდა ბნელსა ერი რომელი,
დიდი იხილა ნათელი.

შშვიდობა სახლსა ამასა,
შემწყნარებელსა მართლისა,
გამართლდა, სიბრძნე დაფასდა,
დროშა დაფასდა ქართვლისა.

აჰა, ესერა, ძე ჩემი
რომელმან სიტყვა ისმინა,
და რომელს თმანი შეეჭერი,
ასი ათასი წლის წინათ.

ბევრჯერ შთავარდის ცეცხლსა და
მრავალგზის წყალსა შთავარდის,
აღსდგა და გამოგეცხადა,
ორნი თვალნი აქვს შავარდნის.

აღსდგა და გამოგეცხადა,
ორნი თვალნი აქვს ორბისა,
ცაზე მზისნაირ მზეს ხატავს,
კვერი გამოცხვეს ობლისა.

აღსდგა და გამოგეცხადა,
შენს ძარღვსა სისხლად ერთვისა,
ხელეწიფების, შენს ღადარს
სული შთაბეროს ღმერთისა.

იგია შენი მონა და
შენი დავითიც იგია,
დღეიდან არქვი მონაგარს,
გაღვიძებულს და იღბლიანს,

ეშმაკნო, განეშორენით,
არა მომკვდარან მართვენი,
ჰსხდა ბნელსა ერი რომელი,
დიდი იხილა ნათელი.

ჯანყვათ

ახლა ანთებულ ჭაღებში,
ათასი ჭინკა იცინის,
ახლა ქარი გცემს სახეში
ციესისხლიანის სისინით.

აქეთ შენა ხარ, ცოდვა ხარ,
იქით არიან ისინი,
შენს ანთებულ ცეცხლს აქრობენ,
ცოფმორევით და კიჟინით,
ეწამო მამულისათვის
მაინც შენა გაქვს მისჯილი.

. . . . .

მაინც შენ უნდა დალეწო
შუბლში დაჭრილი აფთარი,
მაინც შენ უნდა დამეწყრო
მთებს შერჩენილი ხამთარი,
რეკენ სიმართლის ტაძრები

შემორჩენილი სინდისით,
დგას საქართველო, მხარგრძელი,
მისი ბებერი თბილისით.
დგას საქართველო, მხარგრძელი,
მზე უთბობს ხელებს გათოშილს,
ჩვენ ქართლოსებით გავძელით,
მილიონია ქართლოსი.
და სანამ შენს მხარს ვყავარჯნობ,
სანამ არ მქვია დაღლილი,
მეც ცერბერივით გდარაჯობ,
ანუ ერთგული ძაღლივით.

მგლები

ლირიკული პოემა

ფიფამური

მოჰკლა,
გათავდა ღრენა, მუქარა,
უძლეველისა
ეს იყო ძლევა,
იმ დღეს ქართველ კაცს
გადაუგვარდა
რწმენა, იღბალი
და ბედისწერა.
მოგკლა,
ეს იყო ერთი საშველი,
— ალარ იქნება,
შენი ხსენება,
შენ რა გეგონა,
ეტლში დარჩენილს,
გზა თუ სიზმარი?
თუ მოჩვენება?
შენ რა იცოდი,
სად მიდიოდი
ან ტყეში მგლები
ვინ შემორეკა..,
ათასი წლის წინ
ვგრძნობდი, ვტიროდი,
ვიცოდი,
ვისაც უნდა მოეკალ.
ჩვენო მოძღვარო
და წარმმართველო,
თუმც შუბლზე გაჩნდა
ერის ავ-კარგი,
შენ ვერ იტყოდი,
რაც საქართველოს
შენი მოკვლისთვის
უთხრა აკაკიმ..

ვითმენ და ისევ ვმწყურვალობ,
სულსა გავექეცი,
ვტყეველობ,
არც მინდა, რომ გიმკურნალო
ტკივილო, მოურჩენელო.

ცრემლს არ ვაჩვენებ
მთაწმინდას,
ისევ დაგაშრობ, ტირილო,
რომ გიმკურნალო, არც მინდა,
მოურჩენელო ტკივილო.

ჩემთვისა მყავდე უბეში,
შენს არსებობას ვჩემელობ,
შენა ხარ
ჩემი ნუგეში,
ტკივილო მოურჩენელო.

მისთვის დამწვი და
დამნაცრე,
რომ სისხლით გადიკივილო,
ჯილაგ და ჯილაგ გადაგცემ,
მოურჩენელო ტკივილო.

ᲦᲕᲚᲔᲭᲘᲗ ᲒᲐᲙᲠᲣᲚᲘ

ჩემი აზარი შევასრულე,
მიწაში ჩავფალ
ხმალიც და თოფიც...
სამოცი მგელი
მყავს მოკლული,
ორმოცი დათვი,
სულ ასი მხეცი,
ესე იგი,
შევასრულე
ჩემი აზარი.
ახლა,
წელი რომ
არ წამოვიღო,
ახლა, წელში რომ
არ გავიმართო,
თხილის ღვლეჭით

გავიკარ წელი.
ალაზე დგომა
შეუძლია
მგელსაც და დათვსაც,
ესე იგი —
ორ ფეხზე დგომა.
ადამიანი
ხომ ისედაც
ორ ფეხზე დადის,
ამდენად იგი,
რაღა თქმა უნდა,
განსხვავდება
ცხოველისაგან.
ორფეხა მგელზე
არასოდეს მინადირია...
მე შევასრულე
ჩემი აზარი,
მიწაში ჩავფალ
ხმალიც და თოფიც.

ხმა

წმინდად იცხოვრებს იგი,
სხვათა სიხარულს მოჰგვრის
და უქადაგებს სოფელს
წინასწარმთქმელი, მოგვი.

ტანჯვა-წამება ელის,
მაგრამ ღვთის გვერდით
დადგეს,
ძე საყვარელი ერის,
ერის სინათლეს ჰგავდეს.

ვით ბრწყინვალება სოფლის,
ვით ბრწყინვალება მამის,
მომშორებელი ცოფის,
წყლულზე დამდები წამლის.

უცხო ფრინველი მოდგეს,
უცხო ფრთიანი მოდგეს,
ღელეს ჩამოდგეს ოდეს,
ბოლო წითელი ჰქონდეს.

პოეტი

დუმილით აღვსილ ქვეყანას,
ნეტარად ჩაძინებულსა,
ნეტა რად მოუწყენია,
ნეტა რა ბანგი შეუსვამს?

რა წყევლა უკრთის დუმილში,
რა მთები შემოუზღუდავს,
გულს ხუთავს შენი დუმილი,
შენი განკითხვა გულს ხუთავს

აჩრდილი

ზარების რეკვით
იბადება
გვირგვინი მზისა.
ეს გახლავთ ცეცხლი,
რაზედაც უნდა
გაიფეროს
სატევარი მეციხოვნეთა.
გაღმა გასულთა
ხმლებს დასტირიან
ქართლში დიაცნი,
სისხლიან მკერდზე
ამოსული ყაყაჩოები
ყორანთ უხმობენ.
ხოლო მწვერვალზე
ფარული სიბრძნე
დგას ვით აჩრდილი
და ყურს მიხედნის:
„ნუ გჯერაო
ეს მყუდროება“.
ეკლის გვირგვინი
დაადგეს უფალს,
და ნაცემ-ნაგვემს
აჰკიდეს ჯვარი,
გოლგოთაზე აატანინეს
და ზედვე აცვეს.
კვლავ ცოცხლობს ერი
სიყვარულისმიერი სისხლით,
თუნდაც ამიტომ,
არ დაიჯერო
ეს მყუდროება.

ოქროს აკვანი

დედასა ძუძუნათელსა
უდგია ოქროს აკვანი,
ძირს გაუშლიათ ხალიჩა,
მისი ჩუქურთმის სამკალი.

მოვის პერანგი აცვია
შვილს ოქროს ქოჩორიანსა.
შვიდი ქალწული მიუვა,
შვიდგან დაჰკრეფენ იასა.

არტახზე მიმოუბნევენ
ღილკილოს ვარსკვლავიანსა,
გადაჰკვრენ, გადაარწევენ
მთვარიანსა და მზიანსა,
ის გაეზრდება ზოფელსა,
მტერს ის მიუტანს ზიანსა.

ქიმ-ქონგურებზე მართვენი
არწივობ-შავარდენობენ,
დედა არწივმა ყივილით
გადაუფრინა ველობებს.

კიდევაც დაიზრდებიან,
ღამეს გასტეხენ ბნელსაო,
კვლავ უკან შემორეკავენ
გაკრეფილ საქონელსაო.

თითოს შვიდი მზის სხივი
აქვს,
შვიდი მტკაველი მხარიო,
სასმელად არ ეყოფიან
ალაზანი და მტკვარიო.

პოეტი

წიწამურს დავჰყევ ღელესა,
მგლები ყმუოდნენ გაბმითა,
მგლების ყმუილმა ზედაზნის
მთაზე ღრუბელი გაფლითა.

გაწვრთნილი მგლები ყმუოდნენ,
უბრალო მგლები კი არა,
ცას აჩნდებოდა ყმუილი,
როგორც გახსნილი იარა.

გაწვრთნილი მგლები
ყმუოდნენ,
უბრალო მგლები კი არა,
გულო, რად შეკრთი, ბეჩავო,
სულო, რამ აგაწრიალა?

გაწვრთნილი მგელი კაცია,
რამ შეგაშინა კაცისა?
ზედაზენს მთვარე ჰკიდია —
გულო, იმღერე დამწვრისა.

გაწვრთნილი მგელი კაცია,
კაცისა რამ შეგაშინა?
ზედაზნის თავზე ღრუბელი
შეხედე, როგორ გაშლილა.

მგლები ისევე ყმუოდნენ
(ოღონდ იუდამ არ გამცეს),
ის შუაღამის ყმუილი
მე კაცის ყმუილს ვამსგავსე.

ხმა

გაუქმებულო ტაძარო,
სხვის უბეს შეფარებულო,
მოკლული გულის ხანძარო,
მოკლულო შეყვარებულო.

დაგუბებულსა ლაშქარსა
შენ გაასწავლენ გზანიო,
თორ კიდევ ჩაწითლდებიან
წიწამურისკენ ზვავნიო.

ხევში ჩაბრუნდეს ყორანი,
დაბლით დაუშვას მხარიო,
რქასდანთებული სანთლითა
საფიზენოს უჯდეს ხარიო.

მოვიდნენ სირცხვილიანნი,
მოჰქონდეთ ნიავ-ღვარიო,
აივსოს ძმათა ‹სისხლითა
ქვეყნის წისქვილის ღარიო.

გაუქმებულო ტაძარო,
გეყო ცრემლი და გლოვანი,
სიმღერით უნდა დაჰბადო
სიკვდილი სახელოვანი.

ა ჩ რ დ ი ლ ი

ნასახლარს შევიყარენით,
ველოდით ბედისწერასა,
ქვაზე რაღაცა ეხატა,
კუდი უგავდა წყევლასა.

რასაცა თავი უგავდა,
ვერ ვათქმევინებ ენასა,
ქვებშუა ქარი მღეროდა,
მოჰგავდა ფარ-ხმლის ჟღერასა.

ის რაღაც ვნახე სიზმარში,
ძვრებოდა საბძლის ხვრელასა,
საყვარელივით ლამობდა
კაიყმის მკერდზე ხვევნასა.

ვერც ეხვეოდა, ახრჩობდა —
ცივ მჭადს ურჩევდა ხმელასა,
ოავით რო მკერდს უგრილებდა,
კუდით ეკიდა რთხმელასა.

ცაზე ღრუბელი ვამსგავსე
პირიდან შხამის ნთხევასა,
ნასახლარს შევიყარენით,
ველოდით ბედისწერასა.

ᲐᲝᲔᲢᲘ

უცხო ფრინველი მოდგა,
უცხო ფრთიანი მოდგა,
ღელეს ჩამოდგა ოდეს,
ბოლო წითელი ჰქონდა.

ელვა ელვისა მოდგა,
ძგერად შუბისა მოდგა,
შეურაცხყოფილ ცაზე
შავი ყორანი ქროდა.

სისხლში ცურავდა დროშა,
სისხლში ცურავდა გორდა
და გარდმოხსნილი ცრემლი
სისხლის მზედ ამოგორდა.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲦᲝᲑᲔ

ახმაურდა გრიგალი,
დატრიალდა
ქარიშხალი წარღვნის,
ღალატს შეურიგალი,
მთვარეს ჰყეფდა ძაღლი.

მერე შავმა არაგვმა
გადალეკა თეთრი,
შვიდმა ქარმა
სიმღერა თქვა,
სიმღერა თქვა მკვეთრი.

შვიდმა ქარმა
ყველაფერი მთანთქა,
ქარიშხალმა
იქორწინა ქართან.

ქარიშხალმა
შეარყია მიწა,
მიწის წყალში
წვიმამ გაიღვიძა.

მომცრო სეტყვა
დიდ სეტყვაში ჩაჯდა,
და მეწყერი
ქვეით ჩაბაჯბაჯდა.

მხრებზე უხვად
გვეყრებოდა სეტყვა
და ყველაფერს
რკინის ღობე ერტყა.

ხმა

არ მოკვდა,
ღმერთთან წავიდა,
ცას შეხსნა
რკინის კარიო,
ცრემლად დასდინდა
სოფელსა
იმისი
ცოდვა-ბრალიო.

მესმოდა
კაცის ზმუილი,
მესმოდა
ქალის „ვაიო“,
გაწვრთნილი
მგლების ყმუილიც
ყოფილა სანახავიო.

ვაი, თქვე
უცხოთ შვილებო,
ვის მტერს აუბით
მხარიო,
ვისი ნაძლევი
მიერთვით
ან ვისი
ნასამხრალიო.

ვაი, აუყვავეთ
გულ-მკერდი,
ახარეთ
გასახარიო,
ვინ დასწვა
თქვენი ჯილაგი,
თქვენი გზის
გასაყარიო.

„რაცა ტანჯულა
ეს ქვეყანა,
ტანჯვად ეყოფა“,
საკარგყმოდ
ხარი უნდა დავკლათ,
მზის მაცქერალი,
ცხვარსა და მწყემსსა
ერთნაირად
უნდა პატრონი.
შატილის ჭალას
ახოლ-ჩახოლ,
შავო ყორანო,
რა შვლისა ციკანს
დაეძებ მანდა?
გველივით წივის
ბალახში ცელი,
ცოლ-დედას უხმობს
ცელის პატრონი.
წყალი მოსწყურდა
მკვდარ შვილსა, დედა,
ჯაჭვში მორტყმული
პატარა ტყვია
იქვე ჩასახლდა
ძუძუს კერტივით.
კლდეზე საყდარსა
კარი ჰქონდა
გამოკეტილი.
ყველგან წვიმაა,
ყველგან თოვლია,
ზედაზენზე კი
მზე დგას ცხრათვალა.

ვინ შეგვინახავს
ქვეყანას, დედავ,
ვინ შეგვინახავს
ქვეყანას, ცოლო,
ყელზე გვეკვლება
ათასი გველი.
ვაი, ვარამო,
გულს მოწოლილო,
ამოვლებულო
ნაგუბარ წყალში,

ვინ შეგვიცოდებს?
სისხლის ნაღვარი
ზღვას შერევია,
როგორც მდინარე.
ქვიშანი კლდისა
უნდა წავსძოვოთ,
უკუღმ დავკაზმოთ
ცხენები ჩვენი,
ანდა ბოსლებში
შევირეკოთ,
როგორც ნახირი.
კეთილმორწმუნეს
ერსა ჩვენსა
ჩაესახა
უცხო თესლის
უსჯულოება.
სისხლით და ღვაწლით
შექმნილ ქვეყანას
ჩაესახა
უცხო თესლის
უსჯულოება.
„და გამომფრთხალი
ქვიქა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი
ნადირი ყმუის“.
მაკრამ, იბერო,
შენი ფოლადი
ამონამღერი
არის ქარქაშით...
ყველგან წვიმაა,
ყველგან თოვლია,
ზედაზენზე კი
მზე დგას ცხრათვალა.

პოეტი

ერთიანი ცა და მიწა
ვის უპყრია ხელში,
მგლებმა ზედაზენის მთვარე
გადაჩეხეს ხევში.

მერე ტყვიით ცა და მიწა
დააშორიშორეს,

გულუბრყვილო კაცის სახე
გამოაბეს ჭორებს.

ტყვიით დააშორიშორეს
მგლებმა ცა და მიწა,
ღმერთმა იცის, რას
ფიქრობდნენ —
რას ფიქრობდნენ იმ წამს.

თითოს თავის წინაპრის
თითო ძვალი ერგო,
უკეთესი სალაფავი
რა შეგწიროთ, მგლებო.

ხმა

„რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა,
ტანჯვად ეყოფა“,
მაგრამ არასდროს
მიწას ისე არ დაემხობა,
რომ არ ახსოვდეს
ჯილაგი და ძალა გორისა,
„არ ჰქონდეს ძალი
დავრდომილსა
კვლავ აღდგომისა“.

აღდგომა

ეყუდნოდა თავისთავს,
იყო თავის უფალი,
ანათებდა სიკვდილშიც
მარადის ჩაუმქრალი.

და სანამ დასძღებოდნენ
მგლები იმ ნასუფრალით,
კვირას, განთიადისას,
მკვდრეთით აღსდგა უფალი.

დღეს სხვა ცა და მიწაა,
უკვდავების მხილველი,
ვინ იპოვა მგლის კვალზე
მგელი გასაკილველი?

ჯვარცმითაა მოხსნილი
კაცის ცოდვა პირველი,
ჩვენ შეგწირეთ, უფალო,
ყველა შესაწირველი!

ბაზალეთის ტბასთან თქმული

ფიცხი ხარ და უშიშარი,
მტერს ეგონე უსუსური,
ვეშაპის რძით გაზრდილი ხარ,
მტერს ეგონე უძუძური.

თამბი ხარ თუ ქართლოსი ხარ,
ელავს შენი ჯავარდენი,
დაჭიმულხარ მშვილდივითა,
ისარივით გავარდები.

გათენდი და გაჯირითდი,
აიწყვიტე არტახები,
ოქროს აკვნის გამომჭედი
მობრძანდება ქვათახევით.

მოგიხდება ცხენზე ჯდომა,
თეთრი კაბა ატლასისა,
გალობანი მოგიხდება
იადონის ათასისა.

ღვინო სდგას და ლალი
სჭვივის
იაგუნდის მარაწში,
მილიონი ცხვარი გიდის
შირაქების ფარაშია.

მამის ლურჯა შეიკაზმე
მტრედისფერი ფაფარი აქვს,
ვინც მათრახი მოგაწოდოს,
ის პირველი ჩაფარია.

პირველ მერცხალს დაინახავ,
გაზაფხულის მომყვანია,
ვინც მაღალსა კლდეს
შეგიძღვეს,
ის პირველი მოყვარეა.

უსინათლო წუთისოფელს
მოევლინე, ვით ილია,
თუ მოჰკვდები იძასავით —
ბედნიერი სიკვდილია.

პოეტი

ზედაზნის ლურჯი მთების
ცრემლი ჩამოდის ღვარად,
ღვთის ნაპერწკალი კრთების
მორჩილებით და წყნარად.

გვათოვს სპეტაკი თოვლი,
დუმს მთესველი და მხვნელი,
ხმლის ტარს ეხება თრთოლვით
წმინდა გიორგის ხელი.

მთლად უპატრონო სევდამ
უნდა მონახოს გორდა,
შვილისა ტრფობას დედას
ვერ ჩაუთვლიან ცოდვად.

ფიქრო, შეგიჯდა მახრა,
მოსვენებას არ გაცლის,
ახლა ღალატი გახლავს
მშვიდი ცხოვრება კაცის.

გვათოვს სპეტაკი თოვლი,
სდუმს მთესველი და მხვნელი,
ხმლის ტარს ეხება თრთოლვით
წმინდა გიორგის ხელი.

უ ც ნ ო ბ ი

„მარად და ყველგან, საქართველოვ,
მე ვარ შენთანა“.

ი ლ ი ა

I

იდგა ძლიერი,
გამოხედვა ჰქონდა
ორბივით,
ზომაზე მეტად
ნათელი და
პირველყოფილი.

II

იყავნ,
აღსრულდეს,
ჭეშმარიტად
მტკიცედ და მართლად,
კაცს
უმამულოს
და უქონელს
მიეც მამული,
მიეც ქონება,
მზით და ხორბლით
აუვსე კალთა.
შემდეგ, განშორდი
და ნაბიჯი
არ შეანელო.
განესრულოს და
დაემკვიდროს,
ამაღლდეს,
ამინ!

III

ჩვენ კი
ვიდექით,
როგორც მსტოვრები,
როგორც პატარა
„აყაზაკები“,
მათხოვრები კი,
როგორც ტომრები,
ისე ეყარნენ
საყდრის კარებთან.
ლურჯად შეყინულ
ცხვირებს ვისრესდით,
გადაქცეულნი
ჯოხის კისრებად,
საყდარში ნათქვამს
ჯერ
ჩვენ ვისმენდით,
უფალი ალბათ
შემდეგ ისმენდა.
იყო
სიბნელე,
წყნარი სიბნელე,
ხმა სიბნელეში
უფრო მძაფრია,
ლურჯ ანგელოსებს
საყდრის სიბერე
ლამაზი ფრთებით
დაუდაფნიათ.

IV

არამედ მიხსენ
განსაცდელისგან,
ყოვლისმპყრობელო
შემოქმედო,
ჩვენთვის ჯვარცმულო,
გამომიცხადენ
უჩინონი
სიბრძნე ღვთისანი
და შეიწყალენ
ერი ჩვენი,
მხედრობა მისი.

V

ჩვენ კი ვიდექით,
როგორც მსტოვრები,
როგორც პატარა
„ავაზაკები“,
მათხოვრები კი,
როგორც ტომრები,
ისე ეყარნენ
საყდრის კარებთან.

VI

რის სატკივარი,
რა სატკივარი,
გულუბრყვილობა
გვქონდა სასთუმლად,
არც დასანანი,
არც სატირალი,
არც გვილოცნია,
არც მოვნათლულვართ.
არც დასათმობი,
გადასაყრელი,
რომ სადმე
უცებ გადაგვეყარა,
ვიცოდით რაღაც
ოცი სახელი,
ეს იყო ჩვენი
ცა და ქვეყანა.
ერთი ლახტი და
ერთი ჩიკორი,
ერთიც, მარგუშას
ქუჩის აშუღი,
ერთი ზურაბ და
ერთი გიქორი,
ერთი ვაჟა და
ერთი ჯანსუღი.

VII

ჩვენ ჩვენებური
ცეცხლით ვიწოდით,
ჩვენ გვქონდა
ჩვენი გულის ყვავილი,
თუმც უმთავრესი

მაინც ვიცოდით,
— რომ ტრიბუნაზე
იდგა სტალინი.
რომ მამებს ჰქონდათ
გული სალი კლდის,
რომ ჩვენ ძმებს სცნობდნენ
მთის არწივებად,
რომ ტრიბუნაზე
იდგა სტალინი
და ფრონტზე
შვილებს მიაცილებდა.

VIII

წავიდა ყველა,
ყველა წავიდა,
წავიდნენ განა
მაყვლის საკრეფად,
აღარ მღეროდა
ბანზე სამი და,
ახლა მათ ბანზე
ძაღლიც არ ყეფდა.
წავიდა ყველა,
ყველა წავიდა,
შენი რწმენა და
შენი მოძღვრება,
გაზრდილნი სიბრძნით
და სიმწარითა,
ჩვენი მომავლის
უღლის მოზვრებად.

IX

ბარათები სამკუთხა
სევდა და იმედია,
ფანჯარაში მტრედია,
ნეტა ვისი ბედია.
ხან ქერჩიდან ელიან,
ხან მოზდოკით ელიან,
არ მომიკლა, გენაცვალე,
ჩემი საყვარელია.
ხოლო ღამით
კვლავ ჩამესმის,
ვით სიმღერა

და ვით ლექსი,
Пара — рубль,
Пачка — десять,
Пара — рубль,
Пачка — десять.

X

კაცმა არ იცის,
რით ვარსებობთ,
რას ვეჭიდებით,
ვინ რა იღონა,
ვის რა მისცეს,
ვინ რა „გარისკა".
მე მთელი ღამე
მესიზმრება
ჭრელი წინდები,
რომელიც უნდა
გავუგზავნო
უცხო ჯარისკაცს.

XI

ასე ლოდინში
გადიან წლები,
ლოდინში დებიც
სულ გამოცვლილან,
ისევ იღებენ
გიტარებს დები
და დამღერიან
გულამოსკვნილად.
— წუხელ ისევ მაჟრჟოლებდა,
ჩემო ვარსკვლავთვალიანო,
ჩემი და შენი დაშორება
სულ იმისი ბრალიაო.

XII

ხმალს აღვიძებდა
ძახილი დედის,
ხმალს აღვიძებდა
მამის ძახილი,
ბიჭი მღეროდა
სიმღერას გედის,

ცხენს აკავებდნენ
ელვის აღვირით.
რას მოღრუბლულხარ,
მთაო, გადმიშვი,
შენი ღრუბლისა
მე რა მცოდნია,
მომეცი მუხლი
და ნუ დამიმლი,
კვალდაკვალ ვდიო
მტერს და ცოდვიანს.
მომატანინე
კაცის სახელი,
ამაგებინე
ქვაზე საყდარი,
თუ დაგივიწყო
დედის ნამღერი,
მზეზე გაჰფინე
გული წამხდარი.
ადულებულსა
ვგავდე რკინასა,
დაქუხებულსა
ვგავდე არაგვსა,
სულში ვმალავდე
ქარს და წვიმასა,
შენი აუგი
მაინც არა ვთქვა.
მომეცი ფრთები,
ფრთები ქარიშხლის,
მე შენი კაბის
კალთას ვაკოცე,
გადმიშვი, მთაო,
მთაო, გადმიშვი,
გადმიშვი
მტრისა საბალახოზე.

XIII

და შეიწყალენ
ერი ჩვენი,
მხედრობა მისი...

XIV

იდგა ძლიერი,
გამოხედვა ჰქონდა
ორბივით.
ზომაზე მეტად
ნათელი და
პირველყოფილი.
იდგა ბურანში,
საუკუნის სიისხლის მუქარით,
ტანჯულ სახეზე
ორი თვალი —
ორი ვულკანი,
აფთრის ძვლებს ყრიდა,
დინოზავრის ყრიდა ნაწლავებს,
კუჭს უყორავდა
ოხერ მშივრებს
და მაწანწალებს.
მას ჰქონდა სახე
ხანჯლის ფერი
და სხივოსანი...
დღეს ვამბობ რიდით,
იქნებ იყო
ვინმე მგოსანი,
დღეს ვამბობ რიდით,
იქნებ იყო
ვინმე მხატვარი...
იდგა ზამთარი,
უწმინდესი იდგა ზამთარი.

XV

ვინ იყო იგი,
რა სწყუროდა,
რას ღაღადებდა,
რა სთქვა მის გულში,
ღმერთს რა უთხრა,
რა სთქვა ხატებთან?
რა უთხრა უფალს?
რაც ვერ ვიგრძენ,
რაც ვერ გავიგე,
ვაითუ წყევლა
შეუთვალა
ბედის გამრიგეთ.
რას ჩურჩულებდა,

რას ამბობდა,
რას აღზევებდა,
რას აღამებდა,
რას მართლობდა,
რას ამზევებდა?
ვინ იყო იგი,
სალოცავად
ასე მიმდგარი,
ასე საწყალი,
მაგრამ სევდით
სავსე,
მდიდარი.

XVI

რა ცოდვა ადგა,
რა ძალა და
რა გასაჭირი,
ვინ იყო იგი,
ერის სუნთქვა?
ერის აჩრდილი?
ან იქნებ იყო
საქართველოს
სულთან შეზრდილი,
ამიტომ გავხდი,
მისი ლოცვით
ყურგახედნილი.
გავიდნენ წლები,
არ შემეძლო,
რაღაც არ მეთქვა...
გთხოვ, მომიტევო,
მსტოვარივით
დგომა კარებთან.

XVII

თუ აღარა ხარ,
ღმერთებთან ხარ
ალბათ წასული.
შენა ხარ
ჩემი მომავალი,
ჩემი წარსული.
და გულს ნატყვიარს,
საქართველო
რომ ეტკინება,
შენი ლოცვანი
ნუგეშივით
მოეფინება.

ეკლის გვირგვინი

ლირიკული პოემა

თავი პირველი

„სინათლე სიბნელეში ანათებს, და სიბნელეს ვერ მოიცვა იგი“.

იოანეს სახარება.

მიდგა სინათლე
შორით მზირალთა,
დაემხენ მთები
მუხლმოყრილები,
გადაიკარა,
მერე ინათა,
ჭეშმარიტების
სრულყოფილებით.

ახლა არავინ
არავის წყევლის,
ლოცვა მიწაზე
მზესავით ბრწყინავს,
გახსენ საუნჯე,
მიართვი ძღვენი,
ოქრო, გუნდრუკი,
ფარჩა და სმირნა.

აქ სულიერი
ახლა არ სუფევს,
წევს მიწა, წმინდა
სულით გამთბარი,
უნდა აღსრულდეს,
უნდა აღსრულდეს,
უნდა აღსრულდეს
უფლის ნათქვამი.

იგი მარტოა,
ის, ერთადერთი,
ბეთლემის რძისფერ
მზეში ჩაწნული,
თვალშეუდგამი
სინათლე — ღმერთი
და მარიამი —
მარად ქალწული.

ახლა არავინ
არავის წყევლის,
ლოცვა მიწაზე
მზესავით ბრწყინავს,
გახსენ საუნჯე,
მიართვი ძღვენი,
ოქრო, გუნდრუკი,
ფარჩა და სმირნა.

ხალხი, რომელიც
უკუნში იჯდა,
სიკვდილის ჩრდილში
იჯდა რომელიც,
ნახა სინათლის
რძისფერი მიჯნა
განათებული
სვეტი-ცხოველით.

ის მოდიოდა
ზღვის ბილიკებით,
ეკლიან გზებზე
ეკლის გვირგვინით,
ქსოვდნენ ბადეებს
მტრის მიმიკებით
და ღრუბელივით
იდგა ქირქილი.

ის მოდიოდა —
ძე საყვარელი,
(არ გაუმართლებს
თუ, გაუმართლებს?!)
და ჩურჩულებდნენ
მზესთან ყანები —
სხივს უმარჯვებდნენ
ტაძრის გუმბათებს.

მიწით სატანას
გაჰყავდა ხერელი,
მაღლა ცა იყო
უბეგახსნილი.
ტაძრის კიდეებს
ეშმაკის ხელი
ედო ხასხასა
მწვანე ხავსივით.

სულში პატარა
შხამი ჩამტკბარა,
ვუმზერთ ახოებს
ჩაღმა ჩახნულებს,
არის პასუხი —
განვედ, სატანავ,
მხოლოდ და მხოლოდ
უფალს ვმსახურებთ.

მთებს შეფენია
არვე ულევი,
რწმენას ურწმუნო
გესლავს წყეული,
მოსარჩენი გვყავს
მთვარეულები,
დავრდომილი და
ეშმაკეული.

მოვიდა ქვეყნად
ხმალამოწვდილი,
მოვიდა კაცთა
ნავთსაყუდარი,
როგორც დღეობა,
როგორც ქორწილი,
მოდგა ბეთლემით,
რკონით, გუდანით.

მოდგა რუსთავით
მიწა მზისტოლი,
ეს მისი ხმაა,
ახლაც რომ ისმის,
მოდგა ყვარლით და
მოდგა სხვიტორით,
მოდგა ჩარგლით და
მოდგა ბოლნისით.

ხალხი, რომელიც
უკუნში იჯდა,
სიკვდილის ჩრდილში
იჯდა რომელიც,
ნახა სინათლის
რძისფერი მიჯნა
განათებული
სვეტი-ცხოველით.

თავი მეორე

„და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“.

მათე

მთაზე ავიდა,
ის მთაზე დაჯდა,
ნეტარ არიან
გულით სუფთანი,
დაღლილი ერის
უჭირავს მაჯა
და კრთის სატანა
სულთამხუთავი.

მთაზე ავიდა
იგი ღვთისმადლით,
სხივი გაუბა
მზესთან მარიამს,
ნეტარ არიან
სიმართლისათვის
დევნილი ხალხი,
ნეტარ არიან.

რომ ანათებდეს
მეტი სინათლე,
იგი ღვთისმადლით
მთაზე ავიდა,
მის ტაძარსა და
მის ხალხს მიართმევს,
რაც გააჩნია
დასაბამიდან.

ვიღაც საკუთარ
ძმაზე განრისხდა,
ვით ჩამოირეცხს
ნეტა ამ ცოდვას?
ღვინის მაგიერ
შხამი დაგისხა,
პურის მაგიერ
ქვა მოგაწოდა.

არა და, მთიდან
იგი ღაღადებს —

თვით მაწყევარიც
შენი, დაინდე,
ბოროტი კეთილ
კაცად გახადე,
აშორე წყევლას
და განარიდე.

მთიდან ღაღადებს
იგი, მესია,
ვით ზეციერმა
მამამ ინება,
— რომ თვით მთავარზე
უმთავრესია
სრულქმნილება და
სრულყოფილება.

ქვეყნის სიცოცხლის,
ხალხის სიცოცხლის
და ხალხის რწმენის
გადასარჩენად,
მოწყალების დროს
რომ არ იცოდეს
შენმა მარცხენამ,
რას იქმნს მარჯვენა.

და სანამ რწმენას
გველი დაგესლავს,
მოსპე ორგული,
ერთგულს ვინცა ჰგავს
და ნუ შეგვიყვან
ჩვენ განსაცდელსა,
არამედ გვიხსენ
ბოროტისაგან.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

როგორც განთიადს
ვერ დაიმწუხრებ,
როგორც სატანას
ღმერთის არ ესმის,
ვერ გასწევ
ორი ბატონის უღელს,
ან სატანა, ან
უზენაესი.

ერთს ჰმორჩილებდე
ან ერთს ემონე,
ორის მსახური
უთქვამთ არროდეს,
ან ერთი გძულდეს
ან და მეორე —
გულით გიყვარდეს
და გიხაროდეს.

ეძებდე ცაში
შენს მისამართებს,
ეძებდე შუქზე
ჩამქრალ სანთლების,
და თუ არავის
გაასამართლებ,
არც არასოდეს
გასამართლდები.

თავი მეოთხე

„და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ
იხსენებ ძეირთა ჩემთა..,
ვითარცა მარტოჰ ვმკვიდრობდი ქვეყანასა
ზედა".

დავით აღმაშენებელი

ის მოდიოდა —
ძე საყვარელი,
(არ გაუმართლებს
თუ, გაუმართლებს?)
და ჩურჩულებდნენ
მზესთან ყანები —
სხივს უმარჯვებდნენ
ტაძრის გუმბათებს.

მოვიდა იგი
ძალით ჯვარცმულის,
აღმაშენებლის
სკიპტრით და ძალით
წმინდა, ულური
და ვაჟკაცური
იყო და ეპყრა
ქართული ხმალი.

გულისხმისყოფით,
წყალობით, სიბრძნით,
სახიერებით,
კაცთმოყვარეებით,
განსაცდელის ჟამს
დადებულ ფიცით,
ველად გამშლელი
საძმო კარვების.

ზედაზენს მისწვდა
მისი გალობა,
კლდეკარს მიუხტა
მისი ქურანი,
ის, მოვლენილი
ღმერთის წყალობად,
იყო სიცოცხლე
გაუხუნარი.

მწამს, იმის სასჯელს
კაცი ვერ შეცვლის,
იყო მსაჯული
და წარმმართავი, —
ცოდვილთა ჰგვემდეს
ცეცხლი და ცეცხლი
და ნეტარებდნენ
სულით მართალნი.

რუისს და ურბნისს
სასოებითა
დაუმორჩილა
ძალა ღვთის ნებას
და იბერიულ
ასოებიდან
იჭედებოდა
ერის ღირსება.

მოვარდა თურქი
და გახელებით
დიდგორს შეღება
ქართლის წნორები.
აღივსნენ ველნი,
მთანი, ღელენი,
ხევნი აღივსნენ
მათი მძორებით.

აღმოსავლეთი
სისხლისფრად ელავს,
გამარჯვების მზე
ამოდის თითქოს,
თურქის ნადაელი
შეესწირეს გელათს,
სისხლი ქართველთა
დავითის დიდგორს.

მტერს გულში ჰქონდა
ხმალი ვადამდის
აღმაშენებლის
ხმალი ნაცადი.
ნიკოფსიითგან
დარუბანდამდის
და ოვსეთიდან
არეგაწამდის,

„სულთანი დასვა
მოხარკეთ თვისსა“.
აულითა წმინდით
ლოცვა ენება,
ღირსყავ ქართველი,
ქართველი ღირსყავ
დიდი დავითის
მოსახსენებლად.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

„სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით
ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ
გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა“!
შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

მაშ იქნებ,
ნაზარეთიდან
მოვიდა ისიც, —
რუსთველი,
მეფისა,
მზის თამარისა,
ენითა
გამოუთქმელის.

ქებათ
მიჯნურთა წყურვილით,
ლექსითა
დაულეველით,
თავისი ზღვით და
თავის ცით,
თავისი მთით და
ტყე-ველით.

მაშ იქნებ, ისიც,
(ვინ იცის,)
მონათლეს
ორდანეში,
იხილა ცანი
გახსნილნი
უფალს უმზერდა
თვალებში.

ვინ იცის,
სულიც იხილა —
მტრედივით
გარდმომავალი
და ორმოცი დღის
მანძილზე
უდაბნო ჰქონდა
სავალი.

იქნებ ძე იყო
იმისი,
რომელმაც შექმნა
სამყარო,
იქნებ იმიტომ
მობრძანდა
კეთილს ბოროტი
გაჰყაროს.

ცრემლნი გადმოსჩქეფს
თვალთაგან,
ცხენს გაუთავდა
მინდორი,
ხალხს უჭირს
ტარიელი და
ავთანდილი და
ფრიდონი.

წარგზავნეს
ანგელოსი და
მისი გზაც
გამზადებულა,
ცრემლითა
შეუშრობელით
სინათლის
საზღვარს ზებმულა.

შერისხა ზღვა და
გრიგალი,
დააწყნარა და
დააცხრო,
დაუჭრა
შვიდი პური და
ათასი კაცი
გააძღო.

ცხრა ხატით,
ცხრა ანგელოსით,
მობრძანდა
მზით და მთვარითო,
ვინც მის სამოსელს
შეეხო,
უშრეტი ცეცხლით
აინთო.

მტირალებს,
გულამოსკვნილებს,
უზენაესო,
რას გვერჩი?
არიქა,
ქაჯეთს მივხედოთ,
ნესტანი არის
ქაჯეთში.

ლომო, პირადმზევ,
შენა სთქვი,
სხვისგან ამის თქმა
ძნელია,
„ბოროტსა სძლია
კეთილმან,
არსება მისი
გრძელია“.

თავი მეექვსე

„იქნებ აკვანში
ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ცისაც დღე და ღამ
ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა
ქართველი?“

ილია.

ის მოდიოდა ზღვის
ბილიკებით,
ეკლიან გზებზე
ეკლის გვირგვინით,
ქსოვდნენ ბადეებს
მტრის მიმიკებით
და ღრუბელივით
იდგა ქირქილი.

ძმა საკუთარი
თვის ძმას იმეტებს.
მამა — შვილსა და
შვილი — მამასა,
დახლში არშაკა
ჰყიდის იმედებს,
ქართველზე ჰყიდის
მუქთად, ავანსად.

სულს ღაფავს ერი,
დათვლილი არის
მისი სიცოცხლის
ყოველი წუთი,
გულიდან სისხლი
მოსდის თქრიალით
და მაჯისცემას
სატანა უთვლის.

გამოჩნდა ცაზე
ნახტომი ირმის,
ალბათ ვილაცა
ამ გზითაც ივლის,
„მაგრამ, ქართველნო,
სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ,
რომლისთვისაც ვსტირი?“

როგორც გავარდნა
მეხთან შებმული,
გააკვდრებას და
ქარიშხალს მოჰყვა,
ხოლო ხარჯიხვი
რქებდანთებული
ბეთლემის კლდეში
ქვამარილს ლოკავს.

ნეტავი ერის
სული რაზე დგას?
გამშრალ ძუძუებს
ხსენი ერ ყვა,
გაყიდულია
სილამაზე და
გაყიდულია
მშვენიერება.

ტაძრებს ჰკიდიათ
სიკვდილის ცელი,
რადგან სიკეთეს
სხვა მხრით უვლია,
გაყიდულია
ღიმილი, ცრემლი
და სათნოებაც
გაყიდულია.

თავისუფლების
დამპალი ძირი
ებრძვის
სინათლის ჭეშმარიტებას,
„ოხ, ღმერთო ჩემო!
სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს
ჩვენ გაღვიძება?!“

დევნილი,
ბრძოლებგადანახადი,
ღმერთის რწმენით და
ღმერთის ეგიდით,
აი, მოვიდა
ქვათა ღაღადი,
ქვეყნის აჩრდილი
და განდეგილი.

მოვიდა იგი,
მაცილთა ხოცვად
უზენაესი,
მამა ქართველთა,
განმანათლებლად
სულთა და ხორცთა,
დაბინდულ აზრთა
განმანათლებლად.

ქვეყანას ამცნო
ქართველთა კვნესა,
(ძრწოდა ურწმუნო
ბოროტის ძრწოლვით),
სამაგიეროდ
სამსალა შესვა
და დაასრულა
აფთართან ბრძოლით.

და როცა ზარებს
ცით ჩამორეკავს
უზენაესი
ამ ქვეყანაზე,
გწამდეს, იბერო,
ის არს ყოველგან,
ყოველგან არს და
ყოველს აღავსებს.

როგორც გავარდნა
ცაზე მეხისა,
მოჰყვა ქარიშხალს
და გაავდრებას,
„წმინდაა იგი,
ვისაც ელირსა
მამულისათვის
თავის დადება!...“

თავი მეშვიდე

„არც მყვარებია,
არც მიყვარს,
არც მდომებია,
არც მინდა,
არც მწამებია,
არცა მწამს,
შენს გარდა კიდევ
სხვა წმინდა“.

აკაკი

მწყემსის ტკბილი ხმა
შორით მოისმის —
სასუფეველი
რადგან შორს არის,
სათნოების ზარს
რეკავ. ბოლნისი
და ჯაბთაადით
მოდის მგოსანი.

მოდის ძლიერი
ულაზეშთაესით
მიმტევებელი
ცოდვის და
გმობის,
საწყალ ქვეყანას
უმზერს ალერსით
და ქვეყანაზე
დაეძებს ძმობილს.

ის მოეელინა
შვებად ქართველებს,
ის მოეელინა
რისხვად ყაჩაღებს,
ის გადატეხილ
ლერწამს ამთელებს,
ის მბეუტავ პატრუქს
უფრო აჩაღებს.

სულ სხვა ხმებით და
მისამართებით
იგი მობრძანდა
სულ სხვა ქართველად...
ციცინათელას

შორი ნათებით
გაჰკვეთა ბინდი
და გაათენა.

ის მბჟუტავ პატრუქს
სათუთად უვლის,
ეშინია, რომ
არ დაილიოს,
მაგრამ ვის შეხვდეს
სულ მშვიდი პური,
ვით ამყოფინოს
ქართველს მილიონს?

დგას მწვერვალზე და
ჩაესმის ღვთის ხმა —
რაც მოგანიჭე,
გაეც უხვადა,
ო, არა ხორცმა,
ო, არა სისხლმა,
არამედ ზეცამ
გამოუცხადა.

და მისი ფიცი
ცა-ფირუზს ერთვის,
კლდით, ქარაფებით,
მთებით, კორდებით,
შენი ვარ, შენთვის,
შენი ვარ, შენთვის,
შენთვის ვიცოცხლებ,
შენთვის მოვკვდები.

ადგა ნათელი,
ბნელში მღეროდა,
ბნელში ელოდა
გამოდარებას
და გამთელებულ
ლერწმის ღეროდან
წვეთდა სიცოცხლე
და ნეტარება.

ის იდგა ფარად,
სევდისა ფარად,
უკულმა მბრუნავს
წალმა გახედა,

მოვიდა მწყემსად
და თვისი ფარა
ღმერთს შეავედრა
და შეახვედრა.

ერთურთს აწვდიან
შხამიან ფიალას,
ერთმანეთს ღვინით
აღარ ათრობენ,
დედაბუდიან-
ტანსაცმლიანა
თხრიან ერთმანეთს
და ღალატობენ.

რამ გააგიჟათ?
რამ გადარიათ?
მიწა და ზეცა
თითქმის შეერთდა,
თუმცა ვინ იცის,
იქნებ არიან
მისულნი წარღვნის
წინა დღეებთან?

აღსდექი, გმირო,
ერის ხე ხმება,
კაცის მაგიერ
სატანა ფიქრობს,
ვაზის მაგიერ
გველი ეხვევა
ქართველი კაცის
დასობილ ჭიგოს.

მწყემსის ტკბილი ხმა
შორით მოისმის,
სასუფეველი
რადგან შორს არის,
სათნოების ზარს
რეკავს ბოლნისი
და განთიადით
მოდის მგოსანი.

მოდის ძლიერი
უზესთაესით,
მიმტევებელი

ცოდვის და გმობის,
საწყალ ქვეყანას
უმზერს ალერსით
და ქვეყანაზე
დაეძებს ძმობილს!

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

„თქვენთან ძაღლურად
სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია,
ვერ მააწონებთ კარგ ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია“.

ვ ა ჟ ა

არც დღე ვიცით და
არც წუთი,
არ წუთი,
როდის მოვა და
სად მოვა.
ვუხმობთ კაი ყმას,
გაწურთვნილს,
რომელმაც
ზეცა დატოვა...

რომელ ვარსკვლავში
გეძებოთ,
რომელ ცთომილზე
ბრძანდებით?
უფსკრულის პირას
ლოდინით
გადიან
წელიწადები.

არაგვზე
მგლები ყმუიან,
რომ ლეკვმა
სიტყვა ვერა სთქვას.
შენთან ყველანი
სტყუიან,
შენ მართალი ხარ
ყველასთან.

აგრე იტანჯე,
ღვთის მადლმა,
თორე ხელს
მკვდარსაც გახლებენ,

„ძალლ იყოს
შენი მკვდრისადა“.
ჩასძახე
ჩასაძახებელს!

სიტკბოში
მწარე ბევრია —
შენ მხოლოდ
მწარე დაგისხამს.
„ბუნება
მბრძანებელია,
იგივ მონაა
თავისა“.

ტანჯვისთვის
დაბადებულო,
პირთან გაქვს
ტანჯვის ფიალა,
არავის
არ დაანებე —
შენ გამოსცალე
მთლიანად.

კაი ყმავ
თხემით ტერფამდე,
აღარ ხედნიან
ულაყებს,
მამალის
დაყივლებამდე
ღმერთიეით
სამჯერ უარგყვეს.

წუხელ წყვდიადში
გინატრე,
მზე წყვდიადს
დაუფარია,
რა გაეწყობა,
პილატეს
ხელები
დაუბანია.
წვეთავს სურნელი
თაფლისა,
კაი ყმა

კბილებს ილესავს,
ტყე გააშენეს
დაფნისა,
მოუხდებაო
გმირებსა.

ცით მობრძანებულ
კაცისთვის
ნაბადი
მოუთელიათ,
ღმერთო, შეუნდე
ყმას, ვისაც
ჭირი ვერ
მოუთმენია.

თავი მეცხრე

პოეტის შეხვედრა მახსოვართან

— მახსოვარო,
ჩავიმუხლოთ,
თუ არ
გეჩოთირება,
ჩვენს საცოდავ
ქვეყანაზე
რამე
გეცოდინება...

— სით მოდიხარ?
— ხევსურეთით,
კლდეს შატილი
ჩაკვრია,
— ღმერთი თუ ჰყავთ?
— კი, ჰყავთ ღმერთი,
მაგრამ ცოტნე
აკლიათ.

— კიდევ?
— კიდევ ჯავახეთით,
— ჯავახეთში
რა ყრია?
ღმერთი თუ ჰყავთ?
— კი, ჰყავთ ღმერთი,
მაგრამ ცოტნე
აკლიათ.

— მოვიარე
იმერეთი,
ქალს ვერ შევხვდი
აკვნიანს,
— ღმერთი თუ ჰყავთ?
— კი, ჰყავთ ღმერთი,
მაგრამ ცოტნე
აკლიათ.

რა ქართლი და
რა კახეთი —
ორთავ ქვეყნის
სარკეა,
ღმერთს ვერ ვიტყვი,
კი, ჰყავთ ღმერთი,
მაგრამ ცოტნე აკლიათ.

სენაკს, მარტვილს,
დედამოკას
თვალშეუდგამ
მაგიას,
თქმა არ უნდა
ღმერთი რომ ჰყავს,
მაგრამ ცოტნე
აკლიათ.

თუ ლეჩხუმის
ნაკლია და
თუ სვანეთის
ნაკლია,
აჭარაშიც,
გურიაშიც,
მხოლოდ
ცოტნე აკლიათ.

ყველგან კაი
ეზო-კარი,
ყველგან კაი
სახლი აქვთ,
არც ხატია
შეჭიმწყრალი,
მაგრამ ცოტნე
აკლიათ.

— დიახ, რაღაც
გადაგვარდა,
რაღაც წყალში
ჩაგვყრია,
საქართველოს
ცოტნეს გარდა
იქნებ
არც რა აკლია.

არის კაცი,
არის ღმერთი,
ცისკენ ვგზავნით
იმედებს, —
ამ მიწაზე
მხოლოდ ერთი
ცოტნე გამოიმეტეთ.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

ი მ ე დ ი

სევდის ველზე
სევდა ჰყვავის,
ჰყვავის, როგორც
ყაყაჩო,
შენი ქვეყნის
მზე და ყანა
რომ ვერასდროს
გაზარჯო.
მიფრთხიალებს
სიტყვის ბარტყი
შენს მკერდს
შეფარებული,
რა ლამაზად
შემომარტყი
ღობე
შეყვარებულის!

რა ჯიქურად
შემართულა
ჟანგიანი
ჩახმახი,
ცას ღრუბელი
ჩამოაწვა
მყინვარის
მონაჩმახი.

მიტოვებულ
საყდრებიდან
ქარიშხლები
ბღავიან,
ყველაფერი
მხოლოდ ჩემი
თვალით
სანახავია.

ჩემი სხივის
ძარღვი არის,
ჩემს ჯილაგში
ჩამტკბარი,
რა ვქნა,
ჩემი ბალღი არის
ჩაქცეული
საყდარი.

მზე დედაა,
მთვარე მამა,
ცისქვეშ
ჩემი სახლია,
გაქცეული
ვარსკვლავები
გულში ჩამიმარხია.

ხომ არა გთხოვ
ორას წელს და
გადაქცევას
მონასტრად?
შენი ტოტის
აყვავებას
გაისადაც
მომასწარ.
მიფრთხიალებს
სიტყვის ბარტყი
შენს მკერდს
შეფარებული,
რა ლამაზად
წემომარტყი
ღობე
შეყვარებულის.

შინაარსი

ლექსები

ვეფხვის წელიწადი 7

არ შეშინდე... 7
გაზაფხული („როგორ მოივარდისფრა...") 8
ქართული სიტყვა 9
პუშკინი 10
სვანეთი 10
ჩემი ალერგენი 11
ირონია 13
ვინ ვინ არის, ანუ მცირე განმარტება 14
სიხარული სასტუმროში 14
უცხო სხეული, რომელსაც ნიღაბი ახადეს 15
სოფლის განცდა 15
ნარდის თამაში 15
პასუხი 16
ნახევარი საუკუნის წინათ 17
უდროოდ წასულ მეგობარ ქალებს 17
კარლო გაბუნიას 18
ვაშლის გამყიდველი გოგონა 19
გაყიდული ამხანაგი 19
სიმშვიდე 19
ცრემლი („მხურვალე ცრემლით ღაღადეყავ...") 20
სამაგიერო 20
მაღალფარდოვანი დიალოგი წვიმაში 21
ცრემლი („გზებს ვადექით...") 21
მალე თორმეტს დარეკავს 22
გაზაფხული („მიწიდან თუ ციდან გაჩნდი...") 22
გოგონა ყარაიაში 23
ორმოცი წელიც... 24
ოცი წლისანო! 25
წერილი მეგობარს 27
ტრაგედია ცირკში 27
ქარი 28

ციკლიდან — ჩემი ლეჩხუმი
სურმუში („ეაციეით ხარ ჯავრიანი...“) 29
მურის ხიდთან თქმული 30
მონატრებული ლეჩხუმი 31
ბარდნალაა რაჩხას იქეთ 32
ლეჩხუმში 33
მაისი — ლეჩხუმი . 34
გამომხედე, ლაჯანურო! 34
გეეედრები, დამასიზმრე 35
თაბორი 35
ლადო! 36
აყვავებული მზე
მზესთან . 37
აყვავებული მზე 38
ჩასულ მზეზე 38
ზღაპარი („აქ ვინ დაგტოვა, პატარა მაკა...“) 39
ხომალდი 39
ზღვის სონატა 39
*** „რა ახლოსა ხართ, ხეებო, მზესთან...“ 40
სილამაზე 41
სასაფლაო . 41
საყვარელო ქუთაისო
მცხეთიდან იმერეთისაკენ 42
ქუთაისი სიზმრად 43
გელათის მონატრება 43
წინაველზე გაგონილი სიმღერა 43
ლექსი, რომელიც ჩემს ქუთაისს გავუგზავნე 44
*** „წინაველში და ჭომაში...“ 44
რწმენის ზარები
მიმართვა გულისადმი 45
მცხეთის გორებთან 46
*** „თუ თამარს ვამბობ...“ 47
დუმილი . . 47
პოეტის სიკვდილი („ისევ ბრძოლებით...“) 48
სვანური კარი 48
ჯუნა მიქატაძეს 49
ლექსი ტკივილზე 50
რწმენის ზარები 50
წყვილი ცრემლი 50
ბალახი 51
ლამისყანაში 51
ძახილი 51
კესანე . 52
სიმღერების იმედი... 52

ნდობა . 53
ეჭვი, ანუ სულის სატკივარი 54
ჩემი მთის გადასამღერი 56
ვერის პარკში . 57
ცრემლი („ირემი ირემს...“) 59
ბეწვის ხიდზე 59
გარსია ლორკა 60
ღალატი 60
მაჩაბელზე 61
ჟამი 61
ბედნიერება . 62
ბედი უზურპატორთა 62
წითელი პარასკევი 63
გზად იმერეთისაკენ... 64
ძველის გახსენება! 64
სიმღერა 65
მიწა 65
ხის მოკრა 66
ჯოჯოხეთისკენ 66
ჩვენ და ისინი 67
მიძღვნა . 68
რაიხსკანცლერი საბურთალოს ბაზარში 68
პატივმოყვარე 68
ბერნსის გახსენება 69
დედამიწა 69
ხანჯალი 70
მფარველი 70
შინმოუსვლელი 71
აპრილი 72
პატარა ნიკას . 73
სამადლობელი („მებარტყებივით“...) 74

1990

იმ დღეს... . . . 75
საქართველოს მტრებს — ერთს, მეორეს, მესამეს და ა. შ. 76
სისხლი, ანუ როგორ ვკლავთ ერთმანეთს 76
*** „თამარს და დავითს...“ 77
ცრემლი („რის პირადი, რა პირადი...“) 78
კაცი 79
*** „ხან ამ მთას...“ 79
ირინოლას 80
შორიდან . . . 81
*** „როს მიწაზე ღმერთი დაგცემს...“ 81

*** „ვაგლახ, ვარდობავ...“ 82
სამართლის ძიებაში . 82
ჩემს საცოდავ სამშობლოში 83
დაწყევლილი ბედი 83
სუფრასთან შეპასუხება კაფიით... 84
ბოლო სიმღერა 84
ჰიპნოზი 85
ჩიტი 85
როგორც ზღაპარში... 86
გათენება 86
ყრმის გადარჩენა 87
სიმღერას გაუმარჯოს 89
შემოქმედი . . 90
სიძულვილო, გამარჯობა! 91
სიკვდილის შვილები 92
პატიება . 93
ჩემი მასწავლებელი, უშიშარი კაცი 94
სამძიმარი 95
*** „ღმერთო ჩემო...“ 95
პორტრეტი . 96
ერთი „რჩეულის“ გამო . . 96
*** „ვაი, დასწყევლოს ღმერთმა კოცნა...“ 96
*** „კარგია უძირო ლაჟვარდის ღაღანი...“ 96
კითხვა-პასუხი 97
მეგობარ პოეტს . 97
სურმუში („თვალშეუდგამ სინათლეში...“) 97
ცრემლი („ქვემოურთას ეძახიან ამ ქედს...“) 98
მერაბ მამარდაშვილს 98
საქართველო... 99
*** „ჩვენი დღეები გაფრენილან...“ 99
მოდი ვნახოთ... 99

1989

ბელტები 100
მონა 101
ფიქრი 101
ვერძი 102
თარგმანი 102
ბორჯომის ხეობაში . 103
მამას („შენ მარტოობას მიჩივი...“) 103
შესანდობარი 104
შეძახილი 105
ორი ტარიელი 105
გზა და იღბალი 106

კაცი, რომელიც გაძვრა	106
მსხვერპლი „ც“	107
ზოდიაქო . . .	108
*** „ვერცა მაგდალინელმა...“	108
ქორწილი	109
პურის ყანაში .	110
გიხაროდეს, ირინოლა...	110
მთვარე	111
ილბალი... .	112
*** „გეძებ ტყეში და ველობში...“	112
წუთისოფელი ასეა... . . .	113
რადიოთი ლექსებს გადმოსცემდნენ	113
არშემდგარ პოეტს	113
ბავშვებისათვის	114
ჭალაში	114
ეთერ ჭელიძეს	115
მცხეთა	115
მაინც...	116
სამართალი	116
ზარი	116
„პიედესტალი“	117
ტელევიზორთან	118

1988

ნატვრა	119
დედაენა	120
ტვირთი	120
ძმებს	121
ძველი კაცი .	121
იმედი („სადღაც სიყვარულის ხანძარს...“)	122
ამაღლება	123
ჭეშმარიტება	126
სამი ღამე	127
წუთისოფელი	127
თიკას .	127
*** „ჭადრის ხეებზე თვლემენ ჩიტები...“	128
სამადლობელი („სამადლობელი კი, მარა...“)	128
*** „რა ვქნათ, ვერ ვმორჩილობთ...“ .	128
ქრისტე, გალაკტიონი, მაიკლ ჯექსონი, ანუ სიზმარი...	129
დაბადება . .	130
მხოლოდ იუმორი, სხვა არაფერი...	130
გარეთ ჰყვავის მოცხარი	131
ცხოვრება	132
უცხო სამარე	132

„შეიბ მახვილი“ 132
გული . 133
ქისტური ცეკვა მთათუშეთში 134
მეორე შეხვედრა 135
მისალმება . . . 135
*** „ვუმზერ ბორჯომში ჩამოპნეულ ქარვისფერ მძივებს...“ 136
გურული ხუმრობა 137
დამსმენი 137
*** „ჩემო წისქვილო...“ 137
ცხინვალის სიყვარული... 138
მგლები („თავგანწირული გზები...“) 139
ამბავი ერთი ბერიკაცისა 140

1987

ნიჯი გაძლების 141
ილიასადმი . 142
მამას („კაცო მოძღვარო...“) 143
წიწამურზე 143
უფლება 144
აღადექ, მსოფლიო, სიკეთეს უჭირს! 145
ფიქრები მემორიალზე... 146
დაღმართი 147
ჩიტებისადმი 148
სიმშვიდე . 149
აღთქმულ ქვეყნამდე... 149
შეუდექ 149
შენ ჩემთანა ხარ 150
მზე და მთვარე 151
ბუკის ცხე . 151
ჭოლიკას საყვედურები 152
ჰამლეტ გონაშვილს 153
ქვეყნის სატკივარი 153
ეშმაკის პარტნიორი 153
ლექსი ეპვიან კაცზე 154
შეცდომა 154
ძველი სიმღერა 155
ომი 155
იმედი („პატარა სოფელ სიონეთში...“) 156
გზაზე 157
თქმული მაიაკოვსკის დაბადების დღეს 158
ბოროტება 159
ორი შუმერული ლექსი ზურაბ კიკნაძეს . 160
ლექსი ხელისჩამორთმევაზე და საერთოდ ზრდილობაზე 161
ხუთი ლექსი წასვლაზე 162

თბილისისადმი 164
საახალწლო ლექსი, მიძღვნილი ხვალინდელი დღისადმი 165
ეუშველოთ მიწას, სამკვიდრებელსა 166
თქვენი მზისა ვარ 169
*** „აბრეშუმის ფერი იყო...“ 171
*** „სხვა სხვისა და...“ 171
სხივი მამათა . . 171
შემოდგომის სანაპიროსთან 173
ჰოპორტის გადასახვევთან 173
სიტყვა ხელოვანზე 174
შობეზრება 176
ცირკის მასხარა 176
ჩემი „განთიადი“ 177
შენ სასწაული ბედის ერი ხარ 178
ღელვა ზღვაზე . 179
ზღაპარი („ხელთ მიპყრია აზარმატი...“) 179
ჯოკონდა 180
იღრინება სამყარო 182
დათვის და კაცის ამბავი . . 183
იმედი („სახელს ნათელს და დიადს...“) 185
ვაზის საგალობელი
წინათქმა 186
შესავალი 187
ორბის სიკვბუკე 188
ზურაბ! 190
ბაბილო 191
საკარგყმო . 192
სიკვდილშიაც მომწყურდები 192
სიზმარი 193
სიზმრის ახსნა 193
ორი ცრემლიდან
მიჯაკვული ამირანი 194
მრავალჟამიერ... 196
დიდი ნათელი 196
სადღეგრძელო — 1961 197
1978 წლის 31 დეკემბერი 198
მოწყვეტილი ვარსკვლავი 199
კიდევ ქართლოსი . 200
„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ 201
სარკეში არეკლილი ფილოსოფია 201
*** „ერთი თქმა მეცა მსურდა...“ 202
გეფიცები ძმობას... 202
ასი ათასი ქართული სიტყვა 203
ჩემი თბილისი 204

საწუთრო	206
*** „მკითხე, ის დღეები...“	207
იქ, მარტოობაში...	207
გვირილების გზა	208
ცეცხლის, ყინულის და მწუხარების დეკემბერი	208
ჩარგალი	210
მშვიდობით	210
ინოლა გურგულიას	210
ნისლით დამთვრალის სიმღერა	211
დათო ჯავახიშვილს	211
სიყრმის მეგობართა გახსენება	212
*** „მე შესიზმრება ჩემი ცაცხვები...“	212
რვეულიდან — „გამარჯობათ, ფრანგებო!“	213
ღმერთების ლოდინი	213
ფიქრი უბედურებაზე	214
*** „დავაგდე ჩემი მსუბუქი სევდა...“	215
წუხილი	215
მწუხარე შეხვედრა	215
თხოვნა	216
სიცოცხლე („მეც მანდაური წყარო ვარ...“)	216
სიცოცხლე („შენ დაღლილი ხარ, დაიძინე...“)	216
*** „ნეტავი რა ამღერებს...“	217
თერგი	217
*** „ო, დაწყნარდი, გულო...“	217
წვიმა — 15 აგვისტო	218
*** „იქნებ იყოს მეტი ნიჟი... “	218
*** „მართალია, მარტო დავრჩი...“	218
სახლში დაბრუნება	219
ომის მოგონება 35 წლის შემდეგ	219
ჭაბუკური ნაბიჯით!	220
წარწერა უსახელო პირამიდაზე	222
ტაიგის აღმოჩენა	223
წერილი თამუნია ჩარკვიანს	223
მოხეტიალე „ცირკი“ ბორჩალოში	224
30 სექტემბერი, 45 წლის პოეტი	225
დავიწყებული ზღაპარი	225
საუბარი შვილთან	226
ჩვეულებრივი სინანული, ანე ლექსი დედაზე	226
*** „სიმკაცრე თიბავს...“	227
ლაზარე	228
ენით დაკოდილი	228
გზა	229
ჯაჭვაწყვეტილი	229
ფიქრები დროშებზე	230